

საქართველოს სსრ მუცნიერებათა აკადემიის

მ ს ს ნ მ

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

2·1977

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

2·1977

ქურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე ლ ა ძ ი ი ო კ ო ლ ე ზ ი ა : ალ. ბანაშიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი.
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
ამკრელიძე Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глонти

რ ე დ ა კ ც ი ი ს შ ი ს ა შ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.5.1977; შეკვ. 502: ანაწილის ზომა 7×11¹/₂;
ჰალადის ზომა 7×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 17.85; ავაროცხოვს-სავაგომოცემლო
თაბახი 16; უე 01578; ტირაჟი 1 700.
ფასი 1 მან.

•
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

•
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა რ ს ი

წ ა რ ი ლ ე ბ ი

ბ. დანელია, აკაკი შანიძე	
ბ. ხობივაძი, გერმანული თემა და გერმანულენოვანი ლიტერატურა კ. გამსახურდიას მხატვრულ შემოქმედებასა და თეორიულ ნააზრევში	14
ბ. ბაჩანიძე, რომანტიზმის თეორიის ზოგიერთი საკითხი	27
მ. ანთაძე, ჭებრან ხალილ ჭებრანის „პროცესები“	37
ბ. სილაგაძე, არაბული ბეითის აგებულებისათვის	46
შ. ფუტაბაძე, ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება შალვა დადიანის თხზულებებში	52
ნ. ღარსაძე, შხამსაწინააღმდეგო ქვების აღმნიშვნელი ქართული ტერმინების წარმომავლობისათვის	65
ბ. ბერიძე, ტოპონიმ „ეარძის“ ეტიმოლოგიისათვის	77
ბ. ხუციანი, ფორმისა და მნიშვნელობის საკითხი ა. პეშკოვსკის კონცეფტუალში	85
ბ. ჩანტაძე, ადამიანის სახის აღმნიშვნელი ლექსიკა ბასკურსა და ქართულ ენებში	100
ბ. ზინტარი, ეგრეთ წოდებული პასიური ერვატივის შესახებ	106
ნ. როგავაძე, ხმოვნის პალატალიზაცია შუა საუკუნეების არაბი გრამატიკოსების მიხედვით	112
ბ. სანიუკი, ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის ვალენტობის შესახებ ინგლისურ და გერმანულ ენებში	115

ც ნობები და შენიშვნები

ბ. შარაძე, წერილი რედაქციას — ისევ ე. წ. რუსთველის უცნობი პორტრეტის გამო	128
ბ. ბერძენიშვილი, ზოგიერთი ცნობა ნიკო ლომოურის შესახებ	145
ბ. კანაოშვილი, ა. ქავჭავაძის ლექსების დათარიღებისათვის	153
ნ. ბერძენიშვილი, ეკლედის „საწივების“ არაბული თარგმანის თბილისური ნუსხა	165

კ რ ი ტ ი ა და ბ ი ბ ლ იო გ რ ა ფ ი ა

ბ. დოგორჯიანი, ი. ქავჭავაძის რელიგიისადმი დამოკიდებულების მართებული გაგებისათვის	170
ბ. ასათიანი, კიდე ერთხელ ივანე მაჩაბლის დაკარგვის ერთი ვერსიის შესახებ	189
ბ. ბაბაშვილი, „არღაშირ პაპაის ძის საქმეთა წიგნი“	196

ელენე ვირსალაძე

201

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

К. Д. ЦАНЕЛИЯ, Акакий Шалидзе	
А. И. ХОТИВАРИ, Немецкая тема и германоязычная литература в художественном творчестве и теоретических воззрениях К. Гамсахурдиа	14
И. А. ГАЧЕЧИЛАДЗЕ, Некоторые вопросы теории романтизма	27
М. В. КУТЕЛИА, «Процессин» Джебрана Халила Джебрана	37
А. А. СИЛАГАДЗЕ, О построении арабского бейта	46
Ш. Х. ПУТКАРАДЗЕ, Некоторые фонетические особенности сочинений Ш. Дадиани	52
Н. С. ДАРСАВЕЛИДЗЕ, К вопросу о происхождении грузинского термина, обозначающего противодный камень	65
М. П. БЕРИДЗЕ, К этимологии топонима «Вардзиа»	77
Г. Т. ХУХУНИ, Форма и значение в концепции А. М. Пешкевского	85
Г. И. ЧАНТЛАДЗЕ, О названиях лица человека в баскском и грузинском языках	100
Ю. В. ЗЫЦАРЬ, О так называемом эргативном пассиве	106
Н. И. РОБАКИДЗЕ, Паллгализация гласного в трудах средневековых арабских языковедов	112
И. С. СЕНЮК, К вопросу валентности некоторых интранзитивных глаголов современного английского и немецкого языков	115

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

С. ШАРАДЗЕ, Еще раз к вопросу о так называемом неизвестном портрете Руставели	128
И. З. БЕРДЗНИШВИЛИ, Некоторые сведения о Пикс Ломоури	145
А. Д. КЕПЧОШВИЛИ, К дагировке стихотворений А. Чавчавадзе	153
И. Г. БЕРОЗАШВИЛИ, Тбилисский список арабского перевода «Начал» Евклида	165

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Б. И. ДОБОРДЖИНИДЗЕ, О правильной трактовке отношения И. Чавчавадзе к религии	170
И. АСАТИАНИ, Еще раз об одной версии исчезновения Ивана Мачабели	189
В. Н. ГАБАШВИЛИ, «Книга десяти Ардашира Папакана»	196

Е. Вирсаладзе

201

Новые

203

შ ი რ ი ლ ე ბ ი

ა ბ ა ბ ა ლ ი შ ა ნ ი ძ ი

(დაბადებიდან 90 წლისთავის გამო)

დიდ ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა შორის გაკვირდება დასახელება მეორე პიროვნებისა, რომელსაც 90 წლის ასაკში ისე შერჩენოდეს მეხსიერების სიცხველე, ლოგიკური აზროვნების ცხოველმყოფელობა, გაუნელებელი შემოქმედებითი ენერჯია და უხვი ნაყოფიერება, როგორც აკაკი შანიძეს.

აკაკი გაბრიელის ძე შანიძე დაიბადა 1887 წლის 26 თებერვალს ს. ნოღაში. 1900 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა გააგრძელა პეტერბურგის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. სადაც ის ისმენდა მარის, ბართოლდის, ბოდუენ-დე კურტენეს, შჩერბას, კრაჩკოვსკის, ჭავჭავიძისა და სხვა სახელგანთქმულ მეცნიერთა ლექციებს. 1913 წელს კურსდამთავრებული ა. შანიძე ნ. მარის შუამდგომლობით დატოვეს კათედრაზე პროფესორობისათვის მოსამზადებლად. 1915 წ. მან ჩააბარა ზეპირი სამაგისტრო გამოცდები; 1917 წელს სამუშაოდ გადმოდის თბილისში და მხურვალედ მონაწილეობს ი. ჭავჭავიძის თავკაცობით წამოწყებულ თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. 1919 წლიდან განაგებს უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრას, ხოლო 1945 წლიდან (კათედრის ორად გაყოფის შემდეგ) ღღემდე — ძველი ქართული ენის კათედრას. ახალდაარსებულ უნივერსიტეტში ა. შანიძეს მძიმე ტვირთი დააწვა. მას მოუხდა მრავალი საუნივერსიტეტო კურსის შექმნა და წაკითხვა: ძველი ქართულის, ახალი ქართულის მორფოლოგია-სინტაქსის, არაბულის, სომხურის, სვანურის. ქართული დიალექტოლოგიის. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და სხვ. 1920 წელს ა. შანიძე პირველი იცავს სადოქტორო დისერტაციას თბილისის ახალგაზრდა უნივერსიტეტში. 1939 წ. მას სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ირჩევენ, 1941 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია. 1964 წლიდან ამავე აკადემიაში განაგებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას, 1948—50 წლებში აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია, მონაწილეობს რესპუბლიკის მრავალ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ფართო კვლევითი მოღვაწეობის აღიარების ნიშნად სხვადასხვა წლებში მას ირჩევენ ერევნის, პრადის და იენის სამეცნიერო დაწესებულებათა წევრად თუ საპატიო დოქტორად. დაჭილდობულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით.

მრავალმხრივი და მასშტაბურია აკაკი შანიძის სამეცნიერო პრობლემატიკის სფერო: ქართველური ენების გრამატიკული სტრუქტურა. დიალექტოლოგია, ენის ისტორია, ტექსტოლოგია, ლექსიკოლოგია-ეტიმოლოგია. ფოლკლორისტიკა, ეპიგრაფიკა, რუსთველოლოგია. ალბანოლოგია... თითოეულ მათგანში ის ფუძემდებლად ან ეტაპის შემქმნელად გვევლინება.

ა. შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში უპირველესი ადგილი ქართველურ ენათა გრამატიკული სტრუქტურისა და ისტორიის საკითხების კვლევას უჭირავს. ამ დარგში მისი შრომები ეპოქალურია.

შანიძემ პირველმა დაძლია წინამორბედ მკვლევართათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი ორი ძირითადი მეთოდოლოგიური ნაკლი: 1. მან კი არ მიიღო უკრიტიკოდ უცხო (ბერძნულ-ლათინურ თუ რუსულ) ენათა გრამატიკებში გატარებული თვალსაზრისი, არამედ დედა ენის სტრუქტურული სპეციფიკის გათვალისწინებაზე დამყარებული საკუთარი კონცეფცია შეიმუშავა. ა. შანიძე არ ცდილა, უცხოელ ენათმეცნიერთაგან ბრმად გადმოეღო საბუთიანობა ქართული ენობრივი მასალის ანალიზისთვის. „მას ინტერესებდა არა მარტო ენის ფილოსოფიის მონაპოვართა გამოყენება ქართულისათვის, არამედ ქართული ენის მოვლენათა სწორი შეფასების გზით ზოგიერთ მკვლარ დებულებათა გაბათილება ზოგად საკითხებში და მათ ნაკვლად ჰეშმარტის წამოყენება“... (ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 14). 2. ენობრივი მოვლენების ანალიზისას ა. შანიძემ თანმიმდევრულად გაატარა ისტორიზმის პრინციპი, აჩვენა არა მარტო ის, თუ როგორ ია ენობრივი მოვლენის გამომავალულება, მექანიზმი, არამედ რატომ ია ასე. ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების. ცოცხალ კილოთა და მონათესავე მეგრულ-ჭანურ. სვანურ ენათა მონაცემების შესწავლამ გარკვეულ ქრონოლოგიურ დონეზე და შემდგომ ასეთ სტრუქტურულ დონეთა ურთიერთშედარებამ მკვლევარს შეაძლებინა ენობრივი მოვლენები ისტორიულ ასპექტში შეფასებინა. 3. მესამე ფაქტორი, რამაც განაპირობა ა. შანიძის ლინგვისტური კვლევა-ძიების დიდი შედეგიანობა, ესაა ინტელექტუალური თვალსაწიერის დიდი მასშტაბურობა: ქართველური ენების ომეღიმე კონკრეტული საკითხის ახლებური გაგების ნათელსაყოფად საჭირო შემთხვევაში გაბედულად არის პარალელი გავლებული სხვადასხვაგვარი სტრუქტურის ენებთან: სპარსულთან, თურქულთან, არაბულთან, ბერძნულთან, სომხურთან თუ სლავურთან. კვლევა-ძიების იმ მეთოდმა, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვი, ა. შანიძემ საკუთრივ შეიმუშავა და რომელიც მას დღეს ფრიად გავრცელებულ სტრუქტურალისტურ მიმდინარეობასთან აახლოებს. მკვლევარს შეაძლებინა გაბედულად შეღწეულიყო ქართული ენის რთული სტრუქტურის ლაბირინთში და ნათელი მოეფინა მანამდე ბურუსით მოცული საკითხებისათვის. ნაშრომებში „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ და „უმლაჟიკ სვანურში“, რომლებიც თითქოს ორ კონკრეტულ საკითხს ეხება, მკვლევარმა ცხადყო, თუ რა აუცილებელია ფონეტიკური მოვლენების სწორი შეფასება და გათვალისწინება ფონეტიკული სტრუქტურის მართებული ინტერპრეტაციისათვის.

1930 წელს გამოსულ ქართული ენის პირველ მეცნიერულ გრამატიკას წინ უძღოდა ავტორის შრომები მორფოლოგიის ცალკეულ საკითხზე: „სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობ. პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920). „ნასახელარი ზმნები ქართულში“ (1919). „ქართული ზმნის საქციევი“ (1926) და სხვა. ოცდაათი წლის დაძაბული შრომის შედეგად ა. შანიძემ 1953 წელს გამოსცა ფუძემდებლური შრომა „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, რომლის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. გრამატიკულ კატეგორიათა გამოვლენასა და დადგენისას ა. შანიძეს მამარჩვებული ჰქონდა მინიმალურ ფორმალურ-ფუნქციურ ოპოზიციათა დადგენის ხერხი, დაყრდნობილი სხვების მიმართ ერთგვარს, მაგრამ ურთიერთ შორის განსხვავებულ ფორმათა პირისპირ არსებობის საფუძველზე. ამ გზით შეძლო მკვლევარმა მეცნიერულად დაედ-

გინა ისეთი გრამატიკული კატეგორიები ქართულში, როგორცაა: ქცევა, კონტაქტი, აქტი, თანამდევრობა, გეზი, ორიენტაცია, მწკრივი, სიტუაცია. ამავე გზით მან ახლებური გაშუქება მისცა ადრევე ცნობილ გრამატიკულ კატეგორიებს. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის 1942 წ. დაბეჭდილ შრომას

„Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия“, სადაც გარკვეულია, რომ ძველ ქართულში ასპექტის გამოხატვა სხვა პრინციპზე იყო დამყარებული (I და II სერიის მწკრივთა ფორმების დაპირისპირებაზე) და არა ახალ ქართულში მოქმედი პრევერბების დართვა-დაურთველობაზე. ამით, სხვათა შორის, მოპოვებული იქნა ენის ისტორიისათვის ფასდაუდებელი ცნობა: ასპექტის გამოხატვის საშუალებების შეცვლა (XI ს.) ძველი და ახალი (უფრო ზუსტად, საშუალო) ქართულის ყველაზე მკვეთრი სადემარკაციო ნიშანი აღმოჩნდა.

ა. შანიძემ შეძლო არა მარტო სწორად ამოეცნო ქართული ენის რთული ბუნება. არამედ პრინციპული ხასიათის შესწორებანი შეეტანა საერთოდ ენათმეცნიერებაში მრავალგზის დამუშავებული ზოგადი საკითხების გაშუქებაშიც. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: 1. ქცევის კატეგორიის დადგენამ ქართულში ა. შანიძეს საფუძველი მისცა ამ კატეგორიის არსებობის საკითხი დაესვა ინდოევროპულ ენებშიც. კერძოდ, ევარაუდნა, რომ ძველ ბერძნულში გვარის სახეობად მიჩნეული ერთ-ერთი ფორმა (მედიუმი) სათავისო ქცევის გამოხატველი უნდა ყოფილიყო. ეს დაკვირვება ბერძნული ენის სპეციალისტებს (ს. ყაუზნიშვილს, ა. ურუშაძეს და სხვებს) გასაზიარებლად წიარჩინათ. 2. ადრევე ქართულის გარდა ბევრ სხვა ენაში (არაბულ, სპარსულ, თურქულში) გამოყოფილი იყო შუალობითი კონტაქტი (ე. წ. გარდასვლითი, კაუზატივი). მაგრამ არ იყო გამოყოფილი საოპოზიციო ცალი. ამიტომაც არ იყო ზეკატეგორიის (კონტაქტის) ცნება და კაუზატივი გვარის სახეობად მიიჩნეოდა. ა. შანიძემ კონტაქტის კატეგორიის დადგენით, ჭერ ერთი, გვარისგან გამოიჭნა. გამოაცალკევა მედიანი (შუალობითი) და იმედიანი (უშუალო) ფორმები და, მეორეც, უკუაგდო ქართულ და უცხო ენათა გრამატიკებში დამკვიდრებული ე. წ. ორმაგი გარდამავლობის ცნება. 3. ა. შანიძემ მწკრივის კატეგორიის გამოყოფით ქართულში არა მარტო შეძლო მანამდე უცნობი კატეგორიების (ჭეობის, აქტის, თანამდევრობის) დადგენა, არამედ დაზუსტება შეიტანა კარგად ცნობილ დროისა და კილოს ცნებებში, მკვეთრად გამოიჭნა ისინი სხვა კატეგორიებისაგან. მან დაასაბუთა, რომ გრამატიკული დრო ქართულში შეიძლება იყოს მხოლოდ სამი და არა რვა (ნ. მარი) ან თერთმეტი (ს. ხუნდაძე). ასევე აბც ევროპულ ენებშია გრამატიკული დრო სამზე მეტი. მაგრამ თუ მეტს გამოყოფენ, ეს იმიტომ რომ სხვა კატეგორიაშია ადრეული დროის ცნება. დიდი ენათმეცნიერის ვანდრიესის დებულებას, რომ ფრანგულს მოეპოვება გრამატიკულა დროების მრავალფეროვანი გამა და „მას შეუძლია გამოხატოს მომავალი წარსულში და წარსული მომავალში“. ა. შანიძემ მცდარად თვლის და კატეგორიულად აცხადებს: „არ ქმნილა და არ შეიძლება იქმნეს, რომ წარსულში მომავალი გამოიხატოს და მომავალში — წარსული... დააცილებთ ერთმანეთს დრო და თანამდევრობა და მაშინ „მომავალი წარსულში“ ისევ წარსული იქნება (და არა მომავალი) და „წარსული მომავალში“ მაინც მომავალი გამოვა (და არა წარსული). მაშასადამე, დროისა და თანამდევრობის გამოიჩინით გამაც დაიკარგება (და დიკარგება არა მარტო ფრანგულში.

არამედ სხვა ენებში და აღარც საჭირო იქნება საუბარი დროთა მთავარ დაყოფასა და დაქვემდებარებულ დაყოფაზე, რომელსაც დანიელი ენათმეცნიერის ნაშრომში ეხვდებით (C. Jespersen, The Philosophy of Grammar, London, 1935, გვ. 257))“.

ა. შანიძემ მყარი საფუძველი ჩაუყარა ქართულ დიალექტოლოგიას. მან ბრწყინვალედ გააგრძელა ცხრაას ათიან წლებში ნ. მარის მიერ დაგეგმილი და დაწყებული საქმე ქართულის ცოცხალი კილოების საფუძვლიანი შესწავლისა. 1911 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის მივლინებით ა. შანიძემ შეისწავლა ხევსურული და ფშაური, ხოლო 1913 წელს შესასწაველი რეგიონი გაზარდა, იგი გაეცნო მთიულურს, მოხელურს. თუშურს და ამავე წელსვე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში გამოაქვეყნა მუშაობის შედეგებზე წინასწარი ანგარიში, ხოლო 1915 წელს დაბეჭდა „ქართული კილოები მთაში“. იმავე წელს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების ორგანოში (ტ. XXII) გამოქვეყნდა ა. შანიძის ვრცელი რეცენზია მ. ჭანაშვილის „საინგილოზე“. რეცენზიაში 400-მდე ინგილოური სიტყვის განმარტება: მოკლეული. თითქმის ყველა ქართული კილოს მონაცემებია გათვალისწინებული ა. შანიძის ცნობილ მონოგრაფიაში „სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობ. პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. მეტად მნიშვნელოვანია ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით მკვლევრის შრომა „ვე კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში“ (1941). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დიალექტური ტექსტების შანიძისეული პუბლიკაცია სანიმუშოა და მუდამ ნორმის მნიშვნელობას შეინარჩუნებს. ამ მხრივ უაღრესად ფასეულია მის მიერ გამოცემული ბესარიონ გაბურის „ხევსურული მასალები“ (1924). რომელსაც ამჟღინებს გამოკვლევა და ლექსიკონი. დიალექტოლოგიური შრომების ოქროს ფონდს მიეკუთვნება ა. შანიძის წიგნი „ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული“ (1931), რომელიც ტექსტების ჩაწერის სიზუსტისა და მეცნიერული აპარატის სისრულით დღემდე დაუძლეველ ნორმად რჩება. მაგრამ ა. შანიძე ხალხურ მეტყველებასა და შემოქმედებას მხოლოდ ენათმეცნიერის თვალთ არ უყურებს. დიალექტოლოგიურ-ფოლკლორულ ტექსტებში ა. შანიძე კარგად ხედავს ხალხის პოეტური გენიის გამოვლინებას და ამ მხრივ მის დაკვირვებებში ვლინდება არა მარტო ფილოლოგიური ინტერესების შეუზღუდაობა. არამედ თვით მკვლევრის სულიერი სამყაროს სისავსე და პოეტურობა. მან გაბურის ტექსტებისა და ხევსურული მასალების გამოცემით ბევრი აქტუალური საკითხი დასვა და გადაჭრა კიდევ. როგორცია: ხალხური ნაწარმოების დეფინიცია, ინდივიდუალური და კოლექტიური საწყისები ხალხურ შემოქმედებაში, ტექსტების ვარიაცია, ტრადიცია და ნოვატორობა. პოეტური ენართა გენეტური კავშირი, მეტრიკის საკითხები ხალხურ პოეზიაში. პროსოდული სმოვნების გენეზისი და ფუნქცია. ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ურთიერთობა („შაპ-ნაშაპ“ ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში. 1935). ზოგი ტერმინის კავშირი პოეტური შემოქმედების რაობასთან (მათქვაპო. მოქმელი, მუზბარი || მალექსებელი. მალექსარი. მელექსე, მეშარიც) და სხვ.

ა. შანიძემ საფუძვლიანი კვლევის ობიექტად აქცია სვანური ენა და ზეპირსიტყვიერება. მან ვ. თოფურისათან ერთად შეკრიბა და სანიმუშოდ გამოსცა 1939 წ. „სვანური პროზაული ტექსტები“. რომელშიც შეიქმნა 198 ნიმუში. ამავე წელს ვ. თოფურისა და გ. გუჭეჯიანის თანაავტორობით გამოსცა

„სვანური პოეზია“. რომელშიც შევიდა სვანური პოეტური შემოქმედების 150 ნიმუში ქართული თარგმანითურთ.

ა. შანიძეს ჩაწერილი აქვს მეგრული ტექსტები, რომელთაგან მცირე ნაწილია გამოქვეყნებული („ეკური ქალაქიანი“: ლიტ. ძიებანი, XI, 1958). იგი შეუწევნებელი ინტერესით იკვლევს სვანური და მეგრულ-სვანური ენების სტრუქტურის საკითხებს. მართო რად ღირს კლასიკური შრომა „უმლაუტი სვანურში“, რომელიც თითქოს ერთ ფონეტიკურ მოვლენას — ხმოვანთა ასიმილაციას ეხება, მაგრამ სინამდვილეში კი არის პირველი წარმატებიათი ცდა სვანურის რთულ მორფოლოგიურ სტრუქტურაში გაბედული შეღწევისა. ქართულთან შედარებით სვანური და მეგრულ-სვანური ენების განვითარების ისტორიის გარკვევა რთულია, ვითარცა უმწერლო ენებისა. ამიტომაც განსაკუთრებული ფასი აქვს ისეთ შრომებს, როგორცაა: „ბერძნული სიტყვა აკუზატივის ფორმით სვანურში“ (1925), „Два чано-мгрельских суффикса в грузинском и армянском языках“ (1916), „ჭ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში“ (1960), „ნა პრეფიქსის მნიშვნელობისათვის სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში“ (1972), „სვანური კულტის ტერმინი ჭგგრაგ“ (1973) და სხვ.

ა. შანიძე ძველი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ენის ისტორიის შესანიშნავი მკვლევარია. იგი ავტორია ისეთი დიდი მნიშვნელობის აღმოჩენებისა, რომელთაგან ერთიც კი უკვდავყოფდა მის სახელს. მეცნიერული წინასწარტკვერტის მაგალითად მუდამ დარჩება ა. შანიძის აზრი ზ პრეფიქსის ხმარების თაობაზე ზმნებში. ის, რაც ბედნიერ შემთხვევად ჩანს სხვათათვის, მეცნიერისათვის ლოგიკური აუცილებლობის გამოვლენაა: სწორად წარმართულმა კვლევა-ძიებამ ა. შანიძეს 1920 წ. დაბეჭდილ მონოგრაფიაში ($S_2 O_3$) აუცილებლობით ავარაუდებინა, რომ უძველეს ქართულში ზმნებს $S_2 O_3$ -ის ნიშნად გარკვეულ კილოში ზ პრეფიქსი უნდა ჰქონოდაო. და სულ მოკლე დროში ეს ვარაუდი დაადასტურა 1922 წლის დასასრულს ი. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხულმა ხანმეტი პალიმფსესტის ოქსფორდულმა ფრაგმენტმა. ასევე მახვილგონიერული ახსნა მოუძებნა ა. შანიძემ მე-11 საუკუნის მწერლის — გიორგი მთაწმიდლის მიერ ნახმარ ხანმეტი ტერმინს, რომელიც ყველა მკვლევრისათვის ამოუხსნელ გამოცანად რჩებოდა და რომლის შანიძისეულ ახსნას კ. კეკელიძემ ჰეშმარტად „სენსაციური ინტერპრეტაცია“ უწოდა. ან რად ღირდა 1923 წ. ჰამეტი პალიმფსესტის აღმოჩენა, ამოკითხვა და ანალიზი. ასევე ნამდვილი აღმოჩენა იყო რუსთველოლოგიაში, რომ ა. შანიძემ უეჭველი საბუთიანობით ერთბაშად გადაწყვიტა მკვლევართა შორის დიდი ხნის საცილობელი ერთი კარდინალური საკითხი — „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა ხელნაწერისეული ტრადიციის უცვლელი გამეორება იყო თუ რედაქტორის ჩარევით შემუშავებული ტექსტი. 1937 წელს ვახტანგისეული ტექსტის უზუსტესად აღმდგენელი ა. შანიძის მახვილ თვალს არ გასკირვებია, შეემჩნია, რომ ტექსტზე დართულ ვახტანგის „თარგმანება“-კომენტარებში ისეთი სტროფები იყო, რომლებიც თვით გამოცემულ ტექსტში არ მოიპოვებოდა. რა თქმა უნდა. მკვლევრის იღბლიანობად უარ მივიჩნევთ ამ მკვლევას; შრომა დაფასდა. მძებნულმა იპოვა: ჭერ-არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა!

ა. შანიძის მიერ მიკვლეველი, ამოკითხული და გაანალიზებული ხანმეტოტექსტების კორპუსის ნაწილები. როგორცაა: ხანმეტი მრავალთავი (1927). ხანმეტი ლექციონარი (1929). ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები (1938). შეიძლება ითქვას, მყარ საფუძვლებს წარმოადგენენ იმ კიბისას. რომელსაც სამწერლო ქართულის სათავესთან მივყავართ. ენის ისტორიის კონკრეტული საკითხებია ვადაწყვეტილი ა. შანიძის ბრწყინვალე ეტრინოლოგიურ შტუდიებსა და ისეთ გამოკვლევებში, როგორცაა: „აერი სუფიქსიანა ქალის საბეჭდების ძველ ქართულში“ (1958), „თეოფორული საბეჭდები ქართველურ ენებში“ (1967). „ზგერათა ცვალება ენის ისტორიულა განვითარების პროცესში და ორთოგრაფია“ (1972) და სხვ.

მწვევედ იგონებოდა ბოლო წლებში ძველი ქართული ენის გრამატიკის უქონლობა. თუმცა დაკვირვებულ მკითხველს შეეძლო ძველი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის არსებით მხარეებზე საჭირო ცნობები მიეღო ა. შანიძის მოკლე მიმოხილვიდან „ძველი ქართული ენა“, რომელიც ერთგვად VII კლასის სახელმძღვანელოს „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“ (1934—55 წწ.), ახლა „ქართული გრამატიკის საფუძვლებიდან“. რომელშიც შიგადაშიგ მიმოხეულია ძვირფასი ცნობები ძველი ქართულის მონაცემებზე. მაგრამ ეს ვაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. და აი, 1976 წელს ა. შანიძემ გამოსცა „ძველი ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც თითქოს მოკლე კურსია. მაგრამ მასში კონდენსირებული სახით მოცემულია ძველი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი საკითხების თეორიული გადაწყვეტა. ან. როგორც ავტორი ამბობს. ძველი ქართულიდან „რ ა ე მ თ ა ვ ა რ ი ა და ა ო ს ე ბ ი თ ი. იმის შესახებ მკითხველი იპოვის შიგ სათანადო პასუხს“.

ენის ისტორია ორგანულადაა დაკავშირებული ერის ისტორიასთან. ამ თვალსაზრისით ა. შანიძის მიერ ამოკითხულ, შესწავლილ და გამოქვეყნებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს თანაბრად დიდი ღირებულება აქვთ ენისა და ერის ისტორიისათვის. ბოლნისისა და მცხეთის, წყისისა და მანგლისის, გრემისა და ხუნამისის, კოშისა და ვანის, ბარანისა თუ სხვა მრავალი ძნელად წასაკითხი წარწერების ამოკითხვითა და ინტერპრეტაციით ქართული ისტორიოგრაფიასაც მან საინტერესო მასალები შესძინა. ასევე საუბრაოდებოა ა. შანიძის დაკვირვებანი ფეოდალური ხანის საისტორიო ძეგლების შერყვნილი თუ გაუგებარი ადგილების გასაგებად. ისტორიკოსთათვის არ შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდეს ისეთ წრომებს, როგორცაა: „Данные греческо-славянской. лингвизы из Армаза для истории термина «Убог» в древнегреческом“ (1951), «К этимологии названия «Тората»» (1937). „ტანსტერი თუ ოსტიგანი“ (1970) და სხვა.

ა. შანიძემ ახალ საფუძვლებზე აიყვანა ქართული ტექსტოლოგია. პეტერბურგში ნ. მარის მიერ დაარსებულმა გამოცემათა სერიებმა ქართული ტექსტოლოგია მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა. ა. შანიძემ ბრწყინვალედ გააგრძელა მასწავლებლის ეს საქმე თბილისში. როგორც აღვნიშნეთ. ა. შანიძის მიერ გამოქვეყნებულმა ხანმეტმა და ჰემეტმა ტექსტებმა ახალი შესაძლებლობანი და პერსპექტივები გადაშალეს ქართული ენის ისტორიის კვლევის სფეროში. მკვლევარი კარგად გრძნობდა, რომ ქართული ენის ძვირფასი წერილობითი საუნჯის გამოსაშუქებლად საჭირო იყო

გეგმიანი. სისტემური და მიზანსწრაფული მუშაობა. ამ მიზნით მან აკადემიასა და უნივერსიტეტში დააარსა გამოცემათა სერიაები „Caucasus Polyglottus“ (1935), „ძველი ქართული ენის ძეგლები“ (1944), „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“ (1955) და ზუსტად განსაზღვრა ამ სერიათა მიზნები და ამოცანები. მისი სიტყვებით, „მეცნიერულ-კრიტიკულად გამოცემული ძველი ტექსტები მკვიდრი საფუძველია ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერებისა: სხვადასხვა ბნელით მოცული საკითხი ერის ისტორიიდან, მისი ენისა და ლიტერატურის ისტორიიდან. ეკონომიკის ისტორიიდან და სხვა დარგიდან მხოლოდ მაშინ შეიძლება გაირკვეს, თუ სათანადო წერილობითი ძეგლები კრიტიკულად არის დამუშავებული და გამოცემული“. თავიდანვე დიფერენციალურად გამოცემათა სერიაებში დაბეჭდილიყო როგორც მეცნიერულად დადგენილი ტექსტები, ასევე სიმფონიები, ლექსიკონები და სპეციალური გამოკვლევები ლინგვისტურ-ფილოლოგიური ხასიათისა. „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიით დღემდე ა. შანიძემ გამოსცა 13 ტომი, რომელთაგან ხუთი უშუალოდ მასვე განახორციელა. ხოლო დანარჩენი — მისივე რედაქციით ენის მოწაფეებმა. „ძველი ქართული ენის კათედრის შრომების“ სერიით კი გამოსცა 19 ტომი, რომელთაგან 5 უშუალოდ მას ეკუთვნის. ხოლო სხვა ტომების მონაწილე ან რედაქტორია. კოლოსალური შრომა აქვს გაწეული ა. შანიძეს ამ ტომების გამოცემაზე. ყველა ტომის მასალის არათუ შეფასება, დასახელებაც კი შეუძლებელია პატარა წერილში. მაგრამ აღენიშნავთ რამდენიმეს მაინც, რომელთაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში და ქართული ტექსტოლოგიის ქვაკუთხედს წარმოადგენენ: „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.)“. „წიგნი ძუელისა აღთქმისანი (978 წ. ხელნაწერის მიხედვით)“. ტ. I, ნაკ. I (1947), ნაკ. II (1948), „რეფხისტყაოსნის სიმფონია“ (1956), „სინური მრავალთავი 864 წლისა“ (1959), „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“ (1971).

ა. შანიძის დაუღალავი მეცადინეობით, შეუპოვრობითა და რედაქციით შესაძლებელი გახდა, რომ გამოცემულიყო მთელი ახალი აღთქმის უმთავრესი ძველი ქართული რედაქციები: საქმე მოციქულთა (გამოსცა ი. აბულაძემ 1950 წ.). კათოლიკე ეპისტოლენი (გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ 1956 წ.). ოვანეს გამოცხადება (გამოსცა ი. იმნაიშვილმა 1961 წ.), პავლეს ეპისტოლენი (გამოსცეს ქ. ძიწენიძემ და კ. დანელიამ 1974 წ.). ძველი აღთქმიდან გამოცემა: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები (გამოსცა მზ. შანიძემ 1960 წ.). უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ა. შანიძის მეთითებისა და ხელმძღვანელობის საფუძველზე ი. იმნაიშვილის მიერ შედგენილ უზარმაზარ შრომას „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონს“ (1948—49), რომელიც ქართულ ლექსიკოგრაფიაში ახალ ეტაპს ქმნის. ცოტა ადრე, 1944 წელს, ხანმეტრ ლექსიკონარის ფოტოტიპურ გამოცემაში ა. შანიძემ ბრწყინვალედ განახორციელა სიმფონიის შედგენის პრიციპები, ხოლო 1946 წელს მან გამოსცა ი. ჭავჭავაძის მიერ გამოზადებული გიორგი მთაწმიდლის თხზულება „ცხოვრება იოვანესი და ეფთუმესი“. რომელსაც დაურთო ვრცელი ლექსიკონი, სადაც პირველად არის გატარებული მის მიერვე შემუშავებული გრამატიკული ინდექსების სისტემა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ, თუ დღეს ქართული ტექსტოლოგია მეცნიერული თვალსაზრისით მსოფ-

ლიოს სტანდარტის დონეზე დგას, ეს უპირველესად ა. შანიძის დამსახურებაა. არ შეიძლება გამოჩაყლის ბედნიერებად არ ჩავთვალოთ ის გასაოცარი ფაქტი, რომ 90 წელს მიახლოებულმა მეცნიერმა შეძლო ქართული ენისა და კულტურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის ორი ძეგლის სანიმუშო პუბლიკაცია. „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია“ (1971) ისტორიულ-ფილოლოგიური და ლინგვისტური ხასიათის ვრცელი მონოგრაფიაა, რომელიც ახალ ფურცელს შლის ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის შესწავლის საქმეში. ამ შრომამ ღირსეულად დაიმსახურა ი. ჭავჭავაძის სახელობის პრემია. მეორეა „ეტლთა და შუღთა მნათობთათჳს. ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა“ (1975). ეს არის 1188 წლის ერთადერთ ხელნაწერში დაცული საერო ხასიათის უნიკალური ძეგლი თამარის ეპოქისა. რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისათვის, განსაკუთრებით ლექსიკისათვის. ამიტომაც არის, რომ ენობრივ მიმოხილვასთან ერთად ამ შესანიშნავ ტექსტს ახლავს სრული ლექსიკონი. საიდანაც კარგად ჩანს არაბულ-სპარსული ლექსიკის სიჭარბე.

ლიტერატურისა და ენის ისტორიის შესწავლა ლექსიკოლოგიის დაუხმარებლად წარმოუდგენელია, ამიტომაც ა. შანიძემ საგანგებო ყურადღება დაუთმო როგორც ლექსიკოგრაფიის ზოგადი საკითხების კვლევას, ისე საკუთრივ ქართული ლექსიკის შესწავლას. ამ მხრივ მეტად ფასეულია ვეჟას თხზულებებზე, გაბუურის ხევსურულ მასალაზე და გიორგი მთაწმიდლის და შოთა რუსთაველის თხზულებებზე დართული ლექსიკონები. მან წარმატებით დაასრულა ი. ყიფშიძის მიერ დაწყებული საქმე და 1928 წელს მეცნიერულად გამოსცა ს.-ს. ორბელიანის ფასდაუდებელი „ქართული ლექსიკონი“. უდიდესი სამსახური გაუწია რუსთაველოლოგიური საკითხების კვლევას ა. შანიძის მიერ 1956 წელს გამოცემულმა „„ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიამ“. რომელსაც კ. კეკელიძემ კაპიტალური შრომა უწოდა. ლექსიკოლოგიისა და ენის ისტორიის საკითხების კვლევაში ა. შანიძე ბევრი სიტყვის მეცნიერული ეტიმოლოგიის მიგნებამდე მიიყვანა. საინტერესოა მისი მახვილგონიერი დაკვირვებანი ისეთ ლექსიკურ ერთეულებზე, როგორცაა: ორბი (1960), პატრუცავი (1969), არჩილის „სიტნა“ (1970), ოქროფორტლითა (1970), ტაშტ-აბრაგი (1971), მამასახლისი (1971) და სხვ. ეტიმოლოგიური დაკვირვებანი ისეთ სიტყვებზე, როგორცაა: არტანუჯი, ბანა, ყარსი, ტოპადა, კეკელა-კეკლუცი, ავლა-დიდება, ოხორჯა, ჭყანია, დაჩი, თითი, ჩავგრა, რკო და სხვა. ცხადად ავლენს არა მარტო მკვლევრის უტყუარ ლინგვისტურ ალღოს, არამედ მის ფართო დიპლომატურ ქართული და მეზობელი ხალხების კულტურისა და ისტორიის ღრმა ცოდნისა.

ა. შანიძემ ტიტანური შრომა გასწია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და ენის შესწავლის საქმეში. მარტო რად ღირს 1927 წელს განხორციელებულ ვახტანგისეული გამოცემის აღდგენა-გამეორება. რა დიდი შრომაა გაწეული და რა დასტაქრული სიფრთხილითაა აღდგენილი პირველი ბეჭდური ტექსტის ჰემ-მარიტი სახე. თუ რა ბრწყინვალე შედეგების მიღება შეუძლია მკვლევარს ფილოლოგიური და ლინგვისტური ცოდნის შეხამებით. ეს კარგად ჩანს შრომაში „„ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები“ (1966). რომლით აღფრთოვანებულნი კ. გამსახურდია გაოცებას ვერ ფარავს და ამბობს: „როგორი სკრუპულოზობითაა შესრულებული ეს ტომი!“

ა. შანიძემ (ა. ბარამიძესთან ერთად) 1966 წელს პირველმა განახორციელა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული გამოცემა ტექსტუალური ვარიანტების ჩვენებით (ხელნაწერთა და სხვა მნიშვნელოვან გამოცემათა სხვაობების გათვალისწინებით), რითაც რუსთველოლოგებს, შეიძლება ითქვას, ოქროს მასალა მიაწოდა.

ა. შანიძე არ არის ე. წ. კაბინეტური მეცნიერი, ის მაღალი მოქალაქობრივი პასუხისმგებლობის მოთვლელი ენერგიული მოღვაწეა ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის ფრონტზე. ეს კარგად ჩანს დედაენის პრაქტიკულ საკითხების მოგვარებისადმი მის შეუწელებელ ყურადღებაში. დედაენის სიწმინდის დაცვას ფხიზელ დარაჯად უდგას მსცოვანი მეცნიერი დღესაც, რადგან ღრმად სჯერა, რომ ენის სიწმინდისათვის ბრძოლა დიდი ეროვნული საქმეა. მისი ყოველი რეკომენდაცია ენაში არსებული საცილობელი ფორმებიდან ერთ-ერთის მხარდასაჭერად მუდამ ემყარება მოვლენის ისტორიის შესწავლას: ფორმის განვითარების გზა ძველს, საშუალსა და ახალ ქართულში, ცოცხალ კილოთა მონაცემები. ენის ბუნებრივი განვითარების ტენდენციის დანახვა — აი. რა ფაქტორებია გათვალისწინებული რომელიმე ფორმის დაკანონებისას.

ა. შანიძე იყო თავმჯდომარე იმ საორგანიზაციო კომისიისა, რომელსაც 1920 წელს დევალა ქართული ორთოგრაფიის რეფორმის პროექტის მომზადება და მისივე თანაავტორობით კიდევაც გამოვიდა 1921 წ. „სალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიის საღაო საკითხების მოსაწესრიგებლად“. ის კარგახანს იყო „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის“ თავმჯდომარე. მისივე თანხრობით 1950 წ. დაარსდა სერია „სალიტერატურო ქართულის ნორმათა საკითხები“. მას ბევრი წერილი აქვს დაბეჭდილი ენის პრაქტიკულ საკითხებზე.

ა. შანიძეს უყურადღებებს გარეშე არ დაჩრებინა ჩუენი მეზობელი ხალხების — სომხებისა და აზერბაიჯანელების ენისა და კულტურის საკითხებიც. მეცნიერული ობიექტურობის ნიშნად მისი ვრცელი რეცენზიები ლარბიანისა და აქარიანის შრომებზე, რომლებიც სომხეთის მეცნ. აკად. ორგანოებში დაიბეჭდა. საყურადღებოა ა. შანიძის შრომები: „Глагольный суффикс *нл* в североармянских наречиях и говорах“ (1916), „Криптографическая запись в одной армянской рукописи из Мюнхенской коллекции“ (1960)... განსაკუთრებით ფასეულია ა. შანიძის შრომები ალბანელთა ენისა და კულტურის შესახებ. ის სამართლიანად ახალგაზრდა სამეცნიერო დისციპლინის — ალბანოლოგიის ფუძის დამდებად ითვლება. დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ისტორიულად (V—XIII) ცხოვრობდა ხალხი. რომელსაც ქართველები ჰერებე ეძახდნენ, ხოლო სომხები ალვანებს. ილ. აბულაძემ ერთ-ერთი XV ს. სომხურ ხელნაწერში მიაკვლია სხვადასხვა ენის ანბანთა ერთგვარ კრებულს. რომელშიც ა. შანიძის გამოკვლევის თანახმად ალბანურიც უნდა ყოფილიყო („Новостранний алфавит Кавказских албанцев и его значение для науки“, 1938).

1948 წ. მინგეჩაურში წარმოებული გათხრების შედეგად მოპოვებული უცნობწარწერიანი ქვებისა და შემდეგ თიხის ჰურტლებზე შემჩნეული წარწერების შესწავლამ ა. შანიძეს შეაძლებინა, მიახლოებითი წარმოდგენა შეემუშავებინა ალბანური ენის ფონეტიკურ სისტემაზე („Язык и письмо кавказских албанцев“, 1960)...

ასეთია ძალზე ზოგადად ა. შანიძის უზარმაზარი დამსახურება სამამულო მეცნიერებისა და კულტურის წინაშე.

არჩილ ხობივარი

გერმანული თემა და გერმანულენოვანი ლიტერატურა
კ. გამსახურდიას მხატვრულ შემოქმედებასა და თეორიულ
ნააზრებში

მრავალფეროვანია უახლესი ქართული სიტყვაჯანსაღი მწერლობის დიდ-მესიტყვის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი პალიტრა, მეტად მდი-დარია მისი შემკვიდრება. ამ ადამიანის პიროვნებაში ბედნიერად ერწყმის ურთიერთს რომანისტიკისა და ლირიკოსის. ნოველისტიკა და მხატვრული ბიო-გრაფიის ოსტატის, ლიტერატურისმცოდნისა და მთარგმნელის ნიჭი.

დიდი წვლილი მიუძღვის კ. გამსახურდიას ჩვენში გერმანული ხალხის მრავალსაუფუნოვანი სულერი კულტურის პოპულარიზების სფეროში. მის მხატ-ვრულ შემოქმედებასა და თეორიულ ნააზრებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთ-მობა გერმანიის ისტორიას, კულტურას. გერმანულენოვან ლიტერატურასა და მის ცალკეულ წარმომადგენლებს.

გერმანული თემა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და შთამბეჭდავია კ. გამ-სახურდიას ვრცელ შემოქმედებითს შემკვიდრებაში წარმოდგენილ თემათა შორის. დიდ ეფექტსა და დამაჯერებლობას აღწევს მწერალი გერმანული მა-სალის დამუშავებისას, რაც საესებით კანონზომიერი შედეგია არა მხოლოდ დიდი მხატვრული ოსტატობისა, არამედ აგრეთვე იმისა, რომ მან არაერთი წელი გაატარა გერმანიაში, უშუალოდ გაეცნო გერმანელთა ყოფასა და ეროვ-ნულ თავისებურებებს, იქაურ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურას.

თავისი შემოქმედებითი საქმიანობის ყოველ ეტაპზე ამუშავებდა კ. გამ-სახურდია გერმანულ თემას, დიდი სიბოთით, მისთვის ჩვეული მწერლური ტემ-პერამენტით აცოცხლებდა გერმანულ სინამდვილეს, გერმანიის ისტორიის ცალ-კეულ პერიოდებს — გოეთეს ეპოქით, პირველი მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი ხანით დაწყებული და დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიანი წლე-ბით დამთავრებული, ქმნიდა გერმანელთა და გერმანიაში მოხვედრალ ჩვენს თანამემამულეთა დასამახსოვრებელ სახეებს.

ტეშმარტივად ტიტანური შრომა გასწია კ. გამსახურდიამ ჩვენში დიდი გერ-მანელი პოეტისა და მოაზროვნის გოეთეს შემკვიდრებობს პროპაგანდის თვალ-საზრისით. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული. საპატიო ადგილი ეთმობა გოეთეს პრობლემას, რასაც ნათლად მოწმობს „გოეთეს ცხოვრების რომანი“, ერთ-ერთი საუკეთესო ბიოგრაფიული ნაწარმოები ქართულ ლიტერატურაში.

ბიოგრაფიულ რომანზე მუშაობა საკმაოდ რთულ ამოცანებს აყენებს ყო-ველი შემოქმედის წინაშე. თვით კ. გამსახურდიას აზრით, ნაყოფიერი მწერ-ლისათვის ამგვარი ტიპის რომანის შექმნა გარკვეულ რესკანანაცაა დაკავშირე-ბული, რადგან ბიოგრაფიულ რომანში ავტორი გაცილებით უფრო ხელშეკრუ-

ლია. ვერც ისტორიული რომანის წერასას“¹... ამასთან „ქნელია, ფრიად ძნელია მწერლისათვის უცხო ქვეყნის, უცხო კულტურის და უცხო ენის წიაღიდან შემოქმედებითი ანდაზის გადმოტანა და რომანის პერსონაჟის ამტყვევება“. ² აღნიშნული სპეციფიკური თავისებურებანი მართლაც გარკვეულ სიძნელეებს ქმნიან, რომელთა დაძლევა ყოველ ავტორს როდი ძალუძს, ეს მხოლოდ მაღალი რანგის შემოქმედთა, კ. გამსახურდიან ტოლფასი მასშტაბისა და პოტენციის მქონე მწერალთა ხვედრია.

დიდი ოსტატობითა და ემოციური სისავსით აცოცხლებს მწერალი გერმანული პოეტის ცხოვრების ცალკეულ მომენტზე! მის ეპოქას, ასე მდიდარს დიდი პოლიტიკური და სოციალური კატაკლიზმებით. ოს შესახებაც არ უნდა პოეტიზირებდეს გამსახურდია, იქნება ეს ყომა ვოლფგანგის პირველი შთაბეჭდილებანი. თუ ჭარბადი პოეტის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები, იგი მუდამ კდილობს ყოველი ფაქტი კონკრეტულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან კავშირში განიხილოს.

კ. გამსახურდია თანდათანობით ასხამს ხორცს თავს ჩანაფიქრს. იგი ოსტატურად ძერწავს გენიალური პოეტისა და ადამიანის პორტრეტს. გოეთე ქართულ მწერლის რომანში წარმოდგება ნაწილობრივ გაიდეალბულ პიროვნებად. საუკეთესო ადამიანურ თვისებათა მატარებელ დიდ ჰუმანიტად და თავისი დროის, თავისი ხალხის ღვიძლ შეილად. რომლისთვისაც უცხო არაა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დამახასიათებელი მიწიერი თვისებანი. ფ. ენგელსას სიტყვებით რომ ვთქვათ. გოეთე აქ „...то колоссально велик, то мелок, то это невокорный, насмешливый, и резирающий наш теннис, то осторожный, всем довольный, узкий филлистер“³.

გერმანული თემის სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე კ. გამსახურდიას რიც პოეტურ ნიმუშებში. რომლებიც ათიან წლებშია შექმნილი.

მართხელა პოეტის აზროვნებაში სამშობლოზე ფიქრით აღძრული სულიერი პერიპეტეიების, მისი სევდის, ხან კი მოჭარბებული გრძობიერების რომანტიკული ანარეკლია კ. გამსახურდიას მიერ გერმანიაში შექმნილი ლექსები „De Profundis“ (1914), „ნოემბრის ქარი“ (1918 წ.) „ფერადი, ფერადა“ (1918 წ.), „ბეჰელა უნტერ დენ ლინდენზე“ (1918 წ.).

ახალგაზრდა ხელოვანის ბობოქარი სული, მისი ორიგინალური მხატვრული აზროვნება ჩანს ციკლიში „XX საუკუნე“, რომლის პირველი ლექსი გრაფ ფერდინანდ ცეპელინს ეძღვნება — ადამიანს, რომელმაც ვიკანტური დირიჯაბლები აუშვა ცაში.

ბერლინს — ევროპის ამ უმნიშვნელოვანესი სამრეწველო და პოლიტიკური ცენტრის — პირქუშ სილიადზე, მის კონტრასტებზე წერს კ. გამსახურდია ერთ-ერთ ლექსში თავისი მეორე ციკლისა „დიდი ქალაქი“. პოეტი მოაქადობულივით აკვირდება უზარმაზარ ქალაქს, ყურს უდგებს მის მაჯისცემას. იგი მოხიბლულია ქალაქის უშრეტი ენერჯით, გამუღმებული „ქშენით, ზანზარით, თქარათქურით, რბენით, განგაშით, მისი მახვილი თვალი ყველაფერს წვდება — დიდი ქალაქის გარყვნილებასა და ბედის მორჩილთა უსასოოდ დახ-

1 კ. გამსახურდია. გოეტის ცხოვრების რომანი. ტფ., 1934. გვ. 357.

2 იქვე. გვ. 26.

3 К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, из-е второе, М., 1955, гв. 233.

რის ქედებს. ფერგამკრთალ მუშათა ლანდებს ქარხნებთან, კრიტიკოს დავით ყოფშიძის თქმით. „მხოლოდ ევროპის ისეთ ცენტრში უნდა ეცხოვრა ქართველ მგოსანს, როგორც ბეჭონია. რომ ევროპის ახალი პოეზიის საყვარელ საგანს შეხებოდა მისი კალამი და ასე ძლიერად განეცადა მისი საშინელი მშვენიერება“.

გერმანულ თემას გამსახურდიამ თავის აღრიცხულ ნოველებშიც შეახსნა ხორცი.

არისტოკრატიული ესთეტიზმისა და ხელოვნების უიდეობის აპოლოგეტად გვევლინება ჭერ კიდევ ბურჟუაზიულ-დეკადენტურ შეხედულებათა ტყვეობაში მყოფი მწერალი 1916 წელს შექმნილ „პორცელანში“.

მისტიკით, წმინდა ხელოვნების იდეალებითა და არისტოკრატიული ესთეტიზმით იკვებება ბარონ როსტრუპის ოჯახი. ქალბატონ როსტრუპს. ბარონესა ფონ შტაინს, სიმაგს ბანალური რეალიზმი, რომელიც ანჩობს ხელოვნებას. ამ ქალმა, რომელიც მოზღვავებული ფანტაზიის სიკარბით იტანჯებოდა მუდამ, სრულიად ახალი სამყარო აღმოაჩინა თავისი მეუღლის მიკროსკოპში, ნახა „ნამდვილი სინამდვილე, სულ სხვა ფერადი, სულ სხვა ხაზბოსმა. ვიდრე ის სინამდვილე, რომელსაც ჩვენ შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ“ და მან დაიწყო ირაციონალის ფერების შეხამება. ექსპრესიონისტებთანააგან დამოუკიდებლად, მიკროსკოპის წყალობით მიაგნო ბარონესა ფონ შტაინმა ირაციონალ ექსპრესიონიზმს, შეძლო ჩაწვდომოდა სამყაროს იდუმალებას.

„პორცელანის“ მთელი შინაარსი იმაზე მიუთითებს, რომ კ. გამსახურდიამ ძირითად ყურადღებას ინდივიდუალისტ მეოცნებეთა სამყაროს უთმობს. და არა გერმანულ გარემოს, ცოლ-ქმარ როსტრუპების სახეთა ეროვნული ნიშნების ჩვენებას, თუმც ნოველაში მაინც გარკვეული ადგილი ეთმობა მიუხეხენის არისტოკრატიის ცხოვრებას. ტრადიციული გერმანული ბარონის ოჯახური წრის აღწერასაც.

მეორე გერმანულ ქალაქში, ბერლინში იშლება ნოველა „კლარას“ (1919 წ.) მოქმედება. აქ, ისევე როგორც წინა ნოველაში, ავტორი „Ich Erzählung“-ის ხერხს მიმართავს. მისთვის ჩვეული მწერლური ტემპერამენტით გადმოგვცემს ოგი ერთ-ერთ ეპიზოდს თავისი გმირის ცხოვრებიდან, უცნაურ თავგადასავალს, რომელიც ამ უკანასკნელს მეტროს ვაგონში გადახდა.

მეტროს მრავალრიცხოვან მგზავრთა შორის ნოველის გმირის ყურადღება ერთმა მშვენიერმა უცნობმა გოგონამ მიიპყრო, მიიზღა და უჩვეულოდ ააფორაქა მისი სული. ვაჟი ვერ ბედავს ქალიშვილთან მისვლას, მასთან გამოსაუბრებას, საზოგადოებრივი ნორმები და პირობითობანი აიძულებენ მას მხოლოდ პასიური მკერეტელის როლით დაკმაყოფილდეს. იგი გოგონას სამგზავრო ჩანთაზე ამოჭრილ მონოგრამაში მის სახელს ამოიკითხავს და ერთ-ერთ გაჩერებაზე კლარა გადის ვაგონიდან ისე, რომ ახალგაზრდები ერთი სიტყვითაც ვერ გაეხმიანებიან ურთიერთს. მხოლოდ წუთიერად გაიღევა ვაჟის თვალწინ მშვენიერმა მოლანდებამ, ჭაბუკურმა იდეალმა ქალისა და გაქრა უმაღლ, თვალს მიეფარა. მშვენიერება, ავტორის აზრით, შორეულია და მიუწვდომელი.

„კლარაში“ გამოყენებული ზერხი საკუთარ განცდათა სამყაროში ჩაფლული გმირის სულიერი მდგომარეობის გადმოცემისა, ნოველის მთელი რიგი პასაჟების ემოციური შეფერილობა და ცალკეულ ფრაზათა პოეტური რიტმი, მა-

თი მუსიკალობა, ისევე როგორც თვით ავტორის გულმოდგინე დაკვირვებათა შედეგად მიღებული ცოცხალი შთაბეჭდილებების მხატვრული ინტერპრეტაცია, აშკარად მიგვანიშნებენ, რომ კ. გამსახურდია თავის ამ ნაწარმოებში გარკვეულ ხარკს უზღავს ექსპრესიონისტულ მიმართულებას.

ნოველისათვის ნიშანდობლივ სხვა მხატვრულ თავისებურებათა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ აგრეთვე კ. გამსახურდიასეული ხედვა სამყაროსი. სულ რამდენიმე შტრიხით, მაგრამ რაოდენ შთამბეჭდავად ხატავს იგი ომისშემდგომ ბერლინს, სპეკულანტებით, ემიგრანტებითა და ომის ინვალიდებით საესეს, მისი სოციალური კონტრასტებით, დიდებული ნაგებობებითა და უანამედროვე ქალაქისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

რთული ისტორიული ქარტეხილებით აღსავსე ეპოქის მაჯისცემა იგრძნობა კ. გამსახურდიას იმ მხატვრულ ტილოებში, რომლებიც ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართული ინტელიგენციის ცხოვრებასა და მძიმე ხვედრზე მოგვიტახტობენ.

მწერლის არაერთ ნოველასა და რომანში გვხვდება ერთი, მაგრამ მრავალახიერა, თითქოს ავტობიოგრაფიული იერის მქონე მთავარი გმირი — ევროპაში, უცხოური კულტურის ბნელ ლაბირინთებში მოხეტიალე ქართველი ინტელიგენტი, რომელიც უფრო ხშირად გერმანულ გარემოში მოქმედებს.

ერთსა და იმავე სახის სხვადასხვა ვარიანტი, ერთისა და იმავე მოდელის ბიოგრაფიის სხვადასხვა ეტაპია ნოველების „პორტულანისა“ და „კლარას“, რომანების „დიონისოს ღიმილის“, „ევროპა გალიაში“ და „მთვარის მოტაცებას“ მთავარი პერსონაჟები.

კ. გამსახურდია თავის გმირებს ჩვეულებრივ მძიმე პრობლემათა წინაშე აყენებს, რათა მათი დაძლევის ფონზე გვიჩვენოს ადამიანურ ხასიათთა ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი.

მეოცე საუკუნის ათიანი წლების ევროპის დაძაბულ ატმოსფეროში მოხვედრილი ქართული ემიგრაციის ტრაგედიასზე მოგვიტახტობს რომანი „დიონისოს ღიმილი“ (1925 წ.), რომელშიც მწერალმა „პირველად დასვა კატეგორიული ტონით უნიადგო გზის მაძიებელი ადამიანის, უფრო სწორად მომავალი სოციალური წრის ზედმეტი ადამიანის პრობლემა“⁵.

„ზედმეტი ადამიანია“ ნოსტალგიით შეპყრობილი, მოხეტიალე ქართველი პოეტი, ან, როგორც თვით კონსტანტინე სავარსამიძე უწოდებს თავის თავს, „ეროსისა და დიონისოს მაჩანჩალა ქართველი გულამშვიერი აზნაური“. ერთ-ერთი გერმანული გაზეთის პარიზელი კორესპონდენტი. კონსტანტინე სავარსამიძეს არაერთი წელი გაუტარებია გერმანიაში, ხან რკინიგზის ლიანდაგს აშენებდა, ხან ესენის ლითონსადნობ ქარხანაში მუშაობდა, შემდეგ ერთხანს სხვადასხვა გერმანული გაზეთის ექსპედიტორი, რეპორტიორი, კორექტორი და გამომშვებიც იყო, მაგრამ ამ უსამშობლოო კაცს მაინც ვერ უპოვნია თავისი ადგილი ცხოვრებაში, მისი პიროვნება გაორებულია, ჩრდილოეთის ნისლით გათოშვილა მისი სული. იგი მოუღლია სხვის ქვეყანაში ყოილს, სხვისი ნამოქმედარით აღტაცებას.

მიუხედავად იმისა, რომ რომანის მოქმედება გერმანული სინამდვილის ფართო ფონზე იშლება, მასში მაინც ყრუდ გაისმის ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულებში გერმანიაში მიმდინარე მძაფრი კლასობრივი და სოციალური

ბრძოლების ექო. მართალია კონსტანტინე სავარსამიძე ერთხელ შემთხვევით მონაწილეობასაც კი მიიღებს სპარტაკელთა და მთავრობის ჯარის სისხლის-მღერელ შეტაკებში, მაგრამ ძირითადად იგი რევოლუციური ბრძოლის უტყვი მოწმეა მხოლოდ. მას არაფერი აინტერესებს. იგი ბერლინის არისტოკრატიული ბოჰემის წიაღში, ქალბატონ ჰარდენბეის სალონში ეძებს სიმშვიდესა და თავდავიწყებას, იქ, სადაც თავი მოუყრიათ სასიკვდილო აგონიით შეპყრობილი საზოგადოების ტიპურ წარმომადგენლებს, შპენგლერის „ევროპული მწუხრით“ დადასტურებულ პოეტებსა და მხატვრებს, მწერლებსა და მეცნიერებს — დოქტორ შტრეზემანს, მაიორ ჰენრიხს, დირექტორ კლინმიხელის მეუღლეს, ანრიეტე ფონ შაისა და სხვებს.

პირველი მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი პერიოდის ევროპული ცხოვრების მხატვრულ პანორამად ჰქონდა ჩაფიქრებული კ. გამსახურდიას რომანი „ევროპა ვალიაში“ (1937 წ.), მაგრამ მან მხოლოდ ნაწილობრივ შეასახა ხორცი თავდაპირველ გეგმას. შექმნა ფრაგმენტი ვრცელი ეპოპეისა, რომელსაც 1914 წელს მიუხედავად დაწყებული 1937 წელს მადრიდში უნდა დასრულებულიყო.

მიუხედავად სამხატვრო აკადემიის კურსანტ ვახტანგ ურდოელს. ნიკიერ ახალგაზრდას. რომლის თავდადასაველსაც აღწერს კ. გამსახურდია თავის ფრაგმენტში, თითქოს მიუხედავად ადგილი მზის ქვეშ. მას გარკვეული წარმატებისათვის მიუღწევია: იგი ცნეს როგორც ხელოვანი. მას კეთილი მეგობრები და ნაცნობებიც ჰყავს მიუხედავად ბოჰემის წარმომადგენელთა და ემიგრანტებს შორის, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად იგი მაინც მარტო. უცხო გრძნობს თავს უცხო ქალაქში.

რომანის ფრაგმენტში კავიტალისტური სამყაროს კონტრასტებს ენაცვლება იმ მიმღე სულიერი კრიზისის ჩვენება, რომელიც პირველი მსოფლიო ომამდელი გერმანული ინტელიგენციისათვის იყო დამახასიათებელი.

ავტორისეული ჩანაფიქრის მიხედვით რომანის შემდგომ თავებში აღწერილი უნდა ყოფილიყო მსოფლიო ომის ბარბაროსული ვახანალია, აგრეთვე ესპანეთში წარმოებულ ბრძოლა ფაშისმის წინააღმდეგ.

ფაშისმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის თემას კ. გამსახურდია მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ ნაწარმოებებში „ვაზის ყვავილობასა“ და „ვერცხლის ბეჭედში“ შეეხო და უშუალოდ დაუკავშირა იგი გერმანულ თემას. დიდმა საყვარულმა და სიძველემ გერმანული ხალხისა და მისი კულტურისადმი ხელი როდი შეუშალა მწერალს სწორი იდეური და მოქალაქეობრივი პოზიციებიდან შეეფასებინა ფაშისტურა კულტურისა და იდეოლოგიის ანტიჰუმანური არსი. პირიქით. სწორედ ამ კეთილგანწყობამ შეაძლებინა მას ზუსტად ამოეცნო საშინელ დანაშაულებათა ქეშმარატი ორგანიზატორები და უშუალოდ მათ წინააღმდეგ მიემართა თავისი მახვილი.

დაუნდობელი სიმართლით ამხელს კ. გამსახურდია ფაშისტთა მიერ გაჩაღებული ომის საშინელებებს „ვაზის ყვავილობაში“ (1955 წ.) — რომანში, რომელშიც ორიგინალურადაა რეალიზებული ფაშისტურ პარადიგმათა ერთერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი — „თავდაპირველად იყო საქმე“.

რომანის ცალკეულ ნოველისებურ თავებში, რომელიც შინაგანი მთლიანობით გამოირჩევიან, მწერალი ღიდი მხატვრული ოსტატობით გვიჩვენებს გარდატეხის იმ რთულ პროცესს, რომელიც გერმანიის ინტელიგენციისა და

სამხედრო მოსამსახურეთა ერთი ნაწილის შეგნებაში ხდება ომის დროს. ნაწარმოებში ფაშისტური გერმანიის დაღუპვის ფატალური საფრთხის წინათ-გრძნობით შეპყრობილ ადამიანებს განსახიერებს კონტრდაზვერვის პოლკოვნიკი, ფილოსოფიის დოქტორი რუდოლფ შტამლერი, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა საბჭოთა მეომრებს.

ქ. გამსახურდია კონტრასტულად უპირისპირებს ურთიერთს საბჭოთა ხალხის ჰუმანურობასა და ფაშისტთა სიძველეს, გვიჩვენებს ჩვენს ჯარისკაცთა ადამიანურ დამოკიდებულებას გერმანელი ტყვეებისადმი, ხოლო მეორე მხრივ აღწერს ერთ-ერთი პოლონური ქალაქის მახლობლად მდებარე ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის მესვეურთა დანაშაულებრივ საქმიანობას.

მწერალი ქმნის რუდოლფ შტამლერის მამის, მედიცინის დოქტორ ფელიქს შტამლერისა და ამ უკანასკნელის გერის, მისი ასისტენტის ფრიდა ფონ მანტოიფელ-შტამლერის დასამახსოვრებელ სახეებს. ჯოჯოხეთს ადარებს

ქ. გამსახურდია ფელიქს შტამლერის კლინიკას, სადაც ტყვევებზე საშინელ ექსპერიმენტებს ატარებენ. პირქვეში პროფესორი, რომლის სიწლისზე მრავალი ასეული ადამიანის ცოდვია, თავისი ოჯახისთვისაც საძულველ პიროვნებად ქცეულა: მას საყვარლად გაუხვდია გერი ფრიდა, რომელიც თავის მხრივ ტყვე გოდერძი ელანიძეს გამიჯნურებია.

პროფესორის დანაშაულებრივი საქმიანობის, ფრიდას ამორალობისა და რუდოლფის განწირულების ჩვენებით ქ. გამსახურდია ცდილობს აგრძნობინოს მკითხველს გერმანულ სამხედრო მოხელეთა კაცთმოძულეობა. მათი სრული მორალური გაპარტახება.

დოქტორ ფელიქს შტამლერის ტყუპისცალია სამხედრო დამნაშავე, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი, ექიმი ბოკმაიერი, ერთ-ერთი პერსონაჟი ნოველისა „ვერცხლის ბეჭედი“.

დაუნდობელი სიმართლით, თითქმის ნატურალისტური სიზუსტით აღადგენს ქ. გამსახურდია მკითხველის მეხსიერებაში ომის ცალკეულ ეპიზოდებს. მის საშინელებებს და ეს ყოველივე გარდასულ დღეთა მოგონება როდია მხოლოდ. არამედ გაფრთხილებაც, მომავალ თაობათადმი მიმართული.

ნაციისტთა დანაშაულებებმა ვერ ჩაჰკლეს მწერალში განსაკუთრებული სიმპათია გერმანელი ხალხისა და მისი კულტურისადმი. ეს აშკარად იგრძნობა მის ბოლოდროინდელ ნაწერებში — ავტობიოგრაფიულ თხზულებებში „ლანდებთან ლაციი“⁶, რომელშიც კონიგსბერგში, ლაპციგსა და მიუნხენში გატარებული წლებია აღწერილი, აგრეთვე 1967 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა დღიურში „კვლავ გერმანიაში“⁷.

ქ. გამსახურდიას მხატვრულ შენობებში გერმანული თემატიკის ადგილისა და მნიშვნელობის საკითხის განხილვისას არ შეიძლება ვვიკრივოთ გერმანულ იმპლუსთა მაღალმხატვრული, ორიგინალური ინტერპრეტაციის რიგ მაგალითებსაც, რომლებიც უშუალოდ როდი იჩენენ თავს. მხოლოდ გულმოდგინე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად შეიძლება ამოცნობა ისეთი პარალელებისა, როგორიცაა: ნოველა „ხოგაის მინდია“ — ქართული ვარიან-

6 ქ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1967.

7 „დროშა“, 1968, № 6—11; 1969, № 1.

ტი ფაუსტური ძიებებისა; „დიონისოს ღიმილის“ მთავარი გმირის თარაშ ემხვარის სახე, რომელიც ასე გვაგონებს გოეთეს ვერთერს; ექსპრესიონიზმის კანონებს გათვალისწინებით დაწერილი ღრამა „გარსი მარადი“ — ორიგინალური გააზრება ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიისა, მისი „მარადეული სულისა“.

თავისი შემოქმედებითი საქმიანობის ყოველ ეტაპზე ამუშავებდა კ. გამსახურდიას გერმანულ თემას, დიდი სიბოთით, მისთვის ჩვეული მწერალური ტემპერამენტით აცოცხლებდა გერმანულ სინამდვილეს, გერმანიის ისტორიას ცალკეულ პერიოდებს.

გერმანული თემის კ. გამსახურდიასეული ინტეპრეტაცია მრავალი თვალსაზრისითაა საყურადღებო, სხვადასხვა ასპექტში შეიძლება ლაპარაკი მის მნიშვნელობაზე. მაგრამ მთავარი, უპირველესი ღირსება მისი ისაა, რომ იგი გარკვეულად ჰქენს შუქს თვით მწერლის შემოქმედებითი განვითარების წინააღმდეგობრივ პროცესს, გვიჩვენებს მის მიერ ფორმისა და გამოსახვის საშუალებათა დაძაბულ ძიებას, სწრაფვას ცხოვრებისა და ადამიანურ ხასიათთა უკეთ შეცნობისაკენ, რეალისტური მეთოდის დაუფლებისაკენ.

კ. გამსახურდიას მდიდარ შემოქმედებითს მეგვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლიტერატურულ-კრიტიკულ ნააზრევს. დიდი ერუდიციისა და დახვეწილი გემოვნების მქონე პიროვნებას ავლენენ ქართული სიტყუების ამ დიდოსტატის მრავალრიცხოვანი ესეები და ეტიუდები, ნარკვევები და წერილები კულტურის აქტუალურ პრობლემათა შესახებ.

არაერთი საყურადღებო გამოკვლევა მიუძღვნა კ. გამსახურდიამ ძველი და ახალი დროის გერმანულენოვანი ლიტერატურის ცალკეულ საკითხებს, მის რიგ წარმომადგენლებს.

მწერალი თავის ყოველ გამოკვლევაში ესწრაფვის იმას, რომ წარმოსახოს ფსიქოლოგიური ნიშნებით აღბეჭდილი, შეძლებისდაგვარად ზუსტი პორტრეტები გამოჩენილი ადამიანებისა, ხორცი შეასხას ამა თუ იმ კონკრეტული ეპოქის კოლორიტს, მის სულისკვეთებას, გააშუქოს ყოველი განსახილველი ავტორის შემოქმედება საზოგადოებრივ გარემოსთან მჭიდრო კავშირში და ყოველივე ამით მეტი დამაჯერებლობა მიანიჭოს თავის თხრობას.

თავისი შემოქმედების ჭერ კიდევ ადრეულ პერიოდში, 1928 წელს გამოაქვეყნა კ. გამსახურდიამ გამოკვლევათა სერია „ახალი ევროპა“, რომელშიც ძველი და ახალი დროის დასავლური და რუსული ლიტერატურის, ხელოვნების საკითხებთან ერთად გარკვეული ადგილი დაუთმო გერმანულენოვან მწერლობასაც.

ავტორმა წინასიტყვაობაშივე განმარტა წიგნის სათაური და ხაზი გაუსვა იმას, რომ ცნება „ახალი“ თანადროულს როდი ნიშნავდა მხოლოდ, ვინაიდან მისი თქმით „ახალსა და თანადროულზე ზეგავლენას ხშირად ძველი დროის ცალკეული ლიტერატურული ფაქტორებიც ახლენენ ხოლმე“.

მიუხედავად იმისა, რომ „ახალმა ევროპამ“ იმდროინდელი ქართული კრიტიკის უარყოფითი შეფასება დაიმსახურა, იგი მაინც საყურადღებო ეტაპად უნდა მივიჩნიოთ კ. გამსახურდიას შემოქმედებითს საქმიანობაში, ვინაი-

დან წიგნში უკვე განისაზღვრა მისი კვლევითი ინტერესების ძირითადი მიმართულებანი. თავისი ნაქოვანებებითა და ღირსებებით „ახალი ევროპა“ იმ რთული, წინააღმდეგობრივი გზისა და ევოლუციის აუცილებელ ეტაპად იქცა, რომელმაც შეაძლებინა ავტორს ლიტერატურულ, ფილოსოფიურ, სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემათა ღრმა ცოდნა მაღალესთეტიკურ კრიტერიუმებთან შეეხამებინა, ამაღლებულიყო ლიტერატურისა და სინამდვილის რთული დიალექტიკური ერთიანობის გაგებამდე.

კ. გამსახურდიას ესთეტიკური აზროვნების ახალ, თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურს მოაწაფებს მისი კიდევ ერთი კრებული დიდი შემოქმედებითი ტემპერამენტით აღსავსე ესეებისა.

მეტად ფართოა კ. გამსახურდიას ესეთა დიაპაზონი. იგი მოიცავს როგორც ესთეტიკურ პრობლემათა მთელ სპექტრს, ასევე კულტურის ცალკეულ თვალსაჩინო წარმომადგენელთა ორიგინალურ პორტრეტებს.

ესეების კრებულში, რომელშიც გაშუქებული და განზოგადებულია ფილოსოფიური, საზოგადოებრივი და ესთეტიკური პრობლემები, განხილულია ქართული, რუსული და უცხოური ლიტერატურის საკითხები, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გერმანულენოვან მწერლობასაც, კერძოდ გოეთესა და თ. მანს, ს. გეორგესა და რ. მ. რილეს. ქართული კულტურის უანგარო მეგობარს ა. ლაისტს.

მეტად დიდი, განსაკუთრებულია ის წვლილი, რომელიც კ. გამსახურდიას მიუძღვის ქართულ გოეთეანაში. მრავალი ათეული წლის მანძილზე იკვლევდა იგი გერმანელი პოეტის შემოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ნაყოფიერად აგრძელებდა ადრეული ახალგაზრდობისა და გერმანიაში სწავლის წლებში წარმოებულ მუშაობას. როგორც თვით მწერალი აღნიშნავდა შემდგომ, მან ჭერაც ჭაბუკმა შეიგნო, რომ „გოეტე იყო სწორედ მიბაძვის ღირსი. იგი დიდი ხელოვანი იყო არა მარტო მწერლობაში, თვით ცხოვრებაშიც“. სწორედ ამიტომ ეწაფებოდა იგი ბეჭითად დიდი პოეტის ნააზრევს, სწავლობდა მის არქივს, აქტიურად მონაწილეობდა გოეთეს სემინარებში.

გერმანელი პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლის მიზნით კ. გამსახურდიას მიერ გაწეული ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობის ლოგიკური შედეგია ესეების კრებულში შესული ორი გამოკვლევა „გოეტე“ და „იოჰან ვოლფგანგ გოეტე (დაბადებიდან 200 წლისთავის გამო)“.

„გოეტე“ ნატიფი გემოვნებით შესრულებული ორიგინალური მონოგრაფია, რომელშიც ბედნიერად ერწყმის ურთიერთს მისი ავტორის ფართო განსწავლულობა ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებში. აგრეთვე გოეთეს შესახებ არსებული ვრცელი კრიტიკული ლიტერატურის ღრმა ცოდნა. სწორედ ყველა ამ კომპონენტის ერთობლიობამ შეაძლებინა კ. გამსახურდიას მაღალი შემეცნებითი ღირებულების მქონე ისტორიულ-ბიოგრაფიული გამოკვლევის შექმნა დიდა ადამიანის, შემოქმედისა და მოაზროვნის შესახებ.

არცთუ ისე დიდი მოცულობის მიუხედავად, კ. გამსახურდიას მონოგრაფია საკმაო სისრულით, საინტერესოდ აშუქებს გოეთეს ხანგრძლივ ცხოვრებისეულ გზას, აგრეთვე მისი შემოქმედების ძირითად იდეურ-მხატვრულ იმპულსებს. გამოკვლევის ყოველი სტრიქონი ახალ შტრიხს, მეტ სისასეს მა-

ტებს გოეთეს სახეს და ამავე დროს ააშკარავენს თვით ავტორის დამოკიდებულებას მსოფლიო ლიტერატურის ამ ბუმბერაზისადმი.

ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ჰუმანისტად გვევლინება გოეთე ესეების კრებულში შესულ კიდევ ერთ გამოკვლევაში „იოჰან ვოლფგანგ გოეთე“, რომელიც კ. გამსახურდიამ დიდი პოეტის დაბადების 200 წლისთავს მიუძღვნა. აღსანიშნავია, რომ არც ამ ესეის აქვს გოეთეს ხანგრძლივი ცხოვრებისა და ვრცელი შემოქმედების დაწვრილებითი მიმოხილვის პრეტენზია, ავტორი აქ პოეტის საქმიანობის მხოლოდ რამდენიმე ეტაპს აშუქებს, უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ეს ისევე ფიქრებია გოეთეზე, მაგრამ სრულიად ახალი კუთხით, ოღნავ პუბლიცისტური შეფერილობით.

ყველა პატიოსან ადამიანთან ერთად კ. გამსახურდიაც ღრმად შეაძრწუნა გერმანელთა მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილმა დანაშაულებებმა. მძიმედ განიცადა მან აგრეთვე ის ტრაგედია, რომელიც ფაშისტებმა დაატეხეს თავს თავიანთ სამშობლოს — გერმანიას. სწორედ ამ განწყობილებას ასახავენ ესეის პირველივე სტრიქონები: „როგორ ეტკინებოდა გული ვაიმარელ ბრძენს, ერთ წუთს მაინც რომ შესძლებოდა თვალი შეეგვლო თავის სამშობლოსათვის, შეძრწუნდებოდა უთუოდ და დასწყევლიდა მათ, ვინც ავრე შეარცხვინა მთელი კულტურული კაცობრიობის თვალში გერმანიის შესანიშნავი ხალხის პრესტიჟი“¹⁰.

გერმანელთა ეროვნული კატასტროფის მიზეზებს კ. გამსახურდია წარსულში ეძებს. იგი იხსენებს არაერთ მაგალითს იმისას, თუ რა დიდი ზიანი მოუტანეს გერმანელ ერს ექსპანსიონისტურმა მისწრაფებებმა.

გერმანული მილიტარიზმისადმი გოეთეს მამართების პრობლემის გაშუქებასთან ერთად ესეის ავტორი ცდილობს კრიტიკულ პრიზმაში გაატაროს პოეტის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, ურთიერთისაგან განაჯალკევოს მასში განსხვავებული ღირებულების, აგრეთვე ლოკალური, გერმანული და მსოფლიო მასშტაბის მქონე ნაწარმოებნი.

ზედროულად, მუდამ აქტუალურად ესახება ქართველ მწერალს გოეთეს მთელი შემოქმედება, პოეტისა, რომელსაც განსაკუთრებული, უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს კ. გამსახურდიას კრიტიკულ ნააზრევში. ამას ნათლად მოწმობს გოეთესადმი უშუალოდ მიძღვნილ ნაწერებთან ერთად ქართველი მწერლის შემოქმედებაში უხვად მიმოხეული მრავალრიცხოვანი გამოანათქვამებიც დიდი გერმანელის შესახებ.

იმის მიუხედავად, რომ თავის წერილებსა და ესეებში კ. გამსახურდიას არა აქვს გამოკვეთილად ჩამოყალიბებული, მთლიანი კონცეფცია გოეთეს შესახებ, მისი ნაწერები მაინც უღარესად დიდი შემეცნებათი ღირებულებიანი არიან; მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გერმანელი პოეტის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი ჩვენი თანამემამულეების ინტერესის შემდგომი გაღვივების საქმეში.

როგორც აღინიშნა. გერმანულენოვანი ლიტერატურა კ. გამსახურდიას კრებულში მხოლოდ გოეთეს სახით როდია წარმოდგენილი. აქ ცალკე გამოკვლევები ეძღვნება აგრეთვე პოეტის შემდგომდროინდელ რიგ ავტორებსაც, რომელთა შორის უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ ესეი XX საუკუნის გერ-

მანული რეალისტური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლის თომას მანის შესახებ.

კ. გამსახურდიასათვის თ. მანი ერთსა და იმავე დროს გერმანული პროზის ბრწყინვალე წარმომადგენელია და დიდი ტრიბუნი, პოლიტიკის კაციც, ახალი ტიპის მწერალი, რომელიც არსებითად განსხვავდება ძველი დროის ლიტერატორთაგან.

თ. მანის პიროვნების ესოდენ მაღალი კვალიფიკაცია როდი უშლის ხელს კ. გამსახურდიას საღად შეაფასოს გერმანული მწერლის მიერ არჩეული მცდარი გზა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა — მისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ილუზიების ლოგიკური შედეგი.

გერმანული მწერლის შემოქმედება ესეის ავტორის ყურადღებას უპირატესად თეორიული თვალსაზრისით იპყრობს, რადგან „თომას მანი იმ ხელოვანთაგანია, რომელნიც დიდსა და ნაყოფიერ შემოქმედებასთან ერთად თვითდაკვირვებას აწარმოებენ, როგორც საკუთარი ლაბორატორიიდან, ისე სხვათა პრაქტიკის შესწავლის შედეგად გვიზიარებენ და გვაწვდიან ახალსა და ახალ იდეებს მომავალ თაობათა საგულისხმოდ“¹¹.

კ. გამსახურდია მხოლოდ ზოგადად ეხება თ. მანის ადრეულ ნოველებსა და რომანს „ბუდენბროკები“. ხოლო განსაკუთრებით ვრცლად მიმოიხილავს მის პუბლიცისტურ და ისტორიულ თხზულებებს — „ომისდროინდელი ფიქრები“, „ფრიდრიხი და დიდი კოალიცია“, „აპოლიტიკოსის შენიშვნები“, ო. ჟინორიას აზრით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს „კონსტანტინე გამსახურდიას ან თომას მანის რეაქციონერად დასახვა განუზრახავს, ანდა თომას მანის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ნეგატიური, რეაქციული მხარე აინტერესებს უპირატესად (მიუხედავად იმისა, რომ ცხადია მას აკრიტიკებს)“¹².

უნდა ითქვას, რომ კ. გამსახურდიას ესეი ბოლომდე მაინც არ იძლევა ამგვარი დასკვნის გაკეთებულს საბაზს, რადგან თუ აქ თ. მანის ნააზრევს ერთგვარი ნეგატიური შეფერილობა აქვს, ამის უპირველესი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ესეის ავტორის განხილვის ობიექტია მწერლის შემოქმედებას ადრეული პერიოდი. რომელზედაც მოდის მისი მსოფლმხედველობრივი შეცდომების დიდი წილი. ეს ის დროა, როდესაც თვით კ. გამსახურდიას თქმით „დემოკრატიულად მოაზროვნემ, თომას მანმა, წონასწორობა დაჰკარგა გერმანელი იმპერიალისტების პურას ღრიალთა გაბრუებულმა“¹³, თუმც ამის მიუხედავად ესეიში მანსაც პარადოქსადაა მიჩნეული მწერლის დამოკიდებულება პირველი მსოფლიო ომისადმი. მისი სიტყვები იმის შესახებ. რომ ომი „ეს იყო განწმენდა, შვება და უშველებელი იმედი“.

კ. გამსახურდიას მიაჩნია, რომ უსაფუძვლოა თ. მანის მიერ „აპოლიტიკოსის შენიშვნებში“ მოცემული ტენდენციური კონცეფციები არაგერმანელებს — ევროპის სხვა ხალხების მიერ შექმნილ კულტურულ ფასეულობათა მდარე ღირსებისა და გერმანელი ერის, მისი კულტურის აპოლიტიკურობის შესახებ. ეს ყბადაღებული აპოლიტიკურობის მითი ხომ საეცებით გააქარწყლეს მეორე მსოფლიო ომმა და თვით თ. მანის საკუთარი სამშობლოდან გაძევების სამარცხვინო ფაქტმა. ისტორიამ არ გაამართლა მწერლის თეორიები.

¹¹ კ. გამსახურდია, კრიტიკა, ტ. I, გვ. 232.

¹² „ცისკარი“, 1964, № 1, გვ. 125—126.

¹³ კ. გამსახურდია, კრიტიკა, ტ. 1, გვ. 240.

XX საუკუნის დასაწყისის გერმანული ლიტერატურის განვითარებას თავისებურებათა გააზრების კიდევ ერთ ნიმუშს წარმოადგენს კ. გამსახურდიას ესეი სტეფან გეორგეს შესახებ.

მიმოიხილავს რა პოეტის რთულ, წინააღმდეგობრივ შემოქმედებითს გზას, კ. გამსახურდია გულმოდგინედ ეძებს ს. გეორგეს ცხოვრებისაგან განდგომის მიზეზებს, ცდილობს გაამართლოს და ობიექტური გარემოებებით ახსნას მისი ეს ნაბიჯი კერძოდ კი იმით, რომ ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულებში განსაკუთრებით გაღრმავდა ჯერ კიდევ გოეთესშემდგომ ხანაში გაჩენილი ნაპრალი ეპოქასა და პოეტს შორის.

ესეის ავტორი აღიარებს, რომ ს. გეორგე ერთ-ერთი ყველაზე ძნელად საკითხავი პოეტია მისი ლექსისათვის დამახასიათებელ ისეთ სპეციფიკურ თავისებურებათა გამო, როგორცაა: აქცენტი რიტმიკასა და გრაფიკულ გამომსახველობაზე, უარის თქმა დიდ ასოებსა და პუნქტუატიკაზე. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად მას მოსწონს პოეტის ლექსი, რადგან მასში „გამოზომილია ყოველი დეტალი, ყოველი ხმოვანება, ყოველი ასო შეწყობილი, შეთანხმებულია, როგორც საუცხოო მოზაიკის ფერადი ქვები“¹⁴.

ს. გეორგეს შემოქმედების ანალიზისას კ. გამსახურდია იმასაც აღნიშნავს, რომ პოეტის ლექსი ზოგჯერ უტემპერამენტოა და ხალზე ფლემგატურია. იკუმკრთალ. სურნელბასმოკლებულ ხელოვნურ ყვავილს ჰგავს. ესეთს ავტორს განსაკუთრებით არ მოსწონს პოეტის უარყოფითი დამოკიდებულება ბუნებისადმი, აგრეთვე ის, რომ მის ნიმუშებში ვერ პოულობს გამომძიხვს კაპიტალიზმის მიერ დასახიჩრებულ უბრალო ადამიანთა ბედი.

კ. გამსახურდიას აზრით, ს. გეორგესებური პოეტი შეა კონფლიქტებითა და კრიზისით მოცულმა ეპოქამ როგორც მისანი და ნათელმხილველი. რომელიც გრძნობს, რომ ცხოვრება არ შეიძლება ძველ კალაპოტში დარჩეს და ამიტომ მოითხოვს კაცთა მოდგმის ისევ დაბრუნებას ღმერთთან, აკისრებს რა პოეტს ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მისიას ამ საქმეში.

დიდი კატაკლიზმებით აღსავსე იმპერიალიზმის ეპოქის საზოგადოებაში პოეტის ადგილისა და მნიშვნელობის საკითხებს უძღვნის კ. გამსახურდია თავის კიდევ ერთ ესეის „რაინერ მარია რილკე“. რომელშიც ამ ნაზი ლირიკოსის შემოქმედებითი გზის მოკლე მიმოხილვასთან ერთად გარკვეულია ჩვენი საუკუნის დასაწყისში საყოველთაო მასშტაბით მისი შედარებითი ნაკლებპოპულარობის მიზეზები.

ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად იმისა, რომ გერმანული დეკადანსის თვალსაჩინო წარმომადგენელმა რ. მ. რილკემ ვერ მოიპოვა ღირსეული პოპულარობა გერმანულენოვანი სამყაროს ფარგლებს გარეთ, კ. გამსახურდიას მიაჩნია მისი სავსებით განდგომა გარემომცველი საზოგადოებისაგან, მის მიერ თავისი დროის პრობლემათა სრული უგულვებელყოფა, უარას თქმა გარეგნულ ეფექტებსა და თეოთრეკლამაზე, ანუ ყოველივე ის, რითაც პოეტმა თავისი პროტესტი გამოხატა უადამიანო კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგ.

რილკეს ნაკლებპოპულარობის კიდევ ერთ მიზეზად ესეის ავტორი სამართლიანად თვლის იმას, რომ მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელია მისი ლექსის სხვა ენაზე თარგმნა, ისე ღრმადაა იგი შეპკრილი საკუთარი ენის ტერვში-

კ. გამსახურდია თემატურ მსგავსებას პოულობს რაკეტა და მეტერლინ-კის სტ. გეორგეს, ჰუგო ჰოფმანსტალის, რიჰარდ დემელის შემოქმედებაში. იგი აღნიშნავს აგრეთვე ამ ფემინისტური, ნაზი პოეტის მომეტებულ ნათესაობას პოლ ვერლენთან, მაგრამ არას ამბობს იმ გავლენაზე, რომელიც იქონიეს პოეტზე ჰაინემ და რომანტიკულმა პოეზიამ.

1922 წელს ქართველმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ჩვენი კულტურის დიდი მეგობრისა და მოამაგის არტურ ლაისტის იუბილე. იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის არაერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა გამოხატა თავისი მოკრძალება და პატივისცემა უცხო ეროვნების კაცისადმი, რომელმაც არა მხოლოდ დიდი ამაგი დასდო გერმანულთა შორის ჩვენი კულტურის პროპაგანდის საქმეს, არამედ აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობაც გააწვინა საქართველოში.

ლაისტისადმი მადლიერებას გრძნობთაა გამსკვალული კ. გამსახურდიას მცირე ზომის, თუმც კრონოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ესეი „ქარგი ევროპელი“, რომელიც ზემოაღნიშნულ საიუბილეო თარიღს ეძღვნება.

გოეთესაგან ნახესხებ ტერმინ „ქარგი ევროპელი“ კ. გამსახურდია გულისხმობს უანგარო პიროვნებას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ევროპელ კომიუნიკაციებთან და სპეკულანტებთან, კურიოზებსა და ეგზოტიკურობაზე მონადირე მეცნიერებთან, უსამშობლო პოეტებთან, რომელთაგან „ბევრს თვალის მოსპობა ქართველების რაინდულმა ენსტიკულაციამ, ქართველი ქალის სილამაზემ, ქართულმა ღვინომ და ლხინმა და ეს მეგობრობა ბევრისათვის საგზავრო შემუარებით გათავდა, სადაც ტყუილი და მართალი ერთი მეორეშია არეული“¹⁵.

კ. გამსახურდიას აზრით, ჩვენი ქვეყნის ურიცხვ მტერთან შედარებით არცთუ ისე მრავალრიცხოვან მეგობრებში, ისეთ ევროპელ ქართველოლოგებთან ერთად, როგორიც არიან: მ. ბროსე, ფ. ნ. ფინკი, პ. შუხარდტი, რ. შვეკლიანი, და-ძმა ო. და მ. უორდრობები და სხვანი, განსაკუთრებული დაფასების ღირსია ა. ლაისტიც, „რომელმაც არა ერთი ათეული წელი გაატარა ჩვენში და რომელიც ხარობდა ჩვენის სიხარულით და იტანჯებოდა ჩვენის სატანჯველით“¹⁶.

ერცლად და მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი გერმანულენოვანი მწერლობა კ. გამსახურდიას შემოქმედებითს მემკვიდრეობაში. ხელოვნებისა და სინამდვილის დიალექტიკური ერთიანობის, ლიტერატურული ფაქტების კონკრეტულ-ისტორიული ანალიზის პრინციპებზე დაფუძნებული წერალები და ესეები გერმანულენოვან მწერლობასა და მის ცალკეულ წარმომადგენლებზე ნათლად მოწმობენ კ. გამსახურდიას ლიტერატურულ ინტერესთა მასშტაბურობას, მიუთითებენ მის დახვეწილ გემოვნებასა და დიდ ანალიტიკურ ნიჭზე; დაბოლოს, რაც არანაკლებ საყურადღებოა, ისინი მნიშვნელოვნად გვთვალისწინებენ თვით მისსავე მსოფლმხედველობრივ მრწამსს, რამდენადაც ყოველი ავტორის მოსაზრებანი გვაცნობენ არა მხოლოდ იმას, ვის შესახებაც წერენ, არამედ აგრეთვე იმასაც, ვინც წერს.

15 იქვე, გვ. 177.

16 იქვე, გვ. 178.

А. И. ХОТИВАРИ

НЕМЕЦКАЯ ТЕМА И GERMANOЯЗЫЧНАЯ ЛИТЕРАТУРА В ХУДОЖЕСТВЕННОМ ТВОРЧЕСТВЕ И ТЕОРЕТИЧЕСКИХ ВОЗЗРЕНИЯХ К. ГАМСАХУРДИА

Резюме

Жизнь и творчество выдающегося грузинского писателя К. Гамсахурдиа — одна из наиболее ярких страниц в истории грузино-немецких литературных взаимосвязей, имеющих довольно глубокие корни.

К. Гамсахурдиа, в творчестве которого счастливо сочетается талант романиста, лирика, новеллиста, литературоведа и переводчика, внес большой вклад в дело популяризации многовековой духовной культуры немецкого народа в Грузии. В его художественном творчестве и литературно-критическом наследии значительное место уделено немецкой теме и германоязычной литературе.

В работе рассматриваются поэтические и прозаические произведения К. Гамсахурдиа, в которых воспроизведена немецкая действительность и созданы колоритные образы немцев; содержится анализ «Романа жизни Гете», являющегося плодом долгой и кропотливой работы, проделанной К. Гамсахурдиа для изучения творческого наследия великого немецкого поэта. В сборниках и многочисленных статьях К. Гамсахурдиа, разбросанных в разных периодических изданиях, широко освещены отдельные вопросы германоязычной литературы старого и нового времени, даны интересные рецепции творчества ряда ее представителей.

Определенное место в работе уделено и литературно-критическим работам К. Гамсахурдиа, его эссе, посвященным таким представителям германоязычной литературы, как Гёте, Т. Манн, С. Георге, Р. М. Рильке, А. Лейст.

Очерки К. Гамсахурдиа о германоязычной литературе еще раз указывают на масштабность его творческих устремлений, а также определенным образом проливают свет на его собственное мировоззрение, поскольку соображения каждого автора имеют обычно субъективный характер и дают представление не только о тех, о ком пишут, но и о самом авторе.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ივლითა ბაჩილილაძე

რომანტიზმის თეორიის ზოგიერთი საკითხი

1974 წლის 18 მარტს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მოეწყო საჯავშირო სამეცნიერო სესია, რომელიც მიძღვნილი იყო რომანტიზმის საკითხისადმი ამიერკავკასიის ქვეყნების (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი), ლიტერატურაში. სესია თავისთავად ძალზე საინტერესოდ წარმართა, მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა იქნა განხილული, მაგრამ ისიც აღინიშნა, რომ მკვლევრებს ძალზე ხელი შეუშალა მუშაობაში რომანტიზმის თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების არასაკმარისად გარკვეულობამ. აღინიშნა ისიც, რომ ამ მხრივ ლიტერატურულ კრიტიკაში რომანტიზმზე ჭერ კიდევ ცოტა რამ არის გაკეთებული.

ჩვენ წინამდებარე სტატიაში შეძლებისდაგვარად შევეცდებით განვაზოგადოთ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მიღწევები რომანტიზმის თეორიული კვლევის სფეროში.

ჩვენ ძირითადად შემდეგ საკითხებს განვიხილავთ: 1. შეიძლება თუ არა ერთი ნიშნით განესაზღვროთ რომანტიზმი, თუ მისი გარკვევისათვის ნიშანთა მთელი სისტემა საჭირო? 2. რა არის პროგრესული და კონსერვატიული რომანტიზმი და რომანტიზმის რამდენა მეთოდი არსებობს ორი თუ ერთი? 3. არსებობს თუ არა რომანტიზმი რომანტიკული მიმართულების გარეშე, როგორც კონკრეტულ-ისტორიული მოვლენა?

რომანტიზმის ფორმების ნაირგვარობის გამო მკვლევრებს გაუჭირდათ მისი განსაზღვრა და ზოგიერთი მათგანი რომანტიზმის გარკვევის შეუძლებლობაშიც კი დაარწმუნა. ჭერ კიდევ 30-იანი წლების შუა რიცხვებში რომანტიზმზე გამართულ დისკუსიაში გამოთქმული იყო აზრი, რომ არ არსებობს რომანტიზმი საერთოდ, არსებობენ მხოლოდ მისი გარკვეული ნაირსახეობანი. ასეთი მიდგომა გამოიწვია იმან, რომ კატეგორიულად და აბსოლუტურად იქნა ერთმანეთისაგან გამოყოფილი რეაქციული და რევოლუციური რომანტიზმი. ამ გზით სურდათ, გადაერჩინათ ეს უკანასკნელი „ველგარული სოციოლოგიის“ იერიშებისაგან.

მოგვიანებით ამ თვალსაზრისმა (ე. ი. რომანტიზმის ტიპოლოგიური ერთიანობის უარყოფამ) თავი იჩინა როგორც უკიდურესობამ სქოლასტიკურ აბსტრაქციულობასთან ბრძოლის საქმეში. მოუწოდებდა რა მხატვრულ ნაწარმოებთა კონკრეტულ-ისტორიული შესწავლისაკენ, ზოგიერთი მკვლევარი ძალზე აზვიადებდა ამ მხარეს. ასეთმა არასწორმა მეთოდოლოგიურმა ინტერპრეტაციამ ზოგი ლიტერატურათმცოდნე ემპირიზმამდე მიიყვანა. ბ. რეზოვის აზრით, „ისტორიაში ჩვენ ვხვდებით არა რომანტიზმს, არამედ რომანტიზმებს“. რომანტიზმი საერთო ევროპულ პლანში შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ „როგორც სისტემა ან პროცესი ლიტერატურული ურთიერთობისა“¹.

¹ Б. Резов, О литературных направлениях, «Вопросы литературы», 1957, № 1, стр. 94.

ეს შეხედულება გაკრიტიკებულ იქნა ჯერ „Вой росы: литература“-ს ფურცლებზე, ხოლო მოგვიანებით ა. სოკოლოვის, ვ. ვანსლოვისა და სხვათა შრომებში. მათი აზრით, „არა მარტო რომანტიზმები, არამედ რომანტიზმიც რეალურია ჩელოვნების ისტორიაში... კავშირები და ურთიერთგავლენები არ წყვეტენ რომანტიზმის ერთიანობის საკითხს, არ შეადგენენ მის არსს, ვინაიდან თავად ისინი მისგან (ე. ი. რომანტიზმის არსიდან) გამომდინარეობენ. ამიტომ რომანტიზმის ტიპოლოგიური ცნების შეცვლა კონკრეტულ-ინდივიდუალური მოვლენების კავშირებისა და ურთიერთგავლენების სისტემით ყველაფერსაზარისით გაუმართლებელია“².

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეებს საესებით შესაძლებლად მიაჩნიათ რომანტიზმის ფორმულის მონახვა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაქვს რომანტიზმის ფორმულის კარგად დამუშავებული ისტორია, არა გვაქვს ისეთი განმარტება, რომელიც საბოლოოდ დააკმაყოფილებდა თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის მოთხოვნილებას, მართლაც, მარტლაც, თუ გადავხედავთ საკითხის ისტორიას, დავინახავთ თუ აზრთა რა სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე.

ა. ვესელოვისათვის „რომანტიზმი არის ლიბერალიზმი ლიტერატურაში“³; ი. ზამოტინისათვის — „...მკაფიოდ გამოხატული იდეალისტური მსოფლმხედველობა“⁴; ა. ბელეცკის აზრით, „რომანტიზმის არსი... უნდა ვეძიოთ მის სტილში“⁵; გ. გუკოვსკი რომანტიზმის „უმარტივეს ფორმულად“ თვლის „ინდივიდუალიზმს“⁶ და სხვა. რომანტიზმის ფორმულის მონახვას ცდილობდნენ ბ. მეილახი, ნ. გეი, ლ. ტიმოფევი, ვ. ვოლკოვი, ა. გურევიჩი, ნ. გულიაევი და სხვები. ყველა ეს მკვლევარი, შეეცადა განემარტა რომანტიზმი მისი რომელიმე ერთი ნიშნის მიხედვით, ე. ი. შეეცადა მოეცა რომანტიზმის ისეთი ერთ-ერთი თავისებურება, რომელიც მთლიანად ამოწურავდა მას არსს და განაყალკებდა სხვა ლიტერატურული მიმართულებებისაგან. სამწუხაროდ, ამ ტიპის განმარტებები ვერ მოიცავენ რომანტიზმის მთლიან ბუნებას და მხოლოდ ცალმხრივად ახასიათებენ მას. გარდა ამისა, ისინი გვხვდებიან სხვა ლიტერატურულ მიმართულებებშიც. მაგალითად სუბიექტივიზმ-სენტიმენტალიზმსაც ახასიათებს, იდეალი — კლასიციზმს, „გაორგბული ყოფიერება“ სიმბოლოზმს და სხვა.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც შეეცადნენ მოეცათ რომანტიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნები მთელი რიგი: ნისტიციზმი, პოეტური თავისუფლება, უნივერსალიზმი, ისტორიზმი, ინტუიტური საწყისის აღიარება, ინდივიდუალიზმი და სხვა. (ა. კოვანი, „ნარკვევები დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიიდან; ა. ცეილინი, „Русская литература первой половины XIX века“). სამწუხაროდ, გაუგებარი რჩება, ყველა ამ თავისებურებათა ერთიანობა შეადგენს რომანტიზმის არსს, თუ ეს ნიშნები მხოლოდ ცალკეული სახით გვხვდებიან რომანტიკულ ნაწარმოებებში.

² В. Ванслов, Эстетика романтизма, М., 1966, гл. 16, 18.

³ А. Н. Веселовский, Избранные статьи, Л., 1939, гл. 15, 17.

⁴ И. И. Замотин, Романтизм двадцатых годов XIX столетия, т. II, Спб М., 1913, гл. 17.

⁵ А. И. Белецкий, Очередные вопросы изучения русского романтизма. «Русский романтизм», сб. статей, Л., 1927, гл. 13.

⁶ Г. А. Гукковский, Пушкин и русские романтики, М., 1965, гл. 82.

ასეთმა გაურკვევლობამ ზოგიერთი მკვლევარი დააფიქრა. 1963 — 1964 წლებში „Вопросы литературы“-ს ფურცლებზე დაბეჭდილ სტატიებში (К спорам о романтизме, Главное внимание методологии) ა. სოკოლოვი შეეცადა შემოეტანა გარკვეული მეთოდოლოგიური კანონზომიერებანი რომანტიზმის შესწავლის სფეროში. მას მიაჩნია, რომ დღემდე არსებული განმარტებანი „შეიცავენ მეთოდოლოგიურ შეცდომას. ეს შეცდომა კი მდგომარეობს იმაში, რომ ცდილობენ ახსნან ისეთი რთული მოვლენა, როგორც რომანტიზმი ერთი ნიშნით“, ეს კი „აუცილებლად მოგვცემს არასრულ და ამდენად არაწორ წარმოდგენას ამ ლიტერატურულ მიმართულებაზე. აუცილებელია გავხსნათ რომანტიზმის ნიშანთა სისტემა და ამ სისტემით განვმარტოთ შესასწავლი მოვლენა... მართალია, ლიტერატურულ მიმართულებებში ყოველთვის შეიძლება მოინახოს საერთო ნიშნები..., მაგრამ ნიშანთა სისტემა კი სპეციფიკურია ყოველი ლიტერატურული მიმართულებისათვის.... შეადგენენ რა სისტემას, რომანტიზმის ნიშნები... წარმოადგენენ გარკვეულ ერთიანობას, რომელშიც არის რაღაც გამაერთიანებელი საწყისი“⁷.

დრეკუბის მონაწილეთა უმრავლესობამ (ვ. კულეშოვა, უ. ფოხტმა, გერვეიჩმა და სხვ.) გაიზიარეს სოკოლოვის აზრი. რომანტიზმის, როგორც რთული რელიურ-მხატვრული სისტემის ახსნისაკენ მისწრაფება შეიძენევა მთელ რიგ საბჭოთა მკვლევართა (ვ. ვანსლოვის, გ. გუჯოვსკის, ი. ნეჟოკოევას, ელისტარატოვას) ნაშრომებში. მათში მოცემულია რომანტიზმის მთელი რიგი თავისებურებების ანალიზი ერომანეთთან ურთიერთკავშირში. მაგრამ აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ მოგვიანებით განსხვავებული შეხედულებაც ექნა გამოთქმული. ასე მაგალითად, ი. ვოლკოვი მართალია ეთანხმება სოკოლოვის წინადადებას, რომ საჭიროა გავხსნათ რომანტიზმის „ნიშანთა სისტემა“, მაგრამ თვლის, რომ „ამან არ უნდა მოხსნას საკითხი“ რომანტიზმის ძირითადი ნიშნისა თუ საფუძვლის შესახებ. ვოლკოვის აზრით, თვითონ სოკოლოვი აღიარებს, რომ რომანტიზმის „ნიშანთა სისტემა“ წარმოადგენს გარკვეულ ერთიანობას, რომელშიც არის რაღაც „გამაერთიანებელი საწყისი“.

ამიტომ სწორედ ეს „გამაერთიანებელი საწყისი“ (ავტორი ასეთად მიიჩნევს რომანტიკულ მეთოდს, კერძოდ კი ამ მეთოდით გადმოცემულ „რომანტიკული გმარის საზოგადოებასთან დამოკიდებულების განსაკუთრებულ ტიპს“) იქნება რომანტიკული სისტემის ძირითადი „განმასხვავებელი ნიშანი“⁸.

კვლევის არასწორი მეთოდოლოგიის ბრალი იყო აგრეთვე ის, რომ ერთ ტერმინთან დაკავშირებული იყო განსხვავებული მნიშვნელობანი. გ. პოსპელოვი შენიშნავს, რომ ტერმინი „რომანტიზმი“ 100 და მეტი წლების განმავლობაში გადაიქცა რაღაც ომონიმურ შტოდ...“, რომელსაც „...გააჩნია, როგორც ძირითადი აზრობრივი მნიშვნელობა..., ასევე სხვადასხვა განშტოებანი“⁹. ის „გაურკვევლობა, რომელიც შემოიტანა ლიტერატურის ისტორიაში ტერმინ-

7 А. И. Соколов, К спорам о романтизме, «Вопросы литературы», 1963, № 7, с. 123.

8 И. Ф. Волков, Основные проблемы изучения романтизма, «К истории русского романтизма», сб. статей, М., 1973, гл. 8—9.

9 Г. И. Поспелов, Что же такое романтизм? сб. статей «Проблемы романтизма», М., 1967, гл. 42.

მა „რომანტიზმმა“, განპირობებული იყო ნაწილობრივ იმით, რომ ამ ტერმინით აღნიშნავდნენ სრულიად სხვადასხვა რიგის მოვლენებს¹⁰. ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკასა და თეორიაში რომანტიზმს უწოდებდნენ ხან 1. კლასიციზმის წინააღმდეგ მიმართულ განსაზღვრულ შემოქმედებათს პროგრამას (ასე გაიგეს რომანტიზმი პირველმა რუსმა რომანტიკოსებმა — შევირევა, პოლევიმ, ბესტუევე-მარლინსკიმ, კიუხელბეკერმა და სხვებმა); ხან 2. ისტორიულად განმეორებადი შემოქმედებითი პათოსის ნაირსახეობას (ვ. ბელინსკი); ხან 3. განსაზღვრულ ლიტერატურულ მიმართულებას (ა. ვესელოვსკი და სხვ.); ხან კიდევ 4. სტილის საერთო თავისებურებებს (ა. ბელეცკი) და ბოლოს 5. ერთ-ერთ შემოქმედებითს მეთოდს, რომელიც შეიძლება მოინახოს ყველა ისტორიული ეპოქის ლიტერატურაში (ა. ფადეევი). ესენი რომანტიზმის იმდენად განსხვავებულ მხარეებს ეხებიან, რომ მათ შორის კამათიც კი გამოირიცხებოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, თუ რა არასახარბილო მდგომარეობა შეიქმნა რომანტიზმის კვლევის სფეროში იმის შედეგად, რომ დაუზუსტებელი, არამეთოდოლოგიური პრინციპებით სარგებლობდნენ მკვლევრები. მხოლოდ ზოგი მათგანი, უფრო დაკვირვებულნი, შეეცადნენ გაემიჯნათ ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაარსის მქონე ცნებანი (გ. პოსპელოვი) და შემოეტანათ გარკვეული კანონზომიერებანი რომანტიზმის კვლევის სფეროში (ა. სოკოლოვი). ამ აზრით არ შეიძლება არ მივესალმოთ ა. სოკოლოვის მოწოდებას, გაეაღლიერათ ისტორიზმი თეორიულ გამოკვლევებში. ხოლო ისტორიულ-ლიტერატურულ ნარკვევებში კი „მთავარი ყურადღება მიექცეს მეთოდოლოგიას“, ლიტერატურის თეორიის პრინციპების სწორ გამოყენებას, აგრეთვე ტერმინოლოგიურ სიზუსტეს. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი შენიშვნა საფუძველს მოკლებული როდია. ლიტერატურულ მეცნიერებაში რომანტიზმზე ძალზე გავრცელებული ფაქტია ცნებების თუ ტერმინების უპრინციპო გამოყენება. ჩვენს ლიტერატურულ თეორიაში არის თავისი მნიშვნელობით მსგავსი ორი ტერმინი „მიმართულება“ და „მიმდინარეობა“. რომელთაც ხშირად განურჩევლად ხმარობენ.

გაუგებრობის თავიდან აცილებას მიზნით აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ყველაზე დამაჯერებლად მიგვაჩნია ა. სოკოლოვის მიერ მოცემული განმარტება. რომანტიკულ მიმართულებაში ვგულისხმობთ „რომანტიზმს მთლიანობაში. როგორც გარკვეულ ისტორიულ ლიტერატურულ მოვლენას. მიმდინარეობად კი მის ამა თუ იმ ნაირსახეობას, რომელიც აგრეთვე გარკვეულ კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს“¹¹.

რომანტიკული მიმართულება ერთგვაროვანი რომ არ არის, ეს სადღესოდ საყოველთაოდ ცნობილია. რომანტიზმში განსხვავებულ მიმდინარეობების, ტენდენციების არსებობა შენიშნა ჯერ კიდევ ბ. ბელნაკემ. შემდეგ ი. ზამოტინმა, პ. საკულინმა და სხვებმა. რომანტიზმის დიფერენციაციის სწორი პრინციპი მხოლოდ მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის საშუალებით იქნა მონახული. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში რომანტიზმში ორი მიმდინარეობის თანამიმდევრული გამოყოფის დამსახურება ეკუთვნის მ. გორ-

¹⁰ А. И. Беленский, Очередные вопросы изучения русского романтизма, «Русский романтизм», Л., гл. 5.

¹¹ А. Н. Соколов, К спорам о романтизме, «Вопросы литературы», 1963, № 7, 83-129.

კის, რომელმაც ერთმანეთისაგან განასხვავა „პასიური“ და „აქტიური“ რომანტიზმი. დიფერენციაციის ამ პრინციპს მიეყავართ დღევანდელ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარებულ კონსერვატიულ და პროგრესულ მიმდინარეობებამდე დაყოფის პრინციპამდე. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ რომანტიზმს გააჩნია კონსერვატიული და პროგრესული მიმდინარეობანი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ რომანტიკული მიმართულება ყოველთვის როდი დაიყვანება ამ ორ მიმდინარეობაზე. მაგალითად, რუსულ რომანტიზმში საქმე გვაქვს ისეთ განსხვავებულ მოვლენებთან, როგორც არიან, ერთი მხრივ, ეუკოვსკი და მისი მიმდევრები, მეორე მხრივ — პოეტი-დეკაბრისტები და ბოლოს, ში-იან წლების რეაქციულ-რომანტიკული მიმდინარეობა ბენედიქტოვისა და ეუკოვსკის შემოქმედების სახით. გარდა ამისა, რომანტიზმში ორი მიმდინარეობის აღიარებამ ხელი შეუწყო ისეთი ტერმინების გავრცელებას, როგორც არის რეაქციული და რევოლუციური, პროგრესული და კონსერვატიული. ეს ტერმინები კი ხშირად წინააღმდეგობას იწვევს. როგორც პოლიტიკური შინაარსის მქონე ცნებანი და, ზოგიერთი კრიტიკოსის¹² აზრით. არ პასუხობს მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკას.

ყოველივე ეს გაიოვალისწინა სოკოლოვმა და გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით შემოგვთავაზა ტერმინები „პროგრესული და რეგრესული“, რომლებიც უნდა აღნიშნავდნენ არა ამა თუ იმ კონკრეტულ მიმდინარეობას. არამედ მის მთავარ ტენდენციას, რომელიც შეიძლება მხოლოდ ორნარი იყოს. ეს ტერმინები (პროგრესული და რეგრესული) უფრო რომანტიზმის ისტორიული შეფასების თვალსაზრისით გამოიყენება (აქ იგულისხმება, როგორც პოლიტიკურ-იდეოლოგიური ტენდენციები, აგრეთვე ის როლი, რომელიც მათ ითამაშეს ლიტერატურის მხატვრული განვითარების საქმეში). უფრო დიფერენცირებული ტერმინოლოგია კი: „რევოლუციური, კონსერვატიული, რეაქციული“ გამოიყენება საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების გამოსახატავად, თუკი ისინი რომანტიზმის იდეური სამყაროს შინაარსს შეადგენენ. მაგრამ ვინაიდან თავად რეგრესულ და პროგრესულ ტენდენციებს გააჩნიათ თავიანთი კონკრეტულ-ისტორიული ნაირსახეობანი, უნდა გამოვიყენოთ სხვა ტერმინოლოგიაც, რომელშიც გადმოცემული იქნება ამა თუ იმ მიმდინარეობის იდეურ-მხატვრული თავისებურებანი; ელემენტური (ეუკოვსკი, ბატიუშკოვი), სამოქალაქო (დეკაბრისტები, პუშკინი), ფილოსოფიური (დ. ვენევეტინოვი, ე. ბარატინსკი), რეაქციული (ბენედიქტოვი) რომანტიზმი და სხვა¹³. გარდა ამისა, „...რომანტიზმის დაყოფა ორ (რეგრესულ და პროგრესულ) მიმდინარეობად ძალზე პირობითია...“, ვინაიდან „გვეხედებიან არა მარტო თანამიმდევარი, აშკარად რეაქციონერი ან რევოლუციური რომანტიკოსები. არამედ ისეთებიც, რომლებიც პოლიტიკურად ნეიტრალურნი იყ-

¹² უ. ფობტის აზრით, რომანტიზმის ნაირსახეობების ის განსაზღვრებანი, რომლებსაც აშკარად ვიყენებთ, „ძალზე პირდაპირი და უხეშია“. ამიტომ „აუცილებელია გამოვყოთ რომელიმე“ მთავარი დამახასიათებელი „ნიშანი“ და მის მიხედვით გამოვავალკევოთ ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, სოციალური რომანტიზმი. „ზოგი რომანტიკოსი განვითარებაში გაივლის ორ ან რამდენიმე მიმდინარეობას“. У. Р. Ф о х т, Некоторые Вопросы теории романтизма, „Проблемы романтизма“, М., 1967, გვ. 91.

¹³ А. И. Соколов, История Русской литературы XIX века (1-ая половина), М., 1970, გვ. 64—65.

ნენ... (როგორც მიუსე); ხშირად ერთსა და იმავე მწერლის შემოქმედებაში შერწყმულია პროგრესული და კონსერვატიული ელემენტები (არნიში, ბრენტანო, პოფმანი); ზოგიერთებმა კი „ევოლუცია განიცადეს“ — გააარეს რაული გზა რევოლუციიდან რეაქციამდე (შელინგი), ან პირიქით (პიუგო)¹⁴. ვ. ვან-ლოვს მიაჩნია, რომ მხატვრული პროგრესი შეიძლება შერწყმული იყოს პოლიტიკურად რეაქციულ იდეებთან, პოლიტიკური პროგრესულობა კი შესაფერის მხატვრულ ფორმაში ვერ ვლინდებოდეს; ამიტომ შეცდომა იქნებოდა გვევობრიობის ნიშანი დაგვეყვავა რომანტიკოსთა პოლიტიკურ შეხედულებებსა და მხატვრულ შემოქმედებას შორის¹⁵. ამის საფუძველზე კი შეიძლება დავასკვნათ, რომ არა მარტო პროგრესულ, არამედ კონსერვატიულ რომანტიზმსაც შეიძლება ჰქონდეს თავისი მხატვრული ღირებულება, მასშიც გვხვდება პროგრესული ელემენტები (თუნდაც ანტიბურჟუაზიული ჰუმანიზმი)¹⁶. ამიტომ ვამბობთ, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მხატვრული კულტურის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა მთლიანად რომანტიზმმა, როგორც პროგრესულმა, ისევე კონსერვატიულმა.

რომანტიკულ მიმართულებაში ორი მიმდინარეობის განყოფილად დღის წესრიგში დააყენა საკითხი: რამდენი მეთოდი არსებობს რომანტიზმისა: ორა თუ ერთი? ზოგიერთ მკვლევარს (მაგ. ვ. კორზუნს) მიაჩნია, რომ რომანტიზმ-როგორც ერთიანი მხატვრული მეთოდი, არ არსებობს და მკვეთრად გამოყოფს ერთმანეთისაგან „რეაქციულ-რომანტიკულ“ მეთოდს, რომელიც „საფუძველშივე ეწინააღმდეგება რეალიზმს“ და „პროგრესულ-რევოლუციურს“, რომელიც გვევლინება, როგორც „რეალიზმის გამოვლენის თავისებური ფორმა“¹⁷: სხვები (მაგ. ა. მიკეშინი) ვერაფერ საერთოს ვერ პოულობენ პროგრესულ და კონსერვატიულ რომანტიკოსთა შემოქმედებითს მეთოდებს შორის¹⁸.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეს კონცეფცია შეიცავს კიდევ ერთ თეორიულ და ისტორიულ-ლიტერატურულ შეცდომას. რომანტიზმი ასეთ შემთხვევაში ფასდება არა როგორც თავისთავადი მოვლენა, არა თავისი მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობით, არამედ იმით, თუ რამდენად ახლოს თუ შორს არის იგი რეალიზმიდან; ე. ი. მისი შეფასება ხდება რეალიზმის პოზიციებიდან. „რომანტიზმი იყო უდიდესი ესთეტიკური მონაპოვარი და იგი იმით კი არ უნდა შევაფასოთ, რაც მან ვერ მოგვცა, არამედ იმით, რაც მან მისცა ხელოვნებას“¹⁹. თუ რომანტიზმს მთლიანად გააჩნია მთელი რიგი საერთო თა-

14 В. Ванслов, Эстетика романтизма, 1966, гл. 28, 29.

15 იქვე, გვ. 33.

16 საერთოდ, როდესაც ვლაპარაკობთ რომანტიზმის შიგნით არსებულ სოციალურ განსხვავებულობაზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი გარემოება: ყოველგვარი რომანტიზმი, მთელი თავისი ახით, თავისი მიმართებით კაპიტალისტური პროგრესისადმი რეაქციული მოვლენა იყო. თავისი მხატვრული ღირებულებით კი ხელოვნების განვითარებაში რომანტიზმმა უდიდესი დადებითი როლი შეასრულა და ამდენად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ტერმინები „პროგრესული, კონსერვატიული“ ძალზე პირობითია და სხვადასხვა შემთხვევებში განსხვავებული (პოლიტიკური, ისტორიული, მხატვრული) მნიშვნელობით იხმარება.

17 В. В. Корзун, К вопросу о романтизме, как художественном методе, «Ученые записки Грозненского пед. инст-та», 1953, № 8, гл. 11.

18 А. Микешин, Не академическая проблема, «Вопросы лит-ры», 1963, № 7, 126.

19 А. И. Соколов, К спорам о романтизме, «Проблемы романтизма», М., 1967, гл. 23.

ვისებურებანი, მაშინ რომანტიზმის მხატვრული მეთოდიც არ შეადგენს გამოწვევას. მისი ძირითადი ნიშნები შეინიშნება განსხვავებულ რომანტიკულ მიმდინარეობებში, მაგრამ ყოველ მათგანში მეთოდის საერთო თვისებები იღებს განსხვავებულ ელფერს²⁰. ასე მაგალითად, ეუკოვსკის ბალადებსა და რილევის „ფიქრებში“ მოცემული სახეები სუბიექტურია, მაგრამ პირველთან სუბიექტური უპირატესად ვლინდება როგორც პირადული, მეორესთან კი სუბიექტური დაკავშირებულია საზოგადოებრივ შინაარსთან). ამიტომ ვამბობთ, რომ „რომანტიკული მხატვრული მეთოდი თავისი მხატვრული შემეცნებითი ბუნებით ერთია... ..რომანტიზმის ორ პრინციპულად განსხვავებულ მეთოდებზე დაყოფა... ..ორი მიმდინარეობის“ კონცეფციის ღრმატური ინტერპრეტაციის შედეგი იყო“

ამათი რომანტიკული მეთოდის გარშემო სხვა მხრიდანაც წარმოებდა. როდესაც საბჭოთა ლიტერატურულ კრიტიკაში განმტკიცდა ცნება „შემოქმედებითი მეთოდი“, იგი, რა თქმა უნდა, გავრცელებულ იქნა რომანტიზმზეც. უფრო მეტიც, რომანტიზმი (ფადლევის აზრით) გაგებულ იქნა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი. რომელიც არსებობდა ლიტერატურის განვითარების მთელ მანძილზე რეალისტური მეთოდის პარალელურად, უფრო სწორედ კი მის საპირისპიროდ. ე. ი. რომანტიზმი მიიჩნდათ ისეთ განზოგადებულ მეთოდად, რომელშიც შედიოდა ყველა მიმართულება, თუ იგი სცილდებოდა რეალიზმის ფარგლებს. ამ შეხედულებამ თავი იჩინა ლ. ტიმოფეევის ადრეულ შრომებში, აგრეთვე ნ. ვულიაევის, ე. ცოის და სხვათა სტატიებში²¹. ეს უკანასკნელი თვლის, რომ რომანტიკული მეთოდის არსებობა მხოლოდ რომანტიკული მიმართულებით არ ამოიწურება. იგი არსებობდა XIX საუკუნის მთელ მანძილზე, თვით კრიტიკული რეალიზმის წარმოშობის შემდეგაც კი. ამიტომ, ერთი მხრივ, უნდა შევისწავლოთ ეს დამოუკიდებელი რომანტიკული მიმდინარეობანი რეალიზმთან კავშირში და, მეორე მხრივ, თვით „რომანტიზმი რეალიზმში“. „რომანტიზმის მარადიულობის“ კონცეფციას იკავენ სხვა მკვლევარებიც: გ. ბიალი, უ. ფოხტი, ი. ვოლკოვი. ა. მიკეშენი. ე. ლიუბარევა და სხვები²².

დისკუსიაში რომანტიზმზე თანმიმდევრულად იქნა გაკრიტიკებული „რომანტიკული და რეალისტური მეთოდების“ ზემოთ მოხსენებული კონცეფცია.

²⁰ იქვე, გვ. 22.

²¹ А. Н. Соколов, К спорам о романтизме. «Проблемы романтизма», М., 1967, гл. 22.

²² Л. И. Тимофеев, Основы теории литературы, М., 1940, гл. 64; Л. И. Тимофеев, Проблемы теории литературы, М., 1955, гл. 165; Н. Гуляев, О спорном в теории романтизма, «Русская литература», 1966, № 1, гл. 77; Е. Цой, Оспирался на живой опыт литературы, «Вопросы литературы», 1964, № 9, гл. 128—129.

²³ Г. А. Бялый, В. Г. Короленко, М.—Л., 1949, гл. 323; И. Волков, Романтизм, «Творческий метод», сб. статей, М., 1960, гл. 205; А. Микешин, Не академическая проблема, «Вопросы литературы», 1964, № 9, гл. 126; Е. П. Любарева, Советская романтическая поэзия, М., 1973, гл. 6, 7, 9, 11, 16, 32, 42. ეს მკვლევრები ტერმინოლოგიურადაც განმარტავენ ამ მოვლენას, კერძოდ: „რომანტიზმი რეალიზმში“, XIX საუკუნის დასასრულის რეალიზმის რომანტიკული განშტოება“, „რომანტიკულ რეალიზმში“, „რეალისტური რომანტიზმის“ მიმდინარეობა, „რომანტიკული სტილური“ მიმდინარეობა და სხვა.

დასაბუთდა, რომ რომანტიზმი იყო კონკრეტულ-ისტორიული ლიტერატურული მოვლენა, რომელიც გარკვეულ პირობებში, ლიტერატურის განვითარებას გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვა. ამიტომ „შეუძლებელია იმავე კონკრეტულ-ისტორიულ ფორმებში აღმოცენდეს განმეორებით რომანტიკული მიმართულება... ეს მეთოდი იყო უდიდესი მხატვრული მიღწევა, რომანტიკოსები ახლებურად აღიქვამდნენ და მხატვრულად შეიცნობდნენ სამყაროს, უპირველეს ყოვლისა კი ადამიანის სულს“. რომანტიკული მიმართულების გარეთ „არ არსებობდა და არც შეეძლო ეარსება რომანტიკულ მხატვრულ მეთოდს... ეს დებულება უნდა მივიღოთ აქსიომად, რომელიც ავიწყდებათ იმათ, ვინც რომანტიზმს ეძებს ყველგან და ყველასთან“²⁴. სხვა საქმეა. თუ გვინდა გამოვყოთ მთელი ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები („შემოქმედებითი ტიპები“ თუ „მიმართულებები“)²⁵, რომელიც მიუხედავად „ისტორიული კვლილებებისა, ნაციონალური და სოციალური თავისებურებებისა ახასიათებენ“ მთლიანად ხელოვნებას²⁶, მოიცავენ ლიტერატურის მთელ ისტორიას, კონკრეტულ-ისტორიულად ჩამოყალიბებული მეთოდების მთელ ნაირ-ნაირობას: მაგრამ ასეთი ფართო განზოგადებული მოვლენის აღნიშვნა ტერმინით „რომანტიზმი“ ან „რომანტიკული მეთოდი“ გაუმართლებელია. მიუხედავად მთელი თავისი პირობითობისა, ტერმინი არ უნდა არღვევდეს წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ სწორ მეცნიერულ ცნებათა სისტემას და არ უნდა შექონდეს მასში გაურკვეველობა.

რომანტიკული მეთოდის გაუმართლებლად ფართო გაგებას ხელი შეუწყო აგრეთვე ორი ცნების „რომანტიზმისა“ და „რომანტიკის“ ერთმანეთში არქვამ. დისკუსიაში რომანტიზმზე გ. პოსპელოვმა თანამიმდევრულად გამიჩნა ეს ორი ცნება. „რომანტიკა, ამბობს ავტორი, არის ემოციური თვითშეგნებისა და სულიერი განცდების ამაღლება, რომელიც გამოწვეულია მისწრაფებით ამაღლებული. ზეპიროვნული იდეალისადმი და ობიექტივირებულია სინამდვილისა ან თუ იმ მოვლენებში“²⁷. რომანტიკა, როგორც მეოცნებე-ამაღლებული გუნება-განწყობლება, ძალზე სცილდება კონკრეტული რომანტიკული მიმართულების ფარგლებს და შეიძლება მოინახოს სხვადასხვა საუკუნეებისა და ქვეყნის ლიტერატურაში. იგი მხოლოდ ლიტერატურული ან ხელოვნების მოვლენის აღმნიშვნელი ცნება როდია, არამედ უპირველეს ყოვლისა თვით ცხოვრებაში იჩენს თავს. რომანტიზმი (ე. ი. რომანტიკული მიმართულება) დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა, ხოლო რომანტიკა კი სულ ახლად აღორძინდება ხოლმე და ხშირად ვკვდება სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებებში. იგი ახლაც ცოცხლობს საბჭოთა მწერალთა ნაწარმოებებში“²⁸. მაგრამ თუ რო-

²⁴ А. И. Соколов, К сущности романтизма, «Проблемы романтизма», гл. 33—37

²⁵ საკულისხო, რომ მოგვიანებით ლ. ტიმოფევი აყენებს „რეალისტური და რომანტიკული შემოქმედებითი ტიპების, მიმართულებების“ კონცეფციას, რომლებიც ყველაზე ნაირსახოვან ფორმებში და ურთიერთმიმართებებში გამოვლინდებიან ნებისმიერ მეთოდში, რომელიც აღმოცენდება ლიტერატურის ისტორიის განვითარების პროცესში“. Л. Тимофеев, О понятии художественного метода, сб. „Творческий метод“, 1960, М., 33, 16, 24, 25, 28, 31.

²⁶ Г. Абрамович, Историзм теории литературы, «Вопросы лит-ры», 1959, № 3, 83, 132.

²⁷ Г. И. Пospelов, Что же такое романтизм? «Проблемы романтизма», гл. 68.

²⁸ Г. И. Пospelов, Может ли быть романтизм без романтики?, «Вопросы лит-ры», 1964, № 9, гл. 117.

გორი ფორმების, ნიშნებისა და ელემენტების სახით გვხვდება რომანტიზმი შემდგომ ლიტერატურაში, ამ საკითხზე ჭერ კიდევ ვერ შეთანხმებულან ჩვენი სპეციალისტები. განსხვავებით სოკოლოვისაგან, რომელიც ამტკიცებს, რომ რომანტიზმი შემოინახა როგორც რომანტიკული ტრადიცია, რომანტიკული „შემოქმედებითი მემკვიდრეობა“, „რომანტიკული ენერჯია“, პოსტელოვს მიაჩნია, რომ თანამედროვე ლიტერატურას გააჩნია თავისი საკუთარი რომანტიკული „იდეურ-ემოციური სამყარო“, რომელიც შექმნეს თანამედროვე საზოგადოებრივმა პირობებმა. მემკვიდრეობის ქვეშ კი, მისი აზრით, უნდა გავიგოთ საერთო იდეურ-კულტურული მემკვიდრეობითობა, რაც საერთოდ აკავშირებს თანამედროვე ლიტერატურას წინა ეპოქების ლიტერატურასთან²⁹.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: ლიტერატურულ ნაწარმოებებში ყოველთვის არის ესა თუ ის განმეორებადი ნიშნები და მასთან ერთად კონკრეტული თავისებურებანი, რომლებიც ისტორიულად განუმეორებელი არიან ნაციონალური განვითარების განსაზღვრული ეპოქის გარეთ. ისტორიულად მეორდება რომანტიკა ნაწარმოებების შინაარსში, მათი რომანტიკული „ნორმატივიზმი“ (ანუ რომანტიკული „შემოქმედებითი ტიპი ან მიმართულება“. — ლ. ტიმოფეევი), რომანტიკული სტილის ესა თუ ის საერთო თვისებები, მაგრამ ყოველთვის ისტორიულად კონკრეტული იყო ლიტერატურული მიმართულებები, რომლებიც აღმოცენდებოდა განსაზღვრული იდეოლოგიური მსოფლმხედველობის საფუძველზე და რომელთა პროპლემატიკა ბადებდა რომანტიკის განუმეორებელ თავისებურებებსაც. ისტორიულად განუმეორებელია ის განსხვავებული რომანტიკული მიმართულებები, რომლებიც აღმოცენდა XIX საუკუნის I მესამედში ევროპული ხალხების ლიტერატურაში ადრე შექმნილი რომანტიკული შინაარსის საფუძველზე.

ასეთია ძალზე მოკლედი რომანტიზმის თეორიის ძირითადი საკითხები. შენიშვნები და ჰიპოთეზები. ბევრი რამ ჭერ კიდევ გასარკვევია და მკვლევარს ელის.

И. А. ГАЧЧИЛАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ТЕОРИИ РОМАНТИЗМА

Резюме

1. Большинство из существующих до сегодняшнего дня определений романтизма содержат в себе методологическую ошибку, а ошибка эта состоит в их «исключительности»: в стремлении определить такое сложное явление, как романтизм, по одному признаку. Все попытки охватить романтизм какой-то единой формулой неизбежно ведут к обеднению, к одностороннему и потому неверному представлению об этом литературном явлении. Необходимо раскрыть систему признаков романтизма, и по этой системе определить изучаемое явление.

2. В ряде случаев необходимо методологическое уточнение самой постановки вопроса, устранение разнобоя в терминологии. Поэтому

²⁹ Г. И. Поспелов, Может ли быть романтизм без романтики? «Вопросы лит-ры», 1964, № 9, с. 117.

нельзя не приветствовать предложения некоторых исследователей усилить историзм в теоретических исследованиях, а в историко-литературных работах уделить главное внимание методологии, правильному применению принципов теории литературы.

3. Разграничение в романтизме прогрессивных и консервативных течений, конечно, имеет под собой определенную основу, но, с другой стороны, не стоит резко противопоставлять друг другу эти две разновидности. Расщепление романтизма на два принципиально различных метода явилось результатом именно такой догматической трактовки концепции «двух линий».

4. Исправомерно широкому пониманию романтического направления способствует смешение двух понятий: романтизма и романтики. Романтика как мечтательно-возвышенное умонастроение действительно выходит за пределы конкретного романтического направления, встречается в литературе разных веков и стран. Романтизм давно ушел в прошлое, а романтика возрождается снова и снова. Так, например, революционная романтика живет и в наше время — в произведениях советских писателей, как составная часть социалистического реализма.

5. Но как, в каком «качестве», каких формах и признаках проявляется романтическая традиция в последующих литературных направлениях, еще не вполне ясно. По мнению некоторых исследователей, романтизм сохраняется в новых литературных направлениях в виде романтики (В. Кулешов), как романтическое «творческое наследие» (А. Соколов) или как романтический «идейно-эмоциональный мир» (Г. Поспелов).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

მურმან ქუთელია

ჯებრან ხალილ ჯებრანის „პროცესიები“

გამოჩენილი ლიბანელი მწერალი, პოეტი და მხატვარი ჯებრან ხალილ ჯებრანი დაიბადა 1883 წელს. 1895 წ. ჯებრანების ოჯახი გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მალე ჯებრანი ბერიუთს ბრუნდება და ოთხი წლის განმავლობაში სწავლობს „სიბრძნის“ სკოლაში. 1902—03 წწ. გარდაეცვალა და-ძმა და დედა. მისი ცხოვრების ისედაც მძიმე პირობები კიდევ უფრო გაუარესდა.

1905 წ. საზოგადოება პირველად გაიცნობს ჯებრანს. როგორც მწერალს, როდესაც გამოქვეყნდება მისი „მუსიკა“. შემდეგ ცალკე წიგნებად გამოიცა მისი მოთხრობების კრებული „ველთა საპატარძლოები“ (1906 წ.). „ამბოხებული სულები“ (1908 წ.) და მოთხრობა „დამსხვრეული ფრთები“ (1912 წ.). ამ ნაწარმოებებში ჩანს მწერლის ამბოხება ადამიანთა შორის უთანასწორობის, ქალის მონური მდგომარეობის, რელიგიის მსახურთა თავგასულობის წინააღმდეგ, კრიტიკა მოძველებული ტრადიციებისა და უსამართლო კანონებისა, ძიება ნათელი მომავლისკენ მიმავალი გზისა. ამ მოთხრობების გმირებად უბრალო ადამიანები, ჩაგრული ხალხი, გლეხობა გვევლინება.

1908 წ. ამერიკელი მეგობარი ქალის მარი ჰასქელის რჩევით და მატერიალური დახმარებით ჯებრანი მიემგზავრება პარიზს, სადაც 1910 წლამდე დარჩა. საფრანგეთიდან დაბრუნებულმა მწერალმა გამოაქვეყნა წიგნები: „ტრემლი და ღიმილი“ (1914 წ.), „პროცესიები“ (1919 წ.) და „ქარიშხლები“ (1920 წ.).

„ქარიშხლები“ ფაქტიურად მისი უკანასკნელი არაბულენოვანი წიგნია. შემდგომ იგი მხოლოდ ინგლისურ ენაზე წერს. სულ ინგლისურად გამოაქვეყნა რვა წიგნი, რომელთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს 1923 წ. გამოცემულ „მოციქულს“. „მოციქული“ მწერლის მთელი შემოქმედების შემაჯამებელი ნაწარმოებია. მასში ავტორმა სრული სახით ჩამოაყალიბა თავისი მსოფლმხედველობა. ნაწარმოებმა საკმაო გამოხმაურება პოვა როგორც დასავლეთში. ისე აღმოსავლეთში. ითარგმნა მრავალ ენაზე. მან მწერალს დიდებასთან ერთად სიმდიდრეც მოუტანა.

1920 წ. ჯებრანის უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ნიუ-იორკში მცხოვრებ არაბ მწერალთა კავშირი — „არ-რაბიტა ალ-კალამია“. რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არაბული ლიტერატურის ისტორიაში.

1931 წელს მძიმედ დაავადებული ჯებრანი გარდაეცვალა. მისი ცხედარი სამშობლოში ჩამოსვენეს და თავისი სოფლის მიწას მიაბარეს.

ჯებრანი ძირითადად პროზაიკოსია, მაგრამ მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პოეზიასაც. ამ სტატიაში ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს მისი ლექსების ციკლი სათაურით „პროცესიები“, რომელსაც გარკვეული

მნიშვნელობა ენიჭება ჭებრანის მსოფლმხედველობის გასაშუქებლად. ამასთანავე მოკლედ მიმოვიხილავთ მის სხვა ლექსებსაც.

ჭებრანის ლექსები შეგვიძლია ორ ჯგუფად დავყოთ: ადრეული პერიოდის ლექსები, რომლებიც იწერებოდა „ველთა საპატარძლოების“ „ამბოხებული სულების“, „დამსხვრეული ფრთების“ და „ცრემლი და ღიმილის“ პარალელურად და მოგვიანო პერიოდისა. ადრეული პერიოდის ლექსებში წინაა წამოწეული პოეტის „მე“, საკუთარი განცდები, სამშობლოსაგან შორს ყოფნით გამოწვეული სევდა, პესიმისტური განწყობილება, გულგატეხილობა თანამემამულეთა ინერტული დამოკიდებულებით ცხოვრებაში გაბატონებული ბიწიერების მიმართ.

მოგვიანო ხანის ლექსებს განეკუთვნება ფილოსოფიური ხასიათის ლექსების ციკლი სათურით „პროცესიები“ და თემატიკურად მასთან დაკავშირებული ლექსი „ზღვა“, რომლებშიც მოჩანს რუსოსეული მსოფლმხედველობის ერთგვარი გავლენა.

ადრეული წლების ლექსებში ვხვდავთ, რომ მწერალი უკმაყოფილოა ცხოვრებით, თავს არიდებს ხალხთან ურთიერთობას, ისწრაფის მარტოობისაკენ, საკუთარ თავში იკეტება. იგი გარშემო ვერ პოულობს აღამიანს, რომელსაც გაუზიარებს თავის ფიქრებს. „ო, თავო, არაა ცხოვრება, თუ არა ღამე...“ — აცხადებს უკმაყოფილო პოეტი ლექსში „ჩემო თავო!“. მისი მისწრაფების წყაროდ მხოლოდ მარადიულობა ქცეულა.

პოეტის წარსული არ ყოფილა მხოლოდ ტუბილად მოსაგონარი. იგი მას სიმღერასთან ერთად ჩივილსა და გოდებაში გაუტარებია. არც აწმყოს მიუცია ნუგეში, გული გასტეხია მომავალზეც. ამ განწყობილებას გადმოგვცემს ლექსი „გუშინ“:

არა, არ არის ჩემი გულისთვის მკვდრეთით აღდგომა ან
აღორძინება,

არ ამწვანდება ტოტი ზეიმის,
და მთიბავთა ხელი ვერ გააცოცლებს ყვაილთ
მას შემდეგ, რაც განიღვიან ნამგლის პიროთქ.

(აქ და ქვემოთ ჩვენ მიერაა შესრულებული ლექსების პუქარედი თარგმანი).

პოეტმა ცხოვრებაში ბევრი სიმწარე გადაიტანა, არ აცდა მკითხველთა (ხალხის) ეჭვი და კიცხვა, მაგრამ მისი „მოთმინების კოშკი“ მიუღღგომელი აღმორჩნდა. მას ვერც ბედისწერა აშინებს, რადგანაც მისი მსახვრალი ხელი სიჭაბუკის წლებშივე იგემა:

თუნდაც შემოაქსოვთ დღეს ჩემსას იჭეები,
თუნდაც შემოაქსოვთ ღამეს ჩემსას კიცხვა,
ვერ დანგრავთ ჩემი მოთმინების მიუღღგომელ კოშკს.
და ვერ ამოწურავთ ჩემი თასებიდან ღვინოს
ჩემი ცხოვრება სავანა სიშვიდის,
და გული ჩემი—ტაძარი შშვიდობის.
ვისუ ერთხელ მოუჭდა სიკვდილის ტაბლას
არ მოერიდება, რომ გემო გაუსინჯოს ძილს. („თუნდაც
შემოაქსოვთ...“).

1 جبران خليل جبران ، المجموعة الكاملة لمؤلفات ، ص ٤٩٨

2 იქვე, გვ. 614.

3 იქვე, გვ. 610.

ჯებრანი საკმაო სიმტკიცესა და მოთმინებას იჩენს ცხოვრებასთან ბრძოლაში. მაგრამ ზოგჯერ მინც ისწრაფის მიატოვოს ეს წარმავალი სამყარო, გაექცეს მას, იპოვოს ისეთი ადგილი, სადაც მოიპოვებს სულიერ სიმშვიდეს. მაგრამ სად არის იგი? მის ძიებაში პოეტი საკუთარი ფანტაზიით ქმნის სხვა, უფრო ამაღლებულ, ზეციურ სამყაროს და მას დაფარულ ქვეყანას უწოდებს (ლექსი „დაფარული ქვეყანა“). იგი თავის ერთადერთ მეგობარს — თავისსავე თავს მოუწოდებს მიატოვოს ეს ქვეყანა, ქვეყანა, სადაც ვერ პოვა მეგობარი, სადაც იმედიც კი არ შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ პოეტს გარკვევით აქვს კი წარმოდგენილი ის ქვეყანა? იცის კი მისკენ მიმავალი გზები? თვით წარუძღვება თავის სულს, თუ სული იქნება მეგზური იმ ქვეყნისკენ მიმავალ გზაზე?

პოე, ქვეყანავ, ოდითგანვე ფარულთ,
როგორ გვეპოვნეს იმედი შენი და რა გზით?
რომელი უდაბნოა მის გარეშე, რომელი მთა,
მალაია მისი ყდელი და რომელი ჩვენგან ია მეგზური?
მირაჟი ხარ შენ, თუ შენ ხარ იმედი
სულსა, რომელიც ესწრაფის მიუწვდომელს?⁴

სად არის ის ქვეყანა? პოეტი ლექსის ბოლო ბეითებში გვიხსნის, რომ იგი არაა არც ცაში, არც დედამიწაზე, არც დასავლეთითა და აღმოსავლეთით. არც სამხრეთითა და ჩრდილოეთით. იგი თვით პოეტის სულში ჰკივებს:

არ ხარ აღმოსავლეთში, არც დასავლეთში,
არც დედამიწის სამხრეთით ან ჩრდილოეთით,
არ ხარ ჰაერში და არც ზღვებქვეშ,
არც (სწორ) ველზე და არც ოღროზლო ვიწრობებში.
შენ ხარ სხივები სულებში და ცეცხლი,
შენ ხარ გული, მოფრთხილვ ჩემს მეგრდში⁵.

ჯებრანმა 1919 წელს გამოაქვეყნა ლექსების ციკლი „პროცესიები“. მასში მკაფიოდ გამოჩნდა ავტორის რომანტიკული განწყობილება და დასავლეთის რომანტიკოსების, კერძოდ, ჟან-ჟაკ რუსოსა და მისი მიმდევრების, ნაწილობრივ კი უილიამ ბლეიკის, გავლენა⁶.

ნაწარმოები ფილოსოფიური ხასიათისაა. მასში ასახულია ავტორის სოციალური შეხედულებები. მაგრამ ძირითადია ამბობება ბუნდოვანი, ქაოტური ცხოვრების წინააღმდეგ და მხურვალე მოწოდება უბრალო, მარტივი ცხოვრებისაკენ დაბრუნებისა. პოეტი აქ ცდილობს სძლიოს იმ გაორებას, რომელმაც ორ ნაწილად გაყო მთელი სამყარო: სიკეთედ და ბოროტებად, სინათლედ და სიბნელედ, რწმუნად და ურწმუნოებად, სიხარულად და მწუხარებად, ბატონობად და მონობად, სამართლიანობად და უსამართლობად, ძლიერებად და უძლურებად და ა. შ.⁷ ჯებრანი ტყის (ბუნების) დახატვით გვეუბნება, რომ იქ არ არსებობს ასეთი გაორება; პირიქით, იქ სრული ჰარმონია სუფევს⁸. გაორება კი მოგვიანებით მოხდა. როგორც რუსო ამბობს, „ბუნებასა და ადამიანს შორის სინამდვილეში არაა და არც შეიძლება იყოს რაიმე წინააღმდეგობა: საწყისი ჰარმონია მათ შორის, რომელიც ადამიანის მიზეზით გარდაიქმნა დის-

⁴ იქვე, გვ. 599.
იქვე, გვ. 600.

⁶ عباس احسان و نجم يوسف «الشعر العربي في المهجر أمريكا الشمالية» بيروت، ص 41.

⁷ იქვე, გვ. 41.

⁸ იქვე, გვ. 41—42.

პარმონიად, უნდა აღდგეს“⁹. ამიტომაც აუცილებელი აღამიანი დაუბრუნდეს ბუნებას, თავის აღრინდელ ცხოვრებას.

„პროცესიები“ 14 ლექსისაგან შედგება. აქ საუბარია სიკეთისა და ბოროტების, რელიგიის, ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების, ზედნაერებას, სულისა და სხეულის და სხვათა შესახებ.

„პროცესიების“ ყოველი ლექსი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში ავტორი გვაცნობს თავის შეხედულებებს ამქვეყნური ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენაზე, მოცემულია კრიტიკა მისი ნაკლოვანი მხარეებისა. მეორე ნაწილში დახატულია ბუნება, რომლის განსახიერებას აქ „ტყე“ და „სალამური“ წარმოადგენს. ამ ორი სამყაროს დაპირისპირებით და ბუნებისათვის უპირატესობის მინიჭებით ჯერადი მოგვიწოდებს, მივატოვოთ ჩვენი ნივთიერი სამყარო, რომელიც აღსავსეა მანკიერებით და დაებრუნდეთ ამ სამყაროს ბიწიერებასაგან თავისუფალ ბუნებაში.

„პროცესიები“ იწყება სიკეთისა და ბოროტების შესახებ მსჯელობით. ამქვეყნად სიკეთე და ბოროტება განუყრელია. სიკეთეს აღამიანი იძულებით სჩადის, ბოროტება კი მუდამ თან ახლავს, ხალხთანაა სამარის კარამდე:

სიკეთე ხალხში კეთდება ძალდატანებით (იძულებით).
ბოროტება კი აღამიანებში არ ჰკრება,
თუნდაც დამარხხენ-10.

პოეტის თქმით, აღამიანის მოღვაწეობა ზღვარდებულია, მოკლებულია აქტიური მოქმედების შესაძლებლობას და მთლიანად ბედისწერაზეა დამოკიდებული. ხალხს ძალა არ შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს მას. იგი ხალხს ჯოგს ადარებს, რომელსაც მართავს მწყემსის ხმა და ამ ხმითაა განპირობებული მათი საქმიანობა:

ხალხის უმეტესობა ხელსაწყოებია, რომელსაც ამოძრავებს
ბედისწერის თითები ერთხანს, შემდეგ ამსხვრევს...
საუკეთესო ხალხი ჯოგია, რომელსაც ერეკება
მწყემსების ხმა, ხოლო ვინც არ მიყვება იღუპება!¹¹

„პროცესიებში“ შემავალ ერთ-ერთ ლექსში ჯერადან სააშკარაოზე გამოაქვს რელიგიური მოძღვრებების დამახინჩება აღამიანთა მიერ და რელიგიის გამოყენება ანგარებით. რელიგია ხალხის გარკვეული ნაწილის მიზნებს ემსახურება. იგი თითქოსდა ქცეულა სავაჭრო ნივთად. ხალხი ღმერთზე იმითმ კი არ ლოცულობს, რომ სწამს მისი, არამედ ეშინია მოსალოდნელი სასჯელისა: ლოცვის მიზანს მხოლოდ სამოთხეში ადგილის დამკვიდრება წარმოადგენს:

ხალხი, განიოხვის ღღის სასჯელის რომ არ ემიოდეს, არ
ემონებოდ
მეუფეს და, ჭილღოს [საიქიოსი] იმედი რომ არ ჰქონდეს,—
ურჩმუნო გასდებოდა.
თითქოსდა რელიგია ერთ-ერთი სახე იყოს მისი საქონლისა,
თუ შეუპოვარი იქნება მოიგებს. თუ უყურადღებო—იზარა-
ლებს!¹²

⁹ Розанов М. Н., Ж. Ж. Руссо и литературное движение конца XVIII и начала XIX в., т. I, М., 1910, გვ. 61.

¹⁰ ჯერადან ხალხი ჯებრანი, დასახ. კრებული, გვ. 353.

¹¹ იქვე, გვ. 353.

¹² იქვე, გვ. 355.

ამ ლექსის განხილვისას ალფერდ ხური წიგნში „არაბული სიტყვა ემიგრაციაში“ საინტერესო პარალელს ავლებს ჭებრანსა და X—XI ს. დიდ არაბ პოეტსა და მოაზროვნეს აბულ-ალას შორის (თუმცა ამით იგი სრულებითაც არ ამბობს, რომ ჭებრანს აბულ-ალას გავლენით დაეწეროს ეს სტრიქონები): „აქ ჭებრანი საკმაოდ უახლოვდება აბულ-ალას, როცა იგი (აბულ-ალა) ამბობს: თუ ხალხი ემონა ღმერთს ძალდატანებით, მაშინ ეს მონობაა ვაჭრისა და თუ ხალხი ემონა ღმერთს შიშით, ეს მონობაა მონისა, ხოლო თუ ემონა მადლობით, მაშინ ეს მონობაა თავისუფალთა (კეთილშობილთა)“¹³.

სიყვარულისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი გვესაუბრება სულიერ სისპეტაკეს მოკლებული ხორციელი სიყვარულის შესახებ, რომელიც ხალხისთვის ნების მომტანია მხოლოდ:

სიყვარული ხალხში სხედასხვანაირია და მისი უმრავლესობა
სარეველსავითაა ყანაში — უყვავილა და უნაყოფო.
ჭარბი სიყვარული მსგავსია ღვინისა: მცირე
სასაომენოა, ხოლო ბევრი ღვინის მოყვარულთათვის — სასი-
ფათოა.¹⁴

თუ ვინმე დასძლევს ამ ხორციელ სიყვარულს, ვინმე გამოჩნდება ნამდვილი სიყვარულით შეპყრობილი, იგი უცხო და დასაცინია ხალხისათვის, რადგანაც მას (ხალხს) არ ესმის ნამდვილი სიყვარულის არსი:

თუ შეხვედრიხარ თავდაოჩუვებით შეყვარებულს,
მის შიშშილში კმაყოფილებაა, მის წურვილში — დაოცება,
ხალხი კი ამბობს: იგია გიყი, რას უნდა
მოელოდეს სიყვარულისგან ან რა იმედი უნდა ჰქონდეს და
რისთვის ითმენდეს.¹⁵

ჭებრანის გაგებით:

სიყვარულს ეიცნობთ სულში და არა სხეულში.
ვითარცა ღვინის, რომელიც იწურება აღმაფრენისთვის და
არა თხრობისთვის.¹⁶

ამჟეფანად ცხოვრება არაა ბედნიერების მომტანი. მასში სევდა-მწუხარება უფრო ქარბობს. ვინემ სიხარული. მიწაზე მცირდება ცხოვრებით კმაყოფილი.

არც სამართლიანობა სუფევს აქ, ადამიანთა მიერ მოგონილი კანონები ვერ უზრუნველყოფენ მათ თავისუფლებას, იგი ყველაზე თანაბრად როდი ვრცელდება. აქ ყვეოლის ქურდი სულმდაბლად ითვლება, ხოლო ყანის ქურდი განდიდება. სხეულის მკვლელი დამნაშავედ მიიჩნევა და ისჯება. სულის მკვლელი კი — არა:

ყვავლის ქურდს კიცხვენ და ამდაბლებენ.
ყანის ქურდი კი იწოდება ვაჟაკად.
სხეულის მკვლელს სიკვდილითვე მიუზღავენ სამაგიეროს,
სულის მკვლელი კი უცნობია ხალხში.¹⁷

¹³ خورى الفرد، الكلمة العربية فى المجر، بيروت، ١٩٦٠، ص ٣١١

¹⁴ ჭებრან ხალილ ჭებრანი, დასახ. კრებული, გვ. 359.

¹⁵ იქვე, გვ. 359.

¹⁶ იქვე, გვ. 360.

¹⁷ იქვე, გვ. 355.

ამქვეყნიური ცხოვრება ძლიერისა და სუსტის ბრძოლაა. ძლიერი მუდამ იმარჯვებს, თავისუფლება დამახინჩებულია. არც ცოდნა ფასობს აქ. ნამდვილი მცოდნე უარყოფილია. უცხოა და გარიყული საზოგადოებისაგან.

ტყეში (ბუნებაში) კი სრულიად საწინააღმდეგო სურათია. აქ ვერ შეხვდები ვერც მწყემსსა და ვერც ჭოგს. ტყის (ბუნების) ცხოვრება არ იცნობს დარდსა და მღელვარებას, ზრუნვასა და უზრუნველობას, არც ამქვეყნიურ რელიგიასა და ურწმუნობას: არ არსებობს ცოდვები, რომლებსაც სჩადიან და რომლისთვისაც ისჯებიან; არაა მასში ძლიერისა და სუსტის დაპირისპირება: არ არსებობს ცოდნა და უეციობა, სიყვილი და საფლავები.

ამქვეყნად ყველაფერი წარმაველია, ყველაფერი ღრობებითაა. მარადიული და უკვდავი მხოლოდ საღამური და მისი ტბილი მელოდიაა.

„პროცესიების“ ერთ-ერთ ლექსში ჭებრანი ეხება სულისა და სხეულის ურთიერთდამოკიდებულებას, აიგივებს და ვერ ხედავს მათ შორის განსხვავებას:

ვერ ვპოვე ტყეში განსხვავება
სულსა და სხეულს შორის.
ჰაერი წყალია, რომელიც ლივლივებს,
ნაში კი წყალია უძრავი.
სურნელება ყვავილია, რომელიც დიდხანს რჩება,
მიწა კი ყვავილია გაქვავებული.
ჩრდილები ალვისა—ალვის ხეა,
რომელსაც ღამე ეგონა და ჩაეძინა¹⁸.

ადრე დაწერილ ლექსში „ჩემო თავო!“ კი გვასწავლის, რომ სხეული სულისთვის ღრობებითი სამყოფელია, რომ სული სხეულთან ერთად არ კვდება და განაგრძობს არსებობას მარადიულად:

ო, თავო, თუ თქვას უეცმა:
სული სხეულის მსგავსად ჭრება
და ის, რაც ჭრება, არ დაბრუნდება;
უთხარი, რომ თუმცა ყვავილები
კვდებიან. მაგრამ თესლი
რჩება, ეს არის მათი მარადიულობა¹⁹.

ხომ არ გვაქვს აქ წინააღმდეგობასთან საქმე? საფიქრებელია, მან „პროცესიებში“ სხეული და სული შეგნებულად გააიგივა. ამ კრებულში იგი ხომ ყოველი გაორების მოწინააღმდეგეა: მითუმეტეს ეს ხდება ლექსის მეორე ნაწილში, სადაც დახატულია ბუნებისეული ცხოვრება. სადაც ყველაფერი ჰარმონიულია და წინააღმდეგობები და გაორებები გამორიცხულია. შეიძლება ეს მიეწეროს უილიამ ბლეიკის გავლენას. რასაც შესაძლებლად მიიჩნევენ აბზს აქსანი და ნაჟმი იუსუფი²⁰.

ამავე აზრს სულისა და სხეულის ერთიანობის შესახებ გამოთქვამს ჭებრანი თავის ერთ-ერთ ფილოსოფიური ხასიათის პიესაში „სვეტებიანი ირამი“²¹.

ჭებრანი აიდეალებს ბუნების (ამ შემთხვევაში ტყის) უბრალო მარტივ ცხოვრებას, მოუწოდებს ხალხს მისკენ, მაგრამ „პროცესიების“ დასასრულს ექვს გამოთქვამს მისი აღსრულების შესაძლებლობაზე. გრძნობს მარცხს და

¹⁸ იქვე, გვ. 361.

¹⁹ იქვე, გვ. 598.

²⁰ აბზს აქსანი და ნაჟმი იუსუფი, დასახ. წიგნი, გვ. 44.

²¹ ჭებრან ხალილ ჭებრანი, დასახ. კრებული, გვ. 584.

იძულებულია აღიაროს, რომ ადამიანი ისე მძლავრად და დაკავშირებული ამ ცხოვრებასთან, ისე მაღალი და მასიური ზღუდეა აღმართული მასა და ბუნებას შორის, რომ ადამიანს არ ძალუძს მისი გადალახვა:

ცხოვრება ტყეში, თუ ღლეები აყინმა
ჩემს ხელში, ნამდვილად ტყეში გაიფანტებოდა,
მაგრამ დროს ჩემში აქვს სურვილი,
და ყოველთვის, როდესაც ვისურვებ ტყეს, იწყებს თავის
მართლებას.

განებას აქვს გზები, რომელთაც არ ცვლის,
და ხალხს არ ძალუძს განხორციელება თავისი მიზნის²².

თუ „პროცესებში“ ტყე და სალამური სიმბოლოა ბუნებისა, ლექსში „ზღვა“ მათ ადგილს იკავებს ზღვა და იგი ხდება ჯებრანის მოწოდების საგანი. იგი ხდება ის, რისკენაც ისწრაფის არა მარტო ადამიანი, არამედ ყველაფერი, რომელიც (ზღვა) თამამად აცხადებს: ენერჯია — ჩემია, ქარი, მდინარე, ყველაფერი — ჩემია:

ღამის მყუდროებაში, როდესაც მოიკეცება
ადამიანის სიფხიზლე ფარდის იქით,
იმახის ტყე: მე ვარ ენერჯია, რომელიც
აღმოაცენა მზემ მიწის გულიდან,
მაგრამ ზღვა ღუმს და

გულში ამბობს: ენერჯია — ჩემია.
ამბობს კლდე: ჭეშმარიტად დრომ
აღმართა მე სიმბოლოდ განკითხვის დღემდე,
მაგრამ ზღვა ღუმს და

გულში ამბობს: სიმბოლო—ჩემია.
ამბობს ქარი: რა უცნაური ვარ
გამყოფი ნისლისა და ცისა,
მაგრამ ზღვა ღუმს და

გულში ამბობს: ქარი—ჩემია...
ამბობს ფიქრი (აზრი, იდეა): მე ვარ მეფე ჭეშმარიტად,
არა არს სამყაროში მეფე ჩემ გარდა,
მაგრამ ზღვა ღუმს და
ძილში ამბობს: ყველაფერი—ჩემია²³.

ჯებრანის შემოქმედების ზოგი არაბი მკვლევარი აცხადებს, რომ მან განიცადა შუასაუკუნოებრივი აღმოსავლური ფილოსოფიური მიმდინარეობის სუფიზმის გავლენა. ადრე ნასჯარი უფრო შორსაც მიდის და მას სუფიზმის მიმდევრადაც კი აცხადებს²⁴. მაგრამ ისინი თითქმის არაფერს ამბობენ, თუ როგორ და რაში გამოიხატა ეს. თავს არიდებენ კონკრეტული მაგალითების მოყვანას.

რა შეგვიძლია ვთქვათ ამის შესახებ? თუ დავუშვებთ, რომ ჯებრანი მიმდევარია სუფიური მოძღვრებებისა, მაშინ მისი ლექსების ციკლში „პროცესები“ და ლექსში „ზღვა“ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტორი ტყით, სალამურითა და ზღვით ბუნებას კი არ გამოხატავს, არამედ სიმბოლურად — ღმერთს. რო-

²² იქვე, გვ. 364.

²³ იქვე, გვ. 606.

²⁴ عادل نصار «الرؤيا الاجتماعية في ادب جبران بين الرومنية و الصوفية» الطريق

მელიც სუფიების გაგებით წარმოადგენს ადამიანის სიყვარულის, სწრაფვის საგანს. რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება ესაა მოსამზადებელი ეტაპი. გზა, სადაც იგი თავისი ამქვეყნიური ტკობისა და ნივთიერი სურვილების დათრგუნვით, საკუთარი თავის განწმენდისა და საკუთარი სიცოცხლის გაქრობის საშუალებით აღწევს თავის უმაღლეს მიზანს — შეერწყმის ღმერთს. თუნდაც ჯებრანი ბუნებისაყენ მოწოდებაში გულისხმობდეს მოწოდებას ღმერთისაკენ. არ ნიშნავს, რომ ამას აკეთებდეს სუფიზმის გავლენით. როგორც ცნობილია. დასაუღეთის რომანტიკოსების მოწოდება ბუნებისაყენ გაგებული იყო როგორც მოწოდება მიმართული თანამედროვე ცივილიზაციის, ცრუ კულტურის წინააღმდეგ და კიდევ როგორც მოწოდება: დაეუბრუნდეთ ჩვენს შემქმნელ მამა უფალს.

შეიძლება ითქვას, რომ ჯებრანის ლექსებიდან სუფიზმთან ყველაზე უფრო ახლოს დგას ოთხბერიანი ლექსი „სუფი“.

მადლობა ღმერთს, რომელიც არაა საკუთრება და არც სიმღერა.

არც მეგობარი, არც შვილი და არც ნათესავი.

დაუღიარო მიწაზე, ვითარცა მოჩვენება, რომელსაც ვერაუ-

ვერ ხედავს ვარდა

იმიან. ვის თვალებშიც მოჩვენება იფარება.

ჩვენ სული ვართ და თუ გვითხარით „საოკარა!“

კიტყვი: თქვენი მეუფე თქვენს სხეულში საოკარებაა²⁵.

ჯებრანის პროზაულ ნაწარმოებებში ხშირად შევხვდებით იმ აზრს, რომ ყოველივე არსებული გამოვლენაა ღმერთისი არსისა. რომ „იგი (ღმერთი) ყველაფერი ყველაფერში“, რომ ადამიანი ღმერთმა შექმნა. სუფიებმა ძირითადი დებულება — სიყვარული ღმერთისადმი — ადამიანს მოველონება (ჯებრანთან) ღმერთის შთაგონებითა და ნებით, მაგრამ — მაინც მწერლოს ნაწარმოებების გმირების სიყვარული ადამიანებისადმი მიმართული: ძალიან ძნელია იგულისხმო იქ ღმერთისადმი სიყვარული, თუ მხედველობაში არ მივალთ ერთადერთ შემთხვევას „მოციქულში“, სადაც სიყვარულის საბოლოო მიზანია ადამიანი მიიყვანოს ღმერთამდის.

ჯებრანის ნაწარმოებთა ზოგიერთი გმირი უარს ამბობს საზოგადოებაში ცხოვრებაზე. განუდგება მას და არჩევს განმარტობით ცხოვრებას. მაგრამ ეს არ ხდება ღმერთის სიყვარულით. რომ განმარტობაში. ცხოვრებისეული სიამტკბილობის უარყოფაში და ხორციელი მიწარაფებების დათრგუნვაში პოვოს თავისი უმაღლესი იდეალი. არამედ ეს ხდება თანამედროვე საზოგადოებისადმი პროტესტის ნიშნად.

ჯებრანმა მთელი თავისი ცხოვრების შეგნებული წლები ამერიკის შეერთებულ შტატებში გაატარა. ხოლო ბეირუთის „სიბრძნის“ სკოლაში სწავლისას მისთვის ძნელი იყო დეტალურად გასცნობოდა არაბული ლიტერატურის ისტორიასა და სუფიურ მიმდინარეობას, მისი ღიდი წარმომადგენლების შემოქმედებას. მისი სტატიები სუფიების აღ-ფარდისა და აღ-ღაზალის შესახებ მცირე ზომისაა და ვერავითარ მყარ წარმოდგენას ვერ გვიქმნის ავტორის ცოდნაზე ხსენებული სუფიების შესახებ. ემიგრაციაში კიდევ უფრო ძნელი იქნებოდა საჭირო სიღრმით გაცნობოდა სუფიზმს. ამასთანავე მეტად საყურად-

ლებო და საინტერესოა ჯებრანის მეგობრისა და თანამოკალმის მ. ნუაიმეს ნა-
ამბობი, საიდანაც ირკვევა, რომ მას (ნ. ნუაიმეს) არ ჰქონდა სუფი ჰალაქას ნა-
წარმოებები წაკითხული. აქვე იგი უმატებს, რომ ჩვენ („არ-რაბიტა ალ-კალა-
მის“ წევრები) საერთოდ არაბულ ლიტერატურასა და ისტორიას ვეცნობო-
დით შემთხვევით ხელში ჩაეარდნის არაბული წიგნებითა და ნასიბ არიდას
 („არ-რაბიტა ალ-კალამის“ ერთ-ერთი წევრი). როგორც არაბთა წარსულის
ყველაზე უკეთ მცოდნის, ნამბობით²⁶.

ამასთანავე მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ სუფიზში, როგორც ფი-
ლოსოფიური მიმდინარეობა, ჩამოყალიბდა და განვითარდა გარკვეულ ისტო-
რიულ პირობებში. გარკვეულ საზოგადოებრივ წყობილების დროს. ხოლო
XX საუკუნის პირველი ნახევარი სულ სხვა ეპოქაა. ცხოვრების სულ სხვა
პირობები. მოთხოვნალებები და პრობლემები დგას, სულ სხვა საზოგადოებ-
რივ წყობილებასთან გაქის საქმე. ამ დროს თუმცა აღმოსავლურ სამყაროში
ერ კიდევ არიან სუფიზმის მიმდევარი პოეტები, მაგრამ არა აღმოსავლურ გა-
რემოში მცხოვრები მწერალი საეჭვოა იყოს სუფიზმის მიმდევარი. ჩვენ შეგ-
ვიძლია დავუშვათ. რომ ჯებრანს გარკვეული ზომით განეცადოს სუფიური
ლიტერატურის სტილის ერთგვარი გავლენა. ზოგი რამ გადმოელო მისგან ან
კიდევ ეს მიბაძვით გაეკეთებინოს. მაგრამ მისი მსოფლმხედველობის სუფი-
ურად. ხოლო თვითონ მისი სუფიად მიჩნევა გადაჭარბებულად გვეჩვენება.

М. В. КУТЕЛИА

«ПРОЦЕССИИ» ДЖЕБРАНА ХАЛИЛА ДЖЕБРАНА

Резюме

В цикле стихотворений под общим названием «Процессии» Джеб-
ран Халил Джебран реальною жизнь сопоставляет с природой. Отда-
вая предпочтение последней, он символически выражает свою идею —
возврат к природе.

В одном из стихотворений этого цикла Джебран отождествляет
тело с душой, не находит между ними разницы, тогда как в стихо-
творении «Душа моя» он считает, что тело есть временное обиталище
души и признает ее бессмертие. Мы считаем, что здесь автор созна-
тельно допускает отождествление души с телом, может быть, под влия-
нием Уильяма Блейка.

Часть арабских исследователей творчества Джебрана считает его
последователем суфизма, но не приводит соответствующих доказа-
тельств. По нашему мнению, не исключено, что стиль суфийской ли-
тературы оказал определенное влияние на творчество писателя, однако
было бы несправедливо считать его суфием.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
წერეთელმა

აკოლონ სილაბაჰე

არაბული ბეითის აგებულებისათვის

ენობილია, რომ ე. წ. 'ილალის გადახრათა წესების მოქმედება კლასიკურ არაბულ ლექსში რეგულარული და აუცილებელი ხასიათისაა განსხვავებით ზ-ჰჰჰჰჰის წესებისაგან, რომელთა გამოყენება ფაკულტატურია'. ეს იმას ნაშნავს, რომ ა'რჰდი და დარბი — ბეითის პირველი და მეორე ნახევარხანების ბოლო ტერფები — ერთი უცვლელი ვარიანტებით უნდა იქნეს წარმოდგენილი მთელი ლექსის მანძილზე. ზოგიერთი თანამედროვე არაბი კერსიფიკატორი ამ წესს ავრცელებს მოდერნისტულ ლექსზეც¹.

ენობილია ისიც, რომ კლასიკურ პოეზიაში აღნიშნული სიტუაცია ყოველთვის არ არის ზუსტად დაცული. ამრიგად, საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს. გასაანალიზებლად ავირჩიეთ ვ. ალვარდტის მიერ გამოცემული ისლამადელი პოეტური ნიმუშები².

აღნიშნება ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ფაქტი: 1. ლექსების ერთ ნაწილში, გარდა დარბისა და არულისა. უცვლელად მეორდება თითოეული ნახევარხანის ბოლოსწინა (დარბის- და არულისწინა) ტერფები. ასეთ ტერფებს პირობითად ვუწოდებთ დამატებით დარბსა და დამატებით არულს. 2. ლექსების მეორე ნაწილში საერთოდ არა გვაქვს უცვლელი დარბი და უცვლელი არული. ამ ორივე წესის გამოყენების სფერო ზუსტად ფიქსირდება. პირველი ფაქტი დასტურდება 5 შემთხვევაში: ა) სარი'ში, როდესაც იგი არის mustaf'ilun mustaf'ilun fa'ilun სქემის წარმომადგენელი; კრებულში სარი' გვხვდება ოთხჯერ, აქედან ჩვენთვის საინტერესო ტიპი — ერთხელ; ლექსი ხუთსტრიქონიანია, ხუთსავე შემთხვევაში გვაქვს დამატებითი დარბი და დამატებითი არული. ბ) რაჯაზის მეორე ნახევარხანაში, როდესაც იგი mustaf'ilun mustaf'ilun mus ფორმითაა წარმოდგენილი. კრებულში რაჯაზი ოთხჯერაა მოცემული, ხსენებული ფორმა — ორჯერ; ამ ტიპის სტრიქონთა რაოდენობა რვაა, დამატებითი დარბის გამოჩენის სიხშირე უდრის 100%. გ) მუთაკარიბში, თუ მას აქვს ან fa'ṣlun fa'ṣlun fa'ṣlun fa'ṣlun, ან fa'ṣlun fa'ṣlun fa'ṣlun fa'ṣlun სახე. სულ გვხვდება ცხრა მუთაკარიბი, ცხრავე მოცემულ სქემებს ემთხვევა. სტრიქონთა რაოდენობა 103-ია. დამატებითი დარბისა და დამატებითი არულის ხმარების სიხშირე — 100%. დ) მადიდში, როდესაც იგი fa'ilatun fa'ilun fa'ilun ტიპისაა. წარმოდგენილი ორივე მადიდი ამ სახისაა. სტრიქონთა რაოდენობა 35-ია, დამატებითი დარბისა და არულის ხმა-

¹ G. Weil. 'Arūḍ. El. vol. I. London, 1960. გვ. 671.

² Nāzik al-Malā'ika. Qaḍāya-ḡ-ḡir al-mu'āṣir. Bayrūt. 1967. გვ. 73—74.

³ The Divans of the Six Ancient Arabic Poets. ed. by W. Ahlwardt. London, 1870.

რების სიხშირე—100%. ე) ბასიტში, თუ იგი მოცემულია mustaf'ilun fa'ilun mustaf'ilun fa'ilun ან mustaf'ilun fa'ilun mustaf'ilun maf'sil დორმეზით. გვაქვს 22 ბასიტი; ერთის გამოკლებით, ყველა ლექსი მოცემულ სქემებს ემთხვევა. ამ ტიპის სტრიქონთა რაოდენობა უდრის 329-ს, დამატებითი დარბისა და დამატებითა არუდის ხმარების სიხშირე — დაახლოებით 97,3% („არასწორ“ სტრიქონთა რაოდენობაა ცხრა).

მეორე ფაქტი, ე. ი. დარბისა და არუდის პოზიციაში უცვლელი ტერფის უქონლობა, დასტურდება რაჯაზის (13 სტრიქონი), ბასიტის (17 სტრიქონი), რამალის (65 სტრიქონი), ქამილის (274 სტრიქონი) ზოგიერთ სახეობაში. დანარჩენ შემთხვევებში გვაქვს ტრადიციული დარბი და არუდი (სარი'ი—3 სტრიქონი. მუნსარიჰი—9, ქამილი—97, ვაფირი—386. ტავალი—1318).

დამატებითი დარბისა და დამატებითი არუდის არსებობის გამო გასაანალიზებელ სეგმენტად ავირჩიეთ არა თითოეული ნახევარხანის ბოლო ტერფი. არამედ ნახევარხანათა აბსოლუტურ ბოლოში მყოფი სეგმენტი, რომელიც ტრადიციული დაშლით ორ ტერფს უდრის (იხ. ტაბულა).

	მ ე ტ რ ი	I ნახევარხანა	II ნახევარხანა
I	ბასიტი	— — — — / — — —	— — — — / — — — —
	ბასიტი	— — — — / — — —	— — — — / — — — —
	მადიდი	— — — — / — — —	— — — — / — — — —
	მუთაკარიზი მუთაკარიზი	— — — — / — — —	— — — — / — — — —
	სარი'ი	— — — — / — — —	— — — — / — — — —
	რაჯაზი	— — — — / — — —	— — — — / — — — —
II	ტავალი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —
	ტავილი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —
	ტავილი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —
	მუნსარიჰი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —
	სარი'ი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —
	ვაფირი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —
III	ქამილი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —
	ქამილი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —
	ბასიტი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —
	რამალი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —
	რაჯაზი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —
	რაჯაზი რაჯაზი რაჯაზი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —
ქამილი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —	
ქამილი	— — — — / — — — —	— — — — / — — — —	

ტაბულის პირველ ნაწილში მოცემული ზომები გვიჩვენებს, რომ დარბი და არუდი წარმოდგენილია უცვლელი ფორმით, ასევე უცვლელია მათი წინა-მავალი ტერფები (დამატებითი დარბი და დამატებითი არუდი). ტაბულის მეორე ნაწილში შემავალ ზომებში უცვლელადაა მოცემული დარბი და არუდი. ხოლო წინამავალ ტერფებს სხვადასხვა ვარიანტი აქვს. დასასრულ, მესამე ნაწილში იხეთი ზომებია. რომლებშიც ლექსის მანძილზე არაა იდენტური არც ბოლო და არც ბოლოსწინა ტერფები.

ბოლო ტერფები. რომლებიც უცვლელი სახით გვხვდება და რომელთა წინამავალ პოზიციაში მყოფი ტერფიც უცვლელი ვარიანტითაა მოცემული. შემდეგია: $\cup - \cup$, $\cup - \cup$, $\cup - \cup$ ბოლო ტერფები, რომლებიც უცვლელადაა წარმოდგენილი და რომელთა წინა ტერფები სხვადასხვა ვარიანტს გვიჩვენებს. შემდეგია: $\cup - \cup$, $\cup - \cup$, $\cup - \cup$, $\cup - \cup$, $\cup - \cup$. ზემოთყვანილი მონაცემები შედეგია შემდეგი კანონზომიერებების არსებობისა:

1. დამატებითი დარბი და დამატებითი არუდი გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მათ მომდევნო ტერფში — ე. ი. დარბისა და არუდის პოზიციაში გრძელ მარცვალთა ჩაოდენობა უდრის 1-ს.

2. უცვლელი დარბი და არუდი გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც სათანადო სეგმენტში გრძელ მარცვალთა მონაწილეობა უდრის 2-ს.

3. ცვალებადი დარბი და არუდი გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ბოლო ტერფებში გრძელ მარცვალთა ჩაოდენობა უდრის 3-ს (შეიცვლება ბოლოდან მესამე, გრძელი მარცვალი).

რაც შეეხება ზოგიერთ ტერფს, რომელიც ერთი შეხედვით ამ წესებს ეწინააღმდეგება, მისი არსებობა შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად:

ა) $\cup - \cup$ — ბოლო ტერფში, რომელიც გვხვდება 3 მუთაკარბში (ზუჰაირი № 11, იმრუ' ალ-კამისი № 11, 23) და რომლის წინ ეხედვით უცვლელ დამატებით ტერფებს, ბოლო გრძელი მარცვლის პოზიციაში ყოველთვის გვაქვს \cup , რომელიც არ არის სიტყვის კომპონენტი და დამატებულია რითმის გასაძლიერებლად (მაგ., al-mustarḥim). ასეთ შემთხვევებში, როგორც ჩანს, დარბისა და არუდის თვალსაზრისით ტერფი შეიძლება განვიხილოთ ამ დამატებითი ხმოვნის გაჩემე და ჩავთვალოთ ოგი \cup — ტერფის სახეობად. ბ) რამალის ბოლო ტერფების $\cup - \cup$ (ტარფა № 3, 5, 14, იმრუ' ალ-კამისი № 18) პოზიციაში სიტყვა ყოველთვის მოცემულია უფლექსიოდ — მოკვეცილია ერთი მარცვალი, მაგ., (wa bnu)'am. წინა პუნქტის დებულებიდან გამომდინარე, ეს ტერფები შეიძლება განვიხილოთ მოკვეცილი მარცვლის დამატებით და მივაკუთვნოთ $\cup - \cup$ — ინვარიანტს. გ) ბასიტის — ბოლო ტერფის შემთხვევაში დამატებითი დარბის გამოჩენა შეიძლება ავხსნათ გარკვეული საერთო ტენდენციით: მთელ კრებულში⁴ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ბასიტი, რომელშიც არ არსებობს დამატებითი დარბი⁵.

⁴ ანალიზის ფარგლებს გარეთ იქნა დატოვებული კრებულის მხოლოდ 3 ლექსი: იმრუ' ალ-კამისის სარი'ი № 42, მისივე № 55 ბასიტისა და № 54 რაჟაზის პირველი ნახევარხანები, რომელთა ბოლო ტერფები ნორმებიდან აშკარა გადახრას გვიჩვენებს.

⁵ რაც შეეხება ტავილის ბოლო ტერფს $\cup - \cup - \cup$, აქ თეორიულად შეუძლებელია მესამე გრძელი მარცვლის მონაცვლეობა მოკლესთან: ეს მარცვალი ვითარე მაქმუ'ის მახვილიანი კომპონენტია.

ამრიგად, ძველი არაბული ლექსის თითოეული ნახევარხანის აბსოლუტურ ბოლოში უცვლელი სახით მეორდება არა ტრადიციული ტერფი (არუდი და დარბი), არამედ სეგმენტი, რომელშიც აუცილებლად შედის ორი გრძელი მარცვალი.

ეს წესი ადვილად ხსნის, ერთი მხრივ, დამატებითი დარბისა და დამატებითი არუდის არსებობას ლექსების ერთ ნაწილში, ხოლო, მეორე მხრივ — ზოგიერთ ლექსში ბოლო ტერფების უცვლელობას დარღვევის ფაქტებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბოლო ტერფი შეიცავს მხოლოდ ერთ გრძელ მარცვალს, უცვლელი სახით გვევლინება წინამავეალი ტერფის ბოლო გრძელი მარცვალი, რათა მივიღოთ ორი გრძელი მარცვლისაგან შემდგარი ბოლო სეგმენტი (იხ. ქამილის ზოგიერთი ტიპი ტაბულაში); შესაძლებელია ეს წესი განზოგადდეს და მთელმა წინამავეალმა ტერფმა დაიცვას ერთი ფორმა — ვიღებთ დამატებით უცვლელ ტერფებს (იხ. ბასიტისა და მადიდის მაგალითები). იმ შემთხვევებში, როდესაც ბოლო ტერფი შეიცავს 3 გრძელ მარცვალს, ბოლოდან მესამე გრძელ შეიძლება შეენაცვლოს მოკლე, რადგანაც ზემოთ მოცემულის მიხედვით ბოლო უცვლელი სეგმენტისათვის აუცილებელია მხოლოდ 2 გრძელი მარცვალი (იხ. რაჯაზის, რამალისა და ქამილის მაგალითები).

იბადება კითხვა: რა განაპირობებს კლასიკურ არაბულ ლექსში ბოლო უცვლელი სეგმენტის წესის არსებობას?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გადავხედოთ აღნიშნული სეგმენტის დამახასიათებელ გრძელ მარცვალთა შედგენილობას. ირკვევა, რომ ამ საკითხშიც დასტურდება მკაცრად გატარებული კანონი — მთელი ლექსის მანძილზე იდენტური შედგენილობისა არა მარტო ბოლო მარცვლები (რითმა), არამედ ბოლოდან მეორე გრძელი მარცვლებიც (ჩვენი უცვლელი სეგმენტის პირველი დამახასიათებელი კომპონენტი; იგი შეიძლება იყოს ბოლოდან მეორე, ან ბოლოდან მესამე, ან ბოლოდან მეოთხე მარცვლის ადგილზე) შემდეგი წესის მიხედვით: ა) თუ პირველ სტრიქონში ეს მარცვალი დახურულია, ყველა მომდევნო სტრიქონშიც იგი დახურულია; ბ) თუ პირველი სტრიქონის შესაბამის ადგილზე გვაქვს *ā*, ყველა დანარჩენ სტრიქონშიც უნდა გვპოვნდეს *ā*; გ) *ū* და *i* აღნიშნულ პოზიციაში ერთმანეთს ენაცვლება (აღნიშნული კანონზომიერებების არსებობა ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში)⁸.

პირველი წესის ილუსტრაციას წარმოადგენს, მაგალითად, იმრუ' ალ-კამის ის ცნობილი *qifā nabi*, აქ აღნიშნულ პოზიციაში შემდეგი სიტყვებია: *fahāwmalī, wašam'ālī, tağammālī, faranqulī* და ა. შ. მეორე წესის მაგალითად მოვიყვანოთ მისივე ლექსის *da' 'anhā nahlan* შემდეგ სეგმენტებს: *rawāhīlī, qawā'ilī, 'awā'ilī muqātilī* და ა. შ. ამ წესების რელევანტობის ილუსტრაციას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ, მაგალითად, ტავილის — — — ბოლო სეგმენტში იდენტური შედგენილობისაა მხოლოდ ორ ბოლო გრძელი მარცვალი. ხოლო ბოლოდან მესამე არაერთგვაროვანია (ნაწილი — დახურული, ნაწილი — *i* ხმოვანი, ნაწილი — *ū* და *i* ხმოვანი). მოცემული წესების გამოთქმის უმნიშვნელო რაოდენობისა და უმთავრესად ენება იმ შემთხვევებს, როდესაც ორ გრძელ მარცვალს შორის მანძილი უდრის ორ მოკლე მარცვალს.

⁸ W. Wright, A Grammar of the Arabic Language, vol. II, Cambridge, 1933, 23. 353.

დარბისა და არუდის პოზიციებში ტერფების სტრუქტურა, ჩვენი აზრით. მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რითმაზე. ამაზე შრავალი ფაქტი მეტყვევებს:

ა) კლასიკურ არაბულ ლექსში არუდის ტერფის აგებულება განპირობებულია იმით, ერთმება იგი დარბის პოზიციაში მყოფ სეგმენტს, თუ არა. იმ შემთხვევაში, როდესაც გართმევა დასტურდება, ტერფს აქვს ერთი გარკვეული, დარბთან იდენტური სახე, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში — განსხვავებული სახე. გარიოშვა ხდება არა მარტო პირველ ბეითში (აქ იგი თითქმის სავალდებულოა), არამედ ნებისმიერად — ზოგ სხვა ბეითშიც.

ბ) არაბული ლექსის იმ ნიმუშებში, რომლებშიც უარყოფილია მონორითმა, რითმის ცვლასთან ერთად იცვლება დარბის სტრუქტურაც. ასეთი ერთგებაა არა მარტო მუჟაშმაქებში, არამედ სტროფულ ლექსის ისეთ სახეობებშიც, როგორცაა მუხამასი⁷ და სხვ. იგივე ვითარებაა თანამედროვე ლექსში, იქნება იგი ე. წ. ემიგრაციის პოეზიის რეპრეზენტანტი, თუ საკუთრივ არაბულ სამყაროში შექმნილი. სანიშნოდ შეიძლება დავასახელოთ ილიაა აბუ შაბაქას ლექსი *šulratu-l-mawti*⁸, პირველ სტროფში, რომლის სტრიქონებსაც ერთი საერთო რითმა აქვთ. დარბის სტრუქტურაა $\cup \cup$ ხოლო მეორე სტროფში, რომელსაც პირველისგან განსხვავებული გარიოშვა აქვს, დარბადაა $\cup \cup \cup \cup$; ერთმანეთს ერთმება პირველი ნახევარხანებიც და აქაც საგულისხმო სიტუაციაა: მეორე სტროფში არუდს დარბისგან განსხვავებული აგებულება აქვს — $\cup \cup$ მსგავს მავალითს გვაძლევს 30-იანი წლების ერაყული პოეზიის ერთ-ერთი ნიმუში⁹. სტროფის გართმევის სქემაა $xabx; a$ რითმას შეესაბამება დარბის ერთი ვარიანტი, ხ-ს მეორე (პირველ სტრიქონში, მავალითად, a -სთან — სტრუქტურაა, $x-სთან \cup \cup$ —).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არსებობს კლასიკურ არაბულ ლექსში ბოლო უცვლელი სეგმენტი (და, შესაბამისად, ილალის წესის სპეციფიკურობა), ასე უნდა გადაწყდეს: პოზიცია, რომელშიც ეს სეგმენტი გვხვდება, არის რითმის პოზიცია; მასში მარცვლების ერთი გარკვეული წესით განლაგება და მთელი ლექსის მანძილზე გძეღ მარცვალთა ერთნაირი შედგენილობის დაძეღ არის არაბული რითმის სტრუქტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი კომპონენტი (ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ან-ნაბილას ლექსი *'ašitu manāzilān*, რომელშიც გარდა მისა, რომ მოცემულ პოზიციაში ბოლოდან მეორე ყველა გძეღ მარცვალადახურღია, გაკეთებულია უფრო მეტიც: თითოეული მათგანი ერთნაირი აგებულებისაა — თანხმოვანი პლუს $i; an$ ან an კომპლექსი; ეს მარცვალ მომდევნოსთან ერთად ქმნის ერთ რითმას — $innī /-annī; mubinnī, murinnī, mu'annī, faxannī...$), ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ სტრიქონთა ბოლო უცვლელი სეგმენტების სისტემა მკიდრო კავშირშია არაბული ლექსის მონორითმულობასთან.

⁷ ნიმუში იხ., ბე. A. R. Nykl, *Hispano-Arabic Poetry and its Relations with the Old Provençal Troubadours*, Baltimore, 1946, გვ. 120.

⁸ იხ. A. A r b e r r y, *Modern Arabic Poetry*, London, 1950, 58.

⁹ იხ. J ū s u f ' I z z a d-D ī n, *Fi-l-'adab al-'arabī al-ḥadīḡ, Baġdād*, 1967.

А. А. СИЛАГАДЗЕ

О ПОСТРОЕНИИ АРАБСКОГО БЕЙТА

Резюме

В статье анализируются составные элементы последних стоп пустынный классического арабского бейта. На материале донсламских поэтических образцов уточняется поле действия правил 'илал; выделяются три возможных варианта. С целью определения фактора неизменяемости последних сегментов бейта рассматриваются составные компоненты арабской рифмы. Факт неизменяемости последних стоп связывается с монорифмичностью арабского стиха.

იბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. წერეთელმა

შუშანა ფუტაარამი

ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება შალვა დადიანის
თხზულებებში

შ. დადიანის ნაწარმოებთა ენის შესწავლა ცხადყოფს, რომ მწერალი სტილისტიკური ფუნქციით იყენებდა დიალექტიზმებს. დიალექტური ფორმების დიდი ნაწილი ფონეტიკური პროცესების ამსახველია. ფონეტიკური მოვლენებით უმეტესად მდიდარია პერსონაჟთა მეტყველება, თუმცა ისინი ავტორის რემარკებშიც საგრძნობი რაოდენობით შეინიშნება.

1. ბ გ ე რ ი ს დ ა კ ა რ გ ვ ა ქართულში ბგერის დაკარგვა მეტად გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა¹. ამჟამად იგი გვხვდება როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტებში. იკარგება ხმოვნები და ვ, რ, ლ, მ, ნ, გ, ხ, ზ, ს, ჰ, თანხმოვნები. ეს პროცესი ვრცელდება ფუძისეულ და აფიქსისეულ ბგერებზე.

ა) თანხმოვანთა დაკარგვა. „გ“ ბგერა შედარებით იშვიათად იკარგება, ისიც უმეტესად ნაცვალსახელურ ფუძეებში. მაგ., „მ ა ი რ ა თ გ ინ დ ა!“: „ნაპერწყა“, 28; „რ ა ვ ე რ ი ა ე ს?“: „ნაპერწყა“, 9. „მაგრა“ კავშირში „გ“-სთან ერთად იკარგება „მ“-ც: „მ ა რ ა შე მო გ ე ის წ რ ე ბ ს“: IV, 9. ასეთი ფორმები დამახასიათებელია ქართული დიალექტებისათვის².

სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დონის დაყრუბვა-დაკარგვის შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია. უმთავრესად იკარგება ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული „ღ“ ზმნიზედებში. ეს მოვლენა დასტურდება ავტორის, უფრო ხშირად კი პერსონაჟის მეტყველებაში. ავტორის მეტყველება: „შიუგო წ ყ ნ ა რ ა“: 1, 7; „ბ ლ ო მ ა ხ ა ლ ხ ი ი ყ ო“: V, 175; მ ა გ რ ა წ ა ა ე ლ ო ხ ე ლ ი“: II, 114. პერსონაჟის მეტყველება: „ს წ ო რ ე გ ი თ ხ რ ა“: IV, 174; „თ ლ ა მ ე ნ ჯ ი ა“: IV, 386; „ს წ ო რ ა ა ნ გ ა რ ი შ ო ბ ს“: IV, 393; „ი ც ნ ო ბ დ ი ა“: II, 124. დიდად → დიად → დია. ამ ზმნიზედაში დონის დაკარგვა ცნობილია საშუალო ქართულიდან³. პერსონაჟთა მეტყველებაში „ღ“-ს დაკარგვა ხდება მიმართებით ზმნიზედაში „სადაც“. მაგ., „ს ა ც ა უ ნ დ ა თ...“: IV, 8; „ს ა ც ა ი წ ე რ ს“: IV, 170. დონი შეიძლება დაიკარგოს მაშინაც, როცა იგი მოქცეულია ხმოვანთა შორის: „დ ი ო თ ა ლ ი ხ ე ა შ ა ქ ი ა ლ რ ა გ ე წ ყ ა ლ ო ბ ს?“: II, 63; „მ ზ ა დ ა რ ის... დ ი ო თ ა ლ ო“: II, 198. ეს სიტყვა გვხვდება ისტორიულ რომანში „გიორგი რუსი“ და სტილური კომპონენტის როლს ასრულებს.

1 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 24.

2 გ. ა ხ ე ლ დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 203; ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 61; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970, გვ. 70.

3 ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII — XVIII სს. I, თბ., 1964, გვ. 112.

„ე“ ქართულში არ არის მყარი ბგერა. იგი ხშირად იკარგება თითქმის ყველა კილო-თქმაში ბაგისმიერთა მეზობლობაში, თუ სხვა ფონეტიკურ გარემოში. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ე“-ს დაკარგვაში გარკვეული წილი უნდა ედოს ფუძისეულ ლაბიალურ ბგერებს, რომლებიც თითქოს ხელს უწყობენ მის შთანთქმას, მისი არტიკულაციის გაუჩინარებას⁴. ამ პროცესის შედეგი უნდა იყოს დიალექტებში „ე“-ს დაკარგვა სიტყვაში „ბავშვი“. შ. დადიანი პერსონაჟის მეტყველებაში იყენებს აღნიშნული სიტყვის დიალექტურ ვარიანტს „ბაშვი“: „ბ ა ე შ ი ვ იყ ა ე“: I, 50. შეგვხვდა ასეთი ფორმაც „ბოშვი“: „ანგელოზი ბ ო ე შ ი ა სწორედ“: IV, 9. აქ „ე“ ბგერამ იმოქმედა ა-ზე და გადააქცია ო-დ. ბაგისმიერ თანხმოვანთა ხმოვნებზე გავლენის შემთხვევები საკმაოდ გავრცელებულია კილოებში, განსაკუთრებით კი ქანურ-მეგრულში⁵.

შეგვხვდა „ე“-ს სხვადასხვა პოზიციაში დაკარგვის შემთხვევები. „ე“ ვერ ძლებს ხმოვნებს შორის. მაგ., „ეეცხლი გ ა ა დ ვ ი ე“: I, 246; „ნ ე ტ ა ი სულაც არ ამოგერჩიათ“: IV, 7; „ჩემი ს ხ ი ო ს ა ნ ი იმელი?“. „ნაპერწყა“. 147. „ე“ იკარგება ხმოვნებთან მეზობლობაში. „ჩ ი ნ ო ნ ი კ ე ბ ზ ე კ ი ა ზ ვ ა მ ბ ო ბ“: III, 177; „კ ი დ ე უ ტ ქ ე რ ი ს“: IV, 7. „ე“ შეიძლება დაიკარგოს სონორუზთან და ბაგისმიერთანაც: „მ ო მ ხ ი ბ ლ ე ი იყ ო“: V, 131; „და უ ქ ე ვ ი რ ე ბ ლ ო ბ ი ს გ ა მ ო დ ა მ ი ფ უ ნ ა“: V, 169; გ ა გ ე ვ ი კ ი რ ე ბ დ ა ს ა ქ მ ე ს“: V, 184; „ორი დღე დ ა მ ა ყ ო ნ დ ე ბ ა“: IV, 364.

იშვიათად იკარგება თემისნიშნისეული ვინიც: „და ე ა ნ ა ხ ე თ მთავრობას“: III, 175; „გულის ფ ე თ ქ ი ს შესაწყვეტად“: I, 115. შეიძლება დაიკარგოს შუალობით კონტაქტში სუფიქსისეული „ე“. მაგ., „დაბირებამ გ ა გ ვ ა ბ ე დ ი ნ ა“: V, 207; „ერთი ათასი დ ა ე ა ბ ე ქ დ ი ნ ე“: IV, 193.

საანალიზო მასალაში სპირანტი „ზ“ იშვიათად იკარგება. მავალითები გვხვდება იმ პერსონაჟთა მეტყველებაში, რომლებიც მწერალს აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრად ჰყავს ნაგულისხმევი. „ზრდ“ კომპლექსში ხდება რე-დუქცია (ზ→ძ→ძ) და დაკარგვა⁶. მაგ., „ეგრე, ჩემო გ ა რ დ ი ლ ო“: I, 366. „ზ“ იკარგება ხმოვანთა შორისაც. „როგორ თუ წაურთმევიათ? — ლ ა მ ა ა თ“: IV, 250.

პერსონაჟთა მეტყველებაში ზმნიზედა „ძალიან“ ზოგჯერ გვევლინება შემოკლებული ფორმით „ძაან“. „ი“ ხმოვანთან ერთად დაკარგულია ლასიც. ანალოგიური მავალითები შენიშნულია აგრეთვე XIX საუკუნის ზოგიერთი მწერლის ენაშიც⁷. მაგ. „ძ ა ა ნ კ ა ც ი ა თ უ რ მ ე“: IV, 16. ზმნიზედა „სულ“ ხანდახან გვხვდება ლასის გარეშე: „ს უ დ ა მ ბ ნ ი ე ს“: IV, 85; „ს უ ე რ თ ი ა ნ არ

4 ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

„ბაშვი“ გავრცელებული ფორმა იყო მე-19 საუკუნის სალიტერატურო ენაში: ამ ფორმას ვხვდებით ი. კუპკუაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის, შ. არაგვისპირელის ე. ნინოშვილის ნაწერებში (იხ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1970, გვ. 12).

5 ი. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 184; ს. ე ლ ე ნ ტ ი, ქანურ-მეგრული ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 128; ს. ე ლ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956, გვ. 218.

6 გ. ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218; ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120; ლ. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, რ. ერისთავის თხზულებათა ენის თავისებურება „მაყნე“ 1965, 4, გვ. 184; გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული დიალექტი, I, თბ., 1974, გვ. 140.

7 გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული დიალექტიზმები XIX საუკუნის მწერალთა ნაწერებში, იქვე, XVI, 1968, გვ. 82.

დაულუპივართ?!: IV. 266. თანხმონენებს შორის „ლ“ იკარგება უპირატესად სონორებთან მეზობლობაში: ლმ—ბ: „უნდათ ხე მწიფე ჩამოაგდონ“: III. 122; „ჩემი რჯულის მადმა“: III, 107.

მანის დაკარგვა ნიშანდობლივია ქართული დიალექტებისათვის⁸. შ. დადიანის თხზულებებში „მ“ იკარგება როგორც ავტორისეულ, ისე პერსონაჟთა მეტყველებაში. „მ“-ს დაკარგვა ხშირია სიბილანტ-ფორიკატებთან და გუტურალებთან მეზობლობაში: მქ, მც, მღ: „ჰადი გატყდება“: I, 153; „მზის ცხუნვარებით გადაუვლია“: I, 82; „მოდო მარი განაგრძობდა“: II, 12.

ქართული ენის ბევრი დიალექტის მსგავსად მწერლის თხზულებებში „რომ“ და „რატომ“ სიტყვებში დაკარგულია „მ“: „რო დავპატიეო“: IV, 256; „რატო სამსახურში არ ხარ?“: „ბარათაშ“.. 88.

სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში „მ“ იკარგება უშუალოდ ხმოვნის მომდევნოდაც და თანხმონენის შემდეგაც. „...თორე ამათ დამაბნეის“: IV. 85: „რასა იქს“: II, 82.

პერსონაჟთა მეტყველებაში „ნ“ იკარგება სახელებშიც და ზმნებშიც: „პაღური ამას“: III, 48; „შენ იცი, ნაჩალიკო“: IV. 38: „საყაა გაჩდება“: IV, 10. გვხვდება შუალობითი კონტაქტის სუფიქსისეული წარის დაკარგვის მაგალითებიც: „სადილს გაგამართვიე ბს“: IV, 23: „ხელს დავაკარებე ბე ბთ“: IV, 23; „უსამართლობას ჩავადენე ბ“: „ბარათაშ“.. 20; „ღამეს ათევიე ბლი“: IV, 301.

„ებრ“ თანდებული იშვიათად გამოყენებულა რაეს გარეშე: „იყო შეთხზული ყურთმაჯასებ“: V, 259. „რ“ იკარგება „ბრძ“, „ბრტყ“ ძირებში: „მიბძანეთ“: 1. 129: „შემქდოს... მიგაბტყელებდი“: IV, 86. ბრტყ—ბტყ ჭერ დაიკარგა „რ“, შემდეგ „ბტყ“ კომპლექსში ნაწილობრივი კონტაქტური ასიმილაციის შედეგად „ბ“ იქცა „პ“ ყრუ ბგერად. პერსონაჟთა მეტყველებაში სიტყვა „ეხარსკვლავი“ ხშირად რაეს გარეშეა: „მასკვლავს ვეძახით“: 1. 390.

სანი ზოგჯერ არ გვხვდება მსაზღვრელად გამოყენებულ ჩვენებით ნაცვალსახელებთან: „ცხოვრობს იკაცი“; 1. 122: „ამევილა ე ხალხი“: IV, 21. მსგავსი ეთარებაა სხვა მწერალთა ნაწარმოებებშიც⁹. „ს“ დისიმილაციით იკარგება „სზ“ კომპლექსში. ამიტომ „მას“ და „ვის“ ნაცვალსახელები „ზე“ თანდებულის დართვისას კარგავენ მიცემითი ბრუნვის ნიშანს. მაგ. „არავიზე არ არის“: V, 239; „მაზე დუფროსი იყო“: V, 89.

აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლებად ნაგულსხმვე პერსონაჟთა მეტყველებაში მიცემით-ნათესაობითის ბრუნვის ნიშნისეული „ს“ თანხმოვანდუმიან სახელებთან იკარგება: „ნუ გეშ ვაძლე“: V. 303: „კედლი გაზეთებში არი“: IV. 251: „თოთი ტოლა ბაეშვი“... IV. 265. ეს მოვლენა ფართოდაა გავრცელებულ კახურში¹⁰. ამავე პერსონაჟთა მეტყველებაში შეინიშნე-

⁸ ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი. გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 54: გ. ი მ ნ ა ი შ ვ ე ლ ი. ბორჯომის ხეობის ქართული თაისებურებანი. ივე. VIII. 1956. გვ. 93: პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, ივე. VIII. 1956. გვ. 22: ქ. ძოწენიძე, ქვემოივრულის უხეთური მეტყველება, ქუთაისის უღ. ინსტიტუტის შრომები, VIII. 1948, გვ. 43.

⁹ ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე. ილიას ქართული, საიუბლეო კრებული. 1957. გვ. 209, 217: ე. კ ო შ ო რ ი ძ ე, ვასილ ბარნოის ენა ისტორიული რომანებზე მიხედვით. თბ., 1966. გვ. 57.

¹⁰ ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი. გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

ბა ხანის დაკარგვა სიტყვის თავშიც: „ტაქან ლინოზე.. არ იმღერებს?“. IV, 265.

„ცხუ“ კომპლექსი მარტივდება „ხ“-ს დაკარგვით. ეს მოვლენა დასტურდება ძველ ქართულშიც¹¹. შ. დადიანის თხზულებებში მაგალითები თანაბრად გვხვდება ავტორისა და პერსონაჟის მეტყველებაში. „ის არ შეურაცყოფს“: II, 227; „ვინ ბედავს ჩემს შეურაცყოფას“: I, 54. „ხ“ იკარგება მაშინაც, როცა ფუძეში თავს იყრის ორი „ხ“. მაგ., „ნუ სწუხარ, ბებია“: I, 103.

ირიბი ობიექტის III პირის ნიშნად ხმარებული „ჰ“ ხშირად დაკარგულია: „სოფელი შეჭერებული ყავს“: IV, 10; „ჰაერი აღარ ყოფნიდა“: II, 28; „მაგას ქონდა“: II, 213; „არ გაედა“: II, 263.

პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება ცალკეული სიტყვებისაგან ბგერის, ზოგჯერ მთელი მარცვლის მოკვეციან შემთხვევები. სპეციალურ ლიტერატურაში ეს პროცესი ცნობილია ჰიპლოლოგიის სახელწოდებით¹². „მარა ვუყოთ!“: 259. (მამუ—მა); „რა იყო, ქა“: IV, 249 (ქალო→ქა); „პინდა, კოწერა—კითხვა ეიცოდე“: „ნაპერწყ.“ 9 (ბიჭო→ჭო); „წიგნი დასწერე. გო: II, 189 (გო—გო→გო).

ბ) ხმოვანთა დაკარგვა. „ა“ მოკვეცილია რთულ ზმნისწინში „გარდა“. როცა მას მოსდევს ქტევის ან გვარის პრეფიქსი: „გარდეშალა“: I, 121; ყოველივე გარდიელი“: IV, 232. „ა“ დაკარგულია კითხვით ზმნიზებაში „სად“: „სიდან მოდიხარ?“ I, 14.

იკარგება „ვე“ ნაწილაკისეული „ე“: „ახლავე გამოგვხანნი“: II, 190; „იქვე ლოტულობს. იქვე სწავლობს“: I, 70. ანალოგიური მაგალითები ქარბად გვხვდება ხევსურულში¹³.

მოკვეცილია „ოდე“ ნაწილაკის დასაწყისი ხმოვანი. ამ ნაწილაკს ძველად „ნ“ ჰქონდა ბოლოში. საანალიზო მასალაში გვხვდება ძველი ფორმითაც: „ჩვენ დენი ჰყავს“: IV, 8; „მართოდენ უსმენდა“: II, 120; „მართოდენ დავიწინდები“: II, 99; „მომილოცნია... ეს დენ დავეირვეცნება“: I, 163. ესეოდენ→ესოდენ→ესდენ. მოვლენა ცნობილია ძველი ქართულიდან¹⁴.

გ) ხმოვანთა რედუქციის თავისებურება. რედუქცია ქართულში საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. ცნობილია, რომ ხმოვანთა რედუქცია უფრო გავრცელებული და ძლიერი უნდა ყოფილიყო ძველად ქართველური ენების ერთობის ხანაში. ახალ ქართულში კი ეს მოვლენა საკმაოდ შენელებულია, რაც ახსნილია მახვილის შესუსტებით¹⁵. მოქმედ დინამიკურ მახვილს აღარ აქვს ხმოვნის სინკოპირების ის ძალა, რომელიც წინარე ისტორიულ ქართულში გააჩნდა¹⁶. რედუქცია ამჟამად არ არის ერთნაირად გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში. „ცოცხალი კილოებიდან რედუქცია უფრო

11 ნ. სარჩველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1957, გვ. 92.

12 გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

13 ა. კინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 92.

14 ნ. სარჩველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

15 გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 216, 250.

16 არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, სმამ, III, № 2, 1942, გვ. 299.

ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო დასავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული¹⁷.

შ. დადიანის ენაში გვხვდება საკმაო რაოდენობის საპირისპირო მაგალ-
თები. როცა ერთი და იგივე სიტყვა ხან ექვემდებარება რედუქციას, ხან არა.
ფორმათა მსგავსი სიჭრელე შეინიშნება არა მარტო დღევანდელი ქართულას
დიალექტური ჯგუფების შედარებისას, არამედ ძველ ქართულშიც და ისიც
ერთსა და იმავე ძეგლში¹⁸. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ თანამედროვე ქარ-
თულის რედუქციაში ფორმები ურედუქციოა ძველ ქართულში ან ზოგჯერ პი-
რუქუ¹⁹. მაგალითები ტექსტიდან: „გადავწყვიტოთ ჯ ვ რ ი ს წერა“: II, 87; „გა-
მოცხადდა ჯ ვ ა რ ი ს წერა“: II, 162, „შაქარა მ ხ ე ვ ლ ი ს ძმა“: II, 245, „ვა-
ეგე მ ხ ე ვ ა ლ ი ს სახელი“: II, 245; „ს უ ლ თ ნ ი ს შვილები არიან“: II, 79
„ს უ ლ ტ ა ნ ი ს წარმომადგენელი“: II, 212; „დევწია გ ა მ რ ე კ ე ლ ი ს წინა-
მძღოლობით“: II, 304; „ისვენებდნენ მხედრები გ ა მ რ ე კ ლ ი ს სპისა“: II,
302.

შ. დადიანი თავის თხზულებებში რედუქციის მხრივ ძირითადად თანამედ-
როვე სალიტერატურო ენის ნორმებს იცავს, მაგრამ ავტორისა და პერსონაჟის
მეტყველებაში ხშირად ვხვდებით უკუმშველ ფორმებსაც. ეს ფაქტი იმაზე მი-
უთითებს, რომ მწერლის ენა განიციდის დასავლური დიალექტების გავლენას,
სადაც რედუქცია საკმაოდ შესუსტებულია²⁰.

შეუკუმშავია „ა“: „მიიკიტანის ჭკრივთან აქ საქმე“: IV, 269;
„წყალის მაქქერალი“: IV, 87; „მოყვარულად იხლართება“: IV, 181;
„ჩოგანით ბურთაობს“: II, 160; „დაუნახავს ამ მხარიდან აც“: II, 205;
„არ ზოგავდა ხანის შეუფერებლობას“: II, 176; „არ უნდოდა მწყემს-
მთავარის შეწყუბება“: II, 167.

შეუკუმშავია „ე“: „აღმაშენებელის ტახტი“: II, 32; „ფერვა
საკუთრველისა“: II, 149; „სარქველის მოხდის დროს“: II, 146;
„მოვირთვებოდით სამოსელით“: IV, 137; „მტვერის ყლაპვა“: IV, 187.

„ე“-ზე დამთავრებული ზოგი კვეცადი სახელი ბოლოკიდურ „ე“-ს ინარ-
ჩუნებს. ეს მოვლენა ცნობილია კახური დიალექტიდან და დადასტურებულია
საერო მწერლობის ძეგლებში²¹. „საკაცეთი გადაწყავად გოორგი“: II,
112.

შეგვხვდა „უ“ ხმოვნის რედუქციის — ხმოვნიანობის დაკარგვის რამდე-
ნომე შემთხვევა. „უ“ ხმოვნიანობას კარგავს მომდევნო „ა“ და „ე“ ხმოვნებთან
მეზობლობაში; უა→ეა, უე→ეე²². მაგ., „საშვალეხას მოგვემს“: IV, 385;
„ვეზდის ქალაქში წავიდა“: IV, 17.

2. ბ გ ე რ ა თ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა. ქართულ ენაში გარკვეულ ფონეტი-

17 ა. შანიძე, წელწანის ეტიმოლოგიისათვის, იხ. ქართული ენის სტრუქტურ-
ისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 316.

18 ი. ქაეთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს. I, თბ., 1964, გვ. 152.

19 ე. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, I, 1946, გვ. 70.

20 შ. მძიგვრი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154; ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44;

ჯ. კვბლაძე, იხ. ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ დია-
ლექტებში, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 19, 1959, გვ. 264; ი. ქაეთარაძე,
ეგ. ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები, „მნათობი“, 1959, 6, გვ. 163.

21 ა. მარტაროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი,
იკე, VI, 1954, გვ. 129.

22 ე. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 76, 107.

კურ პოზიციასში კანონზომიერად ჩნდება ბგერა. ბგერის გაჩენას ქართულში გულიახმობს თანხმოვანთა პარმონიული კომპლექსების წარმოქმნა²³, რაც ერთ-ერთი მიზეზია ენისათვის დამახასიათებელი თანხმოვანთყარილობისა²⁴. ეს პროცესი ნიშანდობლივია ქართული კვლოებისათვის, სადაც შეინიშნება ბგერათა ჩართვის ტენდენცია²⁵. ბგერათა ფუნქციონირება დასავლურ კილოებში გამოკვეთილი ფონეტიკური მოვლენაა²⁶. შ. დადიანის ენაში საკმაო რაოდენობით გვხვდება ამ პროცესის გამომხატველი ფორმები.

„ვ“ ვითარდება იმავე ფონეტიკურ პირობებში. რომელშიაც ხდებოდა მისი დაკარგვა²⁷. ოთ→ოვო: „ხომ საუცხოვოა“: II. 214; „მშვენიერი დარი იყოვო“: I, 39; „უნდა სიტყვა მოვახსენოვო“: IV. 23. ოე→ოვე: „ყოველი მხრით შეავიწროვეს“: II, 123; აე→ავე: „ესენი ხომ ხატაველებია“: II, 213. ფიქრობენ, რომ აღნიშნულ პოზიციებში „ვ“ გაჩენილია თავმოყრილ ხმოვანთა გასაყარად²⁸. „ვ“ შემორჩენილია სხვა შემთხვევაშიც. „სახე გაბარწყინებულ იშემოეგება“: II. 174. „ცოლვა მიმიძღვოდა“: IV, 321; „ზოგჯერ მძოვრსაც მიირთმევენ“: II, 130; „ოვსეთის მთავრის შვილები ვართ“: II, 79, „ოვის“ იხმარებოდა ძველ ქართულში. ამ ფორმით შემორჩენილია იგი ხევსურულში²⁹.

ცალკე შეიძლება გამოვეყოთ „ვ“-ს ჩართვის შემთხვევები სიბილანტ-აფროკატებთან და უკანანისმიერ ხშულებთან. მაგ., „მაშვიც გამოგოჩთებათ“: IV, 12; „ჯუბა ეცვა შვიცდიხფერი“: II. 46; „ჩაუქერეს ლამპარი“: I, 47; „გაეცენენ მამაჩემს“: V, 102.

„შ“ უმეტესად ჩნდება წინანისმიერ ხშულთა და აფროკატთა თავკიდურში. იშვიათად უკანანისმიერ ხშულთა და სპირანტთა წინ. ზოგჯერ სიბილანტთა მეზობლობაში. „შ“-ს გაჩენა სიტყვის თავში დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის³⁰. მაგ., „გვეყოფა მღვევები“: I. 186; „დაიძრა დროშის წამძლოლით“: II, 211; „მოცივა მწვეტიანი ქვები“: I, 43.

„ნ“, „რ“ ბგერების ჩართვა იშვიათად გვხვდება, ისიც მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაში: „აზრი ინასკენებოდა“: II. 164; „რა მოგეწონათ იმ ნემენციის“; IV, 44; „ინსტანქტურად თავს იყრუებს“: IV. 15; „შავტრუხა გოგო ჰგვიდა“: III, 108; „რატომ იმწუთხრე“: III, 141.

3. სუბსტიტუცია. სუბსტიტუციის დროს სიტყვაში ხდება საერთოდ ცვლილება ყოველგვარი ფონეტიკური განპირობებულობის გარეშე. ესაა ბგერის ერთბაში სპონტანური ცვლილება³¹. შ. დადიანის თხზულებათა ენაში სუბ-

23 შ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960, გვ. 118.

24 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 129.

25 ს. ელენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956, გვ. 246.

26 შ. ძიძიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154; ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45; შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოაპარული დიალექტი. ბათუმი. 1961, გვ. 58—60.

27 ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ., 1971, გვ. 35.

28 ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

29 ა. შანიძე, ქართული კილოები შთაში, იხ. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 13.

30 გ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, I, თბ., 1974, გვ. 31, 116.

31 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბ., 1949, გვ. 225; მისივე ზოგადი ფონეტიკის შესავალი. თბ., 1956, გვ. 179.

სტიტუციის ნიმუში უხვადაა წარმოდგენილი პერსონაჟთა მეტყველებაში.

ბ.-რ: „ს ქ უ ლ ი გაგვიმტკიცდა“: I, 266; „მოაქვს სასთავე მიტყლი“: I, 275. მსგავსი ფორმები შეიმჩნევა სხვა მწერალთა ენაშიაც³². ლ, რ, მ, ნ, ბგერების ურთიერთშენაცვლება ფართოდ არის გავრცელებული საშუალოსა და ახალ ქართულში³³. შესაბამისი მაგალითები დამახასიათებელია პერსონაჟთა მეტყველებისათვის. ლ.-რ: „ხელში კარანჩხა ეჭირა“: III, 110, (შდრ. მეგ. კალანჩხა). რ.-ლ: „აღხეინად დაბრძანები“: „ბარათაშ“: 88; მ.-ნ: „თორენა მოვკლავდი“... IV, 250; „სანახსოვროთ მოვიტანეთ“: „ბარათაშ“. 96. „მეერევიტ რუს ხეწიფეს“: V, 94, ვ-მ „მასკელავებს ეთამაშები“: I, 366; „გაუმსიათ კოოპერატივი“: IV, 252. გვხვდება ზმნის თემისნიშნისეულ ვლმ თანხმოვანთა მონაცვლეობაც: „ცოტა ეინქელამდა“: „ბარათაშ“.. 38; „უკრამენ თავსა“: „ბარათაშ“, 30 ვ-ნ: „კიდენ მომცეს“: I, 367; „ეიდენა მაგას უკვირო“: IV, 249; „მიეცეინდიოთ“: I, 273; ვ-ფ: „სიღარიბეს დეეფსოს თვალი“: II, 134. ასეთი მონაცვლეობა იშვიათად გვხვდება.

საანალიზო მასალაში იძებნება უქანენისმიერთა და ფარხგალთა მონაცვლეობის მაგალითები. ერთმანეთს ენაცვლება: გლღ, ხლღ, ყლხ, ყქც. ასეთი მონაცვლეობა ცნობილია ძველ და საშუალო ქართულში³⁴. გ-ღ: „ღღბერნატორთან ვმსახურობდი“: IV, 87. ხ-ღ: „ფონი ერთგან აღრჩობს“: IV, 176; „უსალსრობა დამჩაგვრელია“: I, 503. ყ-ხ: „ყალხზე შეღდა“: I, 92. ყ-ც: „ორმა კაძახმა შეგაშინა“: III, 417.

ხმოვანთა სუბსტიტუცია თანამედროვე ქართულში იშვიათად გვხვდება: „ეს აიხსნება ალბათ იმით, რომ ყოველ ენაში ხმოვანთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია თანხმოვანთა რიცხვზე და ამასთანავე ხმოვნები მეტად არიან განსხვავებულნი ერთმანეთისაგან აკუსტიკურად“³⁵. ხმოვანთა მონაცვლეობა ცნობილი ფონეტიკური მოვლენაა როგორც ძველ, ისე საშუალო ქართულში. ხმოვანთა ცვალებადობის ფაქტები საშუალო ქართულში ბევრად მრავალფეროვანია. ვიღრე თანამედროვე ყველა ქართულ დიალექტში ერთად³⁶. ხმოვანთა მონაცვლეობა არის პერსონაჟთა მეტყველებაში. ი-ფ „ეხტიბარს არ იტებდა“: II, 242. ე-ი: „სოფლის მოიდანია არის“: IV, 284, უ-ო: „გამოვიდა ახალ ოხის ამარა“: III, 183. ო-უ: „ინდოეთის უკიანე მდე არის“: II, 129. ს-ტყვა „უკიანე“ ძველ ქართულში იხმარებოდა. „ო“-სა და „უ“-ს მონაცვლეობას, საერთოდ, ძველ ქართულში ფართო ხასიათი აქვს³⁷.

4. ა ხ ი მ ი ლ ა ც ი ა. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ასიმილაცია ნაკლებად ხდება. „ქართულის ერთი ფონეტიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია ერთად მდგომი სხვადასხვა რიგის ბგერები ისე გამოთქვას, რომ მათ შორის ასიმილაცია არ მოახდინოს“³⁸. ქარ-

³² ი. შოროიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

³³ ვ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 228; ა. მარტოროსოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111—112; ს. ქლენტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 238—239.

³⁴ ქაეთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII—XVIII სს., I, თბ., 1964, გვ. 220—224; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—103.

³⁵ ვ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1956, გვ. 181—182.

³⁶ ი. ქაეთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

³⁷ შაბთა ცხორებანი ი. იმნაიშვილის რედაქციით, თბ., 1975, გვ. 381.

³⁸ შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1971, გვ. 23.

თელი ენის დიალექტებში კი ასიმილაცია საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა³⁹.

ა) **თანხმოვანთა ასიმილაცია.** შ. დადიანის ნაწარმოებთა ენაში უმეტესად შეინიშნება თანხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის მაგალითები. სრული ასიმილაციისა მხოლოდ ორიოდ შემთხვევა შეგვხვდა; „ც“ სრულად იმაგავსებს „ძ“ ბგერაა. მაგ.. „გამცარცუელეებს ეხმარებოდა“: III 352; „მოგაშორე ის მცარცელი“: IV, 387.

თანხმოვანთა რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის მაგალითები შეიძლება შეგვხვდეს როგორც ავტორის, ისე პერსონაჟის მეტყველებაში. მეღერი „გ“ და „ღ“ ბგერების ასიმილატორული მოქმედება წინანუნისმიერ „ს“ ბგერაზე და მისი „ზ“—და ქვევა გამჟღერების შედეგად ფართოდ ცნობილია ქართული დიალექტებიდან. აქედანაა ისინი შესული მწერლის ენაშიც. სღ→ზღ: „ქეშმარიტება აღზღება“: I, 285; „შეგვემნა მზგავსაღ“: I, 15; „რა უმზგავსობაა“: IV. 337. თგ→ღგ: „გ“ მეღერი თანხმოვნის ასიმილატორული მოქმედება წინამავალ ყრუ ფშვინიერ „თ“—ზე და მისი გამჟღერება დამახასიათებელია ძველი და საშუალო ქართულისთვისაც. ამ რიგის ფაქტები თავს იჩენს X საუკუნიდან⁴⁰ და პროცესი ვრცელდება XIV—XV საუკუნეებში⁴¹. მსგავსი მაგალითები უმთავრესად გვხვდება ისტორიულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების პერსონაჟთა მეტყველებაში. მაგ., „გააქეთ ტფილისიღგან“: II. 126; „საიღგან აქეს?“: II, 191; „უინაიღგან მოგვიღლინე“: II, 229; „ღიღი ნაერღღუღევიკაცი ხარ“: I, 82. იშვიათად შეინიშნება ავტორის მეტყველებაშიც. „რა გამოვა აქეღგან“: II. 167; თავიღგანვე მოხიბლა“: I, 308.

თანხმოვანთა რეგრესული დისტანციური ასიმილაცია უნდა გვექონდეს სიტყვებში, სადაც ყრუ ფშვინიერი „ფ“, „თ“ ფუძისეული ბგერები გამოდიან ასიმილატორის როლში. წინა მარცვლისეულ თანხმოვანს იმაგავსებენ გეარობის მიხედვით. მაგ.. „ყართფილსობი ჰქონდა“: IV. 262; „ნაქეთები აღარ იჩჩევა“: II. 319. იშვიათად გვხვდება აგრეთვე თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართული ენისათვის თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია ისე დამახასიათებელი არაა, როგორც რეგრესული⁴². მაგალითები ტექსტიდან: კღ→კტ: „გაგისკტათ მიწა“: IV, 25; თბ→თფ: „მე არას ვაბობ თუთფერზე“: II, 138; კღ→კტტ: „შენ არ მომიკეტე“: IV. 7; ხღ→ხეთ: „რაცხები შეხეთა სამეშვიდრო“: I, 152.

ბ) **ხმოვანთა ასიმილაცია.** როგორც ცნობილია, პრევერბისეულ ხმოვნებთან შედარებით, ფუძისეული ხმოვნების ასიმილაცია ნაკლებად ხდება. შ. დადიანის თხზულებებში ზოიპოვება როგორც ფუძისეული, ასევე პრევერბისეული ხმოვნების ასიმილაციის მაგალითები. ხმოვანთა სრული ასიმილაციის შემთხვევები გვხვდება არა მარტო პერსონაჟის, არამედ ზოგჯერ ავტორის მეტ-

³⁹ თ. გამყრელიძე, გ. შაქავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965. გვ. 171.

⁴⁰ ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

⁴¹ ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 270.

⁴² ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტფი. I, 1919, გვ. 6—8; ბ. ფოჩხუა, თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კილოებში, თსუ შრ., X, გვ. 187—192; კ. კუბლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

ყველბაშიც. ნაცვალსახელებში ფუძისეული „ა“ ხმოვანი ასიმილირდება მონდევენო მრ. რიცხვის „ებ“ სუფიქსის „ე“-სთან. პერსონაჟის მეტყველება: „მეუბნები მაგეებსა“: „ბარათაშ“, 40; „გავლენა არა აქვს იმეებს“: I, 94; „რად არ უფიქრია ამეებსზე“: II, 193; „რეებს ლაპარაკობ“: II, 110. ავტორის მეტყველებაში: „ამისთანეების იმღეროდა“: II, 262; „იწერდა რაღეებსა ც“: V, 15; „რეებს უქადაგებს“: II, 153; „ამეებს შიკრლებდა გასამრჩელოს“: V, 32.

ასიმილაციური ცვლილება განსაკუთრებით ხშირია ზმნისწინისეულ ხმოვნებში. ასიმილაციურად გვეკლნება ზმნისწინის მომდევნო ხმოვანი. უმეტესად ფუძისეული „ე“ ახდენს გავლენას ზმნისწინისეულ „ა“ და „ო“ ხმოვნებზე და სრულად იმსგავსებს. ზმნისწინთა ასეთი ცვლილება დადასტურებულია ქართული ენის თითქმის ყველა კლოში⁴³ და საშუალო ქართულში⁴⁴. ძველ ქართულში კი არ გვხვდება⁴⁵. ასიმილაციური ცვლილებების მაგალითები უმაჯრესად პერსონაჟთა მეტყველებაშია.

აე→ეე: „შენც გეერიც“: „ნაპერწყ“, 16; „ისე დეესახლა“: „ნაპერწყ“, 27; დეეხსენ მაგეეც“: I, 325; „ამბავი გეეგო“: IV, 17; „ჩვენთვის დეტოვებია“: IV, 8.

ოე→ეე: „არ მეესვლება“: „ბარათაშ“, 16; „არ შემეეტევა“: IV, 85; „ბოლო არ მეედო“: IV, 346.

საზოგადოდ, ქართული ენის დასავლურ დიალექტებში ხმოვანთა ასიმილაცია უმაჯრესად კონტაქტური ხასიათისაა და ძირითადად პრევერბებში მოქმედებს⁴⁶. მწერლის ენაში იშვიათად დისტანციური სრული ასიმილაციის შემთხვევებიც გვაქვს. „ე“ ხმოვანი თავის მასიმილირებელ ძალას არც მაშინ კარგავს, როცა ზმნისწინისაგან გათიშულია ფუძისეული ან პირისწინისეული თანხმოვნით. მაგ., „ამეეედი ასე“: I, 223; „რაზე მეეედი თაჟ“: IV, 30. „ვერ გეეეკარებოდი“: IV, 15.

სრული ასიმილაციის მაგალითები იშვიათად შეინიშნება ავტორის მეტყველებაშიც. მაგ., „ლაქებში ჩეერევა“: IV, 297.

ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის მაგალითები დასტურდება მარტოოდენ პერსონაჟის მეტყველებაში. ხშირად ფუძისეული „ი“ და „უ“ ხმოვნებ-ნაწილობრივ იმსგავსებს ზმნისწინისეულ „ა“, „ე“ და „ო“ ხმოვნებს როგორც უშუალო, ისე შორეული მეზობლობის შემთხვევაში. აი→ეი: „საეა წეილონ“: IV, 8; „ქუდი დეიხურე“: IV, 9; „არ დეიარება“: IV, 10; „გეიგონა“; „ნაპერწყ“, 14; „ოდა დეიდგა“. „ნაპერწყ“, 26. „არ დეიჭერა“: IV, 7; „აგერ გადეირბინა“: IV, 386; „თავი გედეიკალთ“: IV, 16.

ოი→ეი: „ძალიან მეიწონა“: IV, 11; „უნდა შამეიაროს“: IV, 10; „რავარც მეიქცეს“: IV, 7.

აუ→ოუ: „პერანგი ჩოუცვამს“: IV, 9; „ვინ რას გოუგონებს“: IV, 10; „არ დოუტოვეს“: „ნაპერწყ“, 23. ფუძისეული „ი“ ხმოვანი ზმნისწინისეულ „ა“ და „ო“ ხმოვნებს იმსგავსებს მაშინაც, როცა ზმნისწინისაგან მან

43 ვ. თ. თ. ფ. რ. ი. ა. ქართული, „არილი“, 1925, გვ. 131; არნ. ჩიქობავა, თეორიულის მთავარი თავისებურებანი, ტომ 7, 1927, გვ. 207; შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

44 ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 289.

45 ი. ი. მ. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

46 თ. გამყარელიძე, გრ. მაკავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

თიშავს პირის ნიშანი ან ფუძისეული თანხმოვანი: „უნდა გევიდე?“, IV, 392; „მევიდე“, IV, 26.

5. **დისიმილაცია**. ბგერათა განმსგავსება ანუ დისიმილაცია საკმაოდ დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქართულისა და მისი დიალექტებისათვის. დისიმილაციას განიცდის ხმოვნებიცა და თანხმოვნებიც, თუმცა ისტორიულად ენაში უფრო ხშირია თანხმოვანთა დისიმილაცია⁴⁷. თანხმოვანთაგან დისიმილაციის შემთხვევები უმთავრესად „რ“ ბგერაზე მოდის ჩვეულებრივ, სიტყვაში ორი „რ“ ვერ ძლებს და ერთი მათგანი დისიმილირდება, „ლ“-დ გადაიქცევა. დისიმილაციური ცვლილებები დასტურდება პერსონაჟთა მეტყველებაში: რ+რ→რ+ლ: „ბევერჯელ მივსულვარ“: IV, 71; „რავალი ქალი მიმყავს“: I, 122 (რა გუარი → რა ვარი → რა ვალი). დისიმილაციას განიცდიან სხვა სონორებიც: ნ+ნ→ლ+ნ ან ნ+ნ→ნ+ლ: „ინჟილერთან თუ შეიძლება?“: I, 215; „ახლანდელი კალონის... გავიგე“: I, 203; „ლექმენცია, ვგონებ“: IV, 161, ლ+ლ→რ+ლ: „წრეულს მოდის“: IV, 36.

საანალიზო ტექსტებში ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევები შედარებით ნაკლებია. დისიმილაცია ხდება ხმოვანთა უშუალო მეზობლობაშიც და სხვადასხვა მარცვალშიც. უფრო ხშირია დისტანციური დისიმილაცია, ვიდრე კონტაქტური. მიმართულების მიხედვით არის პროგრესულიც და რეგრესულიც. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საერთოდ ქართულში უპირატესია რეგრესული ასიმილაცია და პროგრესული დისიმილაცია⁴⁸. ხმოვანთა რეგრესული კონტაქტური დისიმილაციის ნიმუშს წარმოადგენს ზმნებში „ეა“ კომპლექსის „ია-დ“ ცვლა „ე“ ხმოვანი მომდევნო „ა“-ს განენსგავსება სიციფროვის მიხედვით და იქცევა „ი“ ხმოვნად. ეს მოვლენა დამახასიათებელია კილოებისათვის და აგრეთვე დადასტურებულია ქართული ენის საერო მწერლობის ძეგლებშიც⁴⁹. ფაქტები გვხვდება როგორც ავტორის, ასევე პერსონაჟის მეტყველებაში. მაგ., „არ იაშა მანქანის დანახვა“: II, 236; „ზანქანი და ვეეორქი იახლენ“: II, 172; „იახელ, ნებართვა რად გინდა“: II, 147. გვხვდება რეგრესული დისტანციური დისიმილაციის შემთხვევებიც: „ქერახსებთ სვამენ“: I, 160 (ქარახსი→ქერახსი); „ტაბიკონით დაშლილი ოყოს: II, 225, (ტიბიკონი→ტაბიკონი); „რა დროს კენაფია?“: IV, 320, (კანაფი→კენაფი). პროგრესული დისტანციური დისიმილაციაა მომხდარი შემდეგ მაგალითებში: „მარასანემ დი“: I, 219. „ამბობსაარიკოს“: „ნაპერწყ“, 14; „ოპერატკაში გამოვდიოდი“: IV, 309.

ქართულ ენას ძველთაგანვე ახასიათებდა დისიმილაციური გამქლერება⁵⁰. შ. დადიანის თხზულებებში გვხვდება ამ მოვლენის ერთეული შემთხვევები. მაგ., „მოგზედი სანკტ-ბეტერბუგში“: V, 321; „იყო ზადიკობა“: V, 69. შეიმჩნევა ყრუ ფშვინვიერ „თ“ ბგერის გამქლერების შემთხვევები. „ღ“-

47 ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

48 ი. უიფშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

49 შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იყე, I, 1946, გვ. 26; ა. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV—XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთ., იყე, IV, 1954, გვ. 249; მისივე, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იყე, VI, გვ. 101.

50 ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 324; შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 79; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

ნიშნის ვითარებითი ბრუნვის ფორმათა ანალოგიით ზნისსართებში „თ“-ს ნაცვლად ხშირად იხმარება „ღ“: „გარედ გაუშეა“: II, 22; „ზემო-დაც ვახსენე“: V, 202; „ესრედ მეტყვიან“: II, 123; „უკედ მოგვხსენებათ“: II, 127.

6. **ბ გ ერ ის და ყ რ უ ე ბ ა.** როგორც ცნობილია, სიტყვის ბოლოში მელერი თანხმოვანი ვერ ძლებს. ბოლოკიდურ პოზიციაში მელერის დაყრუება გამოწვეულია ყრუ ფშვინვიერი დამართვით, მელერობის შემცირებისაკენ მიდრეკილებით. მართლაც, შ. დადიანის ნაწარმოებებში ხშირია მელერი ბგერის დაყრუება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. განსაკუთრებით ყრუედება ვითარებითში ბრუნვის ნიშნისეული „ღ“ მაგ., ავტორის მეტყველება: „მძლავრათ წარმოთქვა“: II, 112; „იცილება ოთახი ტყეთ“: V, 309; „სახტათ არის“: V, 72.

ქერსონაჟის მეტყველება: „ტყვეთა ყვაერ“: „ბარათაშ.“, 13; „უთუოთარ დაქარგავს“: „ბარათაშ.“, 15; „მოენეთ ვარ“: II, 119.

ბგერის დაყრუება გვხვდება სხვა შემთხვევაშიც: „ეეჰკოფ“: I, 251; „გაგზანას დეიწყეფ“: I, 224; „მთვალა ოჯახამო ბუჟეული“: IV, 270. მელერი ხშულები შეიძლება გამკვეთრდეს: მაგ., „აჰა მევიმენდი!“: IV, 343. „პარახოტზე მუშაობს“: „ნაპერწყ.“, 15; „ათასი ეკჟემპლარი დაეაბეჰდინე“: IV, 193.

7. **მ ე ტ ა თ ე ზ ის ი.** მეტათეზისი უმთავრესად მოუდის სონორულ თანხმოვნებს.—რ. ლ. მ. ნ-ს და აგრეთვე „ჟ“-ს. რომელიც საკმაოდ ახლოსაა სონორობით პირველებთან. გვაქვს ჩქამიერ თანხმოვანთა მეტათეზისის შემთხვევებიც. ასეთია. მაგალითად: „ბლარტი<ბყარტი<ბარტიყი. ამ სიტყვაში ჭერ მოხდა „ყ“-ს გადასმა. შემდეგ „ღ“-დ ქცევა „ბ“-სთან მეზობლობაში ასიმილაციით⁵¹. „რა ბედნიერება მოსვლია შენს ბლარტს“: II, 13. მეტათეზისის მაგალითებია: „ზღრუბლთან იჯდა“: II, 116; „რა ყოფილხარ. სურიელო“: IV, 398; „უქებენ ძრიელ“: „ბარათ.“, 14; „რად ირღვენები ცრემლებად?“: I, 334. მეტათეზისთან ერთად ამ სიტყვაში ხდება „ნ“ ბგერის ჩართვა.

8. **ა ფ რ ი კ ა ტ ი ზ ა ც ი ა.** დადგენილია, რომ სპირანტი ბგერები აფრიკატოზაციის დროს გადადიან შესაბამის აფრიკატებში. შ. დადიანის თხზულებათა ენაში სპორანტულად გვხვდება სპირანტთა აფრიკატიზაცია: ზა—ძ: „თავს ნუ ივადებ. კაძახო!“: IV, 28; ე—ჯ: „რა დეიჭინე ეს ალღი. კუნჭლოვ“: VI, 380; „ინჯილერი უნდა იყვეს“: I, 366. ს—ც: „ის ცოციალისტია“: IV, 8; „აქტიციკა... არ ვიცი“: I, 370. მსგავსი მაგალითები ცნობილია ქართული კოლოებიდან⁵².

გვაქვს „წ“ ბგერის დეზაფრიკატიზაცია, როდესაც მას უსწრებს სპირანტი „ს“. მაგ., „ვერს ამ სასტავლებლის გადაწყვიტა რამე“: IV, 7; „ნასტავლი კაცი დაგვეყენებია“: IV, 7.

9. **კ ო მ მ დ ე ქ ს თ ა ც ვ ლ ი ლ ე ბ ა.** ქართული ენის აღმოსავლურ დია-

თ ო ფ ე რ ი ა. ფონეტიკურ დაკვირვებანი ქართულურ ენებში. ტფ. 1930. გვ. 293.

⁵² არნ. ჩიქობავა. გარე-სახეთი დიალექტოლოგიურად. „არალი“. 1925. გვ. 70; გ. ახვლედიანი. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. გვ. 228; ს. ელენტი. დასახ. ნაშრომი: ა. ქინჭარაული. დასახ. ნაშრომი. გვ. 24; შ. ნიქარაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 46.

ლექტებში საკმაოდ გავრცელებულია „ვა“ კომპლექსის „ო“-დ ცვლა⁵³. მწერალი აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლად ნაგულისხმევ პერსონაჟთა მეტყველებაში ხშირად იყენებს ამ დიალექტიზმს როგორც მოქმედი პირის დახასიათების ერთ-ერთ ხერხს. მაგ., „მე ცოდო არა ვა?“, II, 148; „გნდოდა რაღაც გეტყო“: „ბარათაშუ“, 43; „ქალბატონმა ჩამაცო“: IV, 105; „არ გამამიშო“: IV, 267; „შალიყო წაგართო?“, IV, 269; „ფული დაიწო ს?“, II, 236; „ცდილობს, რომ გაუშოს“: „ბარათაშუ“: 119.

შეგვხვდა „ვე“ კომპლექსის „ო“-დ ცვლის გამომხატველი მაგალითებიც. აპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ვ“-ს გავლენით „ე“ ამ შემთხვევაში ლაბიალიზებული ხდება და „ო“-დ იქცევა⁵⁴. მაგ., „ღვივწყე ყოღერო“: IV, 395; „რას შობით, თქვენ?“, V, 91.

„ე“ ბგერა იმაგავებს წინამდებარე „ე“-ს ხმოვანს სიტყვაში „კიდევ“ და აქცევს „ო“-დ. შეგვხვდა საფეხურზე ასიმილაციის გამოწვევი ბგერა ეკარგება: ე-ღევ→კიდოვ→კიდო⁵⁵. მაგ., „კიდო ამხედ-დამხედა“: V, 112. გეოგრაფიული სახელი „დილომი“ გვხვდება „დიღემის“ თავდაპირველ სახით. „დიღეამის“ შესაღწევარი ქალაქად ქუთუთიყი: II, 217. ცნობილია, რომ „ე“ ბგერამ ამ ამ სიტყვაში დამისგავსა „ა“, აქცია „ო“-დ. შეგვხვდა კი „ე“ დაიკარგა: დღეამი→დიღემომი→დილომი. შეგვხვდა „ო“ ხმოვნის დამლის შემთხვევებიც: ო→ვე. მაგ., „ელბო ოხრჩევა“: I, 224; „ღეონოში ოხრჩევათ“: IV, 52. ზოგიერთ მაგალითში „ო“ ხმოვანი „ა“-სთან მეზობლობაში ვიწროვდება და იქცევა „უ“-დ. ე. ოა—უა. „სინათლე შემეუაშუქებოს“: I, 224. ეს პროცესი მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ქართული კილოებისათვის⁵⁶.

ელიზია, როგორც ცნობილია, გულისხმობს ხმოვნის მოკვეთას ორი ისეთი სიტყვის შეხვედრისას, როცა პირველი ხმოვნით ბოლოვდება და მომდევნოც ხმოვნით იწყება. საერთოემცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ელიზიისებური მოვლენები ქართულში ძველად უფრო მეტად უნდა ყოფილიყო გავრცელებული. „სამუთალი ქართულის მასალების შესწავლა გვარწმუნებს, რომ იგი ფუნქციონირებული ყოფილა ქართულ დიალექტებში, მაგრამ სალიტერატურო წარმოთქმის ძლიერ მათუნფიცირებელ გავლენას ის ბევრ დიალექტში მოუსპია“⁵⁷. შემორჩენილია მხოლოდ ზოგიერთ კილოში. კერძოდ: ფერეიდულში, გურულში, ზემოქართულში, გუდამაყრულში, იმერულში და სხვაგან გვხვდება ქართველურ ენებშიც⁵⁸. საანალიზო მასალაში დაიძებნება ელიზიის

53 არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურება, ენიმქის შოაშე, II, 1931, გვ. 45; ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 51; ა. ჭიჭიკარაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 17—22.

ს. ელენტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 220.

ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 278; მისივე, ილიას ქართული, საიუბილეო კრებული — ი. ჭავჭავაძე, თბ., 1957, გვ. 202.

56 არნ. ჩიქობავა, ფერეიდულის მთავარი თავისებურებანი, თსუ შოაშე, ტ. 7, თბ., 1927, გვ. 202; მისივე, მთიულურის თავისებურებანი, ენიმქის შოაშე, ტ. II, ტფ., 1937, გვ. 47; ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50; შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 25—26; გ. იმნაიშვილი, ბორჯომის ხეობის ქართულის თავისებურებანი, ივე, VIII, 1956, გვ. 87; ს. ელენტი, გურული კილო, თბ., 1936, გვ. 57; ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოყავი, თბ., 1973, გვ. 75.

57 ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 370.

58 არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1939, გვ. 30; მ. ქალაძე, ელიზია სეანერში, ივე, V, 1953, გვ. 193—202.

გამომხატველი ერთეული შემთხვევები. მაგ., „რას მასწავლი... აბდალაი კარ ვარ“: „ნაპერწყა“, 70 (კი არ >კ' არ).

შ. დადიანის თხზულებათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მწერლის ენაში შეინიშნება ის ფონეტიკური თავისებურებანი, რაც დამახასიათებელია ქართული დიალექტებისათვის. ნაწარმოებთა პერსონაჟები სხვადასხვა მხარის წარმომადგენლები არიან. მწერალი კუთხური კოლორიტის შენარჩუნების მიზნით მათს მეტყველებაში ზომიერად ხმარობს დიალექტიზმებს და მეტ ბუნებრიობასა და დამაჯერებლობას ანიჭებს მხატვრულ თხრობას. დიალექტური ფორმები სტილური კომპონენტის როლს ასრულებენ. ავტორი მათ იყენებს როგორც გარემომცველი სინამდვილის ჩვენების, სახეთა შექმნის, პერსონაჟის ინდივიდუალიზაციისა და ტიპიზაციის გარკვეულ მხატვრულ-სტილისტიკურ ხერხს.

ხალხური მეტყველების ცოდნა და სიყვარული საფუძველს უქმნიდა შალვა დადიანის მხატვრულ სიტყვას, რომ მკითხველისათვის ახლობელი გაეხადა შორეულ ეპოქებში თუ მხარეებში მომხდარი მოვლენები. შშობლიური ენის ნოყიერ ნადაგში ედგა მის შემოქმედებას მაგარი ფესვები და იქიდან მომდინარე დიდი სითბოთი ძერწავდა თავის ქმნილებებს. სწორედ ეს აძლევდა დასაბამს მწერლის გამარჯვებას.

Ш. Х. ПУТКАРАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ФОНЕТИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ СОЧИНЕНИЙ Ш. ДАДИАНИ

Резюме

Фонетические особенности произведений Ш. Дадиани главным образом проявляются в речи персонажей, хотя наблюдаются и в авторских ремарках.

Диалектные формы, отражающие фонетические процессы и встречающиеся в речи персонажей, происходят из грузинских говоров.

В статье проанализированы случаи исчезновения и появления звуков, их оглушения, субституции, ассимиляции, диссимиляции, метатезиса, аффрикатизации, изменения комплексов и элизий.

Герои произведений Ш. Дадиани — представители разных уголков Грузии. Сохраняя провинциальный колорит их речи, писатель умеренно пользуется диалектизмами и этим придает большую естественность и убежденность художественному повествованию. Выполняя роль стилистического компонента, диалектизмы употребляются автором как определенный художественно-стилистический способ изображения окружающей среды, создания образов, индивидуализации и типизации персонажей.

Язык персонажей используется писателем как одно из средств характеристики героев. По тому, как говорит персонаж, у нас создается представление о его характере, духовных стремлениях и культурном уровне. Употребление диалектных форм в речи персонажей логически соответствует их образу. Благодаря использованию таких слов создается типичная среда, определенный провинциальный колорит и лепятся типичные характеры.

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჭიქიამ

ნონა ღარსაველიძე

შხამსაწინააღმდეგო ჰეპტის აღმნიშვნელი ქართული ტერმინების წარმომავლობისათვის

1. შ ა მ ო რ ა

ქვა სამკურნალო საშუალებად გამოიყენებოდა უძველესი დროიდან. ამგვარი ქვები მოიპოვებოდა როგორც ადამიანისა და ცხოველს ორგანიზმში, ისე ბუნებაში. მათ შესახებ ცნობები გვხვდება სხვადასხვა წყაროში: ქართულ და უცხოურ წერილობით ძეგლებში, ქართულ სამკურნალო წიგნებსა და კარაბადინებში. ეს საკითხი შესწავლილია მედიცინის ისტორიაში და ქართულ ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში.

გარდა საყოველთაოდ ცნობილი შხამსაწინააღმდეგო ქვის ორი სახელწოდებისა „ფაზარი“ და „ხუთო“¹ „ხვითო“. აღსანიშნავია, რომ „ყისაჲ ამირ ჰამზას“¹ ქართული თარგმანის ხელნაწერ ტექსტში ამ მნიშვნელობით გვხვდება სიტყვა „შ ა მ ო რ ა“, რომელიც სხვა ქართულ გამოქვეყნებულ ორიგინალურ და თარგმნილ ძეგლებში და სალიტერატურო ქართულისა და დიალექტურ ლექსიკონებში არ გვხვდება.

„ყისაჲ ამირ ჰამზას“ ოქსფორდისეულ ქართულ ხელნაწერ ტექსტში ვკითხულობთ:

1. „ერთის ჯამით შარბათი გააკეთა აბუზარჯამელმა და მისცა ამარამზას დალივეო. ამარამზამ დალივა ის ჯამი, ძილი მოუვიდა და დაიძინა, ერთს რუბს უკან მუღბილ მოიყვანა, ამარამზას გულზედ პერანგი გარდაჰხადა, სამართებელი ამოიღო, გულის კოვზზედ გადაატყავა ორი შ ა მ ო რ ა, ხორცსა და ტყავს შუა ჩაუღო და გაკერა. ერთი ზეთი წაუსვა და გაამრთელა. მუღბილს ყური დაუჭირა და უთხრა: მე შენთვის მითქვამს ამზას ორ მისხალ ნახევარს საწამლავს მისცემენ, ბაბა ამარ ერთს აქიმს მოიყვანს. ის აქიმი შ ა მ ო რ ა ს დაიწყებს თხოვნას. მანამ ბაბა ასე არ შეაწუხო, რომ სამი ოთხი არ დაჰკრა. მანამდინ ამ შ ა მ ო რ ა ს ნუ ასწავლიო“ (გვ. 71, 72).

2. „იყლიმ მივიდა, ამარამზა გაატიტელა და ნახა, რომ სულ მთლად გაშავებულა და ერთის ქელის დადება გულის კოვზთან თეთრი არის. იყლიმს დიდად გაუკვირდა და ბაბა ამარს უთხრა: შ ა მ ო რ ა ს თუ იშოვნით, მორჩებაო. ბაბამ ჰკითხა: სად იშოვებო. იყლიმმა უთხრა: ნუშრეკან კემშიფესა აქესო.“ (გვ. 101).

¹ „ყისაჲ ამირ ჰამზას“ ქართული ეერსიის ხელნაწერთა მოკლე დახასიათება იხილეთ ჩვენი წერილის შესავალში: „რამდენიმე შენიშვნა „ყისაჲ ამირ ჰამზას“ ქართული ეერსიის აღმოსავლური ლექსიკის შესახებ“, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, 2, გვ. 88—100.

3. „მუღბილმა ბაბას უთხრა: ნუ წახვალ, შამორა ამარამზას გულში აქვს დატანებულიო. იყლიმს ბაბამ ეს ამბავი უაშბო. იყლიმმა... თქვა: რადგან ამარამზას გულში შამორა უძევს, მაშ აქამდონ იმიტომ იცოცხლო, იყლიმ შევიდა და გულის კოვზთან გაუჭრა და ორი შამორა ნახა. ერთი მავთული მოაბა ამ შამორას და პირველათ ტუჩებზედ მოუსო და ჩაყო რძეში, მერე პირში ჩაუყო და ჩაღვა რძეში, ბაბა ამარ და ფალავნებო უყურებდნენ და ჰხედდენენ, რომ სითეთრე შედის. ეს შამორა გადიღდა და გაშავდა, ქვასავით გამაგრდა. იყლიმ მალმალ პირში ჩაუყოფდა, ამოიღებდა და რძეში ჩასდებდა. ამარამზას სიშავე მისდიოდა და თეთრდებოდა. თავის ფერზედ მოდიოდა. მას უკან მუტელში ჩაუყო პირიღამ ეს შამორა და ამოიღო რძეში ჩაყო. მერე დაჰხურა და თქვა: ხვალ თვალს გაახელს და კიდევაც ილაპარაკებსო. მეორეს დღეს შევიდა იყლიმი და ფალავნები და ამარამზამ თვალი გაახილა და თქვა: ღმერთო. შენ მიშველე რამეო, ბაბა ამარ მივიდა და ამარამზას თავს შემოეულო. აშხამ ისევ თვალები დახუჭა. იყლიმმა წამალ გააყეთა და პირში ჩაასხა... მეორე დღეს კიდევ იმ დროს შევიდნენ და თვალ გაახილა... (გვ. 102).

4. „იმან რამელი ყარა და მივთხრა, რომ შამორამ მარან მთაზედ იშოვებაო. მარამ მარან მთის არაგინ არა იცის. რაო. ოომ სად არისო“ (გვ. 481).

5. „ამ კელმწიფემ უთხრა (ბაბას) წადი ის გველთ კელმწიფე. რომ მოკალო იმისი თავი გახეთქეო. და იმის თავის ჩანახში არის შამორაო. ბაბა წავიდა ის თავი გახეთქა და შამორა ამოიღო. ამ პემწიფესთან მოიტანა. ამ გველთ კელმწიფემ ბაბას უთხრა ეგ შამორა შენ შეინახე სხვას ნურავის მისცემო. შენ ღიდათ გამოგადგებო (გვ. 482).

გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში დატულ „ყისაჲე ჰამზას“ 12923—b ხელნაწერ ტექსტში შესაბამის ადგილზე: რამდენჯერმე ნახმარია ფორმა „შამოსერა“. ერთ შემთხვევაში გვხვდება აგრეთვე „შამურა“, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში არის „შამორა“.

ჩვენ ვფიქრობთ. რომ ტექსტში, საიდანაც 12923—b ხელნაწერი ვადაწერილი. იყო: „...ორი შამოსერა (ე. ი. დასერა—ნ. დ.) და შამორა ხორცსა და ტყავს შუა ჩაუღო...“ (გვ. 139). ვადაწერმა ეს სიტყვები გააიგივა და „შამოსერა“ დატოვა, ხოლო „შამორა“ ამოიღო. შემდეგ ამ წინადადებებს გავლენით ხანდახან იგი შამორას ნაცვლად „შამოსერას“ ხმარობს.

თერანში ორ ტომად გამოცემულ „ყისაჲე ამირ ჰამზას“ სპარსულ ევრსიაში გათვანდო ადგილზე სწერია: „...ბრძენმა ბოზორჯიმძიმამ ამირ ჰამზას მკლავი სთავეთა (გაუჭრა) და შამორაო ჩაღო [ქროლობაში]...“²

...შემდეგ აუღიმუნ ბრძენმა ამირ ჰამზას შეხედა და თქვა... ამირ ჰამზა ცოცხალია. თუ შამორაო იქნებოდა. ამირი გამოკეთდებოდა. მოყაბელმა უთხრა... ხოჯამ ერთი მორა ამირს მკლავში ჩააქერა. გასინჯეთ (დააკვირდით). შესაძლოა. რომ სწორედ ის შამორაო აქვს.³

² გვ. 121. ۱۳۲۷ جلد اول، (قصه حمزه: حمزه نامه)

³ „აუღიმუნ“. ჩვენ ვფიქრობთ. მომდინარეობს ბერძნული სახელიდან Κλημάσιος-ლათ. Clemens'. ძველი კლასიკური ხანის ავტორებთან სხვადასხვა პირნია. ერთ-ერთი განმარტება: ექიმი, ein Arzt. Dr. W. Pape, Worterbuch, ie der Griechischen Eigenamen, Braunschweig. 1884.

⁴ გვ. 147. ۱۳۲۷ جلد اول، (قصه حمزه: حمزه نامه)

„შამორა“ — „შაპ-მოპრე“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა.

იაკელო და ჯონსონი მიუთითებენ, რომ „შაპ-მოპრე“ ძვირფასი ქვაა, ხოლო ჯონსონი დამატებით აღნიშნავს — ეს ქვა მოიპოვება გველის პირში ან ურჩხულის (დრაკონის) თავში. ეულერსის მიხედვით **شاه** (შაპ-მოპრე) იგივეა, რაც **مار** (მარ-მოპრე); ხოლო „მარ-მოპრეს“ შესახებ ნათქვამია: **مار** — ქვა. რომელიც მოიპოვება გველის კეფაში... 2. იგივეა, რაც **پاز** (ფაზაპრ)⁵.

რადგანაც ლექსიკოლოგები მიუთითებენ, რომ „შაპ-მოპრე“ იგივე მარ-მოპრეა⁶. აქვე მოვიყვანთ ცნობებს ამ უკანასკნელზე.

ბორჰანე ყათე⁷ს მიხედვით: **مار** (მარ-მოპრე) — არის ქვა, რომელსაც გველის კეფიდან იღებენ. ის მწვანე ფერისაა და ნაცრისფერსაც იღებს. მას ფაზაპრსაც უწოდებენ⁸.

ხოლო მოპრეე-ჯანდარუს განმარტებისას იქვე ნათქვამია **خاندارو** (მოპრეე-ჯანდარუ) მნიშვნელობით მარ-მოპრეა, რომელიც ფაზარია და არაბები (**حجر آتيس**) მის ქვას უწოდებენ⁹.

ეულერსი დამატებით შენიშნავს... იგივეა, რაც **خاندارو** (მოპრეე-ჯანდარუ), **مار** (მარ-მოპრე) იგივეა, რაც **مار** (მოპრე-მარ) — გველის ქვა, შხამსაწინააღმდეგო ქვა, ობიუმი, ბეზოარის ქვა. **ترس** (მოპრეე თერინქ), იგივეა, რაც **زهر** (საპრ-მოპრე) შხამსაწინააღმდეგო საშუალება, შხამის განწმენვი⁸.

მარ-მოპრე იმავე მნიშვნელობით ნასესხებია თურქულში და ნათქვამია, რომ ის გველის კეფაში მოიპოვება.

მარ-მოპრეს მნიშვნელობის მოყვანამ გააღრმავა ცნობები შაპ-მოპრეს რაობის შესახებ.

შაპ-მოპრე ორი სიტყვისაგან შედგენილი კომპოზიტია: **شاه** (შაპ) და **پره** (მოპრე).

გავეცნოთ თითოეული მათგანის იმ მნიშვნელობას, რომელიც ჩვენთვის ამ შემთხვევაშია საინტერესო.

ყველა სპარსულ განმარტებით თუ თარგმნით ლექსიკონებში შაპი ახსნილია, როგორც: „მეფე. სამეფო, მთავარი, ძირითადი, საუკეთესო“...

სპარსულში არის სიტყვა: **شاه** (შაპ-დარუ) ლექსიკონების მიხედვით ეს არის: „სამეფო წამალი, წამალთაგან საუკეთესო, ძირითადი წამალი, ღვინო“...

შაპ-ი ძირითადის, მთავრის, საუკეთესოს... მნიშვნელობით არაერთი რთული სიტყვის პირველ ნაწილშია. **شاه** (შაპ-ჯანდ) და **شاه** (შაპ-რან) (ქართ. შარა) მთავარი გზა, დიდი გზა... **بيت** (შაპ-ბეთ) — საუკეთესო ბეთი. **شاه** (შაპ-თირ) ძირითადი, მთავარი კოჭი. **شاه** (შაპ-ქანსე) — დიდი ჯამი, ბაღია... და სხვ.

⁵ Ioanis Augusti Vullers, Lexicon. Persico-Latinum Etimologicum, Bonnæ and Blhenum, Tomus II, 1864, გვ. 1116.

⁶ ბორჰანე ყათე. აღწერილობითი ლექსიკონი, 1873, ნაწ. II, გვ. 234.

⁷ იქვე, გვ. 262.

⁸ Vullers, ტ. II. გვ. 1241.

და თუ შაჰ-ს ამ შემთხვევაში ზემოთ დასახელებული მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ შაჰ-მოჰრე იქნება: „ძირითადი ქვა, საუკეთესო ქვა, სამეფო ქვა“ (ის ხომ მხოლოდ მეფეთა კუთვნილებას წარმოადგენდა და მოიპოვებოდა გველთა მეფის თავში (ამის შესახებ ქვევით ვიმსჯელებთ).

გარდა ჩვენ მიერ მოყვანილი განმარტებისა, ზოგი ლექსიკოლოგი შაჰ-ს შემდეგნაირად განსაზღვრავს. ჟონსონის და იაგელის განმარტებით:

ش (შაჰ)— ცხოველის სახელწოდება...⁹

ხოლო ბორჰანე ყათე'ს და ვულერის მიხედვით:

ش (შაჰ) სახელი რომელიდაც ცხოველისა ინდუსტანში¹⁰... ბორჰანე ყათე' ამ განმარტებასთან ერთად დამატებით მიუთითებს, რომ „შაჰს არაბულ ენაზე ცხვარს უწოდებენ“

მეორე ელემენტი კომპოზიტისა არის م (მოჰრე) — ქვა ან ქვის მსგავსი საგანი...¹¹ მოჰრე ქვის მნიშვნელობით შესულია თურქულშიც. კერძოდ, ბუდაგოვს მოცემული აქვს განსაზღვრება „მრგვალი ქვა“.

საინტერესოა, რომ ზოგი ლექსიკოლოგი დამოუკიდებლად მოჰრეს განსაზღვრავს, როგორც: გველის ქვა, შხამსაწინააღმდეგო ქვა... მაგ., ჟონსონის თანახმად م (მოჰრე)—ქვა, რომელიც ჰოიპოვეზა გველის თავში..., მეჰრა არის ბეზოარის ქვა¹².

ცენკერის ლექსიკონის მიხედვითაც: მოჰრე—გველის ქვა, სერაპენტინი, ბეზოარი. იგივე م مار (მარ-მოჰრე)—შხამსაწინააღმდეგო مازهر (ფაზარ)¹³.

უძველესი ფორმით ეს სიტყვა დაცულია ძვ. ინდურში. შეად. სანსკრიტ. mudrā, ურდუ م (მოჰრე). م (მოჰრა) „მძივი, თვალი, ბეჭედი, ფული, მონეტა, საყურე, ნიჟარა, ქვა...“

საინტერესოა, რომ م (მოჰრე) რთული სიტყვის მეორე ელემენტად გვხვდება სხვა მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებშიც, მაგ.. م زهر (ზაჰარ-მოჰრე)—„შხამსაწინააღმდეგო ქვა“, م باد (ბად-მოჰრე) — „გველის ქვა“, م خر („ხარ-მოჰრე)—„ბატარა ქვა“... „დიდი თეთრი ან ცისფერი მძივები ან ნიჟარები, რომელსაც ყელზე ჰკიდებენ სასაპალნე ცხოველებს“, და სხვა.

ქართულში გადმოსვლისას სიტყვა შაჰ-მოჰრეს ორივე ნაწილში „ჰ“ ბგერა დაიკარგა. ანალოგიური შემთხვევაა სიტყვებში: შაჰ-რაჰი, შაჰ-მაჰი..., რომლებმაც ქართულში მოგვეცეს: შარა, შამაია, ანდა როდესაც რთული სიტყვის პირველ ნაწილ შაჰ-ში „ჰ“ ბგერა დაკარგულია ქართულში: შაჰ-მათი, შაჰ-რავანდი, ქართული შამათი, შარავანდი და სხვა.

ცნობილია, რომ უცხო ენებიდან შემოსულ სიტყვებში ქართულში „ჰ“ იკარგვის, ზოგიერთი გამოჩაყლისის გარდა¹⁴.

⁹ И. Д. Ягелло, гл. 80; Jonson, гл. 735.

¹⁰ ბორჰანე ყათე', ნაწ. II, გვ. 55; Vullers, ტ. II, გვ. 392, 393.

¹¹ Vullers, ტ. II, გვ. 1241.

¹² Jonson, გვ. 1280.

¹³ Julius Theodor Zenker, Türkisch-Arabisch-Persisches Handwörterbuch, zweiter Band, Leipzig, 1876 გვ. 897.

¹⁴ „ჰ“ ბგერის დაკარგვის შესახებ ქართულში იხილეთ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1955, გვ. 15. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975, გვ. 40, 44. შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობადად ტ. I, თბ., 1966, გვ. 214, 215; ახალი სპარსული ბგერების გადმოცემისათვის ქართულში, გ. ახელედინისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1969, გვ. 358—359.

საყურადღებოა აგრეთვე ლექსიკოლოგების ვარაუდი, რომ შაჰ-ი უნდა აღნიშნავდეს რაღაც ცხოველს. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ კომპოზიტში შაჰ-მოჰრე შაჰ აღნიშნავდეს შაჰმარანს, ე. ი. გველთა მეფეს. გასათვალისწინებელია, რომ სპარსულში დასტურდება სიტყვა: شاه پیل (შაჰ-ფილ) – სპილოთა წინამძღოლი, شاه ماهی (შაჰ-შაჰი) – სამეფო თევზი (ქართ. შამაია), شاه جاس (შაჰ-ბაჰ) – შევარდენი... აზერბაიჯანულში: Шахан შამაიანი გველია.

აქ გაიხსენოთ „ყისაჲჲ ჰამზადან“ ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითი, რომ შამორა გველთ ხელმწიფის თავშია, ბაბამ მართლაც სწორედ გველთ ხელმწიფის თავიდან ამოიღო იგი.

მნიშვნელოვანი საბუთია ისიც, რომ ჩვენი საკვლევი ტექსტის მიხედვით, რამლის ყრის დროს გაირკვა, რომ შამორა მხოლოდ მარან—ე. ი. გველთა მთაზეა. აქ არის სპ. مار (მარ) – გველი. მარ რიცხვის ფორმით. მართლაც შამორას მიძიებელი იმ მთაზე, რომ მივიდნენ ნახეს გველთ ორი სოფელი, ეს იყო საკუთრივ გველთა სამფლობელო.

ზევით სპარსული ლექსიკონების მიხედვით უკვე გავცანით აგრეთვე, რომ შაჰ-მოჰრე გველის კეფაში (ან პირში) არსებული ქვაა (ჯონსონი, ვულერსი), ვულერსი შაჰ-მოჰრეს შესახებ მიუთითებს აგრეთვე, რომ იგივე მარ-მოჰრეა, ე. ი. გველის ქვა.

შაჰის მნიშვნელობის გარკვევის თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იქცევს სახელწოდება „შაჰ მერანი“, რომელიც გველთა მეფეს აღნიშნავს ერთ ლაზურ ზღაპარში¹⁵. მოვიყვანოთ ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდი ამ ზღაპრიდან.

იმ ქვეყნის მეფეს. სადაც ეს შაჰმერანი ცხოვრობს გაუჩნდა ჩირქიანი წყლულები. ექიმებმა ამოიკითხეს და უთხრეს, რომ მას მხოლოდ შაჰმერანის წყალი (წამალი) უშველისო და მისი ადგილ-სამყოფელი მხოლოდ მავანმა კაცი-მა იცისო. ეს კაცი ადრე ამ გველთა მეფემ სიკვდილს გადაარჩინა და უთხრა, მისი სადგომი არავისთვის ესწავლებინა. კაცი იძულებით მისაწავლის გზას შაჰმერანთან. მიუხედავად ამისა, გველთა მეფე კეთილია და ამ კაცს ასწავლის: მე თავი უნდა მომკვეთონ და მოხარშონ. მისგან სამნაირი ნახარშ წყალს (სამ შუშას) მიიღებენ. პირველ შუშაში ნალევაა. ის ექიმებს დაალევიანო. მეორე შუშაში რაც იქნება, ის ყველასათვის სასარგებლოა და შენ დალიეო. მესამე ფადიშაჰს დაასხიო. ეს კაცი მართლაც ასე მოიქცა. მეფე განიკურნა, ექიმები ყოვლის მცოდნენი და გამგებელნი გახდნენ. თვითონ გარეთ რომ გამოვიდა. ირგვლივ ყველაფერი ამეტყველებული იყო. მას ესმოდა ფოთლების, ბალახების, ხეების, ჩიტების. ცხოველთა ენა. ბალახები და ხეები ასწავლიდნენ, თუ რის სამკურნალოდ იყვნენ ვარგისი. (საინტერესო პარალელია ვაჟა-ფშაველას „გველის მკამელთან“).

როგორც ვხედავთ. „ყისაჲჲ ჰამზადან“ ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითის და ამ ზღაპრის თანახმად. სამკურნალო ნივთიერებათა მფლობელი ყოველი გველი კი არ არის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გველთა მეფე და ეს ნავთიერებები მოიპოვება მხოლოდ მის თავში. ამის საფუძველზე საფიქრებელია, რომ შაჰ-მოჰრეში პირველი ნაწილი შაჰ-ი სწორედ შაჰ-მარანი იყოს (გველთა მეფე), ე. ი. რაღაც განსაკუთრებული გველი.

¹⁵ ს. ულენტი, კანური ტექსტები, არქაული ეპოქაჲ, ტფ., 1938, ტექსტი 52, გვ. 78—79; აჭარულ ზღაპარში გველთ ხელმწიფეს შაჰმერანი ჰქვია. ქ. ნოღაიძე ლ. ი. ნარკეაევი და ჩანაწერები, II, ბათუმი, 1972, გვ. 106, 107, 108.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ: „სომხურ ხალხურ რწმენაში, ისე როგორც აღმოსავლეთის სხვა ხალხთა რწმენაში (სპარსელებთან, ქურთებთან, თურქებთან, არაბებთან და სხვა) ფართოდ არის გავრცელებული წარმოდგენა შ ა ჰ მ ა რ ი ს — „გველთა მეფის“ შესახებ, რომელიც თავზე ატარებს მოვლავარ ძვირფას ქვას“¹⁶. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღმოსავლეთის ხალხთა რწმენაში გველთა მეფის თავზე არსებული ძვირფასი ქვა და შამასაწინააღმდეგო ქვა შამორა ერთი და აგივეა.

ჩვენს ვარაუდს ისიც უჭერს მხარს, რომ შამორას სინონიმი ფაზარი ქართულში დასტურდება ორივე მნიშვნელობით: როგორც შამასაწინააღმდეგო საშუალება, ისე ძვირფასი ქვა. ასევე ორივე მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ტერმინი ხეთო||ხეთო — ნატერის თვალი და „ქვა გესლთ მკურნალი“.

სპარსულ ზღაპრებშიც გველი წარმოდგენილია როგორც სოლომონის ბეჭედის მფლობელი, რომელიც ქართული ნატერის თვალის ანალოგიური თვისებების მქონეა. ასე მაგალითად: ზღაპარ „بيله و مر“ — „მეწვრილმანის“ თანამაღ ზღაპრის გმირი მის მიერ გაწეული სიკეთის სანაცულოდ მოიპოვებს ماركسا (بزگر مارها) გველთა მეფისაგან (გველთა უფროსისაგან) სოლომონის ბეჭედს. რომელიც ამ უკანასკნელს შთამომავლობით აქვს მიღებული. ასევე ზღაპარში مار و شاهزاده — „უფლისწული და გველი“. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ზღაპარ „მეწვრილმანეში“ მოხსენიებული „გველთა მეფე“ აგივეა, რაც „ყისაჲ-ჰამზას“ გველთა ხელმწიფე, ლაზური ზღაპრის გველთა მეფე ანუ შ ა ჰ მ მ რ ა ნ ი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ბეჭედი ზღაპრის მიხედვით შთამომავლობით გადადის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლაზურ ზღაპარში მოხსენიებული შაჰ-მერანი განსაკუთრებული გველია.

გველის ქვის მფლობელ გველთა განსაკუთრებულობაზე მიუთითებს აგრეთვე ხორეზმელი სწავლული აბუ-რ-რაიჰან მუჰამედ იბნ აჰმედ ბირუნი (973—1048). ბირუნი იძლევა გველის ქვის დახასიათებას: „არაბულ ჰაჰარ-ალ-ჰადათ-ს სპარსულად მარ-მუჰრა (გველის ქვა) ეწოდება ორი მიზეზით. ერთი იმიტომ, რომ ის შველის გველის ნაებენს, თუ მას რძეში ან ღვინოში გაქნი და დაღვე „წიგნში ძვირფასი ქვების შესახებ“ (ქითაბულ-ჟაჰაჰირ) ნათქვამია. რომ გველის ქვას სარგებელი მოაქვს დაკბენილისათვის. თუ მას კისერზე დაიკიდებთ... [გველის ქვის სახელწოდების] მეორე მიზეზი იმაშია, რომ ის ჩნდება გველის სხეულში და იქიდან მოიპოვება. მას ინახავდნენ ხოსროვთა დროს სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად“¹⁷.

აქ წიაღსელის სახით გვესურს შევნიშნოთ, რომ ბირუნის ამ უკანასკნელ ცნობას მხარს უჭერს „ყისაჲ ჰამზადან“ ჩვენ მიერ შამორაზე მსჯელობისას მოყვანილი მეორე მაგალითი. იყლიმმა მოწამლული ამზასთვის მხოლოდ და მხოლოდ შამორა ითხოვა. ბაბას შეკითხვაზე შამორა სად იშოვებაო, უპასუხა: „ნუშრევან კელმწიფესა აქვს“. ბაბა იყლიმს ჰკითხავს, რა მანძილია ნუშრევან ხელმწიფემდე. იგი მიუგებს, რომ ერთი წლის სავალია. ხოლო ბაბას შეკითხვა-

¹⁶ С. Б. Арутюнян, Мифологический образ солнца в загадке о ламиаде. «Историко-филологический журнал», I, 1976, стр. 238.

¹⁷ Абу-р-райхан Мухамед ибн Ахмед ал-Бируни, Собрание сведений о природе драгоценностей (Минералогия), 1963, стр. 194.

ზე იყლიმისავე პასუხის მიხედვით ამაზე უწამლოდ ორმოც დღეს იტოცლებდა. ბაბა ამარი მაინც მიღის შამორას მოსატანად. ცხადია, ხელმწიფის გარდა არაიეს გააჩნდა შამორა და ბაბა იძულებულია, ასეთ შორ მანძილზე წავიდეს.

„ყისაჲე ჰამზას“ მიხედვით, შამორა ყველა ხელმწიფესაც კი არ ჰქონდა. ზინ ხელმწიფემ შეიტყო, რომ ფერიათა ხელმწიფეს ასმაი ფერიას ხაზინაში შამორა აქვს, თუმცა მისი ქვეყანა ფერიათა ქვეყანაზე დიდი იყო და მას შამორა არ გააჩნდა. იგი თავის ვეზირ ყასანს მელიქისაგან დაჟინებით მოითხოვს შამორას შოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში სატუსალოში დაღობით ემუქრება. შამორა იმდენად ძნელი საშოვნელი იყო, რომ ვეზირი ამბობს „შე შვიდი წელიწადი ყელზედ ჰაჭვ მობმული ქალაქებში ვიარე, რომ ეგებ შამორა მეშოვნა, ვერ ვიშოვნეო“ (გვ. 481)“...

მანვე ბაბას გამოსახსნელად 400 ოქრო გადაიხანდა, ჩადგან რამლის ყრის ღროს ასმაი ფერიას ვეზირმა ხოჯა აბდულ რამანმა, მას უთხრა, რომ შამორას მხოლოდ ბაბა ამირი იშოვნდა. გარდა ამისა ჩვენ საკვლევ ტექსტში ნათქვამია. რომ გველთა კლდეზე ერთი ქვა იღო და მასზე ეწერა, რომ ამ ხეობაში მხოლოდ საყარანი შეძლებდა ჩასვლას და მისთვის მითითებული იყო როვორ უნდა ჩასულყო. მაშასადამე შამორა მხოლოდ საყარანს შეეძლო მოეპოვებინა და მხოლოდ რჩეულ მეფეთა ხაზინაში იყო.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბირუნის თხის ქვის შესახებაც იძლევა ანალოგიური ხასიათის ცნობას. თხის ქვასაც ინახავდნენ მეფის საგანძურში. ასევეა სამკურნალო საშუალება ნუშდარუტი, „ყისაჲე ჰამზადან“ გამომდინარე. მხოლოდ მეფეს ჰქონდა ხაზინაში.

საგულისხმოა ბირუნის ცნობა გველის ქვის შესახებ. „გველის შემლოცველები ნადირობენ საზარელ შხამიან გველებზე. რომლებიც სხვა გველებს ჰკმენ. ამ ქვას მის კეთაში ნახულობენ. ის თეთრია. მარგალიტის ელფერი. ხანდახან ის სითეთრე ნარევი შავი ფერისაა. ქვის წარმოქმნა მხოლოდ მას შემდეგ ხდება. როდესაც ეს გველი 400 გველს შეჭამს. ეს ნიკთიერება მასში რომ შედღეღება. მაშინ შუბლს უტერენ რკინის ორი სალტი. შემდეგ გველის კანს კვეთავენ სკალპელით, ამ ნივთიერებას გამოწურავენ და აგროვებენ. ის რბილია. ჰერის მოქმედებით მაგრდება და ქვადება“¹⁸.

უნდა გავიხსენოთ, რომ იგივე თვისება მოცემულია „ყისაჲე ჰამზადან“ ჩვენს მიერ მოყვანილ მეორე მაგალითში. აქ ნათქვამია: ...ამ იყლიმმა ეს შამორა ამარამზას პირველად ტუჩებზედ მოუსო და ჩაყო რძეში: მერე პირში ჩაუყო და ჩაღვა რძეში... „ეს შამორა გადიღდა და გაშავდა. ქვასავით გამაგრდა“ (გვ. 102).

აქვე ბირუნის გადმოგვცემს. რომ გველების შემლოცველ კაცს ჰყავდა ერთი ამგვარი გველი. მას გულმოდგინედ უყვლიდა. ღამ-ღამობით კალათით სახურავზე აჰყავდა სუფთა ჰაერზე. ეს კაცი მის გამოსაკვებად იჭერდა გველებს. რათა მათი ჰამის შედეგად ამ გველში მარ-მოპრე წარმოქმნილიყო. გველთა შემლოცველი კაცის გველებზე სანადიროდ წასვლის ღროს მისი გველი დაიღუპა. ხსენებული გველი გაჭრეს და თავში მართლაც აღმოაჩნდა ორი ქვა.

გველის ქვის შესახებ საინტერესო ცნობები მოეპოვება აგრეთვე X—XI სს. შუა აზიელ ექიმსა და ფილოსოფოსს აბულ-ალი-ბენ-სინას (ავიცენას). იგი ამბობს: „გველის ქვა. როვორც ამბობენ, შველის გველის ნაკბენს. თუ მან

(კისერზე) ჩამოკიდებენ¹⁹. იქვე ლაპარაკია აგრეთვე გველის ხორცის სამკურნალო თვისებებსა და დანიშნულებაზე. ყურადსაღებია, რომ თურქე: „გველს ჭრიან და ადებენ გველის ნაკბენ ადგილზე. ეს აწყნარებს ტკივილს“.

ქართულ მეცნიერულ, თუ მხატვრულ ლიტერატურაში იხმარება ტერმინები: გველის რქა, გველის თვალისთვალი, უხამსის თვალი, გველის ალმასი, ასპიტის ქვა. ნატრისთვალი, გველის ბუჭედი, გველის მაგიდა და სხვა.

თ. რაზიყაშვილს გაზეთ „ივერიაში“ (1900) მოცემული აქვს მთელი რიგი ქართული სიტყვები სათაურით: „ქართული ენის საუნჯის მასალად“, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო „გველის რქა“. მისი განმარტებით გველის რქა—ხუთო, გაპლესენ წყალში და გველისგან ნაკბენს წაუსმენ, ან დააღვეუნებენ. (№ 161).

ხოლო ბროლს იგი „გველის ნალოკ ქვას“ უწოდებს.

ამ წყაროზე დაყრდნობით ეს მასალა შეტანილი აქვს ი. ჭყონიას „სიტყვის კონაში“ (1910, გვ. 13).

გველის თვალისთვალი ექიმ ა. იაშვილს გადმოცემით: „...ძალიან იშვიათი, ძვირფასი ქვაა, მრგვალი ფორმის, გამჭვირვალე. ხალხის რწმენით ამ ქვას ფლობს განსაკუთრებული, იშვიათი ჯიშის გველი... (როგორც ზემოთ მიუთითეთ ამის შესახებ.—ნ. დ.) შემდეგ გადმოცემულია, რომ გველი გამოდის ველზე მზიან ამინდში და ამ ქვას ათამაშებს. „ამ ქვას მისი მფლობელისათვის ბედნიერება მოაქვს. ქვა სამკურნალოდ გამოიყენება გველისა და შხამიანი მწერების ნაკბენის წინააღმდეგ. ამ მიზნით „თ(კ)ვალს“ ლესავენ წყალში ჭერჭლის კედლებზე და მაშინ წყალი მოიპოვებს სამკურნალო თვისებას. ამ წყლით მობანენ ნაკბენ ადგილს და მას ასმევენ კიდევ“²⁰.

გურიაში დასტურდება აგრეთვე ტერმინი „გველის ალმასი“. რომელიც მნიშვნელობით იგივეა, რაც გველის თვალისთვალი. თ. მამალაძე ამის შესახებ გადმოგვცემს: „საქართველოში არის თქმულება, რომ თითქოს არსებობენ ალმასის მფლობელი გველები. ამ გველებს თავთან აქვთ განსაკუთრებული გამობერილი (გამობურცული) ლაყუჩის მსგავსი, რომელშიც ისინი ალმასს ინახავენ“. „ამ გამობერილით შეიძლება ცნობა, ალმასის მფლობელი გველისა“...

„გველის ალმასით იკურნება გველის დაკბენილი... ალმასს გაჭინან წყალში და ამ წყალს ასმევენ დაკბენილს“. გურიაში „ხალხს რწმენით, იყო შემთხვევები, როდესაც ხალხი ალმასით ძალიან გამოღირდა“²¹.

¹⁹ Абу-Али Ибн-Сина (Авиценна), Канон врачебной науки, книга II. Ташкент, 1956, гв. 294.

გაიოთელისწინით. რომ სპარსულში არის შხამსაწინააღმდეგო რეკნარების სახელწოდებები: مار گياه (მარ-გიჰა) და مار جوه (მარ-ჯოჰ) — ლექსიკოლოგები მიუთითებენ, რომ ეს ერთი და იგივეა. ქართულად სატატური. ბორჩანე ყათუ' ამ სიტყვებს განმარტავს: „შველის ცხოველთა. გველის და მორიელის ნაკბენის შხამს“. იქნება ამ ტერმინებში შემაჯავლი პირველი სიტყვა مار (მარ) შემთხვევით არ არის გველის სახელწოდება. მით უმეტეს ეს სიტყვები სპარსულში, კერძოდ შხამსაწინააღმდეგო, საშველებას გამოხატავენ. ამ რთული სიტყვების მეორე წევრის მნიშვნელობაა ერთ შემთხვევაში სგაგ (გიჰა)—ბალახი, მეცნარე...; ხოლო جوه (ჯოჰ)—ჭობი ან საპონა (მეცნარე), ე. ი. მათი სიტყვისიტყვითა თარგმანია გველის მეცნარე, ბალახი და შეიძლება აგრეთვე გველის ჭობი.

²⁰ А. О. Яшвили, Народная медицина в Закавказье. Тифлис, 1904. გველის თვალი, თვალ, გვ. 41.

²¹ Т. Мамаладзе, Народные обичаи и поверия грузинцев. СМОЛПК, выпуск. XVII, отд. II, Тифлиси, 1893, гв. 117, 118.

დ. შენგელაია წერილში „ვაშა“ მსჯელობს, რა გველის შესახებ, წერს: „გველი მთელ საქართველოში ბარაქის მომნიჭებელ არსებულ იყო ცნობილი და მისი ეზოში მოკვლა არასგზით არ შეიძლებოდა. ის, რომ მართლაც ბარაქის ცხოველად იყო მიჩნეული, ამას თვით ნატერის თვალისა ანუ ხეითოს ზღაპარიც ამტკიცებს: ზოგ მოხუცს ახლაც სწამს, რომ გველებს ხეითო ან ნატერის თვალი აქვთ და ეს თვალი დოვლათის წყაროა“²².

ქართულ სამეურნალო ლიტერატურაში იხმარება ტერმინი ასპიტის ქვა. გვხვდება სახასთან, ნ. და დ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებში, მაგრამ მითითებული არ არის, თუ რისთვის გამოიყენება იგი და აქვს თუ არა მას სამეურნალო მნიშვნელობა. XIII საუკ. ძეგლში „წიგნი სააქომოა“ დადასტურებულია თერაიყი ასპიტისა. ე. ი. ასპიტის შხამსაწინააღმდეგო ქვა. აქ დასახელებულია დაავადება ჭოდმი (არაბ. جَدَامٌ — ჭოდამ — კეთრი, უკურნებელი სენი) და მის განსაკურნებლად სხვა საშუალებათა შორის მითითებულია: „მეცნიერთა და წინამძღვართა და აქიმთა ესრეთ უთქვამენ, რომელ ასპიტისა თერაიყი და ხორცი, მისი ხასიათთა ამას მსკესა ერგების²³ იქვე სხვა შემთხვევაში სამეურნალოდ დასახელებულია თერაიყი ასპიტისა.

სულხან-საბა ორბელიანის არაქში „მტრობით განკურნებული“ გადმოცემულია: ერთმა ავადმყოფმა, რომლის მკურნალობაზე ექიმებმა ხელ არღეს, შემთხვევით გველის ამონათხევი შექამა, ოფლმა დაასხა და განიკურნა. ექიმი ავადმყოფის ნახვისთანავე მიხვდა, რომ იგი ასპიტის ნათხევით მოჩჩა.

ქართულ ლიტერატურაში დასტურდება აგრეთვე „უხამსის თვალი“ (ე. ი. გველის თვალი). გ. ერისთავის კომედიამი „ძუნწი“ რაჭველი მსახური ბიჭი ივანცა, თავის ბატონ კარაპეტას შესახებ ამბობს: „ამოიღებს პარკს ფულთ და რავეც უხამსის თვალს ისთე ათამაშებს ფულს“. შემდეგ შეკითხვაზე: „როგორ უხამსის?“ — იგი პასუხობს: „გველი რომ არის, ... დიდი უხამსი არს ერთი, საყურიანი, უნობენ, აბა იმას მუცელშიდ თვალი აქვს. ღამე ათამაშებს... თვით მე ვნახე... ისდე ნათელობს, რავეც ცეცხლი. აბა ვინც მას იშოვებს, რაც უნდა ის ეუხდება“²⁴. „გველის თვალი“ გვხვდება აგრეთვე ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში „ცრუპენტელა აღმზღელი“ და „სოფლის სურათები“ ფშალ რექსში „ჭორი“ და სხვა.

ქართულ ზღაპრებში ლაპარაკია ნატერის თვალზე. რომელსაც გველი ფლობს. ზღაპარში „გველი და გლეხი“ გადმოცემულია: ერთმა ღარიბმა გლეხმა, რომელსაც ძროხის მებრძოლი გააჩნდა, ერთხელ გველის სოროსთან გაიარა. იცოდა რა გველს რამე უყვარს, გაიმეტა და სარძევეთ სოროსთან რძე დაუდგა. გველი ამოვიდა, რძე, დაღია სარძევეში თუმნიანი ჩაადგო და გაბრუნდა. ასე გრძელდებოდა ყოველდღე. ეს კაცი ძალიან გაპიღრდა. ერთხელ ამ კაცს ერთი კვირით სხვაგან მოუხდა წასვლა. იმის შიშით, რომ გველი არ დაეკარგა, ეს საიდუმლოება შეიღს გაანდო და დაარბოვა. როგორ მოქცეულიყო. ბიჭი ასე იქცეოდა. ერთხელ ბიჭმა თქვა: „ნეტავ ამ გველს ამოდენი ოქ-

²² დ. შენგელაია. თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV. თბ., 1972. „ვაშა“, გვ. 259-259.

²³ „წიგნი სააქომოა“ — ლ. კობეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში. XIII საუკ., ლექსიკონი შედგენილია იუსტ. აბულაძის მიერ, ტფილისი, 1936. გვ. 269₁₈.

²⁴ ჩუბინაშვილი, ტ. IV. თბ., 1960; გ. ერისთავი, „ძუნწი“, გვ. 294.

როს ფული ვინ ნისცა. ალბათ ნატერის თვალი აქვს, მოდი გველს მოკვლავ და ნატერის თვალი მე დამჩებოაო²⁵.

მეორე ქართულ ზღაპარში „ნატერის თვალი“²⁶ იგივე აზრია გატარებული და შინაარსითაც ბევრი რამ საერთო აქვს სპარსულ ზღაპარ „მეწვრილმანესთან“. აქაც ბიჭი დაწვეას გადაარჩენს გველს, მის გამოსახსნელად იხდის უკანასკნელ თანხას. მადლიერი გველი სანაცვლოს მისაგებლად ბიჭს თავის მშობლებთან წაიყვანს და დაარიგებს, რომ მისი მშობლები შვილის გადარჩენისათვის მას ბევრ ოქრო-ვერცხლს შეაძლევენ, მაგრამ „მხოლოდ წითელთვლიანი ბეჭედი გამოართვი. ის ბეჭედი ნატერის თვალია და ყველა სურვილი შეგისრულდებაო“. ბიჭი მართლაც ასე მოიქცევა. ასევეა ზღაპარ „მეწვრილმანეშიც“. ოღონდ იქ არის სოლომონის ბეჭედი, რომელიც იგივე ქართული ნატერის თვალია ორივე ზღაპარში მისი მფლობელი გველია. განსხვავება ის არის, რომ სპარსულში ამ ბეჭედს გველთა მეფე ფლობს, ქართულში კი ამაზე არაფერი ნათქვამი. მსოფლიოს ხალხთა სხვა მრავალ ზღაპარში, გველთა მეფე (ხან უბრალოდ გველ-) ფლობს ბეჭედს. ნატერის თვალს, ნატერის მაგიდას და სხვ.

ჩვენ ზევით უკვე მოვყვანეთ ბორჰანე ყათეს ცნობა იმის შესახებ, რომ არაბულად თხას, ცხვარს შაჰ-ს უწოდებენ. იქნებ შა-ში არაბული თხა იგულისხმება და მის აღსანიშნავად გამოყენებულა სიტყვა შა და არა حجر التيس როგორც ეს მარ-მოჰრეს განმარტებისას იყო მითითებული, რომ ის არაბულად თხის ქვაა حجر التيس.

მოვიხმოთ არაბული ლექსიკონის მასალები:

شاه (შათენ) მრ. شاه (შა) ან شاه (შიჰათენ) — ცხვარი, თხა,²⁷. გ ე წ.

თამარ ბუტა არაბული დიალექტებში 3-თაც გამოითქმის (პაუზალურ გამოთქმებში „ათ“ ისმის როგორც „აჰ“).

ბორჰანე თაყე — მოჰრეჲე ჟანდარუს“ განმარტებისას შენიშნავს, რომ ეს იგივე მარ-მოჰრეა, რომელიც მნიშვნელობით ფაზარია და არაბები თხის ქვას (حجر التيس) უწოდებენ. ასევე აქვს ვულერსს. ფაზარზე რუბინჩიკის რედაქციით შედგენილ ლექსიკონი მიუთითებს, რომ ეს თხის ნაღვლის ბუშტში არსებული ქვაა. ასევე ხსნიან ფაზარს ზოგიერთ ქართულ გამოცენათა ლექსიკონის შემდგენელნი: ა. შანიძის „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში (1957). იუსტ. აბულაძის განმარტება — „შაჰ-ნამე“, ტ. 1. (1916).

შეიძლება აქ გვეკონდეს სპარსულ ნიადაგზე შექმნილი ჰიბრიდული კომპოზიტი: არაბ. შაჰ და სპარს. მოჰრე.

ბორჰანის ცალკე აქვს გამოყოფილი თხის ქვა. სადაც ნათქვამია: „ეს ქვა მოიპოვება თხის შინაგანი ორგანოებიდან, მაგრამ მას პოულობენ შემთხვევით და იშვიათად. მას თხის ქვას უწოდებენ, უკავშირებენ რა თხას... ხანდახან ამ ქვას ცხვრის ბეზოარს უწოდებენ, რათა მოაშორონ დამცინავი სახელწოდება. რომელიც დაკავშირებულია თხასთან და მისცენ მას ცხვართან დაკავშირებული

25 ხალხური სიმღინე; ქართული ზღაპრები, II. შედგენილი ა. ლ. ლ. ტ. ის მიერ, თბ., 1964. „გველი და გლეხი“, გვ. 37.

26 იქვე, „ნატერის თვალი“, გვ. 62—72.

27 გ. წერეთელი. არაბულ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1951. გვ. 113.

საპატიო სახელწოდება. ყველაზე სწორება მისი სპარსული სახელწოდება — თრ-აქი...

ამბობენ, რომ მთის თხები ჰამენ გველებს, ფურ-ირემის მსგავსად, შემდეგ ძოვენ ბალახს. ეს ნივთიერება მათ ნაწლავებში დედდება, იქ გადაგორდება და მრგვალ ფორმას იღებს. ეს საუკეთესო ბუნებრივი შხამსაწინააღმდეგო საშუალებაა შხამიანი გველების ნაებების სამკურნალოდ. ამ ნივთიერებას კამის წყალში ხსნიან, ზეღენ დაკბენილ (დასუთნქელ) ადგილს, ტკივილი სწრაფად უჩრდება და აღსდება კანის პირვანდელი ფერი. მას ინახავდნენ მეფის საგანძურში. ის ძალიან ძვირად ფასობდა და მის გამო მეტოქეობდნენ. ...ზოგიერთი ხალხი ამტკიცებს. რომ სპარსულ თრიაქს პოულობენ მთის თხის ნაღვლის ბუშტში, როგორც პოულობენ ჭაიხანას ხარის ნაღვლის ბუშტში²⁸.

აქ ჩვენთვის საინტერესოა, რომ თხა, რომლის შიგნეულობაში წარმოიქმნება შხამსაწინააღმდეგო ნივთიერება. ჰამს გველებს, ხოლო ზევით ნათქვამი იყო, რომ მარ-მოჰრეს წარმომქმნელი გველებიც ჰამენ გველებს... საინტერესოა აგრეთვე ბირუნის შენიშვნა თხის ქეის შესახებ, სადაც მიუთითებს: „სომხურად ამ ქეის ეწოდება „მაყულ ჰაიათ“. ეს არის დამახინჯებული არაბული გამოთქმა „გველთა შემსანსეღელი“²⁹.

სპარსულში გარეული თხისა და ცხვრის გამოსახატავად არის ტერმინი მარ-ხორი, რაც ნიშნავს გველის მკამელს. ამ სიტყვის ვრცელ განმარტებას იძლევა ბორჰანე ყათი მარ-ხორს „...გარეულ ხარს, კამეჩს, ძროხას, რემს უწოდებენ. ამბობენ რგი გველს იჭერს და ჰამს, ზოგის აზრით, გარეული ცხვრის ერთ-ერთი სახეობაა. იგი, როდესაც გველის სოროს ნახავს, მას ცხვირპირს დაადებს და ჩაუბერავს (ჩაასუნთქებს). გველი სულიერის სუნის შეყნოსისთანავე სოროდან გამოდის და თხა (ცხვარი) მას ჰამს. თუ ამ ცხვრის ტყავს გველის სოროს შესასველელთა დასწვავენ, გველი, როგორც კი კვამლის სუნს აგრძნობს, აღგზნებული სოროდან ამოვა. ამბობენ რომ ამ ცხვრის დორბლი ფაზარია“³⁰.

სხვა ლექსიკოლოგები მიუთითებენ, რომ მარ-ხორი გარეულ თხის ჭიშია — გარეული ხარი, ცხვარი, კამეჩი, ბიზონი. ვულერსის თანახმად, მარ-ხორი იგივე ირემია, სხვაგვარად გარეული ცხვრის ჭიშია (گوسفند کوهی).

ეს სიტყვა შესულია თურქულშიც ბუდაგოვი შენიშნავს: მარ-ხორი არის გველის მკამელი, გარეული თხის ჭიში ქაპულისტანში.

ამგვარად შეიძლება დავასკვნათ, რომ შაჰ-მოჰრეს პირველი ელემენტის ანახსნელად შესაძლებელია სამი ვარაუდი: 1. შაჰ ნიშნავს: „მეფე, სამეფო, მთავარი...“. 2. შაჰ ნიშნავს შაჰ-მარანს — „გველთა მეფეს“ და მის აღსანიშნავარ იხმარება ელიფსურად. შდრ. მარ-მოჰრე და მოჰრე-ერთი და იმავე მნიშვნელობით (ცენკერი. ჯონსონი) (იხილეთ ზემოთ მოჰრესთან).

3. შაჰ-არაბული თხის აღმნიშენელი სიტყვაა. შაჰ-მოჰრე „თხის ქვა“ იგივეა რაც ფაზარი. არაბული حجر التيس.

არ არის გამორიცხული აგრეთვე, რომ აქ ადგილი ჰქონდეს კონტამინაციას და ერთმანეთს დაემთხვა ორი დამოუკიდებელი სიტყვა — შაჰ-მოჰრე „თხის ქვა“ და შაჰ-მოჰრე „გველის ქვა“ — ფორმისა და შინაარსის მსგავსების გამო.

²⁸ Биргучини, там же, გვ. 190—191.

Там же, გვ. 468.

³⁰ Борхане ყათი ნაწ. II, გვ. 234.

სპარსულში, შაპ-მოპრეს და მარ-მოპრეს გარდა. შხამსაწინააღმდეგო შეულებათა აღმნიშვნელად დამკვიდრებულა მთელი რიგი სიტყვები. აქვე მოგვყავს შხამსაწინააღმდეგო ქვების (უმეტესად ცხოველური წარმოშობის) სხვა არაბულ-სპარსული ტერმინები: **مهره زهر** (შაპრ-მოპრე), **کتره زهر** (შაპრ-ქაშე), **دارو زهر** (შაპრ-დარუ), **زهر باد** (ფაღ-შაპრ) || **زهر پا** (ფა-შაპრ), || **باد زهر** (ბაღ-შაპრ), **باد مهره** (ბაღ-მოპრე), **زهر گاو** (გაუ-შაპრ) **تریاق** (თერიაყ) || **تریاک** (თერიაქ). **مهره حاندارو** (მოპრე-ჩანდარუ), **نوشدارو** (ნოშ-დარუ) და სხვ.

ამგვარად—„ყისავე ამირ ჰამშას“ ქართულ თარგმანში ნახვარ „შ ა მ ო რ ა“—ს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ქართულში უკვე ცნობილ ხვითოსა და ფაზარს ოლონდ ფაზარს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს და ყოველგვარი ცხოველური წარმოშობის ქვის აღსანიშნავად იხმარება. ამოსავალი სპარსული ფორმა შამორასათვის არის **مهره شاه** რაც გველის. ან უკვეთ გველთა მეფის (შაპ-მარ-ან), ქვას უნდა აღნიშნავდეს. არ არის გამორიცხვლო მეორე შესაძლებლობა შამორა (შაპ-მოპრე) აღნიშნავდეს ე. წ. „თხის ქვას“.

Н. С. ДАРСАВЕЛИДЗЕ

К ВОПРОСУ О ПРОИСХОЖДЕНИИ ГРУЗИНСКОГО ТЕРМИНА. ОБОЗНАЧАЮЩЕГО ПРОТИВОЯДНЫЙ КАМЕНЬ

Резюме

В статье рассматривается грузинское наименование противоядного камня *šatoga*. Оно восходит к персидскому **شاه مهره** (*šāh-mohre*), встречается лишь в грузинской рукописной версии „Книга-Ашир Хамзам“ По мнению лексикологов, оно означает то же, что персидское **مار مهره** (*mār-mohre*)—змеиный камень.

Мы полагаем, что первый элемент *šāh* композита *šāh-mohre* является:

1. Персидским словом **شاه** (*šāh*)—царь, царский, главный, основной (ср. **دارو شاه** (*šāh-daru*)—царское или основное лекарство). Значит, **شاه مهره** (*šāh-mohre*)—царский, основной, главный камень:

2. Эллиническим употреблением выражения: **شاه ماران** (*šāh-māran*)

царь змей, обладающий драгоценным камнем. (ср. **شاه پیل** (*šāh-pīl*), **شاه ماهی** (*šāh-māhī*), **شاه باز** (*šāh-bāz*). Тогда **شاه مهره** (*šāh-mohre*)—змеиный камень.

شاه (*šāh* (t)un) является арабским словом, обозначающим козу, олицу.

Второй элемент композита **مهره** (*mohre*) обозначает камень, шарик, бусину. Таким образом, **شاه مهره** (*šāh-mohre*)—козлиный (овечий) камень.

Подобные значения подтверждаются этнографическим и фольклорным материалом грузинского и других восточных языков.

Не исключена также возможность, что здесь имеет место контаминация двух терминов для обозначения противоядного камня: *šāh-mohre*—змеиный камень и *šāh-mohre*—овечий камень, которые совпали в го форме.

В грузинской форме *šatoga* имеет место характерное выделение звука *h* в обоих членах композита.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა

წიგნი-კორესპონდენტმა:

კ. წერეთელმა

მერაბ ბერიძე

ტოპონიმ „ვარძიის“ ეტიმოლოგიისათვის¹

ვარძია სამია საქართველოში: თვით ციხე-ქალაქი ზედა ვარძია, იქვე, ჯახეთში, „დიდშენი“, მონასტრით დამშვენებული, და იმერეთის ვარძია, მდებარე იმავე სახელწოდების წყალზე, რომელიც ჩხირიმელას უერთდება².

იმერეთის ვარძია ჯახეთის ვარძიის დუბლიკატი ტოპონიშია. ჯახეთიდან წასულთ დაუარსებიათ იგი³.

ვარძიის მშენებლობა დაიწყო გიორგი მესამემ და სრულყო თამარმა. ისტორიკოსი წერს: „ესევეთარი ნიჭი და პატივი მომალდა მის მიერ შეყვარებულმან ღმერთმან თამარსა, გარნა არცა ის უღებ იქნა მოქმედებად საქმეთა სათნოთა ღმრთისათა. კელ-ყო აღშენებად საყოფელსა გამმარკუებელსა ზეშთაკურთხეულსა ვარძიისა ღმრთისშობელსა, ზემო ვარძიისა ქვემო ვარძიითა მიცვალებითა, რომელი კლდისაგან გამოჰკუეთა. ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა გიორგის“⁴. ე. ი. თამარმა ზემო ვარძიის ნაცვლად გამოკეთა ქვემო ვარძია. მართალია, ისტორიულ წყაროებში ვარძია მონასტრის აშენებამდე არ იხსენიება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტოპონიმი მანამდე არ არსებობდა. ვარძია (ქვემო ვარძია) სოფელი იქნებოდა ისევე, როგორც ბოლო დრომდე სოფელი იყო ზედა ვარძია.

დიდიდან აშენებისა, ვარძია დიდ როლს ასრულებდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

ვარძიის სახელწოდებას ხალხური ლეგენდა თამარს უკავშირებს: თითქოს მას გზა აბნევიდა და ბიძისთვის დაუძახია, აქა ვარო.

„ხალხურ ეტიმოლოგიას (ვარძია, ე. ი. ძია ვარ) რომ თავი დაეანებოთ, სახელწოდება „ვარძია“, რასაკვირველია, შეიძლება განმარტებულ იქნეს „ვარდ“ ან „ვარძ“-ის ნიადაგზე, რომლითაც ცნობილი არიან ისტორიული პირები ბიზანტიისა და სომხეთის წარსულიდან: „ვარდ“ სკლეროსი, „ვარდ“ პატრიკი. ერთი მხრივ, და „ვარძ“ resp „ვარძამ“ კამსარაკანი, მეორე მხრივ. მაგრამ სიტყვის წარმოება „ვარდციხე“—„ვარძია“, ანდა „ვარძ-ციხე“—„ვარძია“ ყოვლად შეუძლებელია. ყოვლად შეუძლებელია აგრეთვე, რომ „ვარძიის“ რაიმე კავშირი ჰქონდეს „ვარდციხესთან“ როდოპოლისის ვაკეებით. მაშასადამე, ჩვენ გვჩება ერთადერთი გამოსავალი „ვარძიის“ ახსნა-განმარტება რომელიმე ტომობრივ სახელწოდებაში ვეძიოთ“⁵.

1 ნაშრომი წაკითხულია მოხსენებად თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის მუდმივმოქმედი სემინარის „საენათმეცნიერო საუბრობის“ სხდომაზე 1975 წლის 26 დეკემბერს.


2 ლ. მელიქსეთ-ბეგო, ტოპონიმიკური შტუდიები, ზუნანისისა და ვარძიის სახელწოდებათა ეტიმოლოგიისათვის, „მარკსისტული ენათმეცნიერება“, 1934, გვ. 160.

3 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, გვ. 504.

4 ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 91.

5 ლ. მელიქსეთ-ბეგო, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

ლ. მელიქსეთ-ბეგის ვარაუდით, ვ ა რ ძ ი ა ეტიმოლოგიურად უკავშირდება ხ ო რ ძ ე ნ ე ს, მას სამცხის სახელწოდებად თვლის მკვლევარი, იმოწმებს სტრაბონს, რომლის ცნობით II საუკუნეში სომხებმა მეზობელ ივერებს წაართვეს „მთიანეთ-ხორძენე, პარიადრესი და გოგარენე. პარიადრესი თითქოს პარხალი იყოს, გოგარენე — გუგუარქი (გუგარეთი — გუჯარეთი), ხ ო რ ძ ე ნ ე კი თითქოს მთიანეთი პარხალსა და გუგარქს შორის, ე. ი. სამცხე, მერმინდელი სამცხე-საათაბაგო, ანუ მესხეთი, ჯავახეთითა და ტაო კლარჯეთითურთ“⁶. თავის ეტიმოლოგიურ ძიებას ლ. მელიქსეთ-ბეგი ასეთი სქემით ამთავრებს:



ო რ ძ ი ა-დან ვარძია მივიღეთ ო-ს „კანონზომიერი“ გაშლით, თეო „ვარძია“ ასეთივე წარმოშობისაა, როგორც „ივერ-ია“. „ალბან-ია“, „არმენ-ია“, „გურ-ია“... ე. ი. ბერძნულ-ლათინური დაბოლოება -ია-ს მეშვეობით“⁷.

თვით ვ ა რ ძ -ო რ ძ ფუძის დაშლით მკვლევარი მ-დის დასკვნამდე, რომ „ჩვენ გვჩვენება ერთადერთი გამოსავალი, რომ „ხორძიანენე“—ხ ო რ ძ ე ნ ე — ვ ა რ ძ ი ა — ო დ რ ჰ ე“ nomen gentile-დ აღვიაროთ „ვარ“ — „ვერ“ „ბარ“ || „ბერ“ || „mar“ — „mer“-ის საფუძველზე, უკეთ „ბერ—ძენ“—ის, ე. ი. „ივერ-ჰანის“ (ხორძიანე—ხორძია[ნენე]—ვარ+ძენ —ბერ+ძენ (რბერ+ჰან)-ის საფუძველზე“⁸.

1. ხ ო რ ძ ე ნ ე რომ სამცხე არ არის და, მით უმეტეს. „სამცხე-საათაბაგო, ანუ მესხეთი, ჯავახეთითა და ტაო კლარჯეთითურთ“, ცხადი ხდება ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიიდან“. მკვლევარი სტრაბონის იმავე ცნობას იმოწმებს და ხ ო რ ძ ე ნ ე ს სამცხის პროვინციად თვლის: „იგივე ავტორი (სტრაბონი—მ. ბ.) მოგვითხრობს, რომ იბერიას თავდაპირველად მეტრ ადგილს სჭერია: პარიადრის მთები, ხ ო რ ძ ი ნ ა და გუგარქიც მას ჰყოფენებია. მერე ეს სამივე მახრა იბერებს სომხებმა წაართვეს და თავიანთი ენა გაავრცელეს... ხ ო რ ძ ი ნ ა კი სომხებს შერჩათ და VII ს. სომეხი გეოგრაფის სიტყვით. მეოთხე სომხეთის ერთ-ერთ მახრად ითვლებოდა...“

იბერიასა და სომხეთს გარდა იყო აგრეთვე მესხეთი ანუ სამცხე. მაგრამ უკვე პირველს საუკუნეს ქ. წ. მათი მიწა-წყალი, სტრაბონის სიტყვით. რამდენიმე ნაწილად იყო გაყოფილი: ერთი კოლხებს ჰქონდათ დაპყრობილი. მეორე იბერებს. მესამე კიდევ სომხებს“⁹. „სტრაბონი ამბობს. მტკვარს სათავე სომხეთში აქვსო, მაგრამ ეს სწორედ ის ადგილია სადაც მტკვარის სათავე იყო. იქ-

⁶ იქვე.

⁷ იქვე. გვ. 160.

⁸ ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

⁹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1948, გვ. 423.

ნებ ეს ადგილი სამცხის იმ ნაწილს ეკუთვნოდეს, რომელიც სტრაბონის სიტყვით, სომხებმა დაიპყრეს¹⁰. მოყვანილი ციტატით ი. ჭავჭავიძე აზუსტებს ხორძინას ადგილსამყოფელს სამცხეში, სახელდობრ: ხორძინა||ხორძენე მდებარეობდა მტკვრის სათავეში და სამცხის ერთ-ერთ პროვინციას შეადგენდა.

2. ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, ოძრ-ისაგან მიღებულია ორძ-მეტათეზისის გზით¹¹. თუ ეს ასეა, გაუგებარია, საიდან მივიღეთ იმავე ოძრ-ის მეორე ვარიანტი: ვარძენ. ოძრ-ს ამ შემთხვევაში უნდა მოეცა ვა (ო-ს გაშლით) +ძ+რ, რაც მოგვცემდა ვაძრ-ს.

ამდენად, ერთი და იგივე არ არის, საერთო ფუძედ ავლებთ ოძრ-ს თუ ორძ-ს. რადგან პირველ შემთხვევაში (მეტათეზისამდე) შეუძლებელია იგულისხმებოდეს ის ვარ ელემენტი, რომელიც ზემომოყვანილ ავტორისეულ ციტატაშია დასახელებული, რადგან ო-ს გაშლით შეიძლებოდა მიღება ვა და არა ვერ ან ვარ...

3. როდესაც 1862 წელს ვარძანის ისტორიის გამომცემელი სომეხი ეთნოგრაფი და მ. ლალიანი იხსენიებენ ვარძის ვარძენიქ ფორმით, სადაც უნოქალღურ-სომხური სუფიქსია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ია-ც უეჭველად სუფიქსია, რომელიც სომხებმა ამის გამო თარგმნეს, მით უმეტეს. რომ „სიმართლედ რომ ეთქვას, ორს შემთხვევაში, როდესაც ვარძია იხსენიება ძველ სომხურ მწერლობაში. იგი წარმოდგენილია ჩვეულებრივ სახელწოდებით და არა ვარძენიქად¹².

ვარძენიქ ფორმით ვარძია სომხურ ფოლკლორშიცაა ცნობილი¹³ და ეფქრობთ, იმავე მიზეზის გამო, ია სუფიქსად იქნა გაკუბული.

4. ხორძია||ხორძენ ე-ში ხ-ანი არ არის არაპრეფიქსული წინნართი¹⁴, იგი ფუძისეული ბგერაა (იხ. შემდგომ).

5. ვარძია რომ ისეთი ლოკალობის ტოპონიმი ყოფილიყო, როგორც ოძრქე (შდრ. ლონტი მროველი, სადაც ოძრქე უფლოსთან და ჭავახოსთან ერთად მცხეთოსის შვილადაა გამოცხადებული). სამცხე ან თუნდაც ხორძენე, ე. ი. ტერმინი გამოყენებულიყო არა მხოლოდ დასახელებული პუნქტის, არამედ მთელი პროვინციის, „მარის“ აღსანიშნავად. ის უეჭველად იქნებოდა მოხსენიებული ქართულ წყაროებში. ვარძია კი ჩვენი ისტორიისათვის ცნობილი ზღედა მაშინ. როდესაც იქ ციხე-ქალაქის მშენებლობა იწყება.

არსებითად იგივე აზრი აქვს გამოთქმული ვარძის ეტიმოლოგიაზე მაისურაძესაც. მისი აზრით, ძირითადი ნაწილი ამ სიტყვისა არის სახელის ორ ნაწილად გაყოფის შედეგად მიღებული ვარძ-ს. ლ. მელიქსეთ-ბეგისაგან განსხვავებით ვარძ-ი მაისურაძესთან ძირეულ ნაწილადაა მიჩნეული: „თუ დროზე გავემიჯნებით იმ ხალხურ გააზრებას (იგულისხმება ვარძია — ბავშვობისას წამოძახებული სიტყვები თამარისა. — მ. ბ.) და მოვისურვებთ ამ სიტყვის მეცნიერულ ახსნას, პირველყოფისა მის ძირეულ ნაწილს ვარძ-ს უნდა დაეუკვირდეთ“¹⁵. ვარძ-ძირეული ნაწილის ანალიზის შედეგად ასეთი დასკვნამდე მიღის მკვლევარი: „წარმოდგენილი მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს ორ-

¹⁰ იქვე, გვ. 424.

¹¹ ლ. მელიქსეთ-ბეგის, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

¹² იქვე.

¹³ იქვე, გვ. 162.

¹⁴ იქვე, გვ. 164.

¹⁵ ი. მაისურაძე, ვარძის ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „ბორჯომი“. 1967, № 4.

ოღე მოსაზრება გამოეთქვათ ვარძიის წარმომავლობაზე. იგი ვარძ-ძირიდან -ია სუფიქსის დართვით მიღებული მამაკაცის სახელი უნდა იყოს (მსგავსი წარმომავლობისაა სხვა სახელები: მამია, ვაჟია, დათია, ვეფხია, კაცია). თავისი შინაარსით (მამრობითობის ცნებაზე მითითებით) „ვარძია“ ყურადღებას უნდა ამახვილებდეს იმ ფაქტზე, რომ ამ მონასტერში სასულიერო მამათა საძმო იყო დასადგურებული... მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ ვარძ-ძირი ვერძთან იყოს პირდაპირ კავშირში და ამ სახელის სახელდება წინაქრისტიანული რელიგიური ცნებით ვერძის საკულტო დანიშნულებით იყოს განსაზღვრული¹⁶.

იასუფიქსი, მართალია, გეოგრაფიულ სახელებს აფორმებს, მაგრამ საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ოდენ ია დაბოლოებით გაფორმებული არც ერთი პუნქტის ისეთი სახელწოდება არა გვაქვს, რომ ამოსვლად აღამიანთა საკუთარი სახელი ედოს. ერთადერთი გამონაკლისია ცხაკია, რაც ჭერ ერთი, ახალია, ასეც რომ არ იყოს, აქ -ია ტოპოდაბოლოება არ არის. ის გვიარის დაბოლოებაა. ამ ტიპის ტოპონიმები სხვაგვარადაა ნაწარმოები (შდრ. ს. აბუთბაიო — გალის რ., საშამუგიო — გალის რ., სახარბედო — ცხაკიას რ. და სხვ). მართებული ჩანს ი. მაისურაძის ვარაუდი, რომ ვარძ-კომპონენტი დასტურდება გვარებში: ვარძელაშვილი, ვარძუკაშვილი, ვარძიგულაშვილი¹⁷, მაგრამ აქაც ცალკე უნდა იქნეს განხილული ვარძელაშვილი, რომელიც მართლაც ტოპონიმიდან უნდა მოდიოდეს -ელ წარმომავლობის სუფიქსის დართვით, ისევე როგორც, მაგალითად, ბანძელაშვილი, კახელაშვილი.

საეკვია ვარძიის, მამათა მონასტრის, გადამწყვეტი როლის თამაში მისი სახელწოდების შინაარსის განსაზღვრისას და, ამდენად, ტოპონიმის სემანტიკის მამაკაცთან დაკავშირება, რადგან ვარძიას აშენდა მამათა მონასტერი და არა თვითონ ვარძია. წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენი მამათა მონასტერიცაა, იმდენი ვარძია უნდა გვექონდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში ვარძია გამოქვაბულთა სინონიმად იქცა. სოფ. ნაქალაქევისაკენ ხერთვისიდან მიმავალ გზისპირა კლდეს, რომელშიც ქვაბთა თხრის კვალი ამჩნევია (როგორც ჩანს, დაუწყობ და მიუტოვებიათ); ჰქვია ნავარძიები. მთქმელმა ასეთი განმარტება მომავლოდა: „აქ ვარძია უშენებიათ, მაგარი ყოფილა და დაუგდიათ, მერე გადასულან ვარძიას“.

ტოპონიმი ვარძია რომ აშკარად კომპოზიტური წარმომავლობისაა, ამას მოწმობს შემდეგი გეოგრაფიული სახელების ფორმობრივი ანალიზი:

ვარძია
ტანძია
ალანძია
ტორნაძია||ტრადია
ხორძია
ხურძია

ამ გეოგრაფიული სახელების შედარების საფუძველზე გამოიყოფა საერთო ნაწილი ძია, რომლის გამოკლებით ყოველ მათგანს საქართველოს გეოგრაფიულ

¹⁶ იქვე.

¹⁷ იქვე.

ნომენკლატურაში მოეპოება პარალელები: ტ ა ნ-ძ ი ა ს—ტ ა ნ ა (მდინარე, გო-რის რ.), ა ლ ა ნ-ძ ი ა ს — ა ლ ა ნ-თ ა (სოფელი, ბორჯომის რ.).

მართალია, ი. ჭავჭავაძის წერს, რომ ჭავჭავაძის ერთ-ერთ მთას ტ ო რ ნ ა-ძ ი ა (თუ ტ რ ა ძ ი ა) ეწოდება¹⁸, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ისინი (ტ ო რ ნ ა-ძ ი ა, ტ რ ა ძ ი ა) სხვადასხვა გეოგრაფიული სახელებია. ტ ო რ ნ ა-ძ ი ა-ში კომპოზიტის ერთ-ერთ კომპონენტად ტ ო რ ნ ა-ს გამოყოფას მხარს უჭერს შემდეგი გარემოება: «ქციას თავის მხრივ შემდინარეები ერთვის, რომელთაგან ზოგი მოზრდილია. ამ შემდინარეთაგან მოხსენებულია 1. „ზურავეტი ანუ, როგორც მას მერე ეძახდნენ, ზურტავეტი, ტ ო რ ნ-ის ქვეი, რომელიც, ვახუშტის სიტყვით, „ირავის ხეობის მდინარეა“ „და ერთვის ქციას“»¹⁹.

რაც შეეხება ტ რ ა ძ ი ა ს, ის დღევანდელი ტ რ ა ნ ძ ა უ ნდა ი ყო ს (ტ რ ა ნ-ძ ა წასოფლარ როკეთში მთას ჰქვია). ამის შესახებ შემდეგ ვვექნება საუბარი. ძ ი ა გამოყოფა, ავრთვე, სახელში ხ ო რ ძ ი ა ნ ე ნ ე \| ხ ო რ ძ ე ნ ე. სა-დაც — ე ნ ე გამოცხადებულია არაქართულ სუფიქსად²⁰. ხ ო რ ძ ი ა-ნ ე ნ ე-ში ი პოტენციური წარმოშობის გამომხატველია, მაგრამ არაქართული აფიქსის დაბრუნებამ ხელი შეუწყო მის, როგორც — ი ა ნ დაბოლოების, თანხმოდნად გაგე-ბას. ამიტომ ამოფარდა იგი პარალელური ხ ო რ ძ ე ნ ე ფორმაში. ხ ო რ-ძ ი ა-ში ხ ო რ- ელემენტის ცალკე გამოყოფას ადასტურებს შემდეგი ტოპონიმების ფუძეთა ჩვენება: ხ ო რ-ე თ-ი (სოფელი, ლანჩხუთის რ.), ხ ო რ-ი თ-ი (სოფე-ლი, ორჯონიკიძის რ.). შეიძლება ამავე რიგში ჩადგეს ხ ო რ-ე ნ-ი ა (სოფელი, ახალქალაქის რ.).

ხ უ რ ძ ი ა სმოვარს ჰქვია ორჯონიკიძის რაიონის სოფელ უბისაში²¹. ამ შემთხვევაში ხ უ რ-ის ცალკე გამოყოფა გეაფიქრებინა შემდეგმა სახელებმა: ხ უ რ-ი (სოფელი, ზანურის რ.), ხ უ რ-ი თ- ა (სოფელი, ცხინვალის რ.). ხ უ რ-ი თ-ი (სოფელი, ზანურის რ.).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ -ძ ი ა ვ ა რ ძ ი ა-ში ცალკე კომ-პონენტი ისევე, როგორც ტოპონიმებში: ტ ა ნ-ძ ი ა. ა ლ ა ნ-ძ ი ა, ტ ო რ ნ ა-ძ ი ა, ხ ო რ-ძ ი ა, ხ უ რ-ძ ი ა.

თავის მხრივ, ვ ა რ- კომპონენტის კომპონენტებიც საკმაოდ ბევრია საქარ-თელოს ტერიტორიაზე: ვ ა რ ჩ ა (სოფელი, გულრიფშის რ.), ვ ა რ ხ უ ნ ო (სოფელი, თეთრი წყაროს რ.), ვ ა რ გ ა ე ვ ი (სოფელი, ასპინძის რ.), ვ ა რ ხ ა-ნ ი (სოფელი, ადიგენის რ.), ვ ა რ ნ ე თ ი (წასოფლარი, ასპინძის რ.), ვ ა რ ე ვ ა-ნ ი (სოფელი, ახალქალაქის რ.), ვ ა რ ი ა ნ ი (გორის რ.),

ზემოჩამოთვლილი ტოპონიმებიდან ვ ა რ კომპონენტის გამოყოფას მხარს უჭერს სხვა გეოგრაფიული სახელები, რომლებშიც კომპოზიტის მეორე ნაწი-ლი იგვევა, რაც ვ ა რ ნაწილიან კომპოზიტებში, ოღონდ პირველი ნაწილი ვ ა რ შეცვლილია სხვა სიტყვით: მაგალითად, ვ ა რ ჩ ა-ში ვ ა რ ნაწილის გამოყოფას შესაძლებელს ხდის ტოპონიმების შემდეგი ჩგუფი: ტ ო ნ ჩ ა (სოფელი, ზანუ-რის რ.), ვ ა რ ჩ ა (სოფელი, გულრიფშის რ.), ხ უ რ ჩ ა (სოფელი, ზუგდიდის რ.), მ უ ხ უ რ ჩ ა (სოფელი, გეგეპკორის რ.).

ტ ო ნ კომპონენტი დამოუკიდებლად შედის ტოპონიმში ტ ო ნ ტ ო ბ ე თ ი (სოფელი, ჯავის რ.). აქ ტ ო ნ-ის სემანტიკა უცნობია, მაგრამ ტ ო ბ-ათ-ი (ლან-

18 ი. ჭავჭავაძის, ქართული ერის ისტორია, წიგნი II, 1948, გვ. 15.

19 იქვე, გვ. 22—23.

20 ლ. მელიქსეთ-ბეგის, დასახ. ნაშრომი, გვ. 161, 164.

21 ტოპონიმო მოგვეწოდა ტოპონიმის ლაბორატორიის თანამშრომელმა ი. პაქაძემ.

ჩხუთის რ.) და. საერთოდ, ტობ ფუძე ტოპონიმებში²² შესაძლებლობას იძლევა ამ კომპოზიტის დაშლისა, როგორც ტოტობ-ე-თი.

ხუ რ ჩ ა-ში დადასტურებული ხუ რ- ზემოთ უკვე გამოიყო ხუ რ-ძ რ ა ს-თან დაკავშირებით შემდეგ სახელებში; ხუ რ ი, ხუ რ ი თ ა, ხუ რ ი თ ი. ასევე გამოიყოფა მუხ-ხუ რ-მუხ-ხუ რ ჩ ა-დან (შდრ. მუხ-ხუ რ ი ცხაკაიას, ჩხოროწყუს გალის რაიონები).

ამრიგად, ზემოჩამოთვლილ ტოპონიმების რიგში ჩადგება ვარ ჩ ა-ც, რომელშიც სხვა ტოპონიმებთან საერთო ჩ ა ნაწილის ჩამოშორების შემდეგ გვრჩება ჩვენთვის საინტერესო ვარ.

ამავე გზით გამოიყოფა ვარ- კომპონენტი ვარ ხუ ნო-ში, ოღონდ ეს სახელი სხვებისაგან განსხვავდება ო-ხმოვნიანი დაბოლოებით (ა და ო ხშირად ენაცვლება ერთმანეთს): ხოსპია — ხოსპიო. გოკია — გოკიო. ტორია — ტორიო (ყველა სოფელი ახალქალაქის რაიონში).

ეს რომ. მართლაც ასეა და არც ვარ ხუ ნო ში. არც სხვაგან ო ფუძისეული არ არის, ადასტურებს ამ ტოპონიმებიდან ნაწარმოები წარმომავლობითი სახელები: ხოსპიო — ხოსპიელი (და არა ხოსპოელი) გოკიო — გოკიელი (შდრ. გვარი გოკიელი), ტორიო — ტორიელი (და არა ტორიოელი). ვარ ხუ ნო — ვარ ხუ ნელი, ე. ი. ვარხუნოზი მხოლოდ ვარ ხუ ნარის ფუძისეული. ხოლო ო დაბოლოებაა. თავისი მხრით ვარ ხუ ნო-შიც გამოიყოფა ორი კომპონენტი: ვარ და ხუ ნ. ეს უკანასკნელი დადასტურებულია ტოპონიმებში: ხუ ნ-ე ვ-ი (სოფელი, ორჯონიკიძის რ.), ხუ ნ-ა ნი ს-ი (რომელიც ქართულ საისტორიო წყაროებში მტუე-რის ციხედაც იხსენიება. აქაც იგივე ხუ ნ- ფუძეა, ხოლო ა-ნ მრავლობითობის მაწარმოებელი აფიქსი)²³.

რაც შეეხება ვარ-ელემენტთან სხვა ტოპონიმებს. ვარ — გამოიყოფა ვარ გავ-ში (შდრ. გავეთი. პირველი ასპინძის რაიონის სოფელია, ხოლო მეორე იმავე რაიონის ნასოფლარი.), ვარ ხან-ში (სოფელი. ასპინძის რ. შდრ. ხანი მაიაკოვსკის რ.).

სამცხე-საათაბაგოს „საჩინო“ ადგილთა აღწერისას ვახუშტი ამბობს: „ასპინძის ქვეს შესართავს ზეით მოერთვის მტკვარს ვარენთისკევი. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის დასავლეთად. ვარენთას არს ციხე მაგარი კლდესა ზედა შენი. ამ ქვეის შესართავს ზეით მოერთვის კოხტისკევი. გამოსდის ჭავჭავთის მთას კოლიანა და მოდის დასავლეთად“²⁴.

მოყვანილი ვარენთა და ვარენთის კევი დღევანდელი ვარნეთია. იგი ასპინძის ხევსა (დღევანდელი ოთის წყალი) და კოხტის ხევს (დღევანდელი ტამალის წყალი) შორის მდებარეობს, ოღონდ იმ განსხვავებით. რომ ვარენთის (ან ვარნეთის) ხევი მტკვრის მარცხენა შენაკადია. ვარნეთში 1944 წლამდე ცხოვრობდნენ გათათრებული ქართველები, ახლა ნასოფლარია. სადაც დღესაცაა „ციხე მაგარი კლდესა ზედა შენი“. ე. ი. ვარენთა (-ენ-თა ორმაგი მაწარმოებელია მრავლობითობის) — ვარნეთი. უკანასკნელი ფორმა მეტათეზისის შედეგია, რომელმაც, თავის მხრით, ხელი შეუწყო ვარნეთში-ე თ ელემენტის ტოპონიმიურ სუფიქსად ჩათვლას.

²² ბ. ჭობენაძე, ტბ||ტბ ფუძე ქართულ ტოპონიმებში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 79, № 2, 1975, გვ. 505—408.

²³ ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

²⁴ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 667.

ვარევენ-ში - ე-ნ-ი მრავლობითობის ორმაგი მაწარმოებელია. ვფიქრობთ, ასეთივე წარმოება უნდა გვქონდეს შედეგ ტაბონიმებში: ვარევენ-ნი (სოფელი, ბორჯომის რ.), რატევენ-ნი (სოფელი, ბორჯომის რ.), -იან სუფიქსით იწარმოება ტაბონიმი ვარ-იან-ი.

ამრიგად, ტაბონიმი ვარძია კომპოზიტური წარმომავლობისა უნდა იყოს და ვარ, ძია ელემენტებად უნდა იშლებოდეს.

მათი სემანტიკური მნიშვნელობის განსაზღვრას არ შეეუდგებით. აღნიშნულ ტაბონიმებში ძია კომპონენტის გამოყოფა მნიშვნელოვანია მესხეთის ისტორიული ტაბონიმიკისათვის, რადგან შესაძლებელი ხდება ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის სიძველის დაახლოებითი განსაზღვრა. ძია ორგანულად მესხური უნდა იყოს. ეს შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ იგი (ძია) თავისი სემანტიკით საერთოქართველურ, ყოველ შემთხვევაში, ქართულ-კოლხურ დონეზე უნდა იქნეს განჩნდილი.

ზოგ შემთხვევაში ძია კომპონენტმა შეიძლება ძა მოგვეცეს. ეს გვაფიქრებინა ნასოფლარის სახელმა ახალქალაქის რაიონში — ვარძა||ვარზა (შდრ. ვარი ვარძელაშვილი, სადაც აგრეთვე ვარძა ფორმაა, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა ვარძიელაშვილი (ასე ხმარობს ფსევდონიმს გაზეთ „ასპინძის“ ერთ-ერთი კორესპონდენტი). იგივე ვარძა ფორმაა ი. ჭავჭავიძის მიერ დამოწმებულ ვარძაგარა-ში²⁵.

მართალია, ნასოფლარის ასპინძის რაიონში აღანძია ჰქვია, მაგრამ მის მიკროტაბონიმიში არის სახელები, რაც მიგვანიშნებს ძიას ძად-ქვევის ფაქტებს: აღანძის წყალი (და არა აღანძიის წყალი), აღანძი ხევი, აღანძელი კაი. ვფიქრობთ, იმავე რიგში უნდა ჩადგეს ტაბონიმი ტრანძა, თუ ის ი. ჭავჭავიძის მიერ დამოწმებული ტრანძია არის.

მართლაც, საქართველოს ტერიტორიაზე არის ტაბონიმები, რომელთა დაბოლოებად, თუ კომპოზიტურ ნაწილად აქვთ ძა: ბრეძა (სოფელი, ქარელის რ.), ბანძა (სოფელი, გეგეკორის რ.), წყორძა (სოფელი, ახალციხის რ.), ასპინძა (რაიონული ცენტრი), განძა (სოფელი, ბოჯანოვკის რ.).

ამათგან, წყორძა-ში -ძა გამოყოფილია. „წყორძა-საყურადღებო გეოგრაფიული სახელია. წყორძა- იგი კომპოზიტია. წყორძა- ანუ წყორ-ძ(გ)ა სამეგრელოს ტაბონიმებში ეხვდება მსგავს კომპოზიტებს: ღალ-ძგა, ბანძა -ბანძ-გ(ა) (გეგეკორის რ.)“²⁶.

ჩვენ არ შეეუდგებით აღნიშნულ ეტიმოლოგიაზე მსჯელობას. აღნიშნაეთ, რომ ბანძას შემთხვევაში -ძა კომპონენტის გამოყოფას ხელს უწყობს ტაბონიმები: ბანი (ქარელის რ.) და ბანა.

ასპინძის ეტიმოლოგია ცნობილია. იგი უტყბო სიტყვაა დამკვიდრებული ქართულში²⁷. არაქართულადაა მიჩნეული განძა²⁸.

ტაბონიმი ბრეთი გვაფიქრებინებს ბრეძა-ში -ძა-ს გამოყოფას.

შეიძლება მართლაც -ძა მიღებული იყოს ძ-(გ)ა-საგან, მაგრამ ამას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანია თვით ფაქტი, არსებობა -ძა-

25 ივ. ჭავჭავიძე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი 1, 1930, გვ. 55.

26 ნ. ნორაკიძე, ზანიშები სამცხის გეოგრაფიულ სახელებში, „მნათობი“, 1971, № 4,

გვ. 139.

27 მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან,

1, გვ. 18—19.

28 იქვე, გვ. 18.

-სი, როგორც დამოუკიდებელი ნაწილისა სახელში და შესაძლებლობა ძა და ძიას ერთნაირი წარმომავლობისად ჩათვლისა. შეიძლება მათი ტოპოგენეზისი ერთნაირი არ იყოს. მაგრამ ახლო იდგეს როგორც სემანტიკით, ისე სტრუქტურით.

М. И. БЕРИДЗЕ

К ЭТИМОЛОГИИ ТОПОНИМА «ВАРДЗИА»

Резюме

Строительство Вардзийского пещерного комплекса начал царь Георгий III, а совершенствовала его царица Тамара.

Народное предание увязывает название «Вардзиа» с царицей Тамарой, которая, потеряв дорогу, якобы окликнула дядю: „ვარ, ძია!“ var. zia «я здесь, дядя!»).

В специальной литературе существует несколько мнений по этимологии Вардзиа. По мнению Л. Меликсет-бека, основной следует считать var ← ძვ, -ია же является «греческо-латинским» окончанием. Образование этого топонима уподобляется образованию ive-ia, alban-ia, gva-ia и т. п. Примерно такого же мнения И. Майсурадзе.

Настоящая интерпретация основывается на формальном анализе топонима.

В ардзиа, на наш взгляд, явно композитного состава. Об этом свидетельствует повторяющийся элемент-zia, который в грузинском языке не выступает в качестве форманта. zia встречается в ряде топонимов: ვარძია vaxzia, ტანძია tanzia, ალანძია alanzia, ტორბანძია tspanzia // ტრანძია traxzia, ხორძია xoxzia, ხურძია xuxzia.

Первый элемент перечисленных топонимов имеет параллели в географической номенклатуре Грузии: tan-zia — tan-a; alan-zia — alan-ta и др.

В свою очередь, топонимов с компонентом ვარ-(vax-) достаточно много на территории Грузии: ვარჩა vaxca, ვარხუნო vax-xuno, ვარგავი vaxgavi, ვარხანი vaxani, ვარნეთი vaxeti, ვარევანი vaxevani, ვარიანი vaxiani.

Таким образом, в топониме Вардзиа следует выделить компоненты vax-zia, хотя семантика обоих компонентов не установлена.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონომიკის ლაბორატორია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

ბ ი ო რ ბ ი ხ უ ზ ე ნ ი

ფორმისა და მნიშვნელობის საკითხი ა. პეშკოვსკის კონცეფციაში

ფორმისა და მნიშვნელობის ურთიერთმიმართების საკითხი ყოველთვის თვლებოდა გრამატიკული თეორიის ერთ-ერთ ძირითად საკითხად. მასზე არსებად და მოკიდებულა როგორც გრამატიკულ ცნებათა სისტემა მთლიანად, ისევე ამა თუ იმ კონკრეტული ენობრივი ფაქტის გაშუქება.

დღი წინს განმავლობაში, დაწყებული ანტიკური ხანიდან, გრამატიკოსები ხელმძღვანელობდნენ, ჯერ ერთი, ლოგიკურ-სემანტიკური პრინციპით, როცა ძირითადი გრამატიკული კატეგორიები გამოიყოფოდა „შინაარსის“ მიხედვით (თანაც ენობრივი და ლოგიკური მნიშვნელობა არ განირჩეოდა), და, მეორეც, მასთან დაკავშირებულ უნივერსალიზმის პრინციპით, რომლის მიხედვით სხვადასხვა ენის გრამატიკები აგებოდა კლასიკური ბერძნული და ლათინური გრამატიკების ყაიდაზე.

ორივე ეს პრინციპი შენარჩუნებულ იქნა XIX საუკუნეშიც, მაგრამ ამ პერიოდში წარმოიშვა ძველ ლოგიკურ სქემათა გადალახვისა და გრამატიკული თეორიის აგების ახალ გზათა ძიების სწრაფვა.

რუსულ ენათმეცნიერებაში ეს პროცესი ორი გზით მიმდინარეობდა. პირველი წარმოდგენილია ა. პოტებნიას სკოლაში. მეორე კი — ფ. ფორტუნატოვის მოსკოვის სკოლაში.

აღსანიშნავია, რომ ა. პოტებნიაცა და ფ. ფორტუნატოვიც ხშირად ლაპარაკობდნენ ფორმის შესახებ (რითაც ნაწილობრივ აიხსნება ის გარემოება, რომ ტერმინი „ფორმალური მიმართულება“ ხშირად გამოიყენებოდა როგორც ხარკოველი ლინგვისტის. აქვე მისი მოსკოველი კოლეგის შეხედულებათა მიმართ). მაგრამ თუ ა. პოტებნიას მიხედვით „ფორმა არის მნიშვნელობა“, ფ. ფორტუნატოვთან საქმის ვითარება სხვაგვარადაა წარმოდგენილი.

ფ. ფორტუნატოვიც ფორმის გაგებაში საბოლოო ჩამოიყვანა მნიშვნელობას. ფორმაში ის გულისხმობს სიტყვის უნარს დაიშალოს ძირითად და ფორმალურ ნაწილებად. ე. ი. საგნობრივი მნიშვნელობისა და ფორმალური მნიშვნელობის მქონე ნაწილებად. ფორმის არსებობის გადამწყვეტ ნიშნად მას მიანჩნა სიტყვათა ორი როგორც არსებობა: ერთნაირი საგნობრივი და ერთნაირი ფორმალური ნაწილებით: მათ გარეშე სიტყვა უფორმოა. სიტყვათა კლასიფიკაცია (და ძირითადი გრამატიკული ცნებების (მეტყველების ნაწილთა) გამოყოფა უნდა აგოს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ საფუძველზე დაყრდნობით: ჯერ ყველა სიტყვა იყოფა ფორმის მქონე და უფორმო სიტყვებად (სიტყვათა კლასიფიკაციის ფორმებითა და მათ გარეშე), შემდეგ ფორმათა ტიპებიდან ამოსვლით ზღვება ბრუნვადი და უღვრავად სიტყვების გამოყოფა და ა. შ. ეს კლასიფიკაცია უპირისპირდებოდა მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ სისტემას. რომელიც ფ. ფორტუნატოვმა და მისმა მოწაფეებმა მკაცრად გააკრიტიკეს¹.

¹ ი. ბ. ფ. ფ. Фортунатов, Сравнительное языковедение, 5-გზი: Ф. Ф. Фортунатов, Избранные труды, т. I, М., 1956.

თუ ა. პოტებნა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სინტაქსს. ფორტუნატოვის სკოლაში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა მორფოლოგიას. სინტაქსში ფ. ფორტუნატოვის მიმდევრებმა თავიანთი მასწავლებლის კვლადაკვალ წამოაყენეს შესიტყვების ფორმის ცნება (სწორედ შესიტყვება განიხილებოდა მათ მიერ როგორც სინტაქსის ძირითადი საგანი), რომელიც გულისხმობდა „მოცემული შესიტყვების უნარს თავისი შემადგენლობიდან გამოყოს ჩვენს ცნობიერებაში ისეთი ნიშანი („принадлежность“), რომელსაც აქვს ფორმალური მნიშვნელობა“.

თვით ა. პეშკოვსკი, როგორც ცნობილია, ფ. ფორტუნატოვის მიმართულებას ეკუთვნოდა, მაგრამ სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისიდანვე მისი ინტერესების მთავარი სფერო იყო სინტაქსი — სფერო, რომელშიც განსაკუთრებულად წარმატებით მუშაობდა ა. პოტებნა. ამ უკანასკნელის თეორია, რომელიც აგრეთვე უპირისპირდებოდა ლოგიციზმს და გამსჭვალული იყო ფსიქოლოგიზმით, ძლიერ განსხვავდებოდა ფ. ფორტუნატოვის თეორიისაგან. ოციან წლებში ა. პეშკოვსკი თვითონ აღნიშნავდა მათ შორის „მძაფრ კონტრასტულობას“². მაგრამ მიუხედავად ამისა „რუსული სინტაქსის“ პირველი ვარიანტის შექმნისას მან მიზნად დაისახა „გადაემუშაებინა პოტებნიას სისტემა (და მასთან მკიდრად დაკავშირებული დ. ნ. ოესიანიკო-კულიკოვსკის პოპულარიზაცია)... ისეთი მიმართულებით, რომ ის... არ ყოფილიყო წინააღმდეგობაში... ფორტუნატოვის სკოლის ძირითად დებულებებთან“³.

მკვლევართა დიდი ნაწილი ამგვარ ცდაში ხედავდა ა. პეშკოვსკის საბედისწერო შეცდომას, რომელიც მოწმობდა მის ეკლექტიზმს და განაპირობებდა მთელი მისი შემოქმედების წარუმატებლობას. ყველაზე უფრო მკაცრი ფორმით ეს თვალსაზრისი გამოთქვა ვ. ვინოგრადოვმა⁴. ს. ბერნშტეინი იმასაც კი ამბობდა, რომ ძნელი გასაგებია, როგორ ვერ შეამჩნია მან (ე. ო. პეშკოვსკიმ. — გ. ხ.) ფორტუნატოვისა და პოტებნიას მოძღვრებებს შორის პოლარული დაპირისპირება (ამასთან თვითონ იგი ცდილობდა აეხსნა ეს ფაქტი იმით, რომ ა. პეშკოვსკის წიგნის შექმნის პერიოდში „მცირე მსგავსება“ ამ კონცეფციებს შორის „უფრო შესამჩნევი იყო, ვიდრე ის უფსკრული, რომელიც მათ განასხვავებდა“)“. რამდენადმე უფრო რბილ ფორმებში ლაპარაკობს ა. პეშკოვსკის თვალსაზრისების წინააღმდეგობრივ ხასიათზე ს. აბაკუმოვი⁵, განსაკუთრებით კი ა. ბელოვი⁶. თუმცა ისინიც (ისევე როგორც ზოგი სხვა ავტორი) საბოლოოდ მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ა. პეშკოვსკის ცდა განწირული იყო მარცხისათვის.

² В. К. Поржезницкий. Введение в языковедение, М., 1916, гл. 137.

³ А. М. Пешковский. Вопросы изучения языка в семилетке. წიგნი: А. М. Пешковский. Избранные труды, М., 1959, гл. 228.

⁴ А. М. Пешковский. Синтаксис в школе. წიგნი: А. М. Пешковский, Методика родного языка, лингвистика, стилистика, поэтика, М., 1925, гл. 79.

⁵ В. В. Виноградов, Современный русский язык, вып. 1-й, М., 1938; Идеалистические основы синтаксической системы проф. А. М. Пешковского ее эклектизм и внутренние противоречия. წიგნი: В. В. Виноградов, Избранные труды, Исследования по русской грамматике, М., 1975.

⁶ С. И. Бернштейн. Основные понятия грамматики в освещении А. М. Пешковского, წიგნი: А. М. Пешковский. Русский синтаксис в научном освещении, изд. VI, М., 1938, гл. 13—14.

⁷ С. И. Абакумов, Современный русский язык, М., 1942.

⁸ А. Н. Белов, А. М. Пешковский как лингвист и методист, М., 1958.

მაგრამ ამასთან დაკავშირებით სხვა თვალსაზრისიც იყო გამოთქმული. ასე, თვით ფ. ფორტუნატოვმა (უნდა ვიფიქროთ, რომ ის ხედავდა განსხვავებას თავის თეორიასა და ა. პოტებნიას კონცეფციას შორის) შეძლო, დ. უშაკოვის ცნობით, სიკვდილის წინ „გაცნობოდა პეშკოვსკის წიგნს და დიდად შეექო იგი“⁹. მაღალი შეფასება მისცეს ა. პეშკოვსკის ნაშრომს ფ. ფორტუნატოვის ერთგულმა მოწაფეებმა და გამგრძელბლებმა — ვ. პორეჟინსკიმ და დ. უშაკოვმა. ბოლოს. უკვე 20-იანი წლების მეორე ნახევარში, ს. კარცევსკიმ (რომელიც საკმაოდ კრიტიკულად იყო განწყობილი ფორმალურ-გრამატიკული მიმართულებისადმი საერთოდ და „რუსული სინტაქსის“ პირველი გამოცემის მიმართ კერძოდ) მიუთითა, რომ „მისმა ავტორმა საკმაოდ კარგად მოახდინა პოტებნიასა და ფორტუნატოვის მოძღვრებათა ზოგიერთი მხარის სინთეზი“¹⁰.

ყურადღებას იქცევს შემდეგი ფაქტი: ა. პეშკოვსკის ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი მოწინააღმდეგე მისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ წლებში იყო ე. ბუდე, რომელმაც გამოაქვეყნა უარყოფითი რეცენზია ა. პეშკოვსკის წიგნზე. აღსანიშნავია, რომ მასში (ისევე როგორც ზოგიერთ მომდევნო ნაშრომშიც), აკრიტიკებდა რა პეშკოვსკის წიგნს მკაცრად ფორმალური პრინციპის დაუცველობის გამო (თითქოს და ულტრაფორტუნატოვისეული პოზიციებიდან), ე. ბუდე გახაზავდა, რომ „ჩვენი მეცნიერული სინტაქსი თავისი საწყისით მომდინარეობს უკვდავი ა. პოტებნიასაგან“¹¹.

ჩვენი აზრით, ყოველივე ეს მოწმობს შემდეგს: ვინაიდან რუსულ ლინგვისტიკაში არსებობდა ორი თეორია, რომელთაგან ერთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ენის შინაგან მხარეს, მეორე კი გარეგანს, ერთი მეტ ყურადღებას აქცევდა მორფოლოგიას, მეორე კი სინტაქსს, ამდენად რუსულ ლინგვისტებს გაუჩნდათ აზრი მოეხდინათ ამ ორი ტრადიციის სინთეზი. შეექმნათ ისეთი კონცეფცია, რომელიც გაერთიანებდა მოსკოვისა და ხარკოვის თეორიების ძლიერ მხარეებს და ამავე დროს თავისუფალი იქნებოდა მათი ნაკლოვანებებისაგან. სწორედ ეს ტენდენცია ასახა თავის ადრინდელ ნაშრომში ა. პეშკოვსკიმ და მისი ცდა ნეგატიურადაც რომ შეფასდეს, სინთეზი წარუმატებლობადაც რომ ჩაითვალოს, ხოლო მიღებული კონცეფცია — ეკლექტიკურად (როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ საკითხის შესახებ არსებობს სრულიად სხვადასხვა თვალსაზრისი), არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ა. პეშკოვსკის შრომა ასახავდა რუსულ გრამატიკაში ობიექტურად მომწიფებულ მოთხოვნილებას და ისტორიულად საეხებოთ გამართლებული იყო თუნდაც იმიტომ, რომ ს. ბერნშტეინის სიტყვებით, ფორტუნატოვისა და პოტებნიას თეორიებს შორის არსებული განსხვავებები „გახდნენ აქტუალური მხოლოდ პეშკოვსკის წიგნის გამოსვლის შემდეგ და მნიშვნელოვანწილად მისი გამოსვლის წყალობით“¹².

ჩვენი აზრით, ა. პეშკოვსკის მიერ ა. პოტებნიას ტრადიციების გამოყენება უკავშირდებოდა ფ. ფორტუნატოვის მოწაფეებს შორის იმ დიფერენციაციას, რაც გამოწვეული იყო ფორმისა და მნიშვნელობის არა ადეკვატური გაგებით

⁹ სიგეჟას წიგნიდან: А. И. Белов, А. М. Пешковский... გვ. 18.

¹⁰ С. И. Карцевский. Рецензия на «Синтаксис русского языка» А. А. Шах-«Slavia». Ročník, VI. Sešit I, Praha, 1927, გვ. 146.

Е. Ф. Будде. Рецензия на книгу А. М. Пешковского. ЖМНП, 1914, № 12, 35. 344.

¹² С. И. Бернштейн. Основные понятия грамматики... გვ. 14.

მოსკოვის ლინგვისტებს შორის. მათი ერთი ნაწილისათვის (რომელმაც შემდეგ მიიღო „ულტრაფორმალისტების“ სახელწოდება) ფორტუნატოვის თეორია ფორმის შესახებ, სადაც, როგორც ვნახეთ, მთავარი როლი მნიშვნელობას ენიჭებოდა. ვადაიქვა არსებითად გარეგანი (ბგერითი) გამოხატულებებს შესახებ მოძღვრებად (ე. ბუდე იმასაც კი შეეცადა, რომ მოეჩინა ამ თვალსაზრისით ა. პოტენზიას ტრადიციის ინტერპრეტაცია). ამასთან იყო დაკავშირებული ცდა, მოეცათ სიტყვათა ულტრაფორმალური კლასიფიკაცია (ცოტა მოგვიანებით, 20-იან წლებში, მსგავსი კლასიფიკაციის კრიტიკისას ლ. შჩერბამ აღნიშნა, რომ მის „კატეგორიებს არა აქვთ მნიშვნელობა და ამიტომ ენაში არ არსებობენ. თუმცა ლოგოური თვალსაზრისით საკმაოდ კეთილსინდისიერად არიან მოგონილი“)¹³.

„რუსული სინტაქსის“ პირველი გამოცემის შესავალში ა. პეშკოვსკიც განხილავს, რომ წიგნში „გადმოცემის საფუძველს წარმოადგენს ენის გარეგანი. ბგერითი მხარე“¹⁴. მაგრამ „ულტრაფორმალისტის“ გზა მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო. მის შესახებაც მან გარკვეული განაცხადა ე. ბუდეს მიმართ თავის პასუხში: „პატივცემული რეცენზენტი. — წერს ა. პეშკოვსკი. — განიხილავს სიტყვის ფორმას წმინდა გარეგნული. მხოლოდ მისი ბგერითი მხარის თვალსაზრისით, ხოლო შესიტყვების ფორმას — როგორც ცალკეულ სიტყვათა ფორმების მექანიკურ კონგლომერატს. ჩემთვის სიტყვის ფორმა არის სიტყვის გარკვეული ბგერითი ფორმალური კუთვნილების გადაკეთის წერტილი მისსავე გარკვეულ ფორმალურ მნიშვნელობასთან. შესიტყვების ფორმა კი — მისი გარკვეული გარეგანი აგებულების (რომელშიც შედიან მის შემადგენელ ცალკეულ სიტყვათა ფორმებიც) გადაკეთის წერტილი მთელი შესიტყვების გარკვეულ ფორმალურ მნიშვნელობასთან. ამასთანავე ცალკეულ სიტყვათა სინტაქსური ფორმალური მნიშვნელობები არსებობენ მხოლოდ მთელი შესიტყვების მნიშვნელობაში და მხოლოდ შესიტყვებისაგან ამოსვლით შეიძლება მათი გაგება და მეორეხარისხის ვარდნა დასრულებული. რომ თუ შესიტყვების ფორმის მნიშვნელობაზე ვიტყვით უარს, მაშინ არა მხოლოდ სინტაქსი გადაიქცევა მორფოლოგიად. არამედ თვით მორფოლოგიაც გარდაიქმნება ფონეტიკად. და ფონეტიკადაც კი არა (ვინაიდან ისიც არ შეიძლება მოეწყვიტოს გრამატიკას, ე. ი. ფორმალურ მნიშვნელობებს). არამედ მეტყველებს ბგერების ფიზიოლოგიად“¹⁵.

სანამდვილეში ა. პეშკოვსკის კვლევის საგანს წარმოადგენდა სწორედ სიტყვათა და შესიტყვებათა ფორმალური მნიშვნელობები და მათი გამოხატვის ხერხები თანამედროვე რუსულ ენაში. მის მიერ შემოთავაზებულ მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია (წმინდა, არსებითი სახელი, ზედასართავი სახელი, მიმღობა, ზმნიზება, აბსოლუტივი, ინფინიტივი) ფორმალურია, მაგრამ პეშკოვსკის წიგნში ყურადღება ექცევა არა მარტო ფორმის ან თუ იმ გარეგანი ნიშნის არსებობას, არამედ მის შინაგან მხარესაც. სპეციალურ თაღში „მეტყველების ნაწილთა ფორმების მნიშვნელობანი“ არა მარტო აღნიშნულია, რომ ყოველ

¹³ Л. В. Щерб а. О частях речи в русском языке. Л. В. Щерб Языковая система и речевая деятельность. Л., 1974, гл. 80.

¹⁴ А. М. Пешковск ий, Русский синтаксис в научном изд. I, М., 1914, гл. 1.

¹⁵ А. М. Пешковск ий. Ответ на рецензию Е. Ф. Бузде. ЖМНП, 1915, № 4, гл. 415.

მეტყველების ნაწილს აქვს მისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობა (ზმნას — საგნის მოქმედებით შექმნილი ნიშანი, ზედსართავს — საგნის ბუნებაში მყოფი ნიშანი და ა. შ.). არამედ საგულდაგულოდ გაანალიზებულია ის შემთხვევები. როდესაც ფორმალური მნიშვნელობა ეწინააღმდეგება საგნობრივს (მაგ., ПЕИНОС — „ვზარდავობ“ ზმნის საგნობრივი მნიშვნელობაა „რაფერს არ ვაკეთებ“, ხოლო ფორმალური — „რადაცას ვაკეთებ“). ა. პეშკოვსკის აზრით, ენის შინაგან მხარეს კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს საყუთრივ სინტაქსური ელემენტების დროს. რადგანაც „თუ კი გრამატიკოსი მოწყდებდა ენის შინაგან მხარეს ზოგადად და კერძოდ ფორმათა შინაგან მხარეს, იგი აღმოჩნდება უპაერო სივრცეში“¹⁶.

წინადადების წევრთა კლასიფიკაციისა და მათი ტიპების განხილვისას აგრეთვე სინტაქსური ელემენტების ტიპების კვლევისას სისტემატურად მხედველობაში მიიღება ეს შინაგანი „აზრობრივი“ მხარე. ვინაიდან, როგორც აღნიშნავს ა. პეშკოვსკი, „ორის მიხედვით უნდა დამყარდეს მომართებები მეტყველებაში. თუ არა აზრის მიხედვით“¹⁷ ანუ რ. იაკობსონის სიტყვებით რომ ვთქვათ, პეშკოვსკის დამახასიათებელი სწრაფვაა „მხარის დაუქრობის გრამატიკულ ფორმათა სემანტიკურ დახასიათებას“¹⁸ მკაფიოდ ელინდება მის პირველსავე ნაშრომში.

წინადადების წევრების ფორმალურ მნიშვნელობათა კვლევამ და მათმა შეპირისპირებამ მეტყველების ნაწილთა ფორმალურ მნიშვნელობებთან საშუალება მისცა ა. პეშკოვსკის მკაცრ შესატყვისობაში მოეყვანა ერთმანეთთან ეს ორი კლასიფიკაცია. მართალია, მთელი რიგი მიზეზების გამო ის ჭრჭერობით აუცილებლად თვლიდა ამ ორი კლასიფიკაციის პარალელურ არსებობას, აქცია რა პირველი წმინდა მორფოლოგიურ, ხოლო მეორე წმინდა სინტაქსურ კლასიფიკაციად (ამასთანავე ე. ბუდესთან კამათში ა. პეშკოვსკი ამტკიცებს თავის უფლებას წინადადების წევრთა ძველ ლოგიკურ ტერმინებში ჩადოს ახალი გრამატიკული მნიშვნელობები). თუმცა, ჩვენი აზრით, უკვე ამ პერიოდში იყო მოწინააღმდეგეული ნიადაგი „არუსული სინტაქსის“ მესამე გამოცემაში წამოყენებული ცდისათვის შემოფარგლულიყო მხოლოდ მეტყველების ნაწილთა ცნებებით, რას შესახებაც ქვემოთ ვგეგმება საუბარი.

ა. პეშკოვსკის თავდაპირველი კონცეფციის ზერელე პირობილაც კი გვიჩვენებს, რომ არ შეიძლება მას ბრალად დავდოთ მნიშვნელობის უგულვებლყოფაში. ამიტომ კრიტიკულ ლიტერატურაში მისი თეორიის ძირითად ნაკლად ითვლება მნიშვნელობისაგან ფორმის მოწყვეტა. თანაც, ს. ბერნშტეინის აზრით, „პეშკოვსკის პირველად კონცეფციაში ეს მოწყვეტა გაშიშვლებულია იმ-ით, რომ „ფორმის“ მიხედვით სიტყვათა კლასიფიკაცია (სიტყვათა გრამატიკული კლასები) და „მნიშვნელობის“ მიხედვით სიტყვათა კლასიფიკაცია გამოყოფილია ერთმანეთისაგან“¹⁹. ამავე ნაკლს ა. პეშკოვსკის სისტემაში ხედავენ სხვა კრიტიკოსებიც. მაგ., ე. პეტროვა, რომლის აზრითაც, პეშკოვსკის ძირითა-

¹⁶ იქვე, გვ. 416.

¹⁷ იქვე.

¹⁸ R. Jakobson. Beiträge zur allgemeinen Kasuslehre. Gesamtbedeutungen der russischen Kasus. წგნები: R. Jakobson. Selected Writings, vol. II. Mouton. The Hague-Paris, გ. 24.

¹⁹ С. И. Бернште Основные понятия грамматики 10.

დი თვალსაზრისით „ფორმალში, ენის მოწყვეტა აზროვნებისაგან, ფორმის მოწყვეტა შინაარსისაგან“²⁰. ვ. ვინოგრადოვი და სხვ.

მოყვანილ ბრალდებას საფუძვლად უდევს ის შეხედულება, რომ თითქოს ფ. ფორტუნატოვის კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპი — ფორმის არსებობა — წარმოადგენდეს შინაარსისაგან ფორმის მოწყვეტის გამოვლინებას. მაგრამ ასეთი შეხედულება არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან გრამატიკის სპეციფიკა მდგომარეობს სწორედ ენის ფორმების შესწავლაში. გარდა ამისა თვით ა. პეშკოვსკი ყოველთვის გახაზავს ენის შინაგან და გარეგან ერთიანობას (როგორც თვით ს. ბერნშტეინი აღნიშნავს, ფორმალური გრამატიკა „ყოველთვის ლაპარაკობს მნიშვნელობის შესახებ, თვით სიტყვის ფორმის განსაზღვრის დროსაც კი პეშკოვსკისთან“²¹).

კუბურუნდებით რა ა. პეშკოვსკის პირველადი სისტემის დახასიათებას, აუცილებლად მიგვაჩინა აღნიშნით, რომ ის მოიცავდა თავის თავში განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობას. პეშკოვსკი წაიყვანა არა თავისი სინტაქსური თეორიის ფორმალური საწყისების გაძლიერების გზით. არამედ ფორმალური და სემანტიკური. მორფოლოგიური და სინტაქსური მომენტების ერთიანობის შემდგომი გაძლიერების გზით²².

ახალი ნაშრომების შექმნისას ა. პეშკოვსკი ხელმძღვანელობდა „რუსული სინტაქსის“ პირველი გამოცემის შემდეგ გამოქვეყნებული შრომებით. იგი ეყრდნობოდა თავისი კოლეგების მიღწევებს ან ემიგრებოდა იმას, რაც მოუღებლად მოაჩნდა. პირველ რიგში აქ უნდა მოვიხსენიოთ 20-იანი წლების პირველ ნახევარში გამოსული მ. პეტერსონის წიგნი „რუსული სინტაქსის ნარკვევი“²³ და ს. ბერნშტეინის სტატია „სინტაქსის ძირითადი საკითხები ა. შახმატოვის გაშუქებით“²⁴. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ა. შახმატოვი, ისევე მ. პეტერსონიც თავიანთი სინტაქსური სისტემების აგებისას ითვალისწინებდნენ (დადებითი და უარყოფითი თვალსაზრისით) ა. პეშკოვსკის ადრინდელი შრომების გამოცდილებას. ორივე დასახელებული მეცნიერი ფ. ფორტუნატოვის მოწაფეა. თუმცა ისინი სრულიად სხვადასხვაგვარი გზით წავიდნენ.

მ. პეტერსონი ცდილობდა შეექმნა სინტაქსი წმინდა ფორტუნატოვისეულ ფორმალურ საფუძველზე. ე. ბუდესაგან განსხვავებით ის თვლიდა, რომ „პოტენცია არ იძლევა საფუძველს, რომლიდანაც ამოსვლით შესაძლებელი იქნებოდა საერთოდ სინტაქსის და კერძოდ კი რუსული სინტაქსის აგება“²⁵. უნდა აღინიშნოს, რომ ფ. ფორტუნატოვის მსგავსად მ. პეტერსონი მიუთითებს, რომ არ შეიძლება დაიყვანოთ ფორმა ბგერათ სხვაობამდე, რადგანაც მისი ერთ-ერთი ელემენტი არის მნიშვნელობა. მაგრამ ა. პეშკოვსკიმ პეტერსონის წიგნის

²⁰ Е. Н. Петрова, Грамматика в средней школе. М.—Л., 1936, გვ. 35.

²¹ С. И. Бернштейн, Основные понятия грамматики..., გვ. 40.

²² ს. ბერნშტეინმა, რომელიც თვლიდა, რომ ფორმისა და მნიშვნელობის გათიშვა შენარჩუნებულ იქნა პეშკოვსკის მთელი მოღვაწეობის განმავლობაში, ჩათვალა აუცილებლად აღენიშნა, რომ „პეშკოვსკის ახალ კონცეფტიაში ეს უფსკრული შენიღბულია ფორმისა და მნიშვნელობის განუყრელობის შესახებ მუდმივი შეხსენებებით“. (იხ. С. И. Бернштейн, Основные понятия грамматики..., გვ. 40.)

²³ М. Н. Петерсон, Очерк синтаксиса русского языка, М.—Пг., 1923.

²⁴ С. И. Бернштейн, Основные вопросы синтаксиса в освещении А. А. Шахматова, ИОРЯС, т. XXV, 1920, Пг., 1922.

²⁵ М. Н. Петерсон, Очерк синтаксиса русского языка, გვ. 14

რეცენზორებისას მ-ს მთავარ ნაკლად ის მიიჩნია, რომ აქ „შესიტყვებები განიხილება მხოლოდ სიტყვათა ერთმანეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით და შეგნებულად არ ექცევა ყურადღება მათ მიმართებას აზრთან“²⁶. ამასთან დაკავშირებით ის მივიდა დასკვნამდე, რომ „მეთოდოლოგიურად წიგნი უაღრესად სასარგებლოა თავისი უარყოფითი მხრით“²⁷. ოციან წლებში მ. პეტერსონი იყო ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი „ულტრაფორმალისმისა“ — მიმართულებისა. რომლის მომხრეებსაც ა. პეშკოვსკი ეკამათებოდა სიცოცხლის ბოლომდე.

სხვაგვარი ვითარება გვაქვს ა. შახმატოვთან. როგორც ფ. ფორტუნატოვის ყველაზე ცნობილმა მოწაფემ და მოსკოვის სკოლის ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანმა, ა. შახმატოვმა დაიწყო ფორტუნატოვის სისტემის შესწავლით. გადავიდა რა მის კრიტიკაზე, ს. ბერნშტეინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ის ბოლოს მივიდა სისტემის აგებამდე, რომელიც პოლარულად განსხვავდებოდა ფორტუნატოვის მოძღვრებისაგან“²⁸, რითაც პოტებნიას შეხედულებებს დაუახლოვდა.

დაუებრუნდეთ კვლავ პეშკოვსკის. პირველი, რამაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება 20—30-იანი წლების მის შრომებში და რასაც აღნიშნავდა ს. ბერნშტეინი. ეს არის ფორმისა და შინაარსის უწყვეტი კავშირის შესახებ თეზისის გულმოდგინე გახაზვა, პოლემიკა „ბგერათყირკიტობასთან“, რომლის არსებობას აღიარებს ის თავის ადრინდელ შრომებში (განსაკუთრებით — სასკოლო სახელმძღვანელოში „ჩვენი ენა“).

„მეტყველების შინაარსობრივი მხარის არათუ გაძევება არ შეიძლება გრამატიკიდან, არამედ, პირიქით, ის სწორედ მის არსს შეადგენს“²⁹, — წერს პეშკოვსკი თავის სტატიაში — ფორმალური გრამატიკის არსის შესახებ (რომელშიც ავითარებს და აღრმავებს დებულებას საგნობრივი და ფორმალური მნიშვნელობის გარჩევის აუცილებლობის შესახებ). „სიტყვები მეტყველებს შინაარსობრივი ელემენტებითა, მისი შინაგანი, არასმენითი ანალიზის შედეგია,“³⁰ — ვკითხულობთ სხვა ნაშრომში.

„ფორმას“ ხშირად უპირისპირებენ „შინაარსს“, „იდეას“, ე. ი. ის გაიგება ანდა უკიდურეს შემთხვევაში გამოიხატება როგორც რაღაც წმინდა საგნობრივი. ბგერითი. თეორიული თვალსაზრისით ეს, რა თქმა უნდა, უსაფუძვლოა, აღნიშნავს ა. პეშკოვსკი 20-იანი წლების დასასრულს (ამასთანავე ის მიუთითებს, რომ „არ არის იშვიათი არც ფორმის საპირისპირო ახსნა მხოლოდ მისი მნიშვნელობის მხრიდან“. რაც აგრეთვე არ უნდა იყოს გამართლებული“³¹. ეს თეზისი ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობის შესახებ გატარებულია ა. პეშკოვსკის მიერ 20-იან წლებში ჩამოყალიბებულ და პარალელურად განვითარებულ ორივე კონცეფტიაში.

26 А. М. Пешковский. Рецензия на книгу М. Н. Петерсона. «Печать и революция», кн. 2. 1924. гл. 243.

27 იქვე, გვ. 245.

28 С. П. Бернштейн. Основные вопросы синтаксиса..., гл. 232.

29 А. М. Пешковский. В чем же наконец сущность формальной грамматики? წიგნი: А. М. Пешковский. Избранные труды. გვ. 94.

30 А. М. Пешковский. Стихи проза с лингвистической точки зрения, წიგნი: А. М. Пешковский. Методика родного языка..., гл. 156.

31 А. М. Пешковский. Научные достижения русской учебной литературы в области общих вопросов синтаксиса. Прага, 1931, гл. 3—4.

პირველმა კონსტეფციამ განსახიერება პოვა „რუსული სინტაქსის“ შესა-
გამოცემაში. აქ დაკულია ფორმის ფორტუნატოვისეული განსახლება და გრამა-
ტიკულ ერთეულთა აგების ზოგადი პრინციპი მარტივიდან რთულსაკენ. მაკ-
რამ „ძირითადი გრამატიკული კატეგორიები, რომლებსაც ეყრდნობა ათელ-
წიგნი — მეტყველების ნაწილები — დგინდება არა კლასიფიკაცი-
გნით, არამედ ბერნშტეინის სტატიის მიერ დასახული გზით“³² (ე. ი. შესატო-
რის თეორიის ანალოგიურად).

იგივე გრამატიკული კატეგორიის (ამუ სხვაგვარად ფორმალური კატე-
გორიის) ცნება განისაზღვრება პეშკოვსკის მიერ როგორც „მნიშვნელობის
უვალსაარისოი გეოთიანგულ ფორმათა რიგი, რომელსაც აქვს თუნდაც მის
შემადგენელ ნაწილში საკუთარი ბგერითი დასახიარება“ ასეთ ვაჭეველთა
წარმომადგენს, მაგალითად, საგნობრიობა, რომელსაც ა. პეშკოვსკი განსაჯით
ნით ღდ ყურადღებას უთმობდა. ის თვლიდა, „რომ მთელი მორფოლოგია და და
მთელი სინტაქსი შეიქმნება ავიჯლად დაეფუძნოს გრამატიკული სავნის
სებრთი სახელის) ცნებას. აოსებით სახელზე, როგორც საგნის სახელწოდება
დაყრდნობით ჩვენ ადვილად აცხსნით ზედსართავებს, როგორც სიტყვე
ლებიც აღნიშნავენ. თუ როგორი არიან საგნები, ზმნებს — როგორც სიტ-
ყებს, რომლებიც აღნიშნავენ. თუ რას აკეთებენ საგნები და ია მოს-
დით მათ, ქვემდებარეს როგორც მთავარი საგნის აღმნიშ-
ნელ სიტყვას, მართულ არსებით სახელს (დამატებას) როგორც
რეხარისხოვასი საგნის აღმნიშვნელ სიტყვას და ა. შ.“³³ საყურად-
ღებია, რომ საგნობრიობა კატეგორიის წამოყენება პეშკოვსკის
ტება არა როგორც ფორმალურ მიმართულებასთან ვაჭეველ ვაჭეველ,
როგორც მისი ტრადიციების შემდგომი განვითარება. საბუთად მას
წერ ერთი, თავისი „რუსული სინტაქსის“ პირველი გამოცემა, სადაც მათ გამო-
თომ „სწორედ საგნობრიობა არის არსებითი სახელის ფორმის ძირ-
ფერი“ და მეორე ფ. ფორტუნატოვის კერხი. სადაც არსებითი სახელზე მოს-
სენებულისა როგორც სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ „ასობის დასრულებულ
საგნებს, სახელობრი, ნიუთებს, საგნებს — როგორც ნიშან-თვისებათა სათა-
სოს (თუიდაც ამ საგნებს, როგორც ნიშან-თვისებათა სათაესოს, წარმომადგენ-
ღნენ თვით თვისებები საგანთა და ნიუთთაგან განყენებულად“³⁴ თუ
ბა, ა. პეშკოვსკის აზრით, უდავოდ ამტკიცებს, რომ „ფორტუნატო-
ვით აღიარებდა საგნობრიობას“³⁵

ამრიგად, მეტყველების ნაწილთა განსაზღვრისას პეშკოვსკი
სემანტიკურ-სინტაქსურ პრინციპს, ე. ი. გამოყოფს მათ, ჯერ ერთი, გრამა-
ტიკული მნიშვნელობის საფუძველზე, და მეორეც მესიტყვე საფუ-
ძველზე, რომლებშიც ისინი შეიძლება შედიოდნენ, კერძოდ, ამანგ
ლებს მისი შემდეგი მსჯელობა არსებითი სახელს შესახებ: „არსებითი სახელ-

³² А. М. Пешковский, Русский
М., 1956, გვ. 9.

³³ იქვე, გვ. 27.

А. М. Пешковский, Как вести занятия по синтак-
сису взрослых, წიგნი — М. Пешковский, Н. Брашнев, русск.

³⁴ იგივე ტიტაბა (სიგნატიკა) — А. М. Пешковский, Как вести
169-170.

А. М. Пешковский, Выроби

წარმოდგენს სიტყვათა ფორმებისა და შესიტყვებათა ფორმების კატეგორიას, რომელსაც აქვს საგნობრიობის ფორმალური მნიშვნელობა. სიტყვას შეიძლება არ ჰქონდეს ამგვარი მნიშვნელობის საკუთარი ფორმა, მაგრამ თუ მას შესიტყვებებში ყოველთვის აქვს ეს მნიშვნელობა ამგვარ შესიტყვებათა საერთო ფორმის წყალობით, მაშინ ის, რა თქმა უნდა, არსებითი სახელია³⁷. ავტორი კვლავინდებურად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფორმალურ და აავტობრივ მნიშვნელობათა შორის სხვაობას (მაგ., სიტყვაში чернота „სიწვლე“ საგნის თვისება წარმოდგენილია როგორც საგანი) და ასეცნის: „არსებითი სახელები ჩვენთვის იქნება ის სიტყვები, რომლებიც თავიანთი აფიქსების (და არა მთელი სიტყვების) მნიშვნელობის ან მათ შემცველ შესიტყვებათა ფორმების მნიშვნელობის მიხედვით, განეკუთვნებიან საგნობრიობის კატეგორიას“³⁸. ავტორი გამოყოფს ოთხ ძირითად კატეგორიას (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა, ზმნიზედა), დაწვრილებით განიხილავს ადრევეს და გარდამავალ შემთხვევებს ამ სფეროში, აღნიშნავს ძირითად კატეგორიების გვერდით ნარევ კატეგორიათა არსებობას (მიმღობა, ინფინიტივი, გერუნდივი).

პეშკოვსკი ცდილობს დაუკავშიროს ენა აზროვნებას და გამოავლინოს აღნიშნულ კატეგორიათა შინაგანი მხარე. ამასთან დაკავშირებით ის გახაზავს, რომ მეტყველების ნაწილები „აზროვნების ძირითადი კატეგორიებია მათ პრიმიტიულ საერთო-სახალხო განვითარების სტადიაში“³⁹, და ცდილობს ასსწას მათი წარმოშობა პირველყოფილ ადამიანთა მსოფლმხედველობის თავისებურებათა საფუძველზე. ამჟამად არ ევხებოთ საკითხს, თუ რამდენად მართებულია მის მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები, მხოლოდ აღვნიშნავთ რომ კრიტიკულ ლტერატურაში პეშკოვსკის ბრალი დასდეს ორი თვალსაზრისით: ერთი მხრივ, ვ. ვინოგრადოვი ა. პეშკოვსკის მთელი კონცეფციის ნაკლად თვლიდა იმას, რომ იგი შეინწავლიდა „თანამედროვე რუსული ენის მოვლენებს, როგორც სამეტყველო გამოსახვის თვითკმარ სფეროს... თიშავდა ენას სოჯერ აზრისაგან და თიშავდა ყოველთვის რეალური ცხოვრებისაგან“⁴⁰. ხოლო, მეორე მხრივ, — ლ. ღერნოვო აშკარა უქმყოფილებით აღნიშნავდა, რომ ა. პეშკოვსკი „ხშირად მიმართავს გლოტოგონიურ ახსენებს, რომელთა მეშვეობით თანამედროვე ვრამატიკული წყობის ესა თუ ის თვისება შექმნილია პირველყოფილ ადამიანთა ანიმისტური აზროვნებიდან“, მაშინ როცა ამგვარი ახსენები სინამდვილეში „არაფერს არ ხსნიან ენობრივ სისტემაში. პირიქით, მათ შეუძლიათ მხოლოდ ენის გაგების დაჩრდილება“⁴¹.

„რუსული სინტაქსის“ მესამე გამოცემაში წარმოდგენილი კონცეფციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო თავისებურებათაგანი არის ის, რომ წიგნში არ ევხებება წინადადების მეორეხარისხოვან წევრთა ტრადიციული ცნებები (დამატება, ვანსაზღვრება, გარემოება).

უნდა აღინიშნოს, რომ ორი კლასიფიკაციის (წინადადების წევრთა და მეტყველების ნაწილთა) დაახლოებისაგან მისწრაფებას და შესაბამისად საბოლოოდ

³⁷ А. М. Пешковский, Русский синтаксис, изд. VII, гл. 68—69.

³⁸ იქვე, გვ. 72.

³⁹ იქვე, გვ. 74.

⁴⁰ В. В. Виноградов, Идеалистические основы..., гл. 133.

⁴¹ N. Durnovo, იურეზი წიგნბა: А. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении. Zeitschrift für Slavische Philologie. Separatdruck aus Band IX, Heft 1/2, 1932. Leipzig, гл. 274.

ცნებათა ერთიანი სისტემის შექმნის ცდას საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში. როგორც რიგი მეკლევარი აღნიშნავს, ჯერ კიდევ ა. პოტენია არსებითად აიგივებდა წინადადების წევრებს და მეტყველების ნაწილებს⁴², თუმცა, ტრადიციის მიხედვით, მას შენარჩუნებული აქვს ორგვარი ტერმინოლოგია, ა. დობიაშის სინტაქსური თეორიის შესახებ მსჯელობისას ვ. ვინოგრადოვი მიუთითებს „დობიაშის მისწრაფებაზე საქმე მოაგვაროს „წინადადების წევრთა“ ცნების გარეშე, მხოლოდ „მეტყველების ნაწილების“ მეშვეობით“⁴³. ორნაირი კლასიფიკაციის საპირობას უარყოფდა. კულრიავსკიც (თუმცა ის იხრებოდა სწორედ წინადადების წევრთა ცნებისაკენ).

ა. პეშკოვსკის კონცეფციაში წინადადების წევრთა ელიმინაციის მიზეზებს სხვადასხვა მეკლევარი სხვადასხვაგვარად გადმოგვეცემს. ს. ბერნშტეინი თვლის, რომ ა. პეშკოვსკი პოტენიას მსგავსად აიგივებდა წინადადების წევრებსა და მეტყველების ნაწილებს. ა. ბელოვი უარყოფს ამ დებულებას. მისი აზრით, პეშკოვსკის ეს თავისებურება აიხსნება ტერმინთა უნიფიკაციისაკენ მისწრაფებით. ამ საკითხზე დაწერილებით აღარ შევჩერდებით, აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ორსავე მიზეზს შეეძლო თავისი გარკვეული როლი ეთამაშა, მაგრამ მთავარი ალბათ ის არის, რომ პეშკოვსკიმ „რუსული სინტაქსის“ ჯერ კიდევ პირველ რედაქციაში დაადგინა თანმიმდევრული შესაბამისობა მეტყველების ნაწილთა და წინადადების წევრთა შორის, ხოლო მესამე გამოცემაში იგი გამოყოფდა მეტყველების ნაწილებს სემანტიკურ-სინტაქსური ნიშნის მიხედვით, რაც, მისი აზრით, ზედმეტს ხდიდა წინადადების მეორეხარისხოვან წევრთა სპეციალურ აღნიშვნას. რაც შეეხება მთავარ წევრებს, ა. პეშკოვსკიმ შეინარჩუნა შემასმენლობის ცნება, ვინაიდან, მიუხედავად ზმნურობასთან მისი სიახლოვისა. ამ ორ ცნებას შორის არაა სრული პარალელიზმი⁴⁴. ტერმინ „ქვემდებარესაც“ ა. პეშკოვსკი ალბათ შესატყვისობისათვის ხმარობს. მის მიერ ჩატარებული რეფორმის გამო პეშკოვსკი აღნიშნავდა, რომ თუ „რუსული სინტაქსის“ პირველ გამოცემაში ის იზიარებდა შეხედულებას, რომ ეს ორმავე ტერმინოლოგიაა კი არაა, არამედ ერთი და იმავე ფაქტებისადმი ორი სხვადასხვაგვარი მიდგომა. ორი სხვადასხვა თვალსაზრისით... მესამე გამოცემაში ოგი უკვე მიიჩნევს ამ სხვაობას მხოლოდ ტერმინოლოგიურად და მეტწილ შემთხვევებში უარყოფს მას“⁴⁵. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ა. პეშკოვსკისთან მოკამათე მ. პეტერსონი თვლიდა, რომ ფორმალურ სინტაქსში საერთოდ „გამორიცხულია მარტივი წინადადების დაყოფა მთავარ და მეორეხარისხოვან წევრებად“⁴⁶. მაშინ როდესაც პეშკოვსკის წიგნში ლაპარაკია მართული მეორეხარისხოვანი წევრებისა. „შეთანხმებული მეორეხარისხოვანი წევრებისა“ და „მართული მეორეხარისხოვანი წევრების“ შესახებ.

42 ახ. მაგ., თ. ბერუზინის აზრი, რომლის მიხედვით, ა. პოტენია „მკაფიოდ ასხვავებს წინადადების წევრებს და მეტყველების ნაწილებს“. იხ.: Ф. М. Березин, История лингвистических учений. М., 1975, гл. 93.

43 В. В. Виноградов, Синтаксические взгляды проф. А. В. Добняша. Цит. по: В. В. Виноградов, Избранные труды, Исследования по русской грамматике. М., 1975, гл. 336.

44 А. М. Пешковский, Русский синтаксис, изд. VII, гл. 167.

45 А. М. Пешковский, О грамматическом разборе, Цит. по: А. М. Пешковский, Избранные труды, гл. 237—238.

46 М. Н. Петерсон, Очерк синтаксиса русского языка, гл. 33.

რადგანაც მეტწილ მკვლევართა შრომებში (ვ. ვინოგრადოვი, ს. ბერნშტეინი, ა. ბელოვი) არაერთხელ იყო აღნიშნული პეშკოვსკის მიერ ორი კლასიფიკაციის გაერთიანების მიუღებლობა, ამის გამო ჩვენ აღარ შევჩერდებით მის კრიტიკაზე.

ვინაიდან მესამე გამოცემაში შენარჩუნებულია ფორტუნატოვის სკოლის ორი ძირეული ცნება: სიტყვის ფორმა და შესიტყვევის ფორმა, ამდენად შენარჩუნებულია აგრეთვე დებულება იმის შესახებ, რომ სინტაქსის შესწავლის საგანი — შესიტყვევის ფორმებია. მაგრამ ყველა, ვინც პეშკოვსკის შესახებ წერდა, მიუთითებდა, რომ წიგნის ეგრეთ წოდებულ „სპეციალურ ნაწილში“ განხილულია წინადადების ტიპები (და არა შესიტყვევები). ამ ფაქტს მკვლევრები ახასიათებდნენ როგორც პეშკოვსკის კონცეფციის წინააღმდეგობას და სხვადასხვაგვარ შეფასებას აძლევდნენ მას. მაგ., ს. ბერნშტეინის აზრით, „უდავოდ მართლანი არაა ის კრიტიკოსები, რომლებიც ამტკუნებენ პეშკოვსკის იმას, რომ მან სინტაქსის წინაშე მის მიერვე დასმული ამოცანა სხვა ამოცანით შეცვალა“. მაგრამ ამისდა მიუხედავად ეს „ლოგიკური ნახტომი“ გამართლებულია, ვინაიდან „ააგო რა სინტაქსი როგორც წინადადების შესახებ მოძღვრება სინტაქსის თავისი განსაზღვრის საწინააღმდეგოდ, ამით პეშკოვსკიმ დაარღვია თავისი სისტემის ლოგიკური აღნაგობა, მაგრამ სამაგიეროდ გაათავისუფლა ოგი ფორმალზმის ერთი ძირითადი მანკისაგან“⁴⁷. ვ. ვინოგრადოვი კი თვლიდა, რომ პეშკოვსკი უბრალოდ „ურევს შესიტყვევის ცნებას არა მარტო წინადადების ცნებასთან, არამედ სინტაგმის, ანუ მისი ტერმინოლოგიით, ფრაზის, როგორც ინტონაციურ-აზრობრივი ერთიანობის ცნებასთან“⁴⁸.

ამ შენიშვნასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევხვით მეტყველების რიტმულ-მელოდიკურ საკითხებს ა. პეშკოვსკის შრომებში. ცნობილია, რომ ა. პეშკოვსკი არსებითად იყო პირველი რუსი ლინგვისტი, რომელმაც სცადა რიტმულ-მელოდიკისა და სინტაქსთან მისი მიმართების შესწავლა. ის გახაზავდა, რომ „ინტონაციისა და რიტმის გავლენას... ადგილი აქვს... ყოველგვარ გამოთქმაში საერთოდ“⁴⁹. ჭრე კიდევ „რუსული სინტაქსის“ პირველ გამოცემაში ა. პეშკოვსკი ფართოდ განიხილავდა ინტონაციის პრობლემებს. ამასთანავე ის ცდილობდა (განსაკუთრებით შემდგომ შრომებში) გამოეყვლინებინა მეტყველების ინტონაციური მხარის თავისებურება და ყველა სხვა საშუალებისაგან მისი განსხვავებულობა: ის მიუთითებდა, რომ „ინტონაციური გრამატიკა — ეს თითქმის განსაკუთრებული მეცნიერებაა, ყოველ შემთხვევაში გრამატიკის განსაკუთრებული დარგია“⁵⁰. ამასთან დაკავშირებით საკუთრივ ფორმალურ და რიტმულ-მელოდიკურ საშუალებათა განხილვისას ა. პეშკოვსკი ასკვნის: „უდავოა, რომ თავიანთი ბუნების ეს საშუალებები სრულიად განსხვავებულნი არიან და რომ მეტყველების პროცესი თავისთავად წარმოადგენს

⁴⁷ С. П. Бернштейн, Основные понятия грамматики гл. 29.

⁴⁸ В. В. Виноградов, Идеалистические основы..., гл. 447.

⁴⁹ А. М. Пешковский, Русский синтаксис, изд. VII, гл. 43 (აქ უდავოდ არ იქნებოდა აღვნიშნა, რომ უკვე მრავალი წლის წინ, 50-იანი წლების შუაში პ. გლისონი აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ქართულენოვანში „დაკლებები ინტონაციისა და მსგავს მოვლენათა სტერეოტიპული თითქმის სრულიად არ არსებობს“. იხ.: Г. Глиссон, Введение в дескриптивную лингвистику, М., 1959, гл. 452.

⁵⁰ А. М. Пешковский, Интонация и грамматика. წიგნი: А. М. Пешковский, Избранные труды. гл. 191.

არივე მათგანის უოთულეს გადახლართვას. სინტაქსის უახლოეს ამოცანას, ჩვენ აზრით. წარმოადგენს სწორედ ამ გადახლართვის ყველა დეტალის შესწავლა⁵¹. ა. პეშკოვსკიმ შეამჩნია, რომ „ფრაზისა და წინადადების, როგორც ინტონაციურ-სინტაქსური და საკუთრივ-სინტაქსური ერთიანობის, ცნებები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ერთმანეთის მიმართ საკმაოდ რთულსა და დახლართულ მიმართებაში“⁵². სწორედ ამის გამო ის ცდილობდა გაემიჯნა ეს ცნებები ერთმანეთისაგან და დაემყარებინა მათ შორის შესატყვისობები. „თუ ჩვენ შევთანხმდებით დასრულებული აზრის გამომხატველ ყოველგვარ რიტმულ-მელოდიურ ერთიანობას ეწოდოთ „ფრაზა“, თანაც ამ ცნებაში არ შევიყვანოთ არსებითარ საკუთრივ ფორმალურ თვისებებს, ხოლო, მეორე მხრივ, დასრულებული აზრის გამომხატველ ყოველ საკუთრივ ფორმალურ ერთიანობას ეწოდებთ წინადადებას, ისე რომ არ გავაერთიანებთ მასში აბსოლუტურად არავითარ რიტმულ-მელოდიურ თვისებებს, მაშინ ამ ცნებებს შორის დამყარდება საოცრად მარტივი და ნათელი თანაფარდობა: ეგრეთ წოდებული „მარტივი წინადადება“ წარმოგვიდგება როგორც „ერთშემადგენლიანი ფრაზა“, ხოლო ეგრეთ წოდებული „რთული წინადადება“ — როგორც „ორშემადგენლიანი“ ან მრავალშემადგენლიანი ფრაზა“; ამასთანავე ცალკეულ „შემადგენელში“ ნაგულისხმევი იქნება ის, რასაც ზევით ეწოდება „წინადადება“⁵³.

ლიტერატურაში მიღებულია შეხედულება (ს. ბერნშტეინი), რომლის მიხედვითაც ა. პეშკოვსკის ორივე კონცეფცია (რომლებიც „რუსული სინტაქსის“ პირველსა და მესამე გამოცემებშია წარმოდგენილი) ემყარება მარტივიდან რთულისაკენ გადასვლის პრინციპს. მოღვაწეობის ბოლოს ა. პეშკოვსკი „მიზნულა თავის შედომას“, რის შედეგსაც წარმოადგენს შემდეგი განაცხადი: „ენის მთელი ეს კონცეფცია (სხვათა შორის საოცრად დამახასიათებელი ისევე ფ. ფორტუნატოვისათვის) წარმომიდგება მე, როგორც ისეთი, რომელიც თავდაყირა აყენებს შესასწავლი საგნის ბუნებას. ენა ელემენტებისაგან კი არ შედგება, არამედ ნაწევრდება ელემენტებად. ცხოვრების პირველად ფაქტებს წარმოადგენს არა ყველაზე მარტივი, არამედ ყველაზე რთული ფაქტები, არა ბგერები, არამედ ფრაზები. ფრაზები კი იყოფა შესიტყვეებად, შესიტყვეებები (სულ უფრო და უფრო მცირე ერთეულებად მათი თანდათანობითი დაყოფის შედეგად) სიტყვებად, სიტყვები მორფემებად... სწორედ ამიტომ არ შეიძლება განსაზღვროთ სიტყვა როგორც მორფემების ერთობლიობა. შესიტყვეება როგორც სიტყვათა ერთობლიობა, ხოლო ფრაზა — როგორც შესიტყვებათა ერთობლიობა. ყველა განსაზღვრა უნდა იყოს ჩამოყალიბებული შებრუნებული რიგით. თუკი რიგი მიზეზების გამო ეს არ ხდება (თვითონ ჩემთანაც კი შესიტყვება განსაზღვრულია სიტყვის ბაზაზე, შესიტყვეების ფორმა კი — სიტყვის ფორმის ბაზაზე) იდეალში ეს ოდესმე უნდა გაკეთდეს და თანამედროვე განსაზღვრებებს უნდა შევხედოთ როგორც დროებითს, როგორც *Notbehelf*-ს, როგორც „სამუშაო“ განსაზღვრას და არამცდარამც არ უნდა გამოვიტანოთ მათგან ...ფართო თეორიული დასკვნები“⁵⁴.

51 А. М. Пешковский. Научные достижения..., гл. 8.

52 А. М. Пешковский, Русский синтаксис, изд. VII, гл. 411.

53 А. М. Пешковский. Научные достижения, гл. 7.

54 А. М. Пешковский. Еще к вопросу о предмете

«Русский

როგორც ვხედავთ, ეს გამონათქვამი გვაძლევს საბაზს ზემომოყვანილი შეხედულებისათვის. მაგრამ აუცილებელია ვიქონიოთ მხედველობაში ის, რომ მსგავს აზრებს ავითარებდა ა. პეშკოვსკი 20-იანი წლების პირველ ნახევარშიც, ე. ი. „რუსული სინტაქსის“ გადამუშავებულ გამოცემამდე. აქ პოტენზიასა და შახმატოვის მოძღვრებათა გარდა ა. პეშკოვსკიმ გამოიყენა ფ. დე სოსიურის ზოგიერთი იდეა, კერძოდ კი მისი მოძღვრება სინტაგმატური და ასოციაციური (პარადიგმატული) კავშირების შესახებ, რომელიც „ზოგადი ლინგვისტიკის კურსში“ დაუპირისპირდა გრამატიკის ტრადიციულ დაყოფას სინტაქსურად და მორფოლოგიურად. განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა მსგავსი აზრები პეშკოვსკის სტატიაში „ცალკე აღებული სიტყვის ცნება“ (1924—1925 წ.), სადაც, ჭერ ერთი, გატარებულია სიტყვა-წევრისა და სიტყვა-ტიპის (ლექსემის) ცნებათა შორის განსხვავება, რომელიც, როგორც აღნიშნავდა ვ. ვინოგრადოვი, შეესაბამებოდა „სოსიურის თეორიას ენაში სინტაგმატურ (ე. ი. ერთმანეთის მომდევნო ელემენტთა შორის კავშირზე დაფუძნებულ) და ასოციაციურ მიმართებათა შესახებ“⁵⁵, მეორეც, ს. კარცევსკის „რუსული გრამატიკის განმეორებითი კურსის“ გამოსვლამდე რამდენიმე წლით ადრე დამუშავდა რუსული ენისათვის მოძღვრება სინტაგმის შესახებ (ა. პეშკოვსკი მიუთითებს, რომ ჩვეულებრივი გაგებისაგან რამდენადმე განსხვავებით სინტაგმები განისაზღვრება მის მიერ როგორც მნიშვნელობის მქონე ნაწილები — ფრაზა, წინადადება, სიტყვა, ძირი ან აფიქსი); მესამე მხრივ, იმ საკითხის ახსნისას, თუ რა თანამიმდევრობით უნდა განისაზღვროს სინტაგმები — კლებადი თუ მზარდი სირთულით — ის მიღის შემდეგ დასკვნამდე: „ეინიდან სინტაგმები მნიშვნელობის მქონე წევრებია, მათსადაც, განსაზღვრის თანამიმდევრობა უნდა შეესაბამებოდეს მეტყველება-აზრის შინაგანი დაყოფის თანამიმდევრობას. ეინიდან ჩვენ ვთვლით, რომ მეტყველების გარეგანი დაყოფა არ არის წარმოდგენათა შეჯამების შედეგი, არამედ პირუქუ წარმოდგენს თავდაპირველად ერთიანი აზრის დანაწევრების შედეგს, ჩვენ ალბათ განსაზღვრებები უნდა ვიწარმოოთ კლებადი სირთულის თანამიმდევრობით. აქედან გამომდინარე, „სიტყვა“ უნდა განისაზღვროს წინადადებიდან ან ფრაზიდან“⁵⁶, ის უურადლებას აქცევს რიტმულ-მელოდიკურ მხარესაც და მიუთითებს, რომ სიტყვა „მისი საკუთარი მნიშვნელობით არის ნამდვილად უდიდესი ზღვარი, სადაც აზრი წყვეტს კავშირს რიტმთან“⁵⁷.

საკითხს, თუ რატომ ამუშავებდა ა. პეშკოვსკი ერთსა და იმავე პერიოდში ორ საკმაოდ განსხვავებულ კონცეფციას, რა თქმა უნდა, ვერ ექნება ცალსახა პასუხი. შესაძლოა, რომ პეშკოვსკი თეორიულად მართებულად და პერსპექტიულად თვლიდა გზას რთულიდან მარტივისაკენ, მაგრამ „რუსული სინტაქსის“ გადამუშავებისას კი მიიჩნია ის უფრო რთულად პედაგოგიური და პოპულარიზატორული თვალსაზრისით, მხედველობაში მიიღო რა მისი სუსტი დამუშავებულობა.

სოსიურის თეორიის მიმართ ა. პეშკოვსკის დამოკიდებულების განხილვისას აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ თავის საპროგრამო დებულებათა შესაბამისად მან პირველ ყოვლისა გამოყო სოსიურის ის აზრები, რომლებშიც ენის შინაგანი და გარეგანი მხარეების საგულდაგულო ანალიზის მნიშვნელობა მტკი-

⁵⁵ В. В. Виноградов, Современный русский язык, гл. 69—70.

⁵⁶ А. М. Пешковский, Понятие отдельного слова. წიგნში: А. М. Пешковский, Методика родного языка..., гл. 136.

⁵⁷ А. М. Пешковский, Понятие отдельного слова, гл. 137.

ცდება. ა. პეშკოვსკი გახაზავდა იმას, რომ თვით ნიშანი სოსიურის მიერ გაგებულია სწორედ როგორც ბგერისა და მნიშვნელობის ერთიანობა. ის საგანგებო ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მსგავს ერთიანობას „დე-სოსიური ფრიად უხალისოდ აღნიშნავს ტრადიციული ტერმინით ნიშანი (Signe) და შენიშნავს ამ ტერმინის უხერხულობას მისი მიდრეკილობის გამო მოვლენის გარეგანი მხარისაკენ“⁵⁸. (იმავე მოსაზრებათა გამო ა. პეშკოვსკიმ საერთოდ დადებითად შეაფასა შესატყვისობათა ორმაგი სისტემის შესამატოვისეული პრინციპი. რომელიც ს. ბერნშტეინის სტატიაშია მოყვანილი და რომლის მიხედვითაც „ფორმის მეშვეობით ამა თუ იმ მნიშვნელობის, კატეგორიის დადგენის შემდეგ მკვლევარმა უნდა შეასრულოს შებრუნებულ გზა და აღმოჩენილი კატეგორიის თვალსაზრისით ხელახლა უნდა გადასინჯოს ენაში გარეგანი აზრის გამოვლენის მთელი მასალა“. მართალია, ა. პეშკოვსკი აქვე დასძენს, რომ „შესამატოვ-ბერნშტეინის თვალსაზრისში გაურკვეველი რჩება. სახელდობრ, აზრის რა პროცესით ვ უჭევემ დებ ა რ ე ბ თ ახალ ფაქტებს ერთხელ დადგენილ კატეგორიას“⁵⁹.

პუბლიცისტ ნ. ბერძნიშვილად (ლ. კრელაშვილი, გვ. 158),
ან კიდევ, „ცნობილ მწიგნობარ ნ. ბერძნიშვილად“ (ი. ლოლა-
შვილი, გვ. 183): **Н. Б.** რუსი უურნალისტი ნიკოლოზ ბოჩაროვა. აქედან
გამომდინარე, 1872 წელს „Илт. газета“-ში გამოქვეყნებული წერილის ავ-
ტორისა და ე. წ. შოთა რუსთაველის პორტრეტის პუბლიკატორის მცდარ ინ-
ტერპრეტაციაზე დამყარებული ი. ლოლაშვილის შორს მიმავალი დასკვნებიც,
თავისთავად, საფუძველგამოცლილია.

ი. ლოლაშვილის ნარკვევის მეორე მთავარი საკითხი არის რუსთველის
გრუზინსკისეული პორტრეტის, ანუ „Илт. газета“-ში, გამოქვეყნებუ-
ლი ე. წ. რუსთველის პორტრეტული გამოსახულების, დედნის ძიება და მისი
რაობის გარკვევა. ი. ლოლაშვილი წერს: „გრუზინსკისეული პორტრეტი (დე-
დანი), რომელიც ჭერჭერობით დაკარგულად ითვლება, შესრულებული ყოფი-
ლა ფერებში მხატვარ „P. V.“-ს მიერ (ეს. ანციკლები იკითხება პორტრეტის
ქვედა მარჯვენა კუთხეში.) (გვ. 184. ხაზი ჩვენია. — გ. შ.), ან კიდევ: „უინ მო-
ნათლა შაკი პოეტად, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ გრუზინსკისეული მინი-
ატურა, რომლის ფოტორეპროდუქცია დახბეკდა „Илт. газета“-ში, გად-
მობატულია „P. V.“-ს მიერ ნინოწმდის 1708 წლის სიგლიდან (!) უწარწეროდ
(ხაზგასმა ავტორისაა, — გ. შ.). ამ სიგელზე გამოსახულნი არიან თეკლა ბატო-
ნიშვილის პაპა თეიმურაზ მეორე (ჭაბუკი) და მისი სისხლით ნათესავი მეფე-
ები. ამიტომაც საეარაუდოა, თეკლამ მათი სურათები ფე-
რებში გადმოახატვინა მთლიანად მხატვარს თავისი
ოჯახისთვის (დაყოფა ჩვენია, — გ. შ.)... 1851 წელს, როდესაც ალ. ორ-
ბელიანს პლ. იოსელიანისთვის მიუტანია „ვეფხისტყაოსნის“ ზაზანეული ხელ-
ნაწერი, მასში მოთავსებული ყოფილა სხვა სურათი... 1851 წელს პ. იოსელი-
ანს „ვეფხისტყაოსნის“ ზაზანეულ ხელნაწერთან ერთად მ. ვორონცოვისთვის
მიურთმევია შაპ-სულტან ჰუსეინის პორტრეტი (ფერადი მინიატურა, გადმოხა-
ტული „P. V.“-ს მიერ ნინოწმდის სიგლიდან) რაკი მან იცოდა, რომ თეკლა
ბატონიშვილს „აქედნა ძველად ნაწერი ვეფხისტყაოსანი სახით ანუ პორტრე-
ტიურთ თვით რუსთაველისა“, შაპ-ჰუსეინის სურათი შეცდომით მიუჩნევია
რუსთაველის სახედ. მ. ვორონცოვს ეს „სხვისი სახე“ მხატვრისთვის გადაუხა-
ტვინებია, ასლი მიუცია ფრანგი მოგზაური ფლერისათვის პარიზში გამოსაცე-
მად, 1861 წელს კი მისი დედანი („P. V.“-ს ნახატი ასლი), როგორც რუსთა-
ველის პორტრეტი, პ. იოსელიანს მიურთმევია მოსკოვში ძღვნად დ. გრუზინს-
კისათვის, ან შეიძლება მან მას მიჰყიდა კიდევ“ (გვ. 188. ხაზგასმა ავტორი-
საა—გ. შ.). „ის კი მოსალოდნელია, რომ პ. იოსელიანს დ. გრუზინსკისათვის
მოსკოვში „მიერთმია“ რუსთაველად მიჩნეული სურათი შაპ-სულტან ჰუსეი-
ნისა და მის სანაცვლოდ კარგი თანხაც მიეღო“ (გვ. 189. ხაზგასმა ჩვენია —
გ. შ.).

პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, ვინ იყო ეს „მხატვარი P. V.“. თუმცა
ი. ლოლაშვილს სწორედ ამით უნდა დაეწყო, P. V. -ს ინიციალები და ვინაო-

დებოდა გაგრძელებით: 1868, № 16, 17, 26; 1869, № 3...), ან კიდევ, ხელმოუწერლად:
„Типографские типы и типы“ (1869, № 5, ევერშაინის ჩანახატები), „Закавказские типы“
(1870, № 49) და სხვა.

ბა გაეშიფრა და დასკვნებიც ამის საფუძველზე გაეკეთებინა. მაგრამ, სამწუხაროდ, ი. ლოლაშვილს (და არც ლ. ჭრელაშვილს) ეს არ უცდია, ეგებ სცადა კიდევ, ოღონდ „ანქარა“. ამიტომ შედეგმაც არ დააყოვნა „P. V.“-ს ინიციალების გაუშიფრავად, მისი ეინაობის მცდარმა ინტერპრეტაციამ ცალკე — საკითხის გაბუნდოვანება გამოიწვია და ცალკე — გამოჩენილი ქართული მეცნიერისა და მოღვაწის პ. იოსელიანის სახელს მიაყენა ჩრდილი. აქ ზ. ჭიჭინაძის „საინტერესო ცნობის“ გამოყენებისას ი. ლოლაშვილს „მეტი სიფრთხილე მართებდა“. მაგრამ დაჯანგბოთ ამას თავი და დაუბრუნდეთ „მხატვარ P. V.“-ს ეინაობის გარკვევას.

ი. ლოლაშვილს თუ დაუუჩერებთ, თეკლა ბატონიშვილმა, ერეკლე II-ის ასულმა (1776—1846) თავისი ოჯახისთვის მხატვარ P. V.-ს მთლიანად ფერებში გადამოახატვინა ნინოწმიდის 1708 წლის სიგელი, რომელზეც „გამოსახულნი არიან თეკლა ბატონიშვილის პაპა თეიმურაზ მეორე (ჭაბუკი) და მისი სისხლით ნათესავი მეფეები“ (გვ. 188); მათთან ერთად, თურმე ამავე სიგელიდან P. V.-ს უწარწეროდ (ხაზი ავტორისა—გ. შ.) გადმოუხატავს შაჰ-ჰუსეინის „ფერადი მინიატურა“. რომელიც 1872 წელს „Илт. газета“-ში ქართული ასომთავრული და მხედრული წარწერებით „შოთა რუსთაველად“ მოინათლა. ოღონდ „ვინ მონათლა შაჰი პოეტად არ ვიცითო“ (იქვე, გვ. 188).

თუ გაიხსენებთ. რომ თეკლა ბატონიშვილი 1846 წელს გარდაიცვალა, მაშინ ი. ლოლაშვილის მსჯელობით ისე გამოდის. რომ მხატვარ P. V.-ს თეკლა ბატონიშვილის თხოვნა მის სიცოცხლეში, ე. ი. 1846 წლამდე შეუძრულება, ხოლო თეკლას ვაჟს — ალექსანდრე ორბელიანს 1851 წელს იგი პ. იოსელიანისთვის „მიუტანია“. პ. იოსელიანს კი შაჰ-სულთან ჰუსეინის პორტრეტი (ფერადი მინიატურა. გადმოხატული P. V.-ს მიერ ნინოწმიდის სიგელიდან) შეცდომით რუსთველად ჯერ 1851 მ. ვორონეჟისთვის. ხოლო 1869 წელს დ. ბ. გრუზინისთვის „მიურთმევია“ (ბრჭყალეში ჩასმა ავტორს ეკუთვნის. — გ. შ.) და „მოსალოდნელია მის სანაცვლოდ კარგი თანხაც მიეღო“ (გვ. 188, 189).

სამწუხაროდ. მთელი ეს მსჯელობა გაუგებრობათა ჯაჭვება აგებული. პატ. ი. ლოლაშვილს უნდა მოეახსენოთ. რომ მხატვარ P. V.-ს თვალთაც არ უნახავს თეკლა ბატონიშვილი და ამდენად ვერც მის შეკვეთას შეასრულებდა: P. V. გახლავთ „Илт. газета“-ს მხატვარი-გრაფიკორი P[оца] V[трѣхъ] (როზა უტრეფი), რომელიც ასრულებდა არა თეკლა ბატონიშვილის „შეკვეთას“ 1846 წლამდე. არამედ „Илт. газета“-ს დაეკლებას 1872 წელს! P[оца] V[трѣхъ]-ს თეკლა ბატონიშვილისთვის არც ერთი „სისხლით ნათესავი მეფე“. ისიც „ფერებში“. არ გადმოუხატავს ნინოწმიდის 1708 წლის სიგელიდან. არამედ P[оца] V[трѣхъ]-მა „Илт. газета“-ს 1872 წლის 20 ივლისის ნომრისთვის (№ 28. გვ. 33) პეტერბურგში ამოკრა, ამოკვეთა მხოლოდ ე. წ. რუსთველის გრუზინისკისეული პორტრეტისა და გერბის მოსკოვში გადაღებული ფოტოსურათის ასლი გრაფიკების წესით, რომელიც ჩვეულებრივ ხეზე ან ლითონზე (ქვაზედაც) ხდებოდა. ამიტომაც თავისი ნახელავის. და არა „ფერადი მინიატურის“. ქვედა მარჯვენა კუთხეში ამოკვეთა

კიდევ თავის ინიციალებია „P. V.“ (ქართული ასომთავრულ- და სხედრულ წარწერების „შოთა რუსთაველის“ შესახებ ქვემოთ).

მოვიგონოთ, რას წერდა ამის თაობაზე Н. Б.- ახლა უკვე ჩვენთვის ცნობილი ნ. ბოჩაროვი: „С этого портрета снят был в Москве фотографический снимок, который с ксилографою вырезана на прилагаемом рисунке“ („Илл. газета“, 1872, № 28, გვ. 35).

ი. ლოლაშვილს (და, რა თქმა უნდა, ვერც ლ. კრელაშვილს!) ვერ გაურკვევია ამ ცნობის დედაზრი და წერს, თითქოს „ფაქტია რომ გრუზინსკისეული მინიატურა, რომლის ფოტორეპროდუქცია დაიბეჭდა „Илл. газета“-ში, გადმოხატულია „P. V.“-ს მიერ ნინოწმინდის 1708 წლის სიგლიდან უწარწეროდ“ (გვ. 188. ხაზი ავტორისაა, — გ. შ.). „ფოტოასლი გატბოვებულია რეტუსორის მიერ. რათა მათგან დამზადებული კლოშეებისაგან კარგი სტამბური ანაბეჭდი მიღებულყო“ (გვ. 184 შდრ. ლ. კრელაშვილის სიტყვებს: „როგორც ვხედავთ, Н. Б.-ს გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ 1872 წელს გამოქვეყნებული პორტრეტი ფოტოპირია პლ. იოსელიანის მიერ დ. ბ. გრუზინსკისათვის გაგზავნილი პორტრეტისა“. იქვე, გვ. 154). მაშინ როდესაც Н. Б. გვეუბნება, რომ „Илл. газета“-ში გამოქვეყნებული ი. ე. რუსთაველის გრუზინსკისეული პორტრეტი გრავირებულ იქნა ასლია მოსკოვში გადაღებული ფოტოპირისათ!

ი. ლოლაშვილი. ალბათ, დაინტერესდება საიდან ვიცით, რომ „P. V.“ მანქანადანც Роза Утгоფა-ია? ამისათვის საკმარისი არ იყო „Илл. газета“-ს მხოლოდ ერთი ნომრის (№ 28, 1872) ხელში აღება. არამედ საჭირო იყო მისი ამომწურავი, ი. ლოლაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აუჩქარებელი“. „წყნარი და დაკვირვებული ანალიზი“, მაშინ ავცდებოდით „თეკლა ბატონიშვილის მხატვრული შეკვეთების თეორიას“!

როგორც ირკვევა, Роза Утгоფა-ი წევრია პროფესიონალი მხატვარი-გრაფიკის უტოფა-ების ოჯახისა, რომლებიც „Илл. газета“-ში თანამშრომლობდნენ. აქ ვხვდებით П. Утгоფა-ის, Ф. Утгоფა-ისა და Р. Утгоფა-ის ნამუშევრებს (იხ. მაგალითად, „Царица Тамара“, რომლის ქვედა მარცხენა კუთხეში ეკითხვობთ: „рис. Ф. Утгоф“, ხოლო მარჯვნივ: „гр. П. Утгоф“, „Илл. газета“, 1871 № 4; ან კიდევ, აღეწასანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის პორტრეტი, რომლის მარცხენა ქვედა კუთხეში ვხედავთ: „П. Утгоф“ „Илл. газета“, 1872, № 26).

მაშასადამე, Утгоფა-ები „Илл. газета“-ს თანამშრომლები, მხატვარი-გრაფიკორები ყოფილან. მათ შორის ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს Роза Утгоფა-ის, იგივე P. V.-ს ნამუშევრები, რომლებიც გადმაცხადდა „Илл. газета“-ს სხვადასხვა ნომერში. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს, რომელთაც მხატვარი-გრაფიკორი ხან თავის ინიციალებს (P. V.) უსვამს, ხან კიდევ—მწლიანად წერს სახელსა და გვარს თავისი პროფესიის აღნიშვნით („гр. Роза Утгоф“):

1. Императорская гранильная фабрика в Петергофе, აქვს წარწერა — დამლა: „гра. Роза Утгоф“, Илл. газета“, 1869 № 26, გვ. 5.

2. Внутренность Микетского храма в Грузии — აქვს ინიციალებიანი დამლა: „P. V.“; ახლავს Н. Б.-ს, იმავე, ნ. ბოჩაროვის წერაღს: „Микетский храм в Грузии“ (Илл. газета“, 1869, № 26, გვ. 1). ამ სურათის შესახებ ნ. ბოჩა-

როვე თავის წერტილში ასეთ ცნობას გვაწვდის: „На прилагаемом рисунке, снятом с картины, исполненной даровитым художником А. И. Федотовым с эскиза Чернецова и находящейся ныне в богатом собрании грузинских древностей светлейшего князя Давида Багратовича Грузинскаго, в Москве (картина эта рисана в 1856 г. и в прошлом году (т. е. 1868 г., — г. У.) была на выставке в Петербургской академии художеств)“.

3. Красносельский театр -- აქვს წარწერა-დამლა: „**Роза Утгоф**“ (Илл. газета“, 1869, № 38).

Красноводский залив (კასპიის ზღვის სამხრ.-აღმ. ნაპირი), -- აქვს ინიციალებიანი დამლა: „**Р. У**“ და ასლავს ცნობა: „Вид Красноводскаго залива, приложенный к этой статье, рисован с натурм М. П. Галкиным“ (Илл. газета“ 1869, № 43).

5. Царь грузинский Давид Возобновитель -- აქვს ინიციალებიანი დამლა: „**Р. У.**“ ასლავს ი. ბ.-ს. იმავე ნ. ბოჩაროვის წერილს: „Царь Давид III. Возобновитель“, რომელიც კვაცნობებს: «На прилагаемом рисунке изображен портрет царя Давида Возобновителя, святый кн. Гр Гагарин во время его путешествия по Грузии, в сороковых годах и тогда же литографированный в Тифлисе в весьма ограниченном числе землицыров. Портрет этот написан в Гелатском монастыре на стене храмо-строенияго самим царем Давидом» («Илл. газета», 1870, № 7).

6. Закавказские типы -- ინიციალებიანი დამლა: „**Р. У.**“ („Илл. газета“, 1870, № 49).

„Илл. газета“ -- ში გვხვდება **Р. У.**-ს, იმავე **Роза Утгоф**-ის, დამლით შესრულებული სხვა ნამუშევრებიც: მაგალითად, კოსტრომის მონასტერი (1869, № 29). რკინიგზის სადგური (1869, № 32), სოკოს მძებნელი გოგონა (1869, № 38). მანუფაქტურის გამოფენის შენობა (1870, № 2)... ე გ ე ბ ე ს ე ნ ი ც თ ე კ ლ ა ბ ა ტ ო ნ ი შ ე ი ლ ო ს შ ე კ ე თ ი თ ა ა **Р. У.**-ს მ ი გ რ „ ფ ე რ ე ბ შ ი გ ა დ მ ო ლ ე ბ უ ლ ი “? მაგრამ არა! აქ საქმე გვაქვს ჩვეულებრივ ამბავთან: „Илл. газета“-ს თანამშრომელი **Р. У.** გაზეთის ამა თუ იმ ნომრის საპრობუბისათვის აკეთებს პორტრეტების. პეიზაჟებისა თუ არქიტექტურულ ნაგებობათა გრაფირებულ ასლებს (მაგალითად, სვეტიცხოვლის შიდა ხედი მას თურმე შეუსრულებია ჩერნეცოვის ესკიზის მიხედვით ა. ი. ფედოტოვის მიერ 1856 წელს დახატული სურათიდან, რომელიც დ. გრუზინსკის კოლეჯიის კუთვნილება ყოფილა; პეიზაჟი „კრასნოვოდსკის ყურე“ გადმოღებული აქვს მ. პ. ვალკინის სურათიდან, ხოლო დავით აღმაშენებლის გელათური ფრესკა გრ. ვაგარინის ლითოგრაფიიდან), მათ შორის „Илл. газета“-ს 1872 წლის 20 ივლისის ნომრისთვის მას შეუსრულებია ე. წ. შოთა რუსთველის გრუზინსკისეული პორტრეტისა და გერბის ასლიც, რომელსაც, სხვა ნამუშევრების მსგავსად, ასევე აქვს მხატვარ-გრაფიორი და მლა: „**Р. У.**“ ანუ „**Роза Утгоф**“.

ი. ბ.-ს. ანუ ი. Боцаров-ს საერთოდ არ უნახავს არც თეკლასეული ვეფხისტყაოსანი მასში ჩართული რუსთველის ავთენტიკური პორტრეტით (რადგან 1853 წლის 1 სექტემბრიდან ეს ხელნაწერი უკვე მ. ვორონცოვის პირად მფლობელობაში იყო გადასული, ხოლო პორტრეტი მისგან დაშორებულ) და

არც ნინოწმიდის 1708 წლის შაჰ-სულთან ჰუსეინის პორტრეტის სიგელი. რომ ისინი ერთმანეთისთვის შეედარებინა და შაჰი პოეტისაგან გაერჩია!

II. Бочаров-მა „И.п. газета“-ს მხატვარ-გრაფიკოს P.V.-ს, ანუ Гиза Утрод-ს თავისი სტატიისათვის 1872 წელს პეტერბურგში (და არა 1851 წელს თბილის-ში, როგორც ამას ი. ლოლაშვილი ამტკიცებს) გადასცა დავით გრუზინის კოლექციაში მოხვედრილი ვიღაც ყალბისმქნელის მიერ შოთა რუსთველად მონათლული შაჰ-სულთან ჰუსეინის პორტრეტის მოსკოვში გადაღებული ფოტოსურათი. რომლისგანაც დამზადებული გრავირებული ასლი P. V.-ს, იმავე Роза Утрод-ის, დამლით დაერთო კიდევ „И.п. газета“-ში 1872 წლის 20 ივლისს (№ 28) გამოქვეყნებულ H. B.-ს. იმავე II. Бочаров-ის, აღნიშნულ წერილს: „Грузинская литература и ее представители до XVIII столетия“. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ И.п. газета“-ში მოთავსებულ II. B.-ს (ნ. ბოჩაროვი) სხვა წერილებსაც ახლავს P. V.-ს (როზა უტროფის ნამუშევრები (დავით აღმაშენებლის ფრესკა, სვეტიცხოვლის შიდა ხედი).

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება! სხვა საკითხია საიდან მოხვდა დ. პ. გრუზინის კოლექციაში! შოთა რუსთველის ნაყალბევი პორტრეტი, რომელიც სინამდვილეში ნინოწმიდის სიგელიდან ამოღებულ შაჰის პორტრეტს წარმოადგენს.

ი. ლოლაშვილი ნებსით თუ უნებლიეთ ამ სიყალბის ჩადენას, როგორც ეთქვით, პ. იოსელიანს მიაწერს, თანაც „სანაცვლოდ კარგი თანხაც უნდა მიეღო“ (გვ. 189). ამ უსაფუძვლო მტკიცებების მთავარი საბუთი, რომ პ. იოსელიანი ე. წ. რუსთველის „პორტრეტის გამგზავნია“, ხოლო „ნ. ბერძნისვილი—პუბლიკატორი“ (ი. ლოლაშვილი, გვ. 183) და „ნ. ბერძნისვილისთვის შოთა რუსთველის პორტრეტისა და ხელნაწერის ისტორია საქართველოშივე კარგად იყო ცნობილი“ (ლ. კრელაშვილი, გვ. 158), როგორც ზემოთ უკვე დავრწმუნდით, ევრაერთარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამასთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებასაც: პ. იოსელიანი „Кавказ“-ში 1870 წელს (№ 13) გამოქვეყნებულ წერილში ლაპარაკობს დ. ბ. გრუზინისათვის თეკლასელი ვეფხისტყაოსნის კუთვნილი რუსთველის ავთენტური პორტრეტის ასლის მირთმევაზე, „И.п. газета“-ში კი 1872 წელს დაიბეჭდა ე. წ. რუსთველის გერბიანი (ორთავიანი გვირგვინისანი არწივი ხმლითა და ფრთის კალმით) პორტრეტი. ძნელი დასაჯერებელია, რომ პ. იოსელიანს ეს ე. წ. რუსთველის საგვარეულო გერბიანი პორტრეტი ჰქონოდა მხედველობაში და თავის აღწერილობებში (1852 წ. „მოხილვა“, გვ. 154; 1870 წ. „Кавказ“, № 13) ერთი სიტყვაც არ ეთქვა ამ გერბის შესახებ.

II დ. ბ. გრუზინის კოლექციის ნაწილი დღეს დაცულია სარკ სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. აქ ვხვდებით, რაც ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესოა გრ. გაგარინის ალბომში მოთავსებულ (Le Cauc. pitt., Paris, 1847, pl. LVI) ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ის პორტრეტულ გამოსახულებათა ასლებს (ГИМ. II III 34157, II III 43746). უფიქრად ე. წ. რუსთველისა და მისი საგვარეულო გერბის გამოსახულებას ქვირტიობით ვერ მივაგნით.

მაშასადამე, ი. ლოლაშვილის მტკიცების მეორე მთავარი არგუმენტი, თითქოს თეკლა ბატონიშვილისა და მ. ვორონცოვის შეკვეთით¹² ნინოწმიდის 1708 წლის სიგელიდან მხატვარ P. Y.-ს მიერ გადმოღებული შაჰ-სულთან ჭუსეინის ფერადი მინიატურა პ. იოსელიანმა შეცდომით რუსთაველის სახედ 1861 წელს მ. ვორონცოვს, ხოლო 1860 წელს დ. ბ. გრუზინსკის „მიაჩთვა“, თუ „ქარგი თანხით მიჰყიდაო“, ძირშივე მცდარია: მხატვარი P. Y. არის „Ил. Газета“-ს მხატვარი-გრაფორი Роза Утгофл-ი, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონია არც თეკლა ბატონიშვილთან (გარდ. 1846 წ.) და არც მ. ვორონცოვთან (კავკასიის მეფისნაცვალი 1844—1854 წლებში, გარდ. 1856 წ.). სინამდვილეში, მას რუსი ურნალისტის Н. Б.-ს, ანუ ნ. ბოჩაროვის, სტატიისათვის პეტერბურგში 1872 წელს დაუშვადებია დ. ბ. გრუზინსკის კოლექციაში მოხვედრილი რუსთველის ნაყალბევი პორტრეტისა და გერბის მოსკოვში გადაღებული ფოტოსურათის გრავირებული ასლი.

ასე რომ, სხვა არის პ. იოსელიანის მიერ აღწერილი თეკლასეული ვეფხისტყაოსნის კუთვნილი რუსთველის ავთენტიკური პორტრეტი და სხვა — დ. ბ. გრუზინსკის კოლექციაში მოხვედრილი ვიღაც ყალბისმქნელის მიერ შოთა რუსთველად მონათლული შაჰის პორტრეტი.

ეს ე. წ. შოთა რუსთველის გერბიანი პორტრეტი დ. ბ. გრუზინსკის სიკვდილის (1888 წ. 24 სექტ.) შემდეგ მართლა საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარ არქივში რომ ყოფილა დაცული, ამას ალ. ცაგარლის აღწერილობის (Сведения, III, СПб., 1894, გვ. 751) ვარდა, მოწმობს ამ პორტრეტის უფრო მოგვიანო ზუსტი და დაწვრილებითი მეცნიერული აღწერილობა (დაიბეჭდა 1898 წ.), შედგენილი არქივის თანამშრომლის ა. ა. აღიაბიევის მიერ, რომელსაც ი. ლოლაშვილი (არც ლ. ჰრეღაშვილი) არ იცნობს: «№ 282. Грузинский поэт XII в. Шота Руставели. Поэт сидит на тахте, поджав по восточному обычаю ноги. В правой руке держит мяч, османный драгошными камнями; левой рукой опирается на палку. На голове большая шапка с черным и белым пером, окруженная светлым кругом. Под ним двуглавый золотой орел, который держит в красных когтях с одной стороны меч, а с другой лавровую ветвь. Кругом портрета персидский орнамент.

Рисунок XVIII—XIX вв. на бумаге, исполненный разными красками (преимущественно красной) и золотом. 9×4½; Приобретен Архивом в 1889 г. у Н. П. Ветровой после умершего князя Л. Б. Грузинского вместе с другими портретами и рисунками»¹³.

¹² ი. ლოლაშვილი წერს, რომ ჯერ „სავარაუდოა, თეკლამ მათი სურათები ფერებში გადასახატინა მთლიანად მხატვარს თავისი ოქახისთვისო“ (გვ. 188), მერე „მ. ვორონცოვს ეს „სხვისი სახე“ მხატვრისთვის გადაუხატინებია. ასლი მიუღია ფრანგი მოგზაური ფურცლის პარიზში გამოსაცემადო“ (გვ. 188), ხოლო რუსულ რეზიუმეში „შემკვეთად“ მხოლოდ მ. ვორონცოვია გამოყვანილი: „...подлинник публикации Н. Бердзенова скопирован в 1881 году по распоряжению М. С. Воронцова художником Р. У.“ (გვ. 190).

¹³ в. Московский главный архив Министерства иностранных дел. Портреты гартини, хранящиеся в чем. вып. 1-й (с 16 фототипическими габлянами), Москва, 1898, გვ. 64. დ. გრუზინსკის კოლექციიდან არქივში შესულ სხვა ქართველ ისტორიულ როლებზე (ერეკლე II, შაჰრატ, იოანე, დავით ბატონიშვილები, დარეჯან დედოფალი, ეპიტერიხე შაჰრატ ბატონიშვილის მუღლუე, სილომონ II იმერთა მეფე) პორტრეტები შე-

როგორც ვხედავთ. ა. ალიაბიევის ხელთ ჰქონია **Н. Б.-ს** პუბლიკაციის დედანი და გვაძლევს. აღ. ცაგარელთან შედარებით, მის უფრო სრულ მეცნიერულ აღწერილობას. მართალია, რუსი სპეციალისტი პორტრეტის დათარიღებისას XVIII—XIX საუკუნეებს შორის მერყეობს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში აქედან ცხადად ჩანს მისი „სიახლე“ და არა „სიძველე“, როგორც ამას ზოგიერთი (ლ. ჭრელაშვილი, ბ. კანდელაკი) დაყენებით ამტკიცებს ისე, რომ დედანი არც უნახავს. სამწუხაროდ, ეს დედანი დღემდე არა ჩანს. საბედნიეროდ, ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს მისი ალიაბიევისეული აღწერილობა დათარიღებითურთ, რაც ადრე აღ. ცაგარელს არ უცდია, ხოლო ე. წ. რუსთაველის პორტრეტისა და გერბის ამაზე ძველი დედნის არსებობა (ცხადია, არ გვაიწყებება ნინოწმინდის სიგელი) არ დასტურდება! ა. ალიაბიევის აღწერილობიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ **Н. Б.-ს** პუბლიკაციის დედანი არ ყოფილა თეკლა ბატონიშვილის. ან კიდევ მ. ვორონცოვის შეკვეთით მხატვარ **Р. У.-ს** მიერ 1851 წელს დამზადებული ასლი (ი. ლოლაშვილი), თორემ **Р. У.-ს** ინიციალებს. დედანზე რომ უფილიყო, იგი სხვებზე არანაკლებად შეამჩნევდა.

აქედან გამომდინარე. უკვე ისიც შეგვიძლია დაბეჭითბილ ვთქვათ, რომ **Р. У.-მ** უწარწეროდ კი არ გადმოხატა ნინოწმინდის სიგელიდან შაპი, როგორც ამას ი. ლოლაშვილი ფიქრობს, არამედ იგი აკეთებდა ასომთავრულ და მხედრულ წარწერებიანი „შოთა რუსთაველის“ ნაყალბევი პორტრეტის ასლს. წარწერების ავტორი რომ ელემენტარულად ვერ ერკვეოდა ქართულ ასომთავრულში. ჩანს ასო **О.-ს** ღაწურისობიდან, რომელიც „შოთა“-ში სხვანაირად უწერია და „რუსთაველში“ კიდევ — სხვანაირად. ჩვენი ეს ვარაუდი უფრო თვალნათლივ დასტურდება „И.И.И. гзета“-ში გამოქვეყნებული თამარის ბეთანიური ფრესკული გამოსახულების ქვეშ (იხ. „И.И.И. гзета“, 1871 № 4) გაკეთებული ასომთავრული წარწერიდან, სადაც „თამარ მეფისა“-ს ნაცვლად „თამარ მეფისა“ იკითხება. ეგებ, ამ უცრის კალიგრაფიული ვარჯიშობანიც ისეთივე „სკრუპულოზური“ პალეოგრაფიული ანალიზით „დედნისეულ და ძველიდან მომდინარედ“ მიგვიჩინა, როგორც ამას „შოთა რუსთაველის“ მისამართით აკეთებენ (გვ. 164)? მაგრამ, საბედნიეროდ, თამარის ფრესკა და მისი წარწერები ბეთანიაში გადარჩენილია!¹⁴ აი, სანამდე შემოქმედი მიგვიყვანოს წინასწარ შემუშავებულმა აზრმა და უსაფუძვლოდ შეთხზულმა „ლოგიკურმა მსჯელობებმა“!

სახებ იხ. იქვე. გვ. IV. აგრეთვე И.И.И. и. 181. ии. 14, г. 145—146. ადგილამოთვლილია არქივში შესული დ. გრუზინისეული ქართული ხელნაწერები. პორტრეტები. მათ შორის „Портрет Игора Пустяков“ г. 148. გარკვეულ ინტერესს იწვევს ვეფხისტყაოსანის არქივისეული ნუსხის (ახლ. II—2074) ერთ-ერთი პირველი და უცნობი აღწერილობა: Барсела кожа—позма XIII века на грузинском языке. Писана в (აქა იელი ვეფხისტყაოსანის ნუსხის). 31. დეკე на 259-ти листах тонкой досианшейся бумаги, с приклеенными вверху навозобные бардюров, которые украшены изображениями людей, животных, птиц, цветов и проч. перенесена на кожу с вытиснутыми на ней орнаментами. В центре рукописи картина (г. 147. შტრ. სარგის ცაიშვილი). ვეფხისტყაოსანი. ტექსტის ისტორია. II. ტბ., 1970, გვ. 61—63).

14 იხ. Г. В. Алибегашвили, Четыре портрета царицы Тамары. Тб., 1937. გვ. 65. შტრ. Г. Гагарин, Церковь бетаниа, Кавказ, 1851. № 72; მისივე. Le Sauc-pitt. Paris. 1847. pl. XXXIX. შ. ამირხანაშვილი. ქართული ხელნაწერების ისტორია. ტბ., 1961. 283.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ი. ლოლაშვილმა უარყო ლ. ჭრელაშვილის (მასთან ერთად ბ. კანდელაკის) მტკიცება ე. წ. „რუსთაველის მეოთხე პორტრეტის“ შესახებ და გაიზიარა სარგის ცაიშვილისა და ჩემი მთავარი დებულება. იამ „Илт. газета“-ში გამოქვეყნებულ სურათზე გამოსახულია არა შოთა რუსთველი, არამედ — შაპ-სულთან ჭესეინი: „დღეს დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ, რომ მასზე გამოსახული პირი არ არის ჩვენი სახელოვანი პოეტი“ (გვ. 184), რომ მასზე „портрaжн не Ш. Руставели, а писателъ Ирагн Шах-Султан Хусейн (1694—1722)“, (რუს. რეზიუმე, 190).

ლოლაშვილმა ასევე უარყო ლ. ჭრელაშვილის (მასთან ერთად ბ. კანდელაკის) მტკიცება რუსთველის ე. წ. საგვარეულო გერბის შესახებ და არსებითად გაიზიარა სარგის ცაიშვილისა და ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ამ გერბის რუსთველისათვის მიკუთვნების შესახებ: „რაკი მინიატურაზე გამოსახული შაპ-სულტან ჭესეინი, მის ქვეშ ვერ ვიგულებთ რუსთაველის საგვარეულო გერბს, რომელიც შეუქს მოჰქენდა პოეტის ჩამომავლობის საკითხს“ (გვ. 187, შტრ. ჩვენს სიტყვებს „...ამდენად ვერც ვერაფერად შეუქს ვერ მოჰქენს ვენაღღური პოეტის ბიოგრაფიას“. „საბჭოთა ხელოვნება“, 1974. № 11. 71).

ოლონდ, რუსთველის ნაუაღბვეი პორტრეტისა და გერბის შესახებ გაზიარებული დებულება ი. ლოლაშვილს თურმე მიუღია «На основе сопоставления различных литературных сведений и иконографических материалов о Руставели» (რუს. რეზიუმე, გვ. 190), ხოლო თუ როგორია ამ აღრე გამოთქმულ დებულებათა დღეს ხელახლა დასამტკიცებლად ი. ლოლაშვილის მიერ ჩატარებულ „შეპირისპირებათა“ („сопоставления) ობიექტური საფუძველი, ამაში შეითხველი, ვფიქრობ, უკვე საბოლოოდ დარწმუნდა

ლოლაშვილის ნარკვევში დაშვებულია სხვა არანაკლებ მძიმე შეცდომები და ფაქტობრივი ხასიათის უზუსტობანიც. ღვეასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

ნინოწმინდის სიგელზე გამოსახული „დიდი მბრძანებლის“ ვინაობის დადგენასთან დაკავშირებით ი. ლოლაშვილი შენიშნავს: „ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს იძლევა ხსენებული სიგლის შინაარსისა და მის თავში წამძღვარებული მინიატურების შედარებითი მიმოხილვა, რაც მოდავეთა არც ერთ მხარეს არ უცდია (ხაზი ჩვენია, — გ. შ.). ნინოწმინდის სიგელი გაცემულია კახთა მეფის დავით იმამყულიხანის (1705 — (sic!) — 1722 წწ.) მიერ 1708 წელს“ (გვ. 185).

აქ ი. ლოლაშვილი იმეორებს ს. კაკაბაძისა და სხვა წინამორბედ ავტორთა დათარიღებას, რომელთა პაზიღვით ნინოწმინდის სიგელი 1708 წელს ყოფილა გაცემული, მაგრამ ი. ლოლაშვილი ხომ რაღაც ისეთ ახალ „შედარებით მიმოხილვას“ გეპირდებოდა. რომელიც „მოდავეთა არც ერთ მხარეს არ უცდია“? ეს დაპირება დაპირებად დარჩა. სინამდვილეში კი ირკვევა, რომ ნინოწმინდის სიგელი საბოლოოდ 1723 წლით უნდა დათარიღდეს!

საქმე ისაა, რომ ნინოწმინდის სიგელი პირველად 1597 წელს გაუცია ალექსანდრე კახთა მეფეს (1574—1605): „დაიწერა მტკიცე ეს და შეუცვალებელი კუჩარი... ქქსა სპე [1597] თვესა აპრილსა ოცდაათსა“¹⁵, რომელიც 1708

წელს განუახლებია დავით ერეკლე I-ის ძეს იმამყულიხანს (1703—1722): „დაიწერა მტკიცე და შეუცვალებელი სიგელი ესე თებერვლის იზ გასულს ქკსა ტ ევ [1708]“¹⁶. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა: 1723 წელს გამეფებულ კონსტანტინე ერეკლე I-ის ძეს მაჰმადყულიხანს (1723—1729) კვლავ განუახლებია ნინოწმინდის სიგელი: „დაამტკიცებელი ამისნი ღთნ დაამტკიცოს მრავალმცა არიან წელნი და ეამნი ცხოვრებისა მეფის კონსტანტინესანი... ქკსა უია [1723]“, რომელსაც ამტკიცებს აგრეთვე „კახეთის ჟანიწინი ბატონიშვილი თეიმურაზ“ (იგულისხმებ: თეიმურაზ II) (იქვე, გვ. 10).

მაშასადამე, ნინოწმინდის სიგელის საბოლოოდ 1708 წლით დათარიღება ისევე არ შეიძლება, როგორც 1597 წლით. რადგან 1597 წელს პირველად აღექსიანდრე კახთა მეფის მიერ გაცემული სიგელის განახლება მოხდა 1708 წელს დავით იმამყულიხანის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების (1722 წ.) შემდეგ. მისი საბოლოო დამტკიცება მომხდარა 1723 წელს კონსტანტინე მაჰმადყულიხანისაგან. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს. რომ ნინოწმინდის სიგელის მეორე მინიატურაზე გამოსახულ ერეკლე I ნაზარალიხანისა და მისი აჯების (დავით, კონსტანტინე, თეიმურაზ) მინიატურულ პორტრეტთა წარწერებს შორის, კონსტანტინეს გასწვრივ იკითხება: „მეფე კონსტანტინე“. ცხადია, ეს წარწერა 1708 წელს სიგელზე ვერ გაკეთდებოდა. რადგან კონსტანტინე მაჰმადყულიხანი მაშინ არ იყო მეფე, იგი „ყუენმა მეფედ წარმოავლინა“ 1723 წელს (ვახუშტი)¹⁷. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სხვა არის დავით იმამყულიხანის სიგელის მწერალი („დაიწერა... კელითა... მდივან მწიგნობრის თუ მნის შვილის შიოშისითა“, გვ. 9). და სხვა კიდევ—კონსტანტინე მაჰმადყულიხანის სიგელისა („დაიწერა... მდივან მწიგნობრის კელით გურგენისითა“, გვ. 10). აშკარად სხვადასხვა ჩანს II, III, IV მინიატურებისა და მათზე გაკეთებულ წარწერათა შემსრულებლებიც!

ასე რომ, რადგან ი. ლოლაშვილმა იყისრა „ნინოწმინდის სიგლის შინაარსისა და მის თავში წამძღვარებული მინიატურების ისეთი შედარებითი მიმოხილვა. რაც მოდავეთა არც ერთ მხარეს არ უცდია“. მაშინ მას მართლაც „ამომწურავად“ უნდა შეესწავლა ნინოწმინდის სიგელი¹⁸ და წინამორბედ ავტორთა მსგავსად იგი კვლავ 1708 წლით არ უნდა დაეთარიღებინა. მაგრამ ეს ცოტაა! ი. ლოლაშვილს ნინოწმინდის სიგელის შინაარსის „ამომწურავი მიმოხილვისას“ დაუსვია ისეთი მძიმე შეცდომა, რომლის მსგავსი „მოდავეთა არც ერთ მხარეს“ აღრე მართლა არ მოხვლია!

¹⁶ იქვე, გვ. 9.

¹⁷ ქართლის ცხოვრება. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბ., 1973, გვ. 619.

¹⁸ ი. ლოლაშვილს ეტყობა მზედევლობიდან გამოჩენილი ი. ჯაჭტიყ, რომ ს. კაკაბაძეზე (1914 წ.) აღრე, „ნინოწმინდის სიგელი“ ხელთ ჰქონია ალ. ხაანაშვილს XIX ს. 90-იან წლებში, რომელსაც იგი „Гуджара Данило-Гареджийской пустыни...-ს“-ეკვს (გაფმოტანიით ი. ი. სის საეკლესიო მუზეუმში დავით გარეჯის უდაბნოდან) და დაუბუკდევ კიდევ ამ სიგელის ორ მინიატურა (ერეკლე I შვილებითურთ და თეიმურაზ I დაელო ბატონიშვილთან ერთად). რაც პირველ პუბლიკაციადა უნდა ჩაითვალოს: იხ. МАК, РИМ, VII, Москва, 1898, გვ. 42, ტბ. III: ამის შესახებ პირველი ცნობა იხ. ა. ვაჭტიყელი ა შპს-ს ლიანა უსერინის ერთი პორტრეტის გამო, „დროშა“, 1967 №5 გვ. 19. უფრო აღრე. მ. მ. მ. ე. მასალა ეახტანე IV-ბოგრაფისიანთის, რჩ. ნაწერები., თბ., 1962, გვ. 503.

ი. ლოლაშვილი წერს: „ცნობილია, რომ დავით იმამყულიხანის ნაზარალიხანის უკანონო შვილი, დაიბადა სპარსეთში: დედამისი იყო სპარსი ქალი, ერთ-ერთი დიდებულთაგანის ასული“ (გვ. 186. დაყოფა ჩვენია, — გ. შ.). ჩვენ არ ვიცით, საიდან არის ი. ლოლაშვილისთვის ცნობილი, რომ დავით იმამყულიხანი ერეკლე I ნაზარალიხანის უკანონო შვილია, ხოლო დედამისი — სპარსი ქალი, თანაც. — ერთ-ერთი დიდებულთაგანის ასული. ჩვენთვის ცნობილია, მაგალითად, რას წერს ვახუშტი: „ოდეს ერეკლე მყოფობდა ისპაანს, მოითხოვა კახეთიდან ქალი... რომელი ვაკსენეთ ალავერდელი, მისგან იყო ჩოლაყაშვილი და მან წარუვლინა ასული თვის ანნა. ხოლო ერეკლემ შეეპოვისგან ძე დავით და ასული ელენე... დავითს უწოდეს იმამ-ყული და ელენეს ბანჭანუმი... უშვა ერეკლეს ტფილისს ანნამ ძე თეიმურაზ¹⁸“, ოასაც მოითონ დავით იმამყულიხანი არაერთხელ გვიდასტურებს: „დედამან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ანნამ“¹⁹...

მაშასადამე, — ვახუშტის ცნობით და თვითონ დავითის მოწმობით დავით იმამყულიხანი ერეკლე I ნაზარალიხანის დიხაც კანონიერი შვილი ყოფილა, თანაც დედამისი ანა ჩოლაყაშვილია და არა ვილაც სპარსი დიდებულის ასული, ხოლო დეიძლი და-ძმა — ელენე (შემდეგში იესე მეფის მეუღლე. ანტონ I კათალიკოსის დედა) და თეიმურაზი (ანუ თეიმურაზ II, მამა ერეკლე II-ისა). ერეკლე I ნაზარალიხანის უკანონო შვილი კი სინამდვილეში იყო არა დავით იმამყულიხანი, არამედ კონსტანტინე მაჰმადყულიხანი. მოუესმინოთ ისევ ვახუშტის: „...წარმოაღლინა ყუენმან მაჰმად—ყულიხან ძე ერეკლე მეფისა, ნაშობი მკეველისაგან. რომელსა ეწოდა კოსტანტინე, მეფედ ქახთა“ (იქვე; გვ. 619), რის გამოც დავით იმამყულიხანი მას „უხუცეს ძმას“ უწოდებს (ქართ. სამართ. ძეგლები, II, გვ. 359), ხოლო თუ ვახუშტის და დავითს არ ვენდობით, იმედია, დედ-მამას მიივს დავუჭერებთ: „ჩვენ... მეფეთ-მეფემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ანნამ, პირამშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან იმამყული და პატრონმან კონსტანტინემ...“ (ქართ. სამართ. ძეგლები, II, გვ. 230). მართლაც, უცნაურია ყოველივე ამის შემდეგ კანონიერი შვილი უკანონოდ ცხადდებოდეს, ქართველი დედა კი სპარსელ ქალად! და ეს ყველაფერი ხდება „ამომწურავი, შედარებითი მიმოხილვის“ სახელით!

ი. ლოლაშვილი არასრულ ცნობას გვაწვდის, როცა წერს: „გ. გაგარინის ალბომიდან ნაზარალიხანისა და მისი შვილების პორტრეტები (მეორე მინიატურა) გადაბეჭდა 1907 წელს ი. მურიემ (მისი. L'art au Caucase, გვ. 148) და მან მაჰმადიან ქართველ მეფეთა ჩაცმულობას შაჰქია ყურადღება“ (გვ. 187—188). უნდა ვიცოდეთ, რომ გ. გაგარინის ალბომიდან ნაზარალიხანისა და მისი შვილების პორტრეტები მურიეს 1907 წლამდე რამდენიმეჯერ (1885 წ., 1889 წ.) ჰქონდა გამოქვეყნებული: იხ. La Miniature par J. Mou-

¹⁸ ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 609—610.

¹⁹ ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები..., თბ., 1914, გვ. 7; ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1965, გვ. 330; დაწერილებით იხ. კ. კეკელიძე, მეოთხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, „ლიტ. ძიებანი“, VIII, თბ. 1953, გვ. 154—157, 162—167. გადაბეჭდილია: „ეტიუდები“, IV, 1957.

rier, Odessa, 1885, გვ. 26. შმდ.; Le Caucase Illustré, rédacteur en chef J. Mourier, Tiflis, № 1. 1889, გვ. 6. J. M., Le costume au Caucase. მათ შორის, და რაც მთავარია, ამ უკანასკნელში გ. გაგარინის ალბომის L IX ტაბულიდან „შაჰ-აბასიცი“ არის გადმობეჭდილი, თუ ამას რაიმე პრინციპული მნიშვნელობა აქვს საკითხის ისტორიისათვის. ამას გარდა, მურიეს ერქვა არა ი. მურიე, როგორც ამას ი. ლოლაშვილი ვეაუწყებს. არამედ ე. მურიე (J. Mourier) ანუ ყიულ მურიე (ივანე ლოლაშვილს J (ე) ი-დ წაუეციხავს!). რომელიც იყო საქართველოში XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში საკმაოდ ცნობილი პირი. ფრანგი ეურნალისტი, თბილისში 1889—1904 წლებში გამომავალ ფრანგული ეურნალის „Le Caucase Illustré“-ს რედაქტორი²⁰, ევტორი ნუნა-კისა — „Chota Fusthavéli., Tif., 1886 და სვ.“.

ი. ლოლაშვილი (ისე როგორც ლ. ჭრელაშვილი). წინამორბედ მკვლევართა მსგავსად, გრ. გაგარინს აკუთენებს „Le Caucase pittoresque“-ში 1847 წელს გამოქვეყნებული სურათებისათვის დართულ განმარტებათა ტექსტსაც და არსად არ ახსენებს ამ საქმეში გრაფ ე. შტაკელბერგის მონაწილეობას: „ამ სივლიდან მხატვარმა გრ. გაგარინმა გადმოხატა ექვსი პორტრეტი... და 1847 წელს დაბეჭდა კიდევ თავის ალბომში. ოღონდ ტაბულის ახსნისას ვერ ვაარკვეია“... (გვ. 187) და ეს მაშინ, როდესაც გრ. გაგარინის ალბომს ზემოდან აწერია: „Le Caucase pittoresque. Dessiné d'après nature par le prince Grigorie Gagarine. Avec une introduction et un texte explicatif par le comte Ernest Stackelberg, Paris, MDCCCXLVII“. მაშასადამე, გრ. გაგარინის ალბომის შესავლისა და სურათების განმარტებათა ტექსტი ჰკუთვნებია გრაფ ერნესტ შტაკელბერგს, რასაც საბოლოოდ ადასტურებს კიდევ ერთი ცნობა: «Штакельберг Эрнест-Густав, граф, 1814—1870, генерал-лейтенант, писатель. Служба на Кавказе [Штакельберг] занимался этнографическим его описанием, изданным в виде текста к изданию князя Гагарина „Caucase“ (1857, ундა: 1847)²¹. ახლა მარცხვანაღი უნდა იყოს, რომ კავკასიაში იმ დროს სამსახურში მყოფ ვენერალს, მწერალს, გრაფ ერნესტ შტაკელბერგს უკეთ მოეხსენებოდა რუსთეელის რომელი პორტრეტი იყო თელსაეულ ვეფხისტყაოსანში — ნამდვილი თუ ნაყალბევი. რადგან სანამ პოეტის პორტრეტი და ხელნაწერი ერთმანეთს დაშორდებოდა, იგი თელსა ბატონიშვილის ვაჟის — ალექსანდრე ორბელიანის ოჯახში

20 ამის შესახებ იხ. А. Б. Вагова, О первых французских журналах в Грузии, тосუ შრომები, ტ. 145, ეურნალისტიკის სერია, 2, თბ., 1971, გვ. 284 შმდ.; ი. ჩიკვაძე, „ილუსტრირებული კავკასია“, „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 7, გვ. 65 შმდ.; დ. თანჯელიძე, ქართულ-ფრანგული ლიტ. ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1969, გვ. 14, 33; და სხვ.

21 იხ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 110, 118 და სხვ.

22 შმდ. გ. შარაძე, ვეფხისტყაოსნის ე. წ. ზახახელი ხელნაწერის გარშემო, მაიკე, 1970, № 4, გვ. 125—126, 133—134; № 5, გვ. 123—124; მისივე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 3—4, 14—16, 33—34; „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, I, მთ. რედაქტორი ლ. შენაბდე, თბ., 1976, გვ. 67, 421.

23 იხ. ბროკ-ფერ. ენციკლოპედია, ტ. 78, СПб., 1903, გვ. 666.

ჯერ კიდევ 1847 წელს საკუთარი თვალით ჰქონია ნანახი და აღწერილი გრაფ. ე. შტაკელბერგს, ხოლო გადმოხატული და დაბეჭდილი — გრ. გაგარინს. აი, რას წერდა გრაფი ე. შტაკელბერგი 1847 წელს: შოთა რუსთველის პორტრეტის ვეფხისტყაოსნის თეკლასეული ხელნაწერი „დღეს [1847 წელს] ეკუთვნის მის ვაჟს, თავად ალექსანდრე ორბელიანს, რომელმაც დაკვეთა პატივი და გაგვაყენო (communiquer) ამ გამოცემის ავტორებს“²⁴.

ბოლოსდაბოლოს, მართლაც „ვის დავეუჯეროთ“: თვითმხილველ კრავს თუ სენსაციების მოყვარულ თვითდაჭერებულ მკვლევრებს. ამ უკანასკნელთა „ლოგიკური მსჯელობების“ მისამართით უყოყმანოდ უნდა გავიმეოროთ თვით ი. ლოლაშვილის სიტყვები: „მათი უმრავლესობა უფრო გვიანდელი ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ძველი ლიტერატურული წყაროების გამეორება“!

Г. С. ШАРАДЗЕ

ЕЩЕ РАЗ К ВОПРОСУ О ТАК НАЗЫВАЕМОМ НЕИЗВЕСТНОМ ПОРТРЕТЕ РУСТАВЕЛИ

Резюме

Работа касается опубликованных в «Маице» (Серия языка и литературы, № 1, 1977 г. стр. 151—190) статей Ш. Чрелашвили и И. Лолашвили о так называемом четвертом портрете Шота Руставели. В частности, рассматривается очерк И. Лолашвили, поскольку редакция «Маице» не разделяет, считая ошибочными, основных положений статьи Ш. Чрелашвили (об этом см. примечание «От редакции», там же, стр. 151). Выясняется, что и в статье И. Лолашвили допущен ряд фактических ошибок.

В работе доказывается, что автором статьи «Грузинская литература в ее представителе до XVIII столетия», опубликованной за подписью «Н. Б.» в «Иллюстрированной газете» (1872 г. № 28), является не **Николоз Бердзنيшвили**, известный грузинский ученый и публицист XIX века, а русский журналист и литератор **Николай Петрович Бочаров**.

В работе выяснено, что миниатюры «Р. У.», поставленные под подложным портретом Шота Руставели, опубликованным в «Иллюстрированной газете», должны быть расшифрованы как «Роза Утгоф». Это была петербургская художница-гравер, не имевшая никакого отношения ни к Текле Ираклиевне Багратиони (ум. в 1846 г.), ни к наместнику Кавказа М. С. Воронцову (ум. в 1856 г.). Роза Утгоф в 1872 году вырезала гравюру для «Иллюстрированной газеты», изображением которой неизвестный фальсификатор назвал портретом Руставели.

В работе указано и на другие ошибки, допущенные в статье И. Лолашвили. Таким образом, остается в силе высказанное ранее мнение С. Цаншвили и Г. Шарадзе о том, что миниатюрный портрет, опубликованный в 1872 г. в «Иллюстрированной газете», в действительности является изображением шаха-Султана Хуссейна (1694—1722) из Нинопидской грамоты XVIII в.

²⁴ Le Cauc. pitt., Paris, 1847, XI ტაბულის განმარტება.

რედაქციისათვის

„მაცნე“-რედაქცია ამო წყვეტს კამათს რუსთველის ეგრეთ წოდებულ მეოთხე პორტრეტზე შეახებ. კამათის შედეგად გაირკვა:

1. „Иллюстрированная газета“-ში (1872 წ., № 28) გამოქვეყნებული პორტრეტი გაპოხატა არა პოეტ შოთა რუსთველს, არამედ ირანის შაჰ-სულთან ჰუსეინს (1694—1722);
2. რუსთველად მიჩნეული შაჰ ჰუსეინის ეს პორტრეტი გადმოღებულია ნინოწმინდის ძეგლის სიგელიდან;
3. დამოწმებულ გაზეთში პორტრეტთან ერთად მოთავსებული წერილის („ქართული ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები XVIII საუკუნემდე“) ავტორის ინიციალები Н. Б. ნიშნავს არა ნიკოლოზ ბერძნიშვილს, არამედ ნიკოლოზ ბოჩაროვს;
4. რუსთველის ნაყალბე პორტრეტზე მიწერილი ინიციალები P. V. კი გულისხმობს მხატვარ-გრაფიკოს როზა უტკოფს, რომელსაც „Иллюстрированная газета“-ს დაეალებით გაუმზადებია ამ გაზეთში გამოსაქვეყნებლად ნაყალბევი პორტრეტის ასლი.

ილია ბარბნიშვილი

ზოგიერთი ცნობა ნიკო ლომოურის შესახებ

ნიკო ლომოურისათვის, როგორც ხალხოსანი მწერლისა და საზოგადო მოღვაწისათვის, კიევის პერიოდი (1875—1879 წწ.) მეტად მნიშვნელოვანი იყო. კიევში სწავლა და ცხოვრება მას მოუხდა მაშინ, როდესაც უკრაინაში ხალხოსნურმა მოძრაობამ მეტად თვალსაჩინო გაქანებას მიაღწია. როგორც ცნობილია, უკრაინელმა ხალხოსნებმა 1876 წელს მოაწყვეს ცნობილი „ჩიგირინის შეთქმულება“. ხელისუფლების მიერ ამ შეთქმულების განადგურებამ საზოგადოების ფართო ფენებში გააძლიერა არსებული სელისშემხუთველი რევოლუციონარულადმდე პროტესტანტული განწყობილება; ძლიერდება კიევის დემოკრატიული სტუდენტობის დრტივინვა.

კიევის სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული მასალები მიუთითებენ, რომ სასულიერო აკადემიაში ნიკო ლომოურის სწავლის პერიოდში აქ სწავლობდნენ პროგრესული შეხედულების სხვა ქართველი ახალგაზრდები. ესენი იყვნენ დავით ალადაშვილი, ივანე გაფრინდაშვილი, ნიკოლოზ მარგალიტაშვილი, გიორგი სამაგლიშვილი, მიხეილ ილურიძე და სხვ¹. ექვი არ არის, რომ ქართველი ახალგაზრდები ხშირად იკრიბებოდნენ და თავისი სამშობლოს საქობროტო საკითხებზე მსჯელობდნენ.

ახალი საარქივო მასალები ადასტურებენ აგრეთვე, რომ კიევში ნიკო ლომოურს ლექციებს უკითხავდა ქართველი პროფესორი პეტრე ლაშქარაშვილი. იგი ლექციებს კოხულობდა ისეთ წამყვან დარგებში, როგორც იყო: ლოგიკა, რუსული ლიტერატურისა და სიტყვიერების ისტორია, მსოფლიო ისტორია.

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველ პროფესორსა და მისი მშობლიური ერის წარმომადგენელ სტუდენტებს შორის ურთიერთობა მხოლოდ ოფიციალური ლექციებით არ შემოიფარგლებოდა. ბუნებრივია, რომ მათ შორის არა ერთხელ გაიმართებოდა გულთადი საუბარი ქართველი ერისთვის მტკიცეულ საკითხებზე. მაგრამ ამ მიმართებით კონკრეტულად მეტის თქმის საშუალებას ჯერჯერობით ჩვენ მიერ მიკვლეული მასალები არ გვაძლევენ.

ეფიქრობთ, ქართველ მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება თუ აქ ორიოდ სიტყვით შევეხებით პეტრე ლაშქარაშვილის ვინაობასა და კიევის სასულიერო აკადემიაში მის მოღვაწეობას.

პეტრე ლაშქარაშვილის წარმოშობის შესახებ, ზეპირი გადმოცემის საშუალებით მხოლოდ იმის დადგენა შეეძელით, რომ იგი გორის მაზრიდან ყოფი-

¹ ЦГИА, УССР, ф. 711, оп. 3, ед. хр. 1344, л. 13; ед. хр. 1515, л. 32; ед. хр. 1305, л. 13, 20.

ლა. საარქივო მასალებიდან კი ჩანს, რომ ლეთისმეტყველების კანდიდატის წოდებით უმაღლესი სასულიერო განათლების მიღების შემდეგ 1860 წელს პ. ლაშქარაშვილს მუშაობა დაუწყია კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორად. პეტრე ლაშქარაშვილი მეტად ფართო განათლებისა და დიდი ერუდიციის მქონე ლექტორი ყოფილა. როგორც აღენიშნეთ. იგი ლექციებს მთელ რიგ წამყვან დაზგებში კითხულობდა. როგორც თავისი დარგის ღრმა მცოდნე, პ. ლაშქარაშვილი დიდი პატივისცემით სარგებლობდა სტუდენტებსა და კოლეგებს შორის. მას ანგარიშს უწყევდნენ და პატივისცემით ეპყრობოდნენ სათანადო სახელმწიფო უწყებებიც. ამას კარგად მოწმობს თუნდაც ის, რომ 1879 წელს იგი დააკლდოეს ორდენით. ხოლო 1885 წელს აკადემიაში მუშაობის 25 წლის სტაჟის შესრულებასთან დაკავშირებით მიანიჭეს „დამსახურებულ ექსტრაორდინალური პროფესორის“ წოდება².

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად დამსახურებული პროფესორი პეტრე ლაშქარაშვილი ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ეწეოდა. მასალებში მითითებულია, რომ მას შეუსრულებია აკადემიის სოლიდური მონოგრაფიული გამოკვლევა სახელწოდებით: „Право церковное и его основах, видах и источниках“.

პ. ლაშქარაშვილის ამ გამოკვლევის ტექსტა წვენ გვიჩვენობით ვერ მოვკვლიეთ. ამიტომ მისი შინაარსის ირავლივ კონკრეტულად მაჯვლობის საშუალებას მოკლებული ვართ. მაგრამ ნათლად ჩანს, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო დაწერილი ცარიზმისა და მისი ბურჟის — პობედონოსევიცის სულისკვეთებით. მასალებში გარკვევითაა მითითებული, რომ სასულიერო უწყების მიერ გამოყოფილ რეცენზენტებს პ. ლაშქარაშვილის ნაშრომი აბ მოუჩნევიათ მათთვის სასურველი სულისკვეთებით შესრულებულად. ამიტომ იგი დაუწუნებიათ, რაც აკადემიის სამეცნიერო საბჭოს დაუდასტურებია³. ვფიქრობთ, ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ რა არ მოეწონებოდა ამ ნაშრომში 90-იანი წლების აღვირახსნილ რეაქციის დროინდელი სინოდის მიერ გამოყოფილ რეცენზენტებს და ბნელეთის მოციქულებისაგან შემდგარ სამეცნიერო საბჭოს. ეჭვი არ არის, რომ ასეთი მკაცრი განაჩენის საფუძველი ნაშრომის იდეური მიმართულება იქნებოდა.

პ. ლაშქარაშვილი 12 შრომის ავტორიც ყოფილა. ამ საკითხით გამოწვეულმა დიდმა ინტერესმა გვაიძულა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე მოგვენახა ლიტერატურულ წყაროებში ცნობები პ. ლაშქარაშვილის შესახებ. ფ. ა. ბროკჰაუზენისა და ი. ა. ეფრონის ენციკლოპედიაში პ. ა. ლაშქარაშვილის შესახებ შემდეგი ცნობა აღმოჩნდა: „ორდინალურ პროფესორ პ. ლაშქარაშვილი კიევის სასულიერო აკადემიაში ჯერ დაუწყია ლიტურგიის, ხოლო შემდეგ კანონიკური სამართლის კათედრაზე მუშაობა. გამოუქვეყნებია შემდეგი ნაშრომები: „რელიგიური მონომენტალობა“, „კიევის უძველესი ეკლესიები სპასის, ბერესტოვზე, და წმინდა სემიონის შესახებ“. „უძველესი ეკლესიების ურთიერთობა რომის სახელმწიფოსთან“, „უძველესი სიტყვის „ქმობის“ მნიშვნელობა (რომელიც მოთავსებულია კიევის აკადემიის შრომებში)“. ცალკე გამოცემულია მისი აკადემიური კურსის ნაწილი: „ეკლესიის ძირითადი სახეობანი, უფლებები და წყაროები“ (1889). „ზოგიერთი ცნობები, რომელიც ეხე-

² ЦГИА, УССР, ф. 711, оп. 3, ед. хр. 1279, 1878 г. и ед. хр. 1691, 1885 г.

³ ЦГИА, УССР, ф. 711, оп. 3, ед. хр. 2375, 1896 г.

ბა დონის 1875 წლის სამხედრო გადახალისებას“, „XII საუკუნის სუზდალის სამთავროს არქიტექტურის განხილვა“ (დაბეჭდილია მოსკოვის არქეოლოგიური ყრილობის მასალებში, ტ. I) და სხვ⁴.

პროფ. პ. ლაშქარაშვილის გამოქვეყნებული შრომებიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორის კალამი შეხებია როგორც საეკლესიო-სასულიერო, ისე ისტორიის, სამხედრო, არქიტექტურისა და სხვა საინტერესო საკითხებს. ამდენად ჩვენი თანამემამულის შრომების გაცნობა არანაკლებ საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ლაშქაროვები (ლაშქარაშვილები) ეკუთვნიან ქართველ აზნაურთა გვარს. მათი წინაპარი ყოფილა ქართველი აზნაური ლაზარე გრიგოლის ძე ბიბილური. რომელიც ვახტანგ VI ამაღას გაპყოლია პეტერბურში და პეტრე დიდის კარზე მისულა. ეს ცნობა შეტანილია სანეტ-პეტერბურგის თავდათა საგვარეულო წიგნში⁵.

დამსახურებულმა პროფესორმა პ. ლაშქარაშვილმა 39 წელიწადი იმოდევანა კიევის სასულიერო აკადემიაში. როგორც ოფიციალურ მასალებშია აღნიშნული. 1899 წლის 28 აგვისტოს დამსახურებული ექსტრაორდინალური პროფესორი პეტრე ალექსანდრეს ძე ლაშქარაშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა გულის დამბლით⁶. კიევის აკადემიის სტუდენტობამ, პროფესორ-მასწავლებლებმა და ქალაქის საზოგადოებამ ამ კაცური კაცის ცხედარი მოწიწებით მიაბარა მის მეორე სამშობლოდ ქცეულ უკრაინის მიწას.

აკადემიაში ჩარიცხვისთანავე ნიკო ლომოური მუყაითად შეუდგა სწავლასა და სამეცნიერო მუშაობის ჩვევების გამომუშავებას. საარქივო მასალები ცხადყოფენ, რომ ნიკო ლომოური როგორც ზამთრის სესიებს, ისე კურსიდან კურსზე გადასაყვან გამოცდებს მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით ამთავრებდა⁷.

ნიკო ლომოური დროულად და მაღალხარისხივად ასრულებდა როგორც საკურსო შრომებს, აგრეთვე სამეცნიერო წრეებზე წასაკითხ მოხსენებებს. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა მეორე კურსის სტუდენტის ნ. ლომოურის მიერ 1876 წელს წაკითხულმა მოხსენებამ „История русской жизни“⁸. ასევე წარჩინებულად შეაფასეს რეცენზენტებმა 1878 წელს ნ. ლომოურის მიერ აკადემიის გამგეობაში წარდგენილი შრომა „წმინდა სინოდისა და ეპარქიალური არქივების დამოკიდებულება საერო ხელისუფლებასთან მე-18 საუკუნეში“⁹.

აკადემიაში სავალდებულო დისკალინების წარმატებით სწავლასთან ერთად ნიკო ლომოური მისთვის დამახასიათებელი ენერჯით მუშაობდა საერ-

Энциклопедический Словарь, ф. А. Брокгаузен, И. А. Ефронь, С.-Петербург, 1896, т. 33, гл. 409.

⁵ იქვე, გვ. 409. დავიანტრესდით თუ როგორ მოხდა ბიბილურების გვარის შეცვლა ლაშქარაშვილად. ვახტანგ VI ამაღამ სხვა მოხელეთა შორის იყვნენ მოლაშქრეები. ლ. ბიბილურს თანამდებობის მამნიშნებელ გრაფაში უყვრია — მოლაშქრე. ჩვენი აზრით, სანეტ-პეტერბურგში ჩასვლისას თავდათა საგვარეულო წიგნში ბიბილურები დაეწერნენ ლაშქაროვებად.

⁶ ЦГИА УССР, ф. 711, оп. 3, ел. хр. 2484, л. 2, 1899 г.

⁷ ЦГИА УССР, ф. 711, оп. 3, ел. хр., 1305, л. 20, 25, 40.

⁸ იქვე, ანაწ. 6, საქმე 22, ფურც. 40—41.

⁹ იქვე, ანაწ. 3, საქმე. 1270, ფურც. 9.

თო განათლების ასამაღლებლად. იგი ბევრს კითხულობს და საფუძვლიანად სწავლობს როგორც ოფიციალურს, ისე არაოფიციალურ ლიტერატურას; აგრძელებს ლიტერატურულ მუშაობას, წერს ლექსებს, თარგმნის რუსი და საზღვარგარეთელი მწერლების ნაწარმოებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დაინტერესება გამოჩენილი რევოლუციონერ-დემოკრატების ნიკოლოზ დობროლიუბოვისა და ტარას შევჩენკოს ლექსების თარგმნით. 1877 წლის გაზ. „დროების“ 4 და 6 მარტის ნომერებში გამოქვეყნდა ნიკო ლომოურის მიერ თარგმნილი ნ. დობროლიუბოვის ლექსი „ქადაგების ძალა“; კიევში ყოფნის პერიოდშივე თარგმნა ტარას შევჩენკოს ცნობილი პოემა „მუშა ქალი“, რომელიც მოგვიანებით „ივერიაში“ დაიბეჭდა¹⁰.

ნიკო ლომოური იყო პირველი ქართველი, რომელმაც ხელი მოჰკიდა დიდი უკრაინელი პოეტისა და რევოლუციონერ-დემოკრატის ტ. შევჩენკოს ნაწარმოებების თარგმნას. მან პირველმა გააცნო ქართველ მკითხველებს გამოჩენილი კობზარის შემოქმედება. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ნიკო ლომოურმა ქართულ ენაზე გადმოსათარგმნად სწორედ შევჩენკოს „მუშა-ქალი“ შეაჩრია. ამ პოემაში, რომელიც დაწერილია 1845 წელს, გადმოცემულია მშრომელი ქალის მძიმე ბედი. ლატაკი ქალი იძულებულია თავისი ჩვილი პირმშო უშვილო მოხუცებს მიუგდოს, შემდეგ კი მათვე უდგება მოჭამაგირედ, რათა თავის შვილს უკეთ მიხედოს. ასე ცხოვრობს სიკვდილამდე შვილის გვერდით იგი, რომელმაც არ იცის მისი ვინაობა. მხოლოდ სიკვდილის სარეცელზე მყოფი ქალი ხდის ფარდას საიდუმლოებას და შვილს უმხელს, რომ იგი მისი მშობელი დედაა. ავტორი ამ ნაწარმოებში მთელი სიმკაცრით ილაშქრებს სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ.

ბუნებრივია, რომ თავად მშრომელთა ფენიდან გამოსულ ნ. ლომოურს დიდად დაინტერესებდა შევჩენკოს პოემაში მოთხრობილი მუშა ქალის მძიმე თავგადასავალი. მან გადაწყვიტა ქართულად ეთარგმნა ეს პოემა რათა ქართველ მკითხველებში მეტად გაეღვიძებინა თანაგრძნობა ბედით დაჩაგრულთა მიმართ.

აღსანიშნავია, რომ „მუშა ქალმა“, თავისი მძაფრი სოციალური შინაარსით, იმთავითვე მიიპყრო რევოლუციონერ-დემოკრატის ნ. დობროლიუბოვის ყურადღებაც.

ანტონ ფურცელაძესთან, კირილე ლორთქიფანიძესთან და სხვებთან ერთად ნიკო ლომოური იყო დიდი რუსი პოეტის ნეკრასოვის ერთ-ერთი მთარგმნელი. მას ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებშივე უთარგმნია ნეკრასოვის ზოგი ნაწარმოები.

კიევში მყოფი ნ. ლომოური თავდადებით მუშაობდა. იგი ბევრს კითხულობდა და ღრმად სწავლობდა მეცნიერულ და სოციალ-ეკონომიურ ლიტერატურას. მის ნიქსა და ცოდნას დიდ პატივს სცემდნენ და აფასებდნენ როგორც ამხანაგები, ისე პროფესორ-მასწავლებლები. იგი ჯერ კიდევ აკადემიის მე-2 კურსის სტუდენტი იყო, როდესაც პროფესორის დავალებით დაწერა რეფერატი თემაზე „ქრისტიანობის გავრცელება რუსეთში“. მან კრიტიკულად მიმოიხილა ზაბილინის შრომა „რუსეთის ცხოვრების ისტორია“¹¹; გამოთქვა საკუ-

¹⁰ გაზ. „ივერია“, 1881, № 5, გვ. 3—26.

¹¹ იხ. გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდი, № 19659.

თარი გაბედული შეხედულებები. იგი ზაბილინს აკრიტიკებს წარსულის გაიდელალების გამო. დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მსგავსად ასკენის: რუსეთის ხალხის დიდება არის არა მის წარსულსა და აწმყოში, არამედ მის მომავალშიო, ნიკო ლომოურის ეს სიტყვები შემთხვევითი არ იყო. ისინი ემთხვეოდნენ ბესარიონ ბელინსკის აზრებს რუსეთის დიდ მომავალზე; ბელინსკის უყვარდა რუსეთი, მაგრამ ბევრი რამ არ მოსწონდა მის წარსულსა და აწმყოში. იგი სიამაყით შეჰყურებდა თავისი ხალხის ბედნიერ მომავალს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნიკო ლომოურის კიევში სწავლის პერიოდში, გარდა აკადემიისა, რომელზეც ზევით ვისაუბრეთ. იქაურ უნივერსიტეტსა და გიმნაზიაშიც რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა; ნ. ლომოური დაუკავშირდა მათ და თავის ირგვლივ პატარა წრე შექმნა. ისინი ხშირად იყრიდნენ მასთან თავს მსგელობდნენ მშობლიური ქვეყნისა და ხალხის საჭირობოტო საკითხებზე. ღრმად განათლებული, სამშობლოს დიდი პატიოტი ნიკო ლომოური თავისი დემოკრატიული შეხედულებებით გავლენას ახდენდა თანამემამულეებზე. მისი ტყბილი ქართულით საუბარს სიამოვნებით ისმენდნენ შეკრებილნი. ნ. ლომოური ამ ქართველი ახალგაზრდების ნამდვილი ხელმძღვანელი გახდა. ბევრმა მათგანმა ქართული ენა და ლიტერატურა კარგად არ იცოდა¹², რუსული განათლება ჰქონდათ მიღებული და მშობლიური ენა დავიწყებოდათ. ნიკო ლომოურმა ქართული ბრწყინვალედ იცოდა. იგი ეხმარებოდა მათ როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის, ისე საქართველოს წარსული და აწმყო ცხოვრების შესწავლის საქმეში. ნიკო არაქართველებსაც აცნობდა საქართველოს ისტორიას და ფართო პატიოტულ საქმიანობას ეწეოდა.

აღსანიშნავია ასეთი საგულისხმო ფაქტი: თუ ილია ჭავჭავაძემ აღმოაჩინა და ქართველ ხალხს არ დაუკარგა პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ნიკო ლომოურმაც, შეიძლება ითქვას, ჩვენს ერს შესძინა გამოჩენილი მწერალი დავით კლდიაშვილი, რომელსაც ქართული ენა დავიწყებული ჰქონდა და თითქმის გარუსებული იყო.

ნიკო ლომოური კიევში რომ ჩავიდა, დავით კლდიაშვილი მაშინ სამხედრო გიმნაზიაში სწავლობდა. იგი ჯერ კიდევ პატარა წაუყვანიათ სამხედრო სასწავლებელში. უცხო გარემოში მოხვედრილ ბავშვს მალე საცხებით დავიწყებია ქართული ენა. ეს რომ შეიტყო კიევში ჩასულმა ნიკო ლომოურმა, მივიდა მასთან სასწავლებელში, გაეცნო და ესაუბრა სამშობლოს — საქართველოს შესახებ.

ნიკო ლომოურმა რამდენიმეჯერ მოინახულა ახალგაზრდა დ. კლდიაშვილი, შემდეგ თავისთან წაიყვანა ბინაზე. იგი ბეჯითად და მონდომებით ასწავლიდა დ. კლდიაშვილს ქართულ ენას. მასთან ერთად არჩეულა ქართველი მწერლების ნაწარმოებებს. როდესაც დავითმა ასე თუ ისე აღიღვინა ქართული ენის ცოდნა, მას ნ. ლომოურმა წასაკითხად მისცა გაზეთ „ივერიის“ ნომრები, რომლებშიც ილია ჭავჭავაძის პოემა „ღმიტრი თავდადებული“ იყო დაბეჭდილი. იგი აგრეთვე უკითხავდა დავითს სხვა საინტერესო წიგნებსაც. უკვე ხანში შესული მწერალი დ. კლდიაშვილი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებდა ამ ამავს, რომელიც მას ნიკო ლომოურმა დასდო. „ტყბილმა. აღერსიანმა ლაპარაკის კილომ, ლომოურის დამახასიათებელი თვისება რომ

¹² დ. შუღლიაშვილი, უცნობი დოკუმენტი დ. კლდიაშვილის ბიოგრაფიისათვის, ძურნ. „ცისკარი“, 1962, № 9.

იყო, — იგონებს დ. კლდიაშვილი, — პირდაპირ მომხიბლა და წემაყვარა უზომოდ ეს ადამიანი. ლომოურმა ამიხსნა ეს პოემა (დემიტრი თავდადებული — ბ.), მომიყვა დემიტრის ისტორია... იმ დამეს არ დამძინებია. თავქვეშ მედვა გახეთის ნომრები და ხვალისათვის წასაკითხი „დემიტრი თავდადებული“. მეძნელებოდა კითხვა, მაგრამ ჩემს თავს ძალას ვატანდი და ისე ვერეოდი საკითხავს... ხშირად მეც დავდიოდი აკადემიაში და იქ ლომოური გვიკითხავდა თავის ახალ დაწერილ ლექსებს. ერთხელ მახსოვს ტკბილი ხმით წაგვიკითხა თავისი მოთხრობა „ალი“, რამაც აუწყრელი სიხარული გამოიწვია ჩემში¹³.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნიკო ლომოური იყო დავით კლდიაშვილისათვის ნამდვილი მასწავლებელი. როძელმაც მას საქართველოს წარსული ცხოვრება და ქართველი ხალხის დიდი სულეერი მემკვიდრეობა შეასწავლა. იგი იყო მისი შემოქმედებითი შთაგონების წყარო. ქართველი ხალხისათვის მწერალ დავით კლდიაშვილის შექმნის თვალსაზრისით ნიკო ლომოურის დამსახურება შესანიშნავადაა დახასიათებული ფოთის ეპისკოპოსის წეროლში, რომელიც მას ნ. ლომოურისათვის მიუწერია 1915 წლის 2 იანვარს: „თუმცა თქვენი პიროვნება, — წერს იგი, — ზედამ გაცინკოვნებული იყო ჩვენს წარმოდგენაში მაღლიანი და საყვარელი ადამიანის შარავანდელით. მაგრამ ერთმა გარემოებამ კიდევ გამიასკეცა და დიდად გამიცხოველა ესეთი ჩემი წარმოდგენა. ახალწლის შემდეგ ჩემს სანახავად ფოთში ჩამოვიდა ჩვენი ცნობილი ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი. მუსაიფის დროს ამ ტკბილმა კაცმა მიამბო. რომ ქართული ენა შემაყვარა და კალამი ამაღებინა ნ. ლომოურმა, როდესაც ის კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდაო. ისეთი თანაგრძნობითა და მაღლიერებით იხსენიებდა თქვენს სახელს, რომ მეტი სიამოვნებისაგან გული ამჩუვდა. ბედნიერი ხართ, ძვირფასო, რომ ასეთი კაცი შეგიძინიათ სამშობლოსათვის. თქვენ რომ სრულებით არ დაგეწრათ რა, შაინც დაუვიწყარი იქნებოდით ქართველი ერისთვის, რადგანაც დ. კლდიაშვილი თავის მწერლობას თქვენი პირადი გავლენის შედეგად თვლის“¹⁴.

თვითონ ნიკო ლომოურმა სწორედ კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში შექმნა თავისი პირველი პროზაული ნაწარმოები. ეს იყო მოთხრობა „ალი“, რომელიც 1878 წელს დაწერა. ამ მოთხრობამ მაშინვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. იგი დიდად მოიწონა ილია ჭავჭავაძემ და 1879 წელს დაბეჭდა კიდევ „ივერიაში“. დიდი ოლიას მიერ ნ. ლომოურის პირველი მოთხრობის მაღალმა შეფასებამ საბოლოოდ გადააწყვეტინა ავტორს ხელი მოეკიდა მოთხრობების წერისათვის. ამის შესახებ ნიკო ლომოური თავის ნოვოგენბაში წერს: „მომივიდა ი. ჭავჭავაძის წერილი. რომელშიაც დიდად აქებდა „ალსა“. იაკობსაც ექო და ამ გარემოებამ საბოლოოვით გადაამწყვეტინეს მოთხრობების წერა“¹⁵.

კიევში ყოფნის პერიოდში ნ. ლომოური კიევის არ წყვეტს საქართველოში მყოფ მეგობრებთან განსაკუთრებით ცხოველი მიმოწერა აქვს გამოცემლობებთან. აღსანიშნავია, რომ ნ. ლომოურის მიერ გამოგზავნილი კორესპონდენციები თითქმის ყველა იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში.

13 დ. კლდიაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, ტფ., 1935, გვ. 116.

14 გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ნ. ლომოურის ფონდი, № 19760 (ავტოგრაფი).

15 „ლიტერატურის მატთან“, წიგნი 1—2, თბ., 1940, გვ. 514.

1875 წლის 26 დეკემბერს ნ. ლომოური პირად წერილს უგზავნის საქართველოში ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და ჟურნალისტს ს. მესხს. „ძმოდ სერგო. წერს ნ. ლომოური. — ვგონებ არ მენდურებით, რომ ასე იშვიათად გიგზავნით კორესპონდენციებს. გიგზავნით ამ პატარა სტატიას და იმედი მაქვს მალე გამოგიგზავნით ორიოდ სხვასაც. კალენდარისთვის გადავთარგმნე რამდენიმე ლექსები დობროლიუბოვის, მაგრამ აღარ გიგზავნით კი. რადგანაც დაგვიანდა. ეხლა ვთარგმნი ორ მშვენიერ პოემას. ერთი არის შეეჩენკოსი „работница“ და მეორე — მაკოლისა — „ვირგინია“. მომეტებულად ეს უკანასკნელი ძალიან მომეწონა და თუმცა ძნელია სათარგმნელად. მაგრამ მაინც ვეცადები, რომ კარგად გადავთარგმნო“. გარდა ამისა. ნ. ლომოური წერს თავის მეგობარს. თუ როგორ იღვევებოდა საქართველოში მშობლიური ენის სწავლება სკოლებიდან:

...თითქმის ოჯახშიც აღარ გვაძლევენ სამშობლო ენაზედ ლაპარაკის და კითხვის ნებას. მაგრამ ცხოველია მომავალი! ჩვენი გულიდამ მუდამ ოხვრა და ვაება არ ამოვა... იქ ნელნელა გროვდება შხამი და ცეცხლი და ბრალი მისი, ვისაც ეს შხამი გადაესხმის, ცეცხლი გადაეყრება!“ წერილის დასასრულს მომავალი მწერალი, სამშობლოს დიდი პატრიოტი აღფრთოვანებული და თანაც გულმოსული ტონით წერს მეგობარს, რომ „საქართველოს სძინავს, მაგრამ მკვდარი არ არის, როგორც ჰგონიათ! საქართველო გაიღვიძებს! ამაში ეჭვი არ არის მანამდისინ კი ყოველი ნამდვილი ქართველის მიზანი უნდა იყოს ტანჯვა, რომ მან თავის ტანჯვით მომავალს ბედნიერება მოუშალოს!... ამ გვარ მიზნთან კაცზედ ნუთუ ჰგონიათ. რომ მაგათ იმოქმედონ რამე თავიანთ აღკრძალვით. დევნით ბარბაროსული უსამართლობით?! ვირაქლემას რომ იტყვიან. სწორედ ეგენი არიან: ვერ გრძნობენ, რომ თავიანთ უგუნური მოქმედებით ჩვენ გვაეახლოვებენ ჩვენ წმინდა მიზანს“¹⁶.

24 წლის კაბუჯი ნ. ლომოური ამ ბარათით ჩვენ გვევლინება საქმოდ ჩამოყალიბებულ და ფრიალ განსწავლულ პიროვნებად. მისი სიტყვები — „ჩვენი გულიდამ მუდამ ოხვრა და ვაება არ ამოვა“ — მომავლისადმი. უყეთესი ცხოვრებისადმი ოპტიმისტური სულიკვეთებითაა გაღვნილი. მას სჯერა და მტყიცედ სწამს, რომ „საქართველოს სძინავს, მაგრამ მკვდარი არ არის... საქართველო გაიღვიძებს! ამაში ეჭვი არ არის!“ — დიად, დიდი მამულრშვილის ეს შესანიშნავი წინათგრძნობა ჩვენს სინამდვილეში აღსრულდა.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ დიდმა აკაკიმ თითქმის იტოლად ნ. ლომოურის წერილის შინაარსი, როცა მან თავისი ჩვეული ოსტატობით 1880 წელს ლექსში „ავადმყოფს“ ასე ლამაზად გადმოსცა თავისი მრწამსი?

არ მომეცარა. მხოლოდ სძინავს
და ისევ გაიღვიძებს!...
ვინც შენატრის იმის სიკვდილს.
ემალ მანვე დაამიწებს!...

კიევში სწავლის პერიოდში ნ. ლომოურს უთარგმნია ერკმან შატრიანეს მოთხრობა „პატიოსანი ძველი დრო“, რომელიც 1877 წელს ვაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა: ეს მოთხრობა ნ. ლომოურის თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს. სადაც პერსონაჟებისათვის მას ქართული სახელები შეუტრქმევია¹⁷. მასში მოთ-

¹⁶ კ. კეკელიძის სახ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა -ნსტოტუ-ტი, ს. მესხის პირადი არქივი, № 63, (ავტოგრაფი).

ხრობილია ელზასელი მშრომელების—შეშის მკრელები. მენახშირეების. მეტივეების მძიმე შრომაზე და გაუხარელ ცხოვრებაზე.

კიევში დაუწერია ლექსები „ვედრება პატარა გლეხისა“ (1879), „სიზმარი“ (1876) და სხვა.

სხვა დოკუმენტებთან ერთად კიევის ისტორიულ არქივში დაცულია ცალკეულ საგნებში ჩაბარებული გამოცდების ნიმუშები და დამთავრების დიპლომის ასლი.

И. З. БЕРДЗНИШВИЛИ

ИЕКОТОРЫЕ СВЕДЕНИЯ О НИКО ЛОМОУРИ

Резюме

Нико Ломоури был писатель-народник, великий общественный деятель и публицист грузинской литературы.

Годы учебы И. Ломоури в Киеве (1875—1879 гг.) сыграли большую роль в формировании его идей как публициста.

В Киевской духовной академии он слушал лекции земляка, профессора Петра Александровича Лашкарова (Лашкарашвили). Материалы, которые хранятся в Киевском центральном историческом архиве, показывают, что профессор П. А. Лашкарашвили, был эрудированным человеком, читал лекции по нескольким предметам, опубликовал 12 своих трудов.

Будущий писатель Нико Ломоури впервые здесь познакомился с трудами русских и украинских народников. Он переводил труды Н. Добролюбова, Т. Шевченко, Н. Некрасова, Еркмана-Шатриана и других. писал прозаические произведения. Здесь он познакомился с будущим беллетристом Д. Каднашвили. Ломоури сыграл большую роль в его писательской деятельности.

В Киеве И. Ломоури сформировался как революционер-народник, как борец за свободу и счастье угнетенных крестьян.

17 გაზ. „დროება“, 1877. № 25. 26.

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი

წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

აკაკი კანოზვილი

ა. ჭავჭავაძის ლექსების დათარიღებისათვის

ა. ჭავჭავაძის თხზულებათა უკანასკნელ მეცნიერულ გამოცემას 1940 წელს — იოსებ გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით — საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში, ამ გამოცემის წინასიტყვაობაში ი. გრიშაშვილი იმედსა და სურვილს გამოთქვამდა, რომ მომდევნო გამოცემა „შესესებული და შესწორებული“ იქნება.

ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა უნდა მოგვარდეს ის გარემოება, რომ ა. ჭავჭავაძის თხზულებათა არც ერთ გამოცემაში ლექსები არ იყო დათარიღებული და არ იყო დალაგებული არათუ ქრონოლოგიური, არამედ საერთოდ რაიმე პრინციპის მიხედვით, ამის გამო ი. გრიშაშვილი წერდა: „ლექსები დალაგებულია ისე, როგორც ეს 1881 წლის გამოცემაშია. ილია ჭავჭავაძეს, პ. უმიკაშვილს, გ. თუმანიშვილს ალბათ რაიმე მოსაზრება ჰქონდათ, როცა ამ უთარილო ლექსებს ასე აწყობდნენ. დე, ეს ჭაშნიკი მათ დაეუტოვოთ!“ მაგრამ ფაქტი ისაა, რომ 1881 წლის გამოცემაში ლექსები არაა დალაგებულ რაიმე პრინციპის მიხედვით, ხოლო ა. ჭავჭავაძის პოეტური ევოლუციის განვითარების შესწავლისათვის აუცილებელია მათი დათარიღება მიახლოებით მაინც. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა უკვე ჩატარებულია და გესურს წარმოვადგინოთ ჩვენი დაკვირვებანიც.

ა. ჭავჭავაძის ლექსების დათარიღება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. თითქმის არ არსებობს მისი ლექსების პოეტის-დროინდელი პუბლიკაციები. მცირეა პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რაც ნაწარმოებთა დათარიღებას შეუწყობდა ხელს, ხოლო ავტოგრაფებსა და ნუსხებში დაწერის თარიღი იშვიათად თუ არის მითითებული.

პოეტის სიცოცხლეში მისი ორად-ორი ლექსი დაიბეჭდა და ისიც, როგორც ჩანს, ავტორთან შეუთანხმებლად. „ტფილისის უწყებაში“ (1832, № 2) დაიბეჭდა პუშკინის „სიზმრის“ ა. ჭავჭავაძისეული თარგმანი აწყობილი პროზად (!) და მთარგმნელის ხელმოუწერლად. ხოლო ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ერთ ლექსად არის დაბეჭდილი ორი ლექსის „სიყვარულო, ძალსა შენსა“ და „აჰა ესე ვარდ-წამბახის“ — პირველი სტროფები და შეცდომით ავტორად დასახელებულია ჯიმშერ ჩოლოყაშვილი.

დავით ჩუბინიშვილის ქართულ ქრესტომათიაში (ნაწ. II, 1846, ცენზურის ეიზა—8 ოქტ). ა. ჭავჭავაძის თარიღები არც აქაა მითითებული. ისევე როგორც მიუთითებლად და დაწერის თარიღები არც აქაა მითითებული. ისევე როგორც პოეტის ლექსთა მომდევნო პუბლიკაციებში, გასული საუკუნის კურონალ-გაზეთებში და პოეტის თხზულებათა 1881 და 1940 წლის გამოცემებში.

ყოველი მწერლის თხზულებათა გამოცემაში სასურველია მაქსიმალურად იქნეს მიღწეული ნაწარმოებთა ზუსტი დათარიღება. თუმცა რიგ შემთხვევებში კერძოდ ა. ჭავჭავაძის ლექსებისა, ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგრამ როცა შეუძლებელია აბსოლუტურ-კალენდარული დათარიღება, უნდა ვეცადოთ მათ მეტ-ნაკლებად მიახლოებით დათარიღებას.

ჩვენამდე მოაღწია ა. ჭავჭავაძის 150-მდე ორიგინალურმა და თარგმნილმა ლექსმა, რომელთაგან მხოლოდ 8 ლექსს აქვს თარიღი: „ყოველსა კეთილმგრანობელსა“ (1804. 8 დეკემბერი), „პყრობილის შრომა“ (1804, 8 დეკემბერი), „მიცვალებასა ზედა... პეტრე ბაგრატიონისა“ (1813, 16 იანვარი). „სიზმარი“ (1832), „ღვინის თვისებისათვის“ (1832), „მეფე რომ ვიყო“ (1843, 27 აგვისტო), „გოგჩა“ (1841. მარტი), „ამა ველს“ (1846, 15 აპრილი). ი. გრიშავეილის. პ. ინგოროყვას. ლ. ქუთათელაძისა და მ. ჭავთარიას მიერ სხვადასხვა მონაცემებისა და დაკვირვებათა საფუძველზე დამატებულად არის დათარიღებული 15 ლექსი: „ვაჰ. სოფელსა“. „ოჰ, წარმავალნო“, „ვისაც გსურთ“, „პყრობილისაგან თანაპყობ-ღლა მიმართ“, „ბრძოლისათვის“, „ფისტიკაური“, „ისმინეთ მსმენნო“. „ოჰ. ვით გვემტყუნვა“ (ყველა 1804 წ.), „მსურდა ოხრვა“, „ვაჰ. დრონი“. „ჯოვრი ჯანდა ხარიბამ“, „უწყლვივარ ქირსა“ (1804—1805 წწ.), „ნაზი ბენ ნაზის ხმაზე“. „ვაჰ სუსტსა სენით“, „უწყალო სენმან“ (1806 წელი), „ლექსნი ანაკრეონულნი“ (1808—1809).

ამგვარად, 150-მდე ლექსიდან მხოლოდ 23 ლექსზე მოგვეპოვება დაწერის თარიღი. დანარჩენი 128-მდე ლექსიდან 46 ლექსის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ 1821 წლამდეა დაწერილი. რადგან ისინი 1821 წელს შეტანილია დ. რექტორის მიერ 1821—23 წლებში შედგენილ პოეტურ ანთოლოგიებში (S 1511, S—1512): ხოლო 74 ლექსის თარიღის შესახებ არც რაიმე მითითება მოგვეპოვება და არც რაიმე ნაბიჯი გადადგმულა მათი თუნდაც მიახლოებითი დათარიღებისათვის. მაგრამ ხელნაწერთა სათანადოდ შესწავლისა და სხვა ისტორიული რეალების საშუალებით მაინც შეიძლება ა. ჭავჭავაძის ლირიკული ქმნილებების დათარიღება მეტ-ნაკლები სიზუსტით, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა საჭიროა ხელნაწერთა მრავალმხრივი შესწავლა და თვით ლექსების შეინახვის სათანადოდ გაშიფრვა.

I. ავტოგრაფი S 2181—ა. აქ უთარიღოდ წარმოდგენილია ოთხი ლექსი: „ღმიტ. ვ.“. „კეკესია“. „შექცევათათვის“, „იმპერატრიცა ელისაბედის მიმართ“. ამათგან პირველი ორი ლექსი პ. ინგოროყვამ 1809—10 წლებს მიაკუთვნა. ხოლო დ. გამეზარდაშვილის ვარაუდით ისინი 1834—35 წლებში დაიწერა. არც ერთი ამ დათარიღებათაგანი არ უნდა იყოს სწორი. ფაქტობრივი მონაცემები უფრო იმაზე მეტყველებენ, რომ ეს ლექსები არაა დაწერილი 1820 წლის დამდეგამდე; არც ერთი ამ ლექსთაგანი არ გვხვდება 800-იანი და 1810-იანი წლების ნუსხებში. რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ისინი ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი.

„ღმიტ. ვ.“. — ში აზა ახალგაზრდის, არამედ უფრო დარბაისელი ასაკის კაცის თვალსაზრისით მოჩანს. მაგ., სიტყვებში: „ოჰ, სიკაბუკეე განუსჯელო“, „განსოვს, როს გულო აღბორგვილი, უფროსთ უსმენი...?“ პოეტს უწევნევია

1 პ. ინგოროყვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბილისი. 1969, გვ. 109.

2 ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1956. გვ. 83.

ესევე იყო როგორცა „ქამის ბორბალი დაუღვრომი“. პოეტი თავის აღრესატს ერთად ვატარებულ ყრმობას მოაგონებს: „გახსოვს ოდეს მე...“, „გახსოვს როს გული...“, „გახსოვს მის ქამის ღელვა?“ „კავკასია“ წინამორბედი ლექსის თავისებურა ვაგრძელებაა და ორივე ერთდროულადაა შექმნილი.

„იმპერატრიცა ელისაბედის მიმართ...“ თარგმანია პუშკინის ლექსისა

„Свет на вызов написать стихи в честь императрицы Елизаветы Алексеевны“, რომელიც ჟურნალ „Соревнователь просвещения“-ში დაბეჭდა 1819 წლის ნოემბერს (შემდეგ 1881 წლამდე აღარ დაბეჭდილა).

ამ ლექსს უშუალოდ მოსდევს თარგმანი: „სიტყვა მოსკოვის მიტროპოლიტის ფილარეტისაგან ნიკოლოზ პირველისადმი, 28 სექტემბერს, შემდგომ პარაკლისისა სპარსთა ზედა გამარჯვებისათვის“. ეს სიტყვა წარმოითქვა 1826 წლის 28 სექტემბერს. ამ წლის სექტემბერში რუსეთის ჯარმა სასტიკად დაამარცხა სპარსეთის ჯარი, რითაც არსებითად დასრულდა სპარსეთთან ომი. არ იქნებოდა ლოგიკური იმის ვარაუდი, რომ მიტროპოლიტ ფილარეტის სიტყვა ა. კავკასიის ეთარგმნა მნიშვნელოვნად მოგვიანებით, როცა ამ სიტყვას აღარ იქნებოდა აქტუალობა. ამგვარად ამ ავტოგრაფში წარმოადგენილი ოთხი ლექსი შექმნილია 1821—1826 წლების ფარგლებში.

II.S 2461—ბ. ამ ავტოგრაფულ რეეულში 8 ლექსია: 1. „ესე რა მესმა“ „მიწურვილობდა ზამთრისა ჯამი“ 5 სტროფი), 2. „ამად მემღურე“. 3. „მუსტაზადი — მწამებ ხსოვნისა“, 4. „თეჯნისი — არვის მართებს“, 5. „წიგნი შენი“. 6. „მზე ღრუბელმან“. 7. „ნაზი ბენ ნაზის ხმაზე“, 8. „ავათმყოფობის ქამს მიწერილი“.

ამ ლექსების მცირე ნაწილში („ნაზი ბენ ნაზის ხმაზე“, „ამად მემღურე“, „მიწურვილობდა ზამთრისა ქამი“) პოეტი ჩივის სამშობლოდან შორს პატიმრად ყოფნას, ნაღვლობს რომ იმყოფება „ადგილსა უცხოსა, უცხოსა“, სადაც „ვერ პხედს მცნოსა“ და თავის თავს პყრობილს უწოდებს: „გვედრით პყრობილი“ („ნაზი ბენ ნაზის ხმაზე“); სამშობლოდან შორს მყოფ პოეტს ზატრფოს მოგონებადა დარჩენია: „ესე ოდენ მშოთმიეს გიგონო და ვიწამო“, „კვლავ იწვიდა მზის სიახლე. აწ სიშორე იმ ალის“ („ამად მემღურე“); მაგრამ გადასახლებადა მალე გათავისუფლების მოლოდინის სიხარულით უნდა იყოს გამოწვეული სიტყვები: „იამ მახარა საქმე საწამი, ვარდი მოაო, კოკობ-ნაბამი“ („მიწურვილობდა ზამთრისა ქამი“).

ასე რომ, დასახლებული სამი ლექსი დაწერილი ჩანს 1806 წელს გადასახლებაში, რაც შეეხება დანარჩენ ხუთ ლექსს („მუსტაზადი — მწამებ ხსოვნისა“, „თეჯნისი—არვის მართებს“, „წიგნი შენი“, „მზე ღრუბელმან“. „ავათმყოფობის ქამს მიწერილი“), როგორც ხელი და მელანი გვიჩვენებს, ზემოთ განხილულ სამ ლექსთან ერთდროულად არის შეტანილი ამ რეეულში; მაგრამ ისინი პატიმრობა-გადასახლების მოტივებს არ შეიცავს, არამედ თავისუფალი პოეტის განწყობილებებს გამოხატავს. შეუძლებელია პოეტს გადასახლება-პყრობილობაში დაეწერა: „აქ თვალთ მამტაცნი მრავალ ასნი... გრძობის მიმწოდნი ურიცხვად ჰკრთიან“ („მუსტაზადი — მწამებ ხსოვნისა“). აქ აშკარად ჩანს, რომ პოეტი ამ სტროქონების დაწერის დროს სამშობლოდან შორსაა, მაგრამ არა გადასახლებაში, არამედ უკვე პეტერბურგშია, სადაც „თვალთ მიმტაცნი“ მართლაც „ურიცხვად ჰკრთოდენ“; იგი თავს იმართლებს: „ნუ ჰგონებთ კოთა სიშორითა ვიყომა ცელილიო“ და მწარედ იგონებს, ალბათ ერთი თუ

ორიოდე წლის წინანდელ გადასახლება-პერობილობის მწარე დღეებს: „...წარკითხე სოფლის ანბანა, მაშინ ჰსენო რეცა, ერთგზის მეცა ვოყავ პერობილიო“ (იქვე), ასე რომ ეს ლექსი დაწერილია გადასახლების შემდეგ უთუოდ 1807—1808 წლებში. ამავე წლებს მიეკუთვნება ამ რვეულის დანარჩენი ოთხი ლექსიც. კერძოდ, „ავათმყოფობის ეამს მიწერილი“, როგორც თავის ნუსხაში (H2130) ამ ლექსზე გრ. ბატონიშვილის მინაწერიდან ჩანს, ეს ლექსი სწორედ პეტერბურგში უნდა იყოს დაწერილი მამიდის ავადმყოფობასთან დაკავშირებით. გარდა ზემოთქმულისა, ამ ხუთი ლექსის („მუსტაზადი—მწამებ ხსოვნასა“, „თეჯნისა — არვის მართებს“, „წიგნი შენი“, „მზე ღრუბელმან“, „ავათმყოფობის ეამს მიწერილი“) თემატიკაში არ ჩანს 1804—1806 წლების მოტივები. 1807—1808 წლებამდე ან შემდეგ მათი დაწერის შესაძლებლობა გამორიცხული ჩანს; ერთგვარად ფურცლების კვირნიშანიც „1808 წელი“ ამ აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

III. S 2482. ამ ავტობიოგრაფულ რვეულში წარმოდგენილია 16 ლექსი:

1. „თხისა და მელისათვის“, 2. „ბრძოლისათვის“, 3. „ფსტიკაური“, 4. „თქმული საყვარელზედ“, 5. „ხამს ტრფიალსა საყვარელი“, 6. „პავლე პირველსა სასახლესა“, 7. „დაუდგრომელი მწყემსა“, 8. „მოძღვრისა და მოწაფისათვის“, 9. „მგლისა და კრავისათვის“, 10. „მემთვრალისადმი“, 11. „ცრუმეტყველისადმი“, 12. „გოჯისადმი“, 13. „ასპარეზთა შინა მორკინალთათვის“, 14. „პრიკინასათვის“, 15. „სხვადასხვისა დროისათვის კაცისა“. 16. „პერობილისაგან თანამპერობილთა მიმართ. ამათგან „პერობილისაგან“ რ. გრიშაშვილმა³, ხოლო „ფსტიკაური“ და „ბრძოლისათვის“ პ. ინგოროყვამ⁴ მათი შინაარსის საფუძველზე 1804 წლით დაათარიღეს.

ფურცლების კვირნიშანია „1805“, მაგრამ თვით ლექსები დაწერილია 1806. 1807 წლებში. თავისთავად საეჭვოა, რომ 1805 წლის ფურცლებზე მრავალი წლის მერე იყოს დაწერილი ისინი; რაც მთავარია. ლექსების თემატიკა დაკავშირებულია აღნიშნულ წლებთან. მაგ., „პავლე პირველის სასახლესა ზედა“, რომლის წერის პროცესი ასახულია რვეულში, 1807 წელზე ადრე ვერ დაიწერებოდა, რადგან იგი პეტერბურგში პავლე პირველის სასახლის ნახვითაა შთაგონებული⁵. პეტერბურგე ა. კავკავაძე 1806 წლის მიწურულს ან 1807 წლის დამდეგს ჩავიდოდა. რადგან ეს ლექსი პეტერბურგში დაიწერა, მისი მომდევნო ლექსებიც, რომელთა წერის პროცესიც ასახულია რვეულში, არ შეიძლება დაწერილი იყოს ამ ლექსის დაწერამდე, ე. ი. 1806 წლამდე. ასეთი ლექსებია: „მოძღვრისა და მოწაფისათვის“, „მგლისა და კრავისათვის“, „ასპარეზთა შინა მორკინალთათვის“, „პრიკინასათვის“, „სხვადასხვისა დროისათვის კაცისა“. მეექვსე ლექსის შემდეგ გადათვრებულად წარმოდგენილი ლექსები („დაუდგრომელი მწყემსა“, „მემთვრალისადმი“, „ცრუმეტყველისადმი“, „გოჯისადმი“) დაწერილია 1806—1807 წლებში. ამ ლექსებში არ შეინიშნება აღმოსავლური სალექსო ფორმებით გატაცება, რაც პოეტს განსაკუთრებით 1804—1806 წლებში ახასიათებდა. აქ ჩანს ევროპულ პროზაის თემებისა და ეან-

3 ა. კავკავაძე, თბუღლებანი, თბილისი, 1940, გვ. 29.

4 პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 91—92.

5 დაახლოებით ბათუა კორპუსში სწავლის დროს (1807—1809 წწ.) ან ჰუსართა პოლკში სამსახურის წლებში (1810—1811 წწ.) დაწერილად მიიჩნევენ მ.: მ. ზავერინი („მნათობი“, 1957, № 8), რაც ახლოსაა სინამდვილესთან.

რების ძლიერი გამოძახილი რისთვისაც კეთილმოყოფელი პირობები არსებობდა პეტერბურგში.

IV. S 1584. ეს კრებული წარმოადგენს პოეტურ ანთოლოგიას, რომელშიც არის XVIII და XIX საუკუნის დამდეგის პოეტების ლექსები. 35—53 ფურცლებზეა ა. ჭავჭავაძის 27 ლექსი, რომელთაგან 8 ლექსი, როგორც ეს ი. გრიშაშვილმა და პ. ინგოროყვამ დაადგინეს, 1804—1806 წლებშია დაწერილი. ირკვევა, რომ ამავე წლებშია დაწერილი დანარჩენი 19 ლექსიც: „მიკვირს რათ სძრახავენ“, „ბიათი — ვიწყო წერა მაჯამით“, „თეჯნისი — ვინ არს ესე“, „მუხამბაზი — მოვედ ამ არეს“, „მუხამბაზი — ოპ, საყვარელო“, „ეაქებ თავსა“, „მოვედ მთოვარე“, „ანაზდათ ხილვამან“, „ედემს რგულსა“, „აჯას ვამრავლებ“, „მუხამბაზი — ვარდო კოკობო“, „ყაიდა-შენ გეტრფის ვარდო“, „ყაიდა-ვაპ, შენჯან წყულსა“, „გლახ თვალთა, „ბალახშ ბეზეის“, „ქენებოთ ვნხოვანებ“, „შვენებანო“, „სიყვარულა შეუპყრივარ“, „მუხამბაზი—ედების კარი“. რვეულის ფურცლებზე ტექსტი უახლოეს წლებშია შეტანილი. ა. ჭავჭავაძის ამ ლექსების უმრავლესობაში მოჩანს პატიმრობასა და გადასახლებაში ყოფნის განცდები: „არ ვიგლოვ თავსა ესრეთ ჰყრობოლსა, გარნა სასჯელსა მას ესთხოვ ზენასა“, „შოართგან ჰკრეტიოთ ხედვა გვლედიან“, „განმამორე შევბას ტებობილსა“ („გლახ თვალთა“). პურობილი პოეტი წერს „აპა, ყოველ გვარი ენება ერთბამად წამეკიდაო“, იმდენად, რომ თავს: „ბედით გმობილს“, „სიძრთელე წარნატაცს“ („ბალახშ ბეზეის“) უწოდებს. სწორედ გადასახლებაში მყოფს შეიძლება დაეწერა „უბედობით სვე წყეულსა აწ მებახლვის სოფლის მღურვა, ... შრომის გამო მაქვს ოფლთ ფურვა, ესეც მცირ არს, თუ რომ ჭილოდ მეტეს ვარდი ფერ რაზმულიო“ („ეაქებ თავსა“). ახალგაზრდა პოეტი მწვავედ განიცდის აჯანყების მარცხს, „სოფლის სიმუხთლეს“, რომელმაც იგი დააშორა სატრფოსა და ახლობლებს: „აწ უბედურსა დამშთომიეს ხილვის წყურვანი, ბედმან გაგყარნა, შემომყარნა ამად ურვანი“ („მუხამბაზი — ოპ, საყვარელო“). სატრფოსაგან ძალად გაშორებისა და „წყვილიაღსა ბმის“ გამო ცხოვრების განსაცდელს შეუჩვენველი პოეტი მტანჯველ ფიქრებს მისცემია: „საროს მამორვა ბედმან... მიმუხთლა სოფელმან რანხვითა მხედმან“ („ედემს რგულსა“). თავისუფლება წართმეული პოეტის ამონაქენისია: „ვაპ, აწ გემართებს ხანგრძლად ყმუნვა, ვიდრე ეამმან მოგვეცს თბუნვა“ („ყაიდა — შენ გეტრფის“).

„მუხამბაზი — ოპ, საყვარელო“-სა და „ეაქებ თავსა“, შორის ტექსტობრივი მსგავსებანიც შეინიშნება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ერთ დროს არის დაწერილი:

დენითა აფრქვეეს, ცრემლთ სიძრავლიო ზღვას შეეწონვის,

რეტ ქმნილსა თავსა შრომის გამო აქვს ოფლთ წურვანი. („მუხამბაზი—ოპ, საყვარელო“)

ესწერ ობრეთა გულის კვამლად, შრომის გამო მაქვს ოფლთ წურვა („ეაქებ თავსა“)

დასახელებულ 19 ლექსს შორის არაა არც ერთი ისეთი, რომელიც რაიმე ნიშნით დაკავშირებული იყოს ა. ჭავჭავაძის პეტერბურგში ყოფნასთან. ყველა მათგანი დაწერილია აღმოსავლურ ჰანგზე, რაც ასეთი თანმიმდევრული სახით ჭავჭავაძეს შემოქმედების პირველ ორ-სამ წელს ახასიათებს.

საერთოდ ამ კრებულში, როგორც ჩანს, სხვა ლექსებიც შეტანილია არა უგვიანეს საუკუნის პირველი ათეულისა, რადგან ფურცლების (რომლებზეც ა. ჭავჭავაძის ლექსებია) კვირინიშანია 1804 წელი. არ იქნება მართებული ეჭვი,

რომ მათზე ტექსტი მრავალი წლის შემდეგ იყოს დაწერილი: პირიქით. მე-26 გვერდზე არის ლექსი „პეტრე ქართველთა ხარ დიდებო“. რომელშიც პეტრე ბაგრატიონი (გარდ. 1812 წელს) მოხსენებულია როგორც ცოცხალი.

ამ კრებულთან რაღაც მიმართებაშია დ. რექტორის ანთოლოგია S 1512. სადაც ა. ჭავჭავაძის ლექსები იმავე თანმიმდევრობითაა განლაგებული, როგორც ამ კრებულში. ამ მხრივ მხოლოდ ორიოდე გამოხატვისია: დ. რექტორის მესამე ლექსად აქვს „სახე მემახევა“, რაც არაა S 1534-ში. რექტორთან გამოტოვებულია „მუხამბაზი — ოპ, საყვარელო“. ხოლო მეოთხე ლექსად არის „მუხამბაზი — ეღების კარი“, რომელიც S 1534-ში რიგით ოცდამეხუთეა.

V. H 1108, ეს კრებული ჰოვტის ბიძის გ. ავალ-შვილის ანთოლოგიაა. მასშია ა. ჭავჭავაძის ის 24 ლექსი, რომელიც ადრინდელ ნუსხებში, არ გვხვდება. ესენია: 1. „თავსა უფლად“, 2. „წარმავალნო“, 3. „ისრით მოწყლულნი“. 4. „მისგან რომ ცეცხლი მეგზნება“, 5. „თვალნი ჩემნი“. 6. „რაა სიკვდილო“. 7. „როს მას ვერ ვხედავ“, 8. „გულო უძლურო“, 9. „თუ დიდი ლხენა“. 10. „გუთნის დედა“, 11. „როს ბულბული“. 12. „ჰე, მთოვარეო“. 13. „როს სატრფო მოუვა გულსა“, 14. „როს გიყვარდი“, 15. „შენის გონების“. 16. „სიბრძნე და გონიერება“. 17. „აღრეულობის შიშება“. 18. „როს ეკურატ“, 19. „ვინც გიხილვოს“, 20. „ერთგონის ხელმან“, 21. „მცირეს სენის“. 22. „წარწერილებანი საფლავსა ზედა ყრმაწვილისასა“, 23. „ჰე, თავო ჩემო“. 24. „ვით ქარი ცეცხლსა“.

ეს ლექსები არ არის, არც დ. რექტორთან, არც 800-იანი და 1810-იანი წლების ნუსხებში, რადგან იმ დროისათვის უთუოდ არ იყო დაწერილი. ამ ლექსებში არ არის ადრინდელი ლექსების მოტივები—პატიმრობისა და სამშობლოდან შორს ყოფნის განცდები. ეს 24 ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1810-იანი წლების დამლევსა და 1820-იან წლებში. არც ერთი მათგანი არ უნდა იყოს დაწერილი 1830-იან წლებში. საგულისხმოა, რომ ამ კრებულში მათა ჩაწერა დაწყებულია 1820-იანი წლების დასაწყისში, რასაც მოწმობს თარიღი „ჩყვგ“ (1823), რომელიც შეცდომით უზის ლექსს „მსურდა მორავა“ (დაწერილია 1805 წ.). გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქ არ გვხვდება არც ერთი ისეთი ლექსი, რომელიც უტყუარად თარიღდება 1830-იანი წლებით. კერძოდ აქ არაა „ანჩარ“, თარგმნილი 1832 წლის შემდეგ: არ არის „კავკასიის ზევი“, თარგმნილი 1831 წლის შემდეგ და სხვ. ამავე დროს ამ 24 ლექსიდან ზოგი უტყუარად თარიღდება 1820-იანი წლებით: „სადა არიან ოცნებანო“, თარგმნილია 1826 წლის შემდეგ; ლექსს „თავსა უფლად“ მოუსწრია კიდევ პოპულარობა და მას ახსენებს ბარათაშვილი („ღამე ყაბახზე“, 1836): ლექსი „როს გიყვარდი“ ახლოსაა ეუკოესკის სიმღერასთან „Котла и ды.т. пошину“ (1809) და ალბათ იმ პერიოდში თარგმნა ა. ჭავჭავაძემ. როცა ეს ლექსი პოპულარული იყო. რაც ლექსის დაწერიდან ძალიან დიდი ხნის შემდეგ ნაკლებად საეარაუდოა.

VI. S 3728. S 3723 ხელნაწერების მექანიკური ნაერთია: აქ ერთად არის აკნძელი XIX საუკუნის სხვადასხვა ხანის ხელნაწერი კრებულების გადარჩენილი ნაწილები და ჟურნალ-გაზეთების ფურცლები. აქ ა. ჭავჭავაძის ლექსები გვხვდება XIX საუკუნის II ნახევრის დროინდელ ფურცლებზეც და 800-იანი წლების პირველ ათეულში გავრცელებულ ფურცლებზეც, რომლებზეც შემდეგი ლექსებია: „სახე შენი მემახევა“, (ვეინიშანი „180 [8]—დაიწერა არა

უგვიანეს 1806 წლისა; „მუხამბაზი—შენს ღირსებას“, „ეამე შორს მყოფსა“ (1806), „მისის ვარდმან“, „ნუ მომკალ“, „მუხამბაზის ყაზალი—ქმუნვის მახვილი“, „ლოთებო ნეტავი“, „მუხამბაზა—უწყალო სენმან“ (1806), „ჯოჯობი ჩანდა ხარიბამ“ (1805), „ეპ ღრონი“ (არა უგვიანეს 1806 წლისა), „თეჯნისი—არვის მართებს“. ამთაგან ოთხი უკანასკნელი ლექსის თარიღი 1804—1807 წწ. დადგენილია. ყველა ეს ლექსი საუკუნის დასაწყისში გავრცელებულ მოცისფრო ქაღალდზეა დაწერილი. მათი შინაარსი დაკავშირებულია პატიმრობასა და გადასახლებაასთან: „დღითი დღე ქმუნვა მემატების რაზომცა გშორავ“ („ნუ ნომკალ“) — ამ სიტყვებში უთუოდ პატიმარი ან გადასახლებული პოეტის ხმა ისმის. პურობილი პოეტის სიტყვებია „გლახ პურობილი ამას ვაეებს“ („სახე შენი ჩემახევა“). ყველა ეს ლექსი აგებულია აღმოსავლურ ჰანგზე, რაც პოეტს ასე თანმიმდევრულად 1807 წლამდე ახასიათებდა. ამგვარად ყველა ეს ლექსი დაწერილია არა უგვიანეს 1806 წლისა.

„ეამე. შორს მყოფსა შენსა...“, „გარდგექეც შორაელად“. „აწ ბედმან ამა მხარეს გარდმაგლო. მით ვარ თმენად“ („ეამე შორს მყოფსა“). „განუშორებულვარ შენთანა შევებას“, „ჰოჯრითი ქვერეტა შელამჩომია“. „მუხამბაზის ყაზალი—ქმუნვის მახვილი“, რადგან ეს ლექსები აღრე დაიწერა, ისინი 20-იანი წლებიდან მრავალ ხელნაწერში გვხვდება.

ლექსში „სგერს გლახ გული“ პოეტი თავის თავს „პურობილს“ უწოდებს. ასეთი ლექსები ა. ჰავეკევიძის დაწერილი აქვს 1804 — 1806 წლებში, მას შემდეგ რაც 1804 წლის დეკემბერში თავისებურ ფსევდონიმად აიოჩია „პურობალი“. ვინაიდან 1806 წლის ლექსში „პურობილობის“ განცდას სამშობლოდან შორს ყოფნის მოტივიც უკავშირდება, რაც არ ჩანს ამ ლექსში, ამიტომ იგი დაწერილი უნდა იყოს 1804 ან 1805 წელს, ე. ი. გადასახლებამდე.

„შენთან არს გული“ — განეკუთვნება „პურობილობის“ ლექსთა ციკლს, რომელიც 1804 ან 1805 წლებში დაიწერა, მაგრამ ამ ლექსში არ ჩანს სამშობლოდან შორს ყოფნის განცდის მოტივი, არ იგრძნობა ქვერეტა შორის პერსპექტივიდან, დამახასიათებელი ტამბოეში 1806 წელს დაწერილი ლექსებისათვის. ამიტომ იგი 1804 ან 1805 წლით თარიღდება.

„შვენიერთა ხელმწიფავ“ დაწერილია იმავე საზომით (4/3), როგორც „ბაიათი — ვიწყო წერა მიჯამით“ (4/3, 1806 წ.), „ამად მემდურე“ (4/3, 1806 წ.), „წიგნი შენი“ (4/3, 1807—1808 წწ.), „მზე ღრუბელმან“ (4/3, 1807—1808 წწ.). ამ ე. წ. ბაიათური საზომით პოეტს სხვა ლექსი არ მოეპოვება. იგი სატრფოს სიშორის მწკვევ განცდის მოტივითაც ენათესავება ლექსს „ამად მემდურე“ (1806 წ.). შესაძლოა ამ ლექსის ადრესატი ყრმობის მიჯნური თამარი (იულონ ბატონიშვილის ასული) ან პოეტის მომავალი მეუღლე სალომე ორბელიანის ასული იყო. იქნებ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ეს ლექსი არ ჩანს ადრინდელ ნუსხებში. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა, ეს ლექსი პოეტის ქორწინებამდე, 1812 წლამდე დაწერილად მივიჩნიოთ.

„ოპ, გაბადრულო მთვარევე“ დაწერილია იმავე საზომით (5/2), როგორც „ჯოჯობი ჩანდა ხარიბამ“ („უწყლვივარ ქირთა“, 5/2, 1805 წ.) და „ეამე შორს მყოფსა“ (5/2, 1806 წ.). ეს საზომი არ არის გამოყენებული გვიანდელ ლექსებში: აგრეთვე ერთი ტაპით — „ოხრით მისმინე აჯა,“ — ჰგავს პირველ ტაპს ლექსისა „აქას ვამრავლებ მე შენდა“ (1806 წ.); შინაარსით და ინტონაციით ენათესავება ლექსს „შვენიერთა ხელმწიფავ“ (1812 წლამდე). შეიძინევა ლექსიკური მსგავსებანიც: „თუ გწადს რომ ვისულდგმულო. მოსწრაფდი, მემკურ-

ნალე“ („ოპ, გაბადრულო მთვარევე“), „შენ განწმორდი, მკურნალო“ („მშვენიერ-
რთა ხელმწიფავ“). „მკურნალო“ გვხვდება აგრეთვე ლექსში „მუხამბაზის ყა-
ნალო — ჰმუნვის მახვილი“ (1806 წ.). შესაძლოა, ამ ლექსის ადრესატიც იულონ
ბატონ-შვილის ასული თამარი ან პოეტის მომავალი მეუღლე მშვენიერი სა-
ლომე იყო. იქნებ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ეს ლექსიც არ ჩანს ად-
რინდელ ნუსხებში, რაც საფუძველს იძლევა ისიც 1812 წლამდე დაწერილად
მივიჩნიოთ, როგორც „მშვენიერთა ხელმწიფავ“.

„ძვირფასო საყვარელოს“ წყაროს, როგორც ჩანს, წარმოადგენს ე. პ. გა-
რას (1764—1823) რომანის „J'et' aime“⁶. (მეტად პოპულარული პეტერბურგ-
ში მისი ავტორის იქ ყოფნის გამო) და რომანის ეუკოვსკისეული თარგმანი
(1807 წ.). ეს რომანის ა. ჰავკავაძის თვალთახედვაში ალბათ მისი იქ ყოფნის
დროს. 1811 წლის დამლევამდე მოხედებოდა.

„ვიხილე ძეი უღმრთო“ უთუოდ პეტერბურგში დაწერა ა. ჰავკავაძემ
1807—1811 წლებში, რადგან საქართველოში იგი არც ერთ ცნობილ ნუსხაში
არ გვხვდება; არის მხოლოდ ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტი-
ტუტის ნუსხებში პოეტის ისეთ ლექსებთან ერთად, რომლებიც 1807—1811
წლებშია დაწერილი. არსებითი მომენტია ის, რომ ა. ჰავკავაძე ხანგრძლივად
მაშინდელ პეტერბურგში სწორედ 1807—1811 წლებში იყო.

„ვოლტერის თქმული ტაქტიკაზედ“ თარგმნილია 1823 წლამდე (S 1511).
შეიძლება, რუსეთში ვოლტერით განსაკუთრებული გატაცების წლებში, ე. ი.
არა უგვიანეს 1811 წლისა, როცა ვოლტერისადმი ინტერესმა აპოგეას მიღწეა
და მერე სწრაფად დაცხრა.

ა. ჰავკავაძეს გ. დერჯაივის „ღმერთი“ 1810 წლამდე უთარგმნია, რაც ჩანს
მინაწერიდან, რომ იგივე ლექსი 1810 წელს „ლექსიათბიოდ დაუთხზავს“
გ. ავალიშვილს. მას ა. ჰავკავაძის თარგმანი მოხსენებული აქვს, როგორც უკვე
შესრულებული (S 1520).

„ქე მაღალო“ ფსევდოვოლტერული თხზულებათაგანია, რომლებიც ვოლ-
ტერის დისკრედიტაციისათვის უხვად იწერებოდა ფრანგულად და რუსულად
1790—1810 წლებში. ამიტომ ეს ლექსი თარგმნილი უნდა იყოს არა უგვიანეს
1811 წლისა, როცა პოეტი პეტერბურგში იმყოფებოდა. ამ ხანის შემდეგ ვოლ-
ტერისადმი ინტერესი სწრაფად მიწედა.

ლექსში „ალექსანდრე ალკივიადს“ („ანბანზე სით მოხვალ“) ჩანს ავტო-
ბიოგრაფიული გამოძახილი. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ პოეტი ახსენებს
„ყარაბაღს“, „შამქორს“ და „ხოსს“: 1812 წელს ა. ჰავკავაძე მივლინებული იყო
ყარაბაღისა და შამქორის სახანოებში; აზერბაიჯანის ამ სახანოებისაკენ მიმა-
ჯალ პოეტს ხოსი გზაზეც უნდა გაეგლო. ამგვარად ლექსი დაწერილი უნდა
იყოს არა უადრეს 1812 წლისა და არა უგვიანეს 1821 წლისა, როცა შედ-
გენილია კრებული S 1512, სადაც ამ ლექსის ძირითადი ტექსტია მოთავსე-
ბული.

„საყვარელო ძალსა შენსა“ (S 1512-ბ) 1821 წლამდელი ლექსია. თუ ზუს-
ტია თ. ბაგრატიონის (1782—1846) ცნობა ამ ლექსის და ჰერთი ყრმა კაცის“
(„აპა. ესე ვარდ-ზამბახნი“) შესახებ — „ჩემს ყმაწვრობაში გამიგონიო“⁷, მა-
შინ ისინი საუკუნის პირველ ათეულში უნდა იყოს დაწერილი.

⁶ დ. გამეზარდაშვილი, რომანტიზმის აღმოცენება ქართულ ლიტერატურაში და
აღ. ჰავკავაძე, თბილისი, 1948, გვ. 184.

⁷ ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ნუსხა, Br 21, გვ. 23.

„მართას ავთოყოფობა“ (H 101, S 4907) ეკ. ჯავახიძის გადმოცემით მართა ნინოს ძიძა ყოფილა. ნინო 1812 წელსაა დაბადებული, მამასადამე ლექსი ამ დროის შემდეგაა დაწერილი. რადგან იგი დაწერილია მცირებესიყურით (როგორც „გოგჩა“), რაც პოეტს ადრე ნაკლებად ახასიათებს. და არ გვხვდება 10—20-იანი და 30-იანი წლების ნუსხებში, ამიტომ შეიძლება 40-იან წლებში იყოს დაწერილი.

„ნინოს მაგიერათ“ დაწერილი უნდა იყოს 1813—1816 წლებში, როცა პოეტის ქალიშვილი ნინო (1812—1857) „კიკეზიანი“ ჩეილი იქნებოდა. ამ ფართო თარიღში უნდა გამოირიცხოს 1813—წლის სექტემბერი—1814 წლის ივლისი, როცა პოეტი საფრანგეთ-რუსეთის ომში მონაწილეობდა.

„მე შენ არ გეტყვი გეტრფი“ ცნობილია გვიანდელი ხელნაწერებით, არ გვხვდება დ. რექტორთან და გ. ავალიშვილთან: ალბათ არ იყო შექმნილი. იგი 1830-იანი წლების დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი, არა უგვიანეს 1837 წლისა. ერთი ცნობით ამ ლექსს მღეროდა ყაფლან ორბელიანი, რომელიც 1837 წელს გარდაიცვალა (ი. მეუწარგია. ა. ჯავახიძე, 1937, გვ. 64).

„სიზმარი“ თარგმანა პუშკინის „Пряжка ждущие“-ს მეორე პუბლიკაციის ტექსტისა. რომელიც 1826 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა. ამგვარად, თარგმანი შესრულებულია არა უადრეს 1826 წლისა და არა უგვიანეს 1832 წლისა, როცა დაიბეჭდა „ტფილისის უწყებანში“ (№ 2).

„ანჩარ“ პუშკინიდან ა. ჯავახიძის მიერ თარგმნილია არა პირველი პუბლიკაციიდან, სადაც ბოლო სტროფში ეწერა „Царь“, არამედ 1832 წლის პუბლიკაციიდან. სადაც „Царь“-ს ადგილას წერია „Князь“. რაც შენარჩუნებულია თარგმანში და მომდევნო ნაბეჭდებში.

„ყვავილი“ თარგმნილია არა უადრეს 1829 წლისა, როცა დაიბეჭდა ა. პუშკინის „Цветок“, რომლის თარგმანიც არის იგი.

„კავკასიის ზევი“ თარგმანა ა. პუშკინის „Свадьба“-ისა. რომელიც 1831 წელს გამოქვეყნდა და ამ თარიღზე ადრე ვერ ითარგმნებოდა.

„ადგლის უდაბურს“ თარგმანია ა. პუშკინის „სილინძის მხედრის“ დასაწყისისა მეორე პუბლიკაციის ტექსტიდან: „Современник“, 1837, № 5; ადრე ბოლო სტროფი იყო „Померкла старая Москва“, ხოლო 1837 წლის ტექსტში ასეა ეს კონტექსტი: „Главной склопш.п.аси Москва“, რაც გადმოტანილია ქართულ თარგმანშიც. მამასადამე, იგი თარგმნილია არაუადრეს 1837 წლის მაისისა.

„ვარდო, რათ ხარ თავდახრილი“ ავტოგრაფით (PS 14)⁸ და მრავალი ნუსხით არის გავრცელებული და თარიღდება 1838—1839 წლებით. იგი მიბაძვია ა. ოდოევსკის ლექსისა „Роза и цитовей“; ოდოევსკის ლექსი დაიწერა 1837 წლის მიწურულში, ხოლო 1839 წელს ნ. ბარათაშვილი სქოლიოში თავისი ლექსისა „თავადის ჭმის ასულს ეკ...ნას“ აღნიშნავს „ვარდი და ბულბული ლექსია სამღერალო, რუსულიდან ნათარგმნი თ-ის ჯავახიძისაგანო“.

„სახე შენი როს ვიხილო“ მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნუსხებით არის წარმოდგენილი. იგი შედის დ. ჩუბინაშვილის 1846 წ. ქრესტომათიაში (ნაწ. II), რაც უთუოდ რომელიმე უცნობ ნუსხას ემყარება: დ. რექტორისა და გ. ავალიშვილის ანალოგიებში და პოეტის დროის სხვა ცნობილ ნუს-

⁸ კ. მარქსის სახელობის საქართველოს საქარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის კაბინეტის ხელნაწერი.

ხებში არ გვხვდება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ლექსი შექმნილია არა უადრეს 30-იანი წლებისა, ე. ი. დ. რეპტორისა და გ. ავალიშვილის ანთოლოგიების შექმნის შემდეგ.

„ვიდრემდის გქონან“ თარგმანია პუშკინის ლექსისა „Друзьям“, რომელიც დაიბეჭდა 1825 წლის 30 დეკემბერს: ასე რომ, იგი 1826 წლამდე ვერ ითარგმნებოდა.

„ფერსა ბნელს“ თარგმნილი უნდა იყოს 30-იან წლებში. რადგან არ გვხვდება ადრინდელ ნუსხებში: გარდა ამისა ავტოგრაფში SP 14 მასთან ერთად უმთავრესად სწორედ 30-იანი წლებს ლექსებია მოთავსებული („ანჩარ“. „კავკასიის ზავი“ და სხვ.).

„მარხულნო“ დაწერილი უნდა იყოს 1830-იან წლებში. ავტოგრაფში PS 14 ამ ლექსთან ერთადაა სწორედ 30-იანი წლების ლექსები („ანჩარ“. „კავკასიის ზავი“, „ფერსა ბნელს“...).

„ესდენს დაესწარ“ 30-იან წლებში უნდა იყოს დაწერილი. რადგან H 119-ში უპირატესად ამ დროის ლექსებია. საგულისხმოა ისიც, რომ ადრინდელ ნუსხებში არ გვხვდება.

„ღვინის თვისებისათვის“ რადგან არ გვხვდება არც 10-იანი და არც 20-იანი წლების ხელნაწერებში და ჩართულია პოეტის კერძო ბარათში, რომლის თარიღია „1832, 22:III“. შესაძლოა ეს ლექსიც ბარათთან ერთად დაიწერა.

„ძველთ მელექსეთ“ დაწერილია არა უგვიანეს 1826 წლისა. რადგან A (S 155), რომლის დაახლოებით შუა ნაწილშია (გვ. 245) შეტანილი ეს ლექსი. შედგენილია 1826 წელს.

„კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“ ი. ბოცვაძემ გამოავლინა და მთიულეთის 1804 წლის აქანყებას დაუკავშირა (ი. ბოცვაძე. წერილები, 1962, გვ. 19) პ. ინგოროყვა მას ტამბოვის მეორე გადასახლებაში დაწერილად მიიჩნევს (პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 107). ჩვენი აზრით, ეს ლექსი არ შეიძლება იყოს დაწერილი მთიულეთის აქანყების პერიოდში. შეუძლებელია ასეთი იდეური ელემენტების ლექსი, თუ იგი დაწერილი იქნებოდა საუკუნის პირველ ათეულში, არ გავრცელებულიყო მეტ-ნაკლებად მაინც და სხვა ნუსხებსაც არ შემოენახა. გარდა ამისა ამ ლექსის სათაური, რომელიც მე-21 ტაეპშიც მეორდება. მეორდება ორტაეპიან ლექსშიც „კვლავ მარად ჩემსა სურვილსა იმედი წინა უძღოდა“. რომელიც აგრეთვე გვიანდელი პერიოდისაა. ჩვენი აზრით, ეს ლექსი არც ტამბოვის მეორე გადასახლებაში არ უნდა იყოს დაწერილი. იგი ისეთი პოლიტიკური რადიკალიზმითაა გამსჭვალული. მასში იმდენად აშკარად გაისმის მოწოდება აქანყებისაკენ, რომ იგი არ შეიძლება დაწერილი იყოს 1832 წლას მარცხის შემდეგ. იგი შექმნილი უნდა იყოს წევრ-მულების წინა პერიოდში (1830—1832 წლებში), როცა აგრეთვე აქანყების წადილით იწერებოდა სოლ. დოდაშვილის ასევე პოლიტიკური რადიკალიზმით აღსავსე ლექსი „მაისი“. ამბოხებისაკენ, მტერთან ბრძოლის დაწყებისკენ მოწოდებითაა გამსჭვალული ტაეპები:

შაკარს ხმლით გაუესწორდებო: ეჭიკავ ჩვენ ხმალთა კვეთასა.
მნათი აღმოხდეს კავასსა, ქართლსა მიეცეს ლხენასა...

საგულისხმოა ისიც, რომ „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევის“ ანალოგიურად პოეტი აქაც იმომწმებს პტოლომეს.

„უგვანოთა ტრფობა“ არ შეიძლება აღრიხედელ პერიოდს განეკუთვნებოდეს, რადგან ავტორი თავის ახალგაზრდობაზე, გარეგნულ მოხდენილობაზე წარსულ დროში ლაპარაკობს. ამასთანავე ძირითადი ნუსხები (H 935, Q 28,) პოეტის სიცოცხლის გვიანდელი პერიოდისაა. ყოველივე ეს იძლევა საფუძველს ლექსი პოეტის ცხოვრების ბოლო პერიოდში დაწერილად მივიჩნიოთ, ე. ი. არა უგვიანეს 30-იანი წლებისა. შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ ლექსის ტრაგიზმი 1832 წლის აჯანყების მარცხის განცდითაა გაპირობებული.

„მიველ წალკოტს“ თავისი ტრაგიზმით ენათესავენა ლექსს „უგვანოთა ტრფობა“; ორივე თავისებურ სოფლის სამღურავს წარმოადგენს: „მაგრამ დამაგდო მტრალი, თურმე სოფელი ესია!“ („მიველ წალკოტს“); „ხედავთ ამ სოფელს, დაუნდობელს, ვით დამწვა გული“ („უგვანოთა ტრფობა“): ორივე არის ერთად 30-იანი წლების ნუსხაში (H 935)). განწყობილებით, შინაგანი სტრუქტურით. შინაარსითა და სახეებით ეს ორი ლექსი იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ ეს ლექსიც უთუოდ 1830-იანი წლებისაა.

„როს არშაყ“ დაწერილი არ უნდა იყოს 30—40-იანი წლებზე ადრე, რადგან ასეთი სასიმღერო ლექსი ძნელი წარმოსადგენია, რომ ადრევე არ გავრცელებულიყო ნუსხებით.

„ძეობა“ ეძღვნება დაბადებას ბაგრატ ბაგრატიონის ძის გიორგისა. რომლის დაბადების თარიღის დადგენა ვერ მოხერხდა. 1823 წლის 9 ივლისს მინაწერში სახარებაზე (Q 706) ბაგრატი თხოვს მღვდელმონაზონ ბესარიონ ფაველენისძეს თავის ლოცვებში მოიხსენოს მისი შვილები, შვილიშვილები, ნათესაობა, მათ შორის გარდაცვლილნიც, და ჩამოთვლაში არ ჩანს გიორგი, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გიორგი ამ დროისათვის დაბადებული არ იყო. ბაგრატის ცოლი გარდაიცვალა 1831 წელს. ასე რომ, „ძეობა“ დაწერილი უნდა იყოს 1823—1831 წლების ფარგლებში. ამიტომაც არის ალბათ, რომ ეს ლექსი მხოლოდ გვიანდელ ხელნაწერებში გვხვდება.

ვინაიდან „თუ ხებუნებით“ და „მეორეთ მოსვლა“ არის კრებულში Q 438ა, სადაც ა. ჰაუკვაჰის უმათერესად 30-იანი წლების ლექსება მოხვედრილი, ხოლო არ გვხვდება პოეტისდროინდელ ხელნაწერებში, შეიძლება მივიჩნიოთ ა. ჰაუკვაჰის მიერ 30-იან წლებსა ან უფრო გვიან დაწერილ ლექსებად.

„ეპა, ჩემო ოცნებავ“ სხვისი ხელით არის შეტანილი დ. რექტორის ცნობილ ნუსხაში (S 1512) ნ. ბარათაშვილის ლექსების შემდეგ, ხოლო 1830 წელზე ადრინდელ კრებულებში არ გვხვდება: არაა ეს ლექსი, არც გ. ავალიშვილის კრებულში (H 1103). ყოველივე ეს იმას გვეუბნება, რომ ეს ლექსი დაწერილია არა უადრეს 1830-იანი წლებისა.

„მეორეთ მოსვლას ვამგავსოთ“ მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნუსხებით (S 4907, S 5081...) შემორჩა. რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ იგი პოეტმა ბოლო პერიოდში შექმნა.

„ღმიღმან კარი ლალისა“ მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნუსხებით (S 1635ბ. Q 4580...) არის წარმოდგენილი, რაც უფლებას იძლევა ვაარაუდოს, რომ ავი დაწერილია გვიანდელ ხანაში პოეტის ცხოვრებისა.

„კამენასადმი“ გვიანდელი ნუსხებით ფართოდ არ არის გავრცელებული, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ 30-იან, ან 40-იან წლებზე ადრე არ დაწერილა. მასში გამოყენებული 14-მარცვლიანა საზომი და ჭყარედინი რითმაც ამას მოწმობს, რადგან ეს საზომი და რითმა მისი გვიანდელი ლექსებისათვის უფრო დამახასიათებელია.

„ვერცხლმან მაკვირვა მკრთოლვარემ“ ერთადერთმა ნუსხამ შემოგვიანხა (S 2385). იგი არ უნდა იყოს ადრინდელი პერიოდისა. ყოველ შემთხვევაში იგი დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1837 წლისა, ვიდრე გარდაიცვლებოდა გ. თუმანიშვილი. ლექსის შინაარსიდან ჩანს, რომ გ. თუმანიშვილი (ლექსის ადრესატის მეუღლე) ივარაუდება, როგორც ცოცხალი.

„ვამე გულოს“ ძირითადი ტექსტი წარმოდგენილია XVIII საუკუნის ნუსხაში (S 3622) (ამ ნუსხაზე მიგვიითთა თ. ლეონიძემ). აქ ეს ლექსი მოგვიანებითაა ჩაწერილი. იგი შეტანილია კრებულშიც (S 1512) დ. რექტორის გარდაცვალების (1824 წ.) შემდეგ. შეიძლება ვარაუდი, რომ ეს ლექსი დაწერილია არა უადრეს 1824 წლისა, შესაძლოა, ვაცილებით გვიანაც, რადგან დ. რექტორის კრებულში სხვა ხელით შეტანილი ლექსები ხშირად 30—40-იანი წლები-საა (მაგ., ბარათაშვილის ლექსები).

ვარაუდის გამოთქმაც გაძნელდა წერილი ლექსების („სოფლის მიმნდობთა“, „არა ერთხელ სიჭაბუკე“, „ცრუიან ბრძენნი“, „ენა მღუმარებს“, „შენნი გამცდელნი“, „გვედრი თვით მიხვდე“, „შენთვის ხელობა, „სამოთხის შვება“, „აკვლავ მარად“, „ვინ იყის“ „ოდენ ხმა შენა“) დაწერის თარიღზე, ისინი პოეტის დროის არც ერთ ცნობილ ნუსხას არ შემოუწინავენ. რაიმე სხვა სავარაუდო ცნობაც ვერ იქნა მიგნებულ.

А. Д. КЕНЧОШВИЛИ

ВОПРОС ДАТИРОВКИ СТИХОТВОРЕНИЙ А. ЧАВЧАВАДЗЕ

Резюме

На основе текстологического анализа стихотворений А. Чавчавадзе и изучения характерного своеобразия рукописей (водяных знаков, приписок и др.) в статье дается приблизительная датировка тех стихотворений поэта, время написания которых не указано автором, или еще не было установлено в критической литературе.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ახალი ქართული მწერლობის განყოფილება

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

Н. Г. БЕРОЗАШВИЛИ

ТБИЛИССКИЙ СПИСОК АРАБСКОГО ПЕРЕВОДА «НАЧАЛ» ЕВКЛИДА

Нашу статью хотелось бы начать словами А. Эйнштейна о том, что «Начала» или «Элементы» Евклида, «это удивительнейшее произведение мысли дало человеческому разуму ту уверенность в себе, которая была необходима для его последующей деятельности. Тот не рожден для теоретических исследований, кто в молодости не восхищался этим творением»¹.

Трудно оценить роль данного труда Евклида в истории развития человечества, поскольку это сочинение явилось основой учения о геометрии. Оно создано в III веке до н. э. и было переведено на арабский язык в конце VIII — начале IX вв. Именно с него был выполнен латинский перевод Ательхарда Бата, познакомившего впервые Европу с этим произведением Евклида.

Начиная с VIII в. сочинение Евклида «Элементы» неоднократно переводилось и снабжалось соответствующими комментариями. Среди них можно выделить работу Насир ад-Дина ат-Туси, известного ученого — философа, математика, астронома, врача. Он родился в 1201 г. в хорассанском городе Туси².

Несмотря на персидское происхождение, часть трудов Насир ад-Дина была создана на арабском языке.

Вначале ат-Туси служил у исмаилитов в Аламуте, а затем у монголов у хана Хулагу и его наследника. Хулагу, высоко оценив силу дарования и эрудицию ат-Туси, назначил его визирем и министром финансов. По просьбе Насир ад-Дина в Мараве была построена обсерватория, отлично снабженная приборами и книгами³. В результате двенадцатилетних исследований под руководством ат-Туси были созданы знаменитые пльханские доски. Вместе с четырьмя другими учеными в этой работе принимал участие и Фахр ад-Дин ал-Хилати из Тбилиси⁴.

После многолетней и плодотворной работы Насир ад-Дин покидает Мараву и переселяется в Багдад, где остается до самой смерти (1274 г.).

Насир ад-Дин оставил большое наследие в различных отраслях науки. Он прославился не только как автор оригинальных работ, но и как воссоздатель утерянных или малозвестных математических трудов. Ему же принадлежат комментарии и обработка произведений гре-

1 А. Эйнштейн, Физика и реальность, М., 1965, стр. 62

2 H. Suter, Die Mathematiker und Astronomen der Araber und ihre Werke, Abh. z. Gesch. d. math. Wiss. mit Einschluss ihrer Anwendungen, X. Hft, Leipzig, 1900, стр. 146; по Брокельману (см. С. Brockelmann, Geschichte der arabischen Literatur, I, 508). ат-Туси родился в 607 г.

3 Н. Suter, указ. соч. стр. 147.

4 Там же.

ческих авторов. Примером этого могут служить «Начала» Евклида, которые имеются у ат-Туси в двух редакциях: пространной и краткой. Пространная редакция состоит из 13 книг. Она была издана в 1954 г. в Риме⁵. Из Константинополя, уже занятого турками, рукопись попала в Италию и ныне хранится во Флоренции⁶. Она является одной из редчайших рукописей пространной редакции. Названное издание встречается как с латинским титульным листом, так и без него.

Рукопись краткой редакции, в большинстве случаев состоящие из 15 книг, хранятся во многих городах: в Берлине, Мюнхене, Оксфорде и т. д.⁷ В полном виде эта редакция была издана в Константинополе в 1801 г., а позже в Калькутте вышли I—VI книги (планиметрическая часть)⁸.

Перевод — комментарий Насир ад-Дина ат-Туси к «Началам» производит впечатление оригинального произведения. По-видимому, Насир ад-Дин, познакомившись с «Началами» и комментариями других авторов, создал собственное сочинение, в котором, кроме известных евклидовых отрывков, имеется и много своего оригинального.

Насир ад-Дин является последним автором, который представил «Элементы» целиком, от начала до самого конца.

Во время работы мы пользовались:

а) греческим текстом «Начал»⁹, который содержит 13 евклидовых книг, 2 неевклидовые и дополнения (Appendix) — в книге параллельно с греческим текстом дан латинский перевод, чертежи для обоих текстов общие, на них проставлены греческие буквы;

б) текстом, изданным в Калькутте под названием «Изложения Евклида»¹⁰;

в) списком (Ag K 26), который хранится в Институте рукописей им. К. Кекелидзе АН ГССР. Он переписан в XVII—XVIII вв. неизвестным переписчиком и представляет собой связку бумаг из 128 листов размером 18,8 × 12,5 и 12,5 × 7, без обложки; рукопись неполная (в ней только II книга), написана на желтоватой восточной бумаге насрийским насталиком¹¹. В планиметрической части рукописи полностью представлена лишь II книга.

Текст написан черными чернилами. Начальные слова каждой книги, а также новых «предложенный» (теорем) и комментариев к тексту выделены красными чернилами.

⁵ *Euclidis elementorum geometricorum Libri Tredecimex traductio: e doctissimi Nassiridini Tusini. Nunc primum arabice impressi Romae. M. D. XCIV.*

⁶ Б. А. Розенфельд, О влиянии математики стран Ислама на науку Европы, XIII международный конгресс по истории науки, Москва, 18—24 августа 1971 г.

⁷ А. О. Карр, *Arabische Übersetzer und Kommentatoren Euklids. ISIS. 22. 1934, стр. 158—159.*

⁸ Шесть книг из «Изложения Евклида», которые создал Насир ад-Дин ат-Туси, Калькутта, 1924 (на араб. языке).

⁹ *Euclidis. Opera omnia, ed. J. L. Heiberg et H. Menge. Lipsiae, v. I—V. 1883—1916.* «Начала» Евклида, Перевод с греческого и комментарий Д. Д. Мордухай-Болтовского при редакционном участии М. Я. Выгодского и И. И. Веселовского, кн. I—IV, М.—Л., 1948.

¹⁰ Шесть книг из «Изложения Евклида», которые создал Насир ад-Дин ат-Туси, Калькутта, 1924 (на араб. яз.).

¹¹ Рукопись кратко описана Р. Гварамия, см. Каталог арабских, тюркских и персидских рукописей Института рукописей им. К. С. Кекелидзе (коллекция К), составили Ц. А. Абуладзе, Р. В. Гварамия, М. Г. Мамацшвили, Тбилиси, 1969 (на груз. яз.), стр. 22—23.

Порядок «предложений» (теорем) в отличие от калькуттского издания, отмеченного с помощью *حروف الأبد* в списке не указывается, хотя наблюдаются и исключения. Для того, чтобы найти в нашем списке новые теоремы, в тексте имеются слова *ر ساوی*, *نريد* написанные красными чернилами.

Определения, постулаты, аксиомы и «предложения» (теоремы) в нашем списке следуют друг за другом. В отличие от него, в печатном издании каждое из определений, постулатов или же аксиом начинается с новой строчки, а «предложения» выделены и пронумерованы с помощью букв. В списке определения, постулаты и аксиомы от теорем выделяются лишь по смыслу. Есть редкие случаи, когда окончание предложений отмечено двумя или тремя красными точками. Засвидетельствован факт, когда в теоремах имеются ссылки на другие «предложения», которыми они доказываются. Этого нет ни в греческом, ни в калькуттском тексте.

Названия книг в арабских переводах даются по-разному: *الاصول، الاستقمات، كتاب في الاصول الهندسية* и т. д.¹² Но все они страдают неточностью и незаконченностью. Было бы вернее озаглавить труд *كتاب في اصول الهندسة و الحساب* как у Хаджи Хальфа¹³, поскольку „Начала“, кроме геометрических, содержат и арифметические книги. Калькуттское издание называется *من كتاب تحرير الاوقلیدس*, в тбилисском списке же название сочинения отсутствует, так как первая страница утеряна.

Само имя Евклида встречается в двух формах *اوقلیدس* и *اقلیدس*. Обе эти формы правильны, поскольку определяемое „Евклида“ *ἡ κλειδοσ* — „ключ“ сохранено (Евклида называли „ключом геометрии“ *مفتاح الهندسة*)¹⁴.

В начале всех шести планиметрических книг даны определения, и лишь первая книга снабжена, наряду с ними, аксиомами и постулатами. У арабских математиков все эти три понятия встречаются под одним названием *مصادر*. В начале слово *مصادر* имело значение *αἰτήματα* («требуемое», т. е. постулат). Но арабские математики под этим термином понимали и определения, что в конечном итоге привело к объединению определений, постулатов и аксиом под общим названием *مصادر*.

На полях первой страницы списка даны разъяснения этих терминов. Все они в калькуттском издании и в нашем списке одинаковы: определения — *حدود*, постулаты — *الاصول الموضوعة*, аксиомы — *العلوم المتعارفة*. Различие между ними наблюдается только в статусе; исключение составляет лишь термин теорема — *الاشكال*, стоящий в идентичном статусе. В изданном тексте, подобно греческому, определение и его составные части представлены самостоятельно, в списке же они стоят вместе, следуя друг за другом.

¹² M. Klamroth, Ueber den arabischen Euklid. ZDMG, Bd 35, 1881. стр. 303.

¹³ Lexicon Bibliographicum et Encyclopaedicum a Mustafa ben Abdalah Katib Jelebi dicto et nomine Haji Kallia celebrato Compositum. Ad codicum vindobonensium parisienisium et bordinensis fidem primum edidit latine verlit et commentario indicibusque instruxit G. Flügel. I. Leipzig. London, 1835. стр. 380.

¹⁴ А. Карр, ук. соч., стр. 159—160.

По сравнению с греческим в арабском тексте заметна тенденция к объединению. Группы определений I книги под номерами 2—3; 5—6; 15—16—17—18 в арабском тексте представляются одним определением. Но бывает и наоборот. 21-ое определение I книги арабского издания передано тремя определениями, а в тбилисском списке — двумя. Можно привести примеры, иллюстрирующие изменения порядка определений, греч. I $\frac{11}{12}$ араб. $\frac{12}{11}$. Большая разница наблюдается в определениях первой книги, где они представлены в большом количестве.

Постулаты, как было указано выше, встречаются лишь в первой книге. В греческом тексте имеется пять постулатов. В этом отношении арабский текст выглядит иначе. В главе, в которой перечислены постулаты, в отличие от греческого текста мы находим еще пять постулатов, комментированных только в списке. Чуть ниже даны комментарии к греческим постулатам, а в печатном издании за греческими постулатами следует еще один.

Постулаты Евклида вызвали немало споров как с точки зрения их выделения из аксиом, так и по поводу их содержания. Поэтому большинство арабских комментаторов, не довольствуясь лишь одним переводом евклидовых постулатов, дополняют текст собственными примечаниями. В этом отношении и наш автор не является исключением.

За постулатами следуют аксиомы. Эта глава как в списке, так и в изданном тексте почти одна и та же, лишь в количественном отношении она меньше греческой.

Разница между греческим и арабскими текстами больше всего проявляется в толковании теорем.

Следует отметить, что во всех трех текстах обсуждаются одни и те же вопросы:

В первой книге дано изучение основных свойств треугольников, прямоугольников и параллелограммов, а также сравнение их площадей.

Вторая книга включает в себя геометрическую алгебру. Здесь решение задач производится при помощи геометрической алгебры и сводится к решению квадратных уравнений без алгебраической символики.

Третья книга посвящена свойствам круга, касательных и хорд (вопрос этот изучался ранее Гиппократом Хиосским).

В четвертой книге речь идет о правильных многоугольниках, рассматриваются вопросы их построения.

Пятая книга содержит в себе учение о точных пропорциях.

А в шестой книге вместе с теорией подобия разработаны и метод исчерпывания.

Несмотря на идентичность содержания, разница довольно велика, и более всего она проявляется в комментариях.

Калькутское издание, по сравнению с нашим списком, ближе к греческому. В списке сразу же бросается в глаза обилие комментариев. Каждая книга списка со своими комментариями по объему больше печатного текста на 30—50%. Эти комментарии включены непосредственно в текст и начинаются со слов, выделенных красными чернилами: *اولا* и т. д.

В этих же комментариях упоминаются некоторые авторы, касавшиеся ранее данного вопроса. Чаще всех упоминается Сабит Ибн Курра.

Кроме комментариев, данных непосредственно в тексте, имеются комментарии и на полях; там же приводятся краткие сведения об авторе.

Можно сказать, что все комментарии изданного текста, за исключением пяти случаев, составляющих всего 2—4% общего количества, имеются в нашем списке. Самым пространством текстом в списке является шестая книга, которая, помимо большого количества комментариев, содержит много теорем.

Аналогичное положение, хотя и в меньшей степени, прослеживается и в других книгах. Таким образом, текст тбилисского списка, несмотря на недостающие листы, не только не меньше по объему, но даже больше изданного текста. Что касается чертежей, они приводятся в печатном издании чаще, нежели в нашем списке, где к тому же исполнены довольно небрежно. В арабском тексте чертежи являются как бы зеркальным отражением греческого оригинала, а буквы, употребляемые

в чертежах, следуют порядку *حروف الابد*.

В большинстве случаев греческие буквы в арабских текстах передаются соответствующими арабскими буквами:

Α α; Β β; Ζ ζ; Κ κ;
Λ λ; Ν ν и т. д.¹⁵

Мы полагаем, что тбилисский список подробнее и полнее представляет труд Насир ад-Дина ат-Туси, чем калькуттское издание, которое является краткой редакцией «Начал». Поскольку в нашем списке сохранилось множество комментариев, отсутствующих в изданном тексте, можно предположить, что тбилисский список представляет собой пространную редакцию.

Если наше предположение соответствует истинному положению вещей, то данный список имеет большую значимость не только для изучения самого труда Насир ад-Дина ат-Туси, но и как один из немногих списков пространной редакции.

¹⁵ Avicenna als Mathematiker, besonders die p'animetrischen Bücher seiner Euklidübersetzung. Inaugural-Dissertation zur Erlangung der Doktorwürde genehmigt von der philologischen Fakultät der Rheinischen Friedrich — Wilhelms — Universität zu Bonn, von Karl Lokotsch. Erfurt, 1912, стр. 16.

Отдел семитологии Института востоковедения академик Г. В. Церетели

Представил член-корреспондент АН Грузинской ССР К. Г. Церетели

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბენო ზოგორჯანიძე

ი. ჭავჭავაძის რელიგიისადმი დამოკიდებულების მართებული გაგებისათვის

კლასიკოსთა მემკვიდრეობის სწორი, მეცნიერული შეფასება არ ისაზღვრება მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობით. იგი მრავალი ხილული და უხილავი ძაფითაა დაკავშირებული ჩვენი დღევანდელი კულტურული და იდეოლოგიური ცხოვრებისა და ბრძოლის ძირეულ ამოცანებთან. ეს განსაკუთრებულად ითქმის საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის მემკვიდრეობის — ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის მიმართ. ცნობილია, რომ კლასიკური მემკვიდრეობისადმი მეცნიერული მიდგომის მეოხებით, მრავალი მკვლევრის ენერგიული შრომის შედეგად აღრე არსებული ბურჟუაზი და გაუგებრობანი გაიფანტა და ჩვენ წინაშე აღიმართა შაჰავეანდელით მოსილი სახე ილია ჭავჭავაძისა — დიდი შემოქმედის, პროგრესულ-რევოლუციური მოაზროვნის. უბაღლო ეროვნული მოღვაწისა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ილიას მდიდარი და რთული მემკვიდრეობის ამომწურავი შესწავლა-შეფასებისათვის თაობების გულმოდგინე შრომა იქნება საჭირო. ამასთან, არც ერთ შემთხვევაში შეწყნარებული არ უნდა იქნეს უკვე მოპოვებულ და საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებათა გაქარწყლების ცდა, რომელიც ლამობს ადრინდელი მცდარი თვალსაზრისის აღდგენას და გაღრმავებას. სამწუხაროდ, ბოლო დროს ასეთმა შემთხვევებმაც იჩინა თავი.

ამჟამად კონკრეტულად მხედველობაში გვაქვს კრიტიკოს აკაკი ბაქრაძის წერილი «ილიას „განდეგილი“» („ცისკარი“, 1972 №11). შინაარსიანი, პრინციპული ხასიათის კრიტიკული წერილებით ა. ბაქრაძეს ხშირად გაუხარებია ქართველი მკითხველი. აქ კრიტიკოსის ერთ ღირსებაზეც მივუთითებთ: მას ეხერხება, ყოველგვარი ორაზროვნების, ქვეტექსტებისა და მინიშნებების გარეშე, გულწრფელი პირდაპირობით. ნათლად, გარკვევით გადმოისცეს ნათქვამი და გულისანდობი.

ზემოაღნიშნულმა წერილმა კი შეუძლებელია შევნებული მკითხველის გაკვირება და გულისტკივილი არ გამოიწვიოს, რამდენადაც ავტორს მიზნად დაუსახავს ი. ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების შედეგის „განდეგილის“, ფაქტიურად კი მწერლის მთელი შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის. ისეთი ახსნა და შეფასება მოგვეცეს, რომელიც, ვთქვათ რბილად, ჭეშმარიტებისაგან ძალიან შორს დგას.

მხატვრული სახე, მით უფრო პრობლემური ხასიათის ნაწარმოები, კონკრეტულ იდეაზე ყოველთვის ფართოა, რაც მკვლევარს საშუალებას აძლევს ნაწარმოებისადმი ახალი კუთხით მიდგომისა და გაღრმავებული დასკვნის გა-

მოტანიასათვის. მაგრამ საქმე ის არის, რომ ა. ბაქრაძის დამოკიდებულება პოემა „განდევლისადმი“. ილიას შემოქმედებისადმი საერთოდ ყოველგვარი შესაძლებლობისა და მოსალოდნელობის ფარგლებს შორდება.

საქმეში ჩახედულმა მკითხველმა იცის, და ეს ა. ბაქრაძესაც მოეხსენება. რომ ილიას „განდევლის“ გამოქვეყნებამ (1883 წ.) მაშინ აზრთა სხვადასხვაობა დაბადა. ზოგიერთმა კრიტიკოსმა პოემაში ავტორის მხრივ ცხოვრების ჭირ-ვარამისაგან ზურგშექცევის, განდევილობა-ასეკტიზმის ქადაგება ამოიკითხა. ეს საფუძველზე შემცლარი აზრი თავის დროს კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ უარყო. „ამის მერე, — გულისტყვილით შენიშნავს ა. ბაქრაძე, — „განდევლზე“ ბევრი დაიწერა. მაგრამ კიტა აბაშიძის ძირითადი დებულება თითქმის ყველამ გაიზარტა“ (გვ. 141.). კრიტიკოსი მხოლოდ ვ. კოტეტიშვილზე მიუთითებს. ეს მაშინ, როდესაც პოემა „განდევლის“ მეცნიერული ანალიზის, საერთოდ ი. ჰავეკაძის მსოფლმხედველობისა და იდეურ-ესთეტიკური მრწამსის მართებული გაგებისათვის დიდი და საპატიო შრომა გასწიეს კრიტიკოსმა გ. ჭიბლაძემ, მკვლევარმა პ. ინგოროყვამ, აკად. გ. ჭიბლაძემ, პროფესორებმა: მ. ზანდუყვამ, დ. გამეზარდაშვილმა, მ. დუღუჩავამ, ი. ბოცვაძემ, ა. მახარაძემ, შ. რაღიანმა, ა. კალანდაძემ, მ. კვესელავამ და სხვებმა. პროფ. ე. გაგოიძემ და პროფ. პ. რატიანმა საგანგებოდ განიხილეს ი. ჰავეკაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიურ-ეთიკური შეხედულებანი, ეკაძოდ რელიგიოსადმი დამოკიდებულების საკითხი; დაიკვეს და განავითარეს ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისი, რომ პოემა „განდევლში“ გამოხატულია ავტორის სასტიკი პროტესტი ასეკტიზმისა და ცხოვრების ჭირ-ვარამისაგან განდგომის საწინააღმდეგოდ. პოემა შთაგონებულია ბოროტებაზე სიყვითის გამარჯვებამ. მიწიერი ცხოვრების ერთადერთობის, მისი გამშვენიერებისა და განკარგებისათვის ბრძოლის პროგრესულ-ოპტიმისტური იდეით¹.

ზედმეტი არ იქნება აქ მოვიყვანოთ „განდევლის“ შესახებ დღეს საყოველთაოდ გაზიარებულ დამახასიათებელი მოსაზრებანი. მკვლევარ პ. ინგოროყვას მტკიცებით: „განდევლი“ „უნივერსალური დიაპაზონისაა“; „პოემაში გაშლილია პრობლემა ცხოვრების მიღებისა და არმიღებისა“. ასეკტი ბერის საპირისპიროდ „პოემაში მწყემსი ქალის სახით განსახიერებულია თვით სი-ცოცხლე თავისი უკუდავი ზღვევამოსილებით“. მკვლევრის დასკვნით: „პოეტმა დაგმო ცხოვრებისაგან განდგომა იმის გამო, რომ ცხოვრება ბოროტების სამეფო არისო; ბოროტება ეს არ არის მარადისი, მარადისია მშვენიერება და სი-კეთე“.

მშვენიერება ასხიონებს ქვეყანას, სიკეთე სძლევს ბოროტებას. სიცი-ცხლე იმარჯვებს სიკვდილზე.

ასეთია იდეათა ის სამყარო, რომლითაც შთაგონებულია „განდევლი“².

„განდევლის“ ძირითადი პათოსისა და მხატვრული ღირებულების მრავალმხრივი და არსებითი გამოკვლევის საფუძველზე აკად. გ. ჭიბლაძე ავითარებს მართებულ მოსაზრებას, რომ „ასეკტიზმის დაგმობა... ილია ჰავეკაძეს ჭერ კიდევ „მგზავრის წერილებში“ მოუტია, ხოლო „განდევ-“

¹ იხ. ე. გაგოიძე. ილია ჰავეკაძის მსოფლმხედველობა, თბ., 1962, გვ. 221—267; ა. რატიანი, ილია ჰავეკაძე, თბ., 1965, გვ. 76, 78—79, 82—83, 90—93 და სხვ. იხ აკრეფე, ა. თავაძე, ილია ჰავეკაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი, თბ., 1954, გვ. 11—20, 27—34.

² პ. ინგოროყვა. ილია ჰავეკაძე (ნარკვევი), თბ., 1957, გვ. 126, 127.

გილით“ მისთვის უკედელი ძეგლი აუგია. მწყეც მსიქალი „მგზავროს წერილებში“ წარმოსახული... იღეებების თითქოს ცოცხალი განსახება იყოს, ადამიანად ქცეული, ხოლო მწირო, მყინვარივით ცას შეკედლებული. დამის ორეულს წარმოადგენს. პირველი დღეა, მეორე — „ღამე“, ან კიდევ: „განდევლის დამარცხება. მისი სენაქის გავერანება საზოგადოებრივი ცხოვრების გამარჯვებისა და ასკეტის მის უმწეობის დადასტურებაა“. დაბოლოს, „...ყველა შემთხვევაში განდეგილობა ეგოიზმია. ხოლო ეს უკანასკნელი არასოდეს არ შეიძლება სიკეთე იყოს. ეგოიზმი ბოროტებაა და განდეგილობა. როგორც ეგოიზმის ერთ-ერთი ფორმა, ბოროტებას წარმოადგენს“³.

კრიტიკოს გ. ქიქოძის ღრმა რწმენით განდევლი „...უფროს ამბობს ოქახის. საზოგადოების და სამშობლოს მიერ დაკისრებულ ვალდებულებაზე. ...მის-მორალი ანტიოსოციალურია. მის მიზანს წარმოადგენს პირადი ცხოვრება და არა საზოგადოების კეთილდღეობა... პოემის მორალი, — დასკვნის კრიტიკოსი. — სრულიად გარკვეულია: ესაა ასკეტის უარყოფა ჰუმანიზმის სახელით. ბერი ცხოვრების გზას სცდება, სასწაულებრივი ხილვა ჰქვება, მას სენაქის გარეული ნადირი ეპატრონება“⁴.

მ. ზანდუკელის თვალსაზრისით «„განდევლის“ დედა აზრი მეტად ამკარაა და გარკვეული. ყველასათვის ცხადია, რომ აქ დაპირისპირებულია ორი ძალა: რეალური და ირეალური. დედამიწა და ცა; მსოფლმხედველობა: რეალური და განყენებული; ორი კულტი. კულტი ცხოვრებისა. ცხოვრების დელილისა და კულტი ცხოვრებისაგან გაქცევისა. ასკეტისმისა... „განდეგილში“ ილია ჭავჭავაძე ისევ ის რეალისტია, რომელიც კაცისაგან თხოულობს ცხოვრებას არ გაეჭეს, ჩაეიდეს ცხოვრების მორევეში და მარგალტებთან ერთად ლეკი და ლაფიცი ამოკრიფოს... წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანს ცხოვრება ჰყარგავს თავის შინაარსსა და დანიშნულებას. „განდევლი“ ცხოვრების ნიჭიერი აპოთეოზია“⁵.

„განდევლის“ შესახებ კრიტიკულ მოსაზრებათა გაანალიზებუ საფუძველზე ი. ბოცვაძე აკეთებს მართებულ დასკვნას: „საშინელება იქნებოდა. რომ საზოგადოებას განდევლი შორეულ სპეტაკ ადამიანთა წინაპრად წარმოედგინა. იდეალური, სპეტაკი პიროვნების შესაქმნელად არსებობს სრულიად სხვა გზა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ასკეტურ ცხოვრებასთან. ასკეტისში, ერთი შეხედვით, თითქოს აფაქიზებს დაეკანს, მაგრამ ფაქტურად მის არსებაში ნერგავს საშინელ ეგოიზმს, რომელიც ერთ-ერთი უმახინჯესი მხარეა ადამიანისა. როგორ შეეძლოთ განდევლით შორით გაენათებინათ გზა თანამედროვე კაცობრიობისათვის, როდესაც მათ ცხოვრებასთან ყოველგვარი კავშირი ჰქონდათ გაწყვეტილი“⁶. ასევე, პროფ. ა. მახარაძის მტკიცებით. „განდევლი“ ილიას მთელი შემოქმედების „სული და გულია.“ „მწერალმა პოემაში გამოყვანილი მთავარმოქმედი პირის დამარცხებით იღეურად გაანადგურა ადამიანური ცხოვრებისაგან განდევლობა და რელიგიური ასკეტისში საერ-

3 გ. ქიქოძე, ილია ჭავჭავაძე (მონოგრაფია), თბ., 1966, გვ. 357—358, 363, 366 (ხაზგასმა ყველგან ავტორისა).

4 გ. ქიქოძე, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1947. 137.

138.

5 მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, თბ., 1958, გვ. 275, 377.

6 ი. ბ. „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, თბ., 1957, გვ. 96.

თოდ“⁷. „ი. ჰავეკავაძის პომის მთავარი აზრი, — წერს პროფ. შ. რადიანი, — მდგომარეობს ასკეტური ილუზიების გაწბილებაში. განდევილი მსხვერპლი ხდება რელიგიურ-ასკეტური ბორკილებისა. ამ ნაწარმოებში საბოლოოდ მხილებულია, უარყოფილია განდევილობა, ასკეტური ილუზიები, მასში გამოხატულია დიდი სიყვარული ადამიანისადმი. ამაშია ამ ნაწარმოების ზნეობრივი ღირსება“⁸. აღარ გვაგარძელებთ სხვა ავტორთა ანალოგიური მოსაზრებების მოყვანას. მიგვაჩნია, რომ უკვე მოყვანილი ციტირებანი ნათლად წარმოსახავს საკითხის კვლევისა და შეფასების თანამედროვე მდგომარეობას.

ბაქრაძეს „განდევლის“ შესახებ ამჟამად გაბატონებული აზრი გასაზიარებლად არ მიაჩნია. იგი ბიბლიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით ცდილობს, საეკლესიო ქრისტიანული კლერიკალიზმისა და ასკეტიზმისადმი სრული შემწყნარებლური დამოკიდებულება გაამართლოს და ამ მცდარი პოზიციიდან გააშუქოს ილია ჰავეკავაძის მთელი იმეოქმედება და იღეუ რ-პოლიტიკური ილია შეხედულებანი. კრიტიკოსმა კარგად იცის, რომ „ასკეტიზმი ღმერთის უსაზღვრო რწმენაა“. ამასთან, იგი დაბეჭდილებით გვარწმუნებს: „საქმე ასე გახლავთ, რომ ასკეტიზმი. მონაზნობას სრულიად არ გულისხმობს პასიურ ცხოვრებას“ (გვ. 142. ხაზგასმა ჩვენია). ვიმეორებთ. ასეთია ავტორის საკუთარი მტკიცე პოზიცია, საიდანაც მას იერიში მოაქვს ი. ჰავეკავაძის შემოქმედების დასაყრობად. მოსაზრება, თითქოს „ასკეტიზმი, მონაზნობა სრულიად არ გულისხმობდეს პასიურ ცხოვრებას“ ისეთი მოულოდნელი და უხეში შეცდომაა, რომ მოპაექრეს უხერხულ მდგომარეობაშიც კი აყენებს. კრიტიკოსის თვალსაზრისს არ იწყნარებს ათეიზმის არც ერთი ისტორიული ფორმა; იგი პრინციპულად შეუთავსებელია თანამედროვე მეცნიერულ ათეიზმთან. კრიტიკოსის შეხედულების გაზიარების შემთხვევაში თეოლოგიისა და ასკეტიზმის წინააღმდეგ მეცნიერული კამათი ყოველგვარ საფუძველს, არგუმენტირებას მოკლებული აღმოჩნდება. მართალია, ისტორია იცნობს კერძო შემთხვევებს, როდესაც ასკეტები (მაგ. ხანძთელი, ოანე დამასკელი. ბასილ დიდი) თავისი დროის აქტიური პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ. მაგრამ ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებათა გამარჯვება ასკეტიზმისა და მონაზნობაზე და არა პირიქით.

მთავარი ის არის, რომ ი. ჰავეკავაძე „განდევლის“ მოგვიტხოვროს ტიპური ასკეტის შესახებ; თავისი იდეით ასკეტიზმი-ბერობა არის ამქვეყნიური ცხოვრების სიაცარებისაგან, ჰირ-ვარამისაგან განდგომა. ასკეტის უსაზღვრო სიყვარული უფლისადმი შეპირობებულია გრძნობადი სინამდვილისადმი უსაზღვრო სიძულვილით. ნუთუ შეცდა ილია, როდესაც ბეთლემს შეხიზნული ბერის ცხოვრება ასკეტის პასიური ცხოვრების ნიმუშად წარმოსახა... „ყინულებში სულ მარტოდმარტო დაყუდებულ ბერს — განუდევნია გული დამყველა მსოფლიო ზრახვა. ფიქრი, წადილი, რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა სულით გაწმენდილ და განბანილი, დღე-დაღამ ლოცვით, გოდებით, გვეშით ხორცი სულისთვის უწამებია და ვით ქურქელი იგი წყმედილი ცრემლით ურეცხავს. უსოვლებია... ლოცვით და მარხვით ხორც-უძღურ-ქმნილი ჰგანდა წმინდანსა იგი წამებულს...“ და

⁷ ა. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1972, გვ. 325.

⁸ შ. რადიანი, მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა, თბ., 1967, გვ. 179.

სხვა. გულიდან ყველა მსოფლიო ზრახვის, ფიქრის, წადილის განდევნა და უკაცრიელ გამოქვაბულში ღვთის წინაშე მუხლმოდრეკილი აქტიური ლოცვა-ვედრება განა ასკეტის ცხოვრების პასიურობის უარყოფელია?!

სარწმუნოა კრიტიკოსის განმარტება, რომ „ქრისტიანული რელიგიის კანონების მიხედვით, ბერობა, კერძოდ განდგილობა, ნებაყოფლობითი აქტია“ (ჩქვე). მაგრამ, როგორც ვთქვით, მკითხველის განცვიფრებას ის იწვევს, რომ ავტორი ყველა საშუალებით ცდილობს ბერ-მონაზნობის უმკაცრეს ფორმას განდგილობას (ტიპურ ასკეტურ ცხოვრებას) გამამართლებელი საბუთები მოუძებნოს. ამ მიზნით. უწინარეს ყოვლისა, პავლე მოციქულის ავტორიტეტია მოშველიებული: „პავლე მოციქულის მკაფიო განმარტებით, ხორცის საქმეა სიძვა, მრწამსი, მტრობა, შური, წვალება. შფოთი, კაცისეველა. მთვრალობა. ლ-წრება და ამდაგვარი. მაშასადამე, ხორცი ბოროტებაა.

სულის ნაყოფია სიყვარული, სიხარული, მშვიდობა. სულგრძელობა, სიტკბოება. რწმენა, მყუდროება. მოთმინება და ამდაგვარი. მაშასადამე. სული სიკეთეა“ (გვ. 142).

პავლე მოციქულთან კამათს ჩვენ არ ვაპირებთ: ექვს გარეშეა. თეოლოგიის მოციქული ხორცისა და სულის (ესე იგი—მიწისა და ზეის. შესაბამისად-ბოროტებისა და სიკეთის) ურთიერთგამომრიცხველ დაპირისპირებაზე. არც მეტი. არც ნაკლები. გვეუბნება იმას. რაც უნდა ეთქვა. სამწუხარო და დამაფიქრებელი ის არის, რომ კრიტიკოსი პავლე მოციქულს მის მიერ მოხმობილ „მკაფიო განმარტებაში“ დაეძებს და პოულობს კიდევ საკმაო საფუძველს ხორცისა და სულის (ბოროტებისა და სიკეთის) ქრისტიანულ-ასკეტური შეპირისპირების გამართლებისათვის. დიამეტრულად საპირისპიროა ი. ჰავკვაძის თვალსაზრისი და განწყობილება. აი, მწერლის კეშმარიტი და მართლაც მკაფიო განმარტებანი: „ხორცის დაუძღურებას სულის დაუძღურებაც ზედ მოსდევს“⁹, ან კიდევ: „ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზარდო, მეორეს—სულისათვის. თუ ან ერთი დაშვრა, ან მეორე—გვამი ერისა (და მით უფრო ყოველი კაცისა,—ბ. დ.) მკედარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორციოდ სული...“¹⁰.

კრიტიკული წერილის ავტორს თუ დაუეჭვრებთ, ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების მიზანი მიწიერი ცხოვრების განკარგება-გაუმჯობესებისათვის, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისათვის შეუპოვარი ბრძოლა, შრომა-გარჯა კი არ არის, არამედ „ადამიანის მიწიერი არსებობის მიზანია გათავისუფლდეს ბოროტებისაგან (ყოღვებისაგან) და განწმენდილი მიემსგავსოს პირველ სახეს. რაკი ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად თვისა“ (გვ. 142). შემთხვევითი აღარაა. რომ ავტორს ბიბლიური ზღაპარი პირველქმნილი ცოდვით დაკე-მისა ალალ კეშმარიტებად ესახება და მიწიერი ცხოვრების მიზანს ხედავს „ადამიანის ლტოლვაში ღმერთს მიმსგავსებულობისაკენ“. რაც ღვთის ნებითა და დახმარებით ამქვეყნიური ცოდვისა და ბოროტებისაგან ადამიანის განწმენდაში მდგომარეობსო.

„ცოდვისაგან კაცობრიობის სახსნელად. — მოვეითხრობს კრიტიკოსი ბიბლიის რათინირებული ენით. — ამქვეყნად ღმერთმა გამოგზავნა მისი მხოლოდშობილი ძე... ქრისტემ იტვირთა კაცობრიობის ცოდვა. გოლგოთის ზა

9 ი. ჰავკვაძე, თხზ. სრული კრებული ამ ტომად, III, თბ., 1953, გვ. 78.

10 ი. ჰავკვაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. V, თბ., 1955, გვ. 342.

გაიარა და ჯვარს ეცვა. ჯვარცმის პროცესის შინაარსია ხორცის (-ბოროტების) დასჯა და სულის (-სიყვითის) გათავისუფლება...“ (გვ. 142—143). მოშველიებულია IV საუკუნის საეკლესიო მოღვაწის მაკარიოს ეგვიპტელის განმარტებაც: „ადამიანის ბუნებამ რომ იდეალური სახე მიიღოს, აუცილებელია ღმერთის დახმარება. დამოუკიდებლად ამის გაკეთება ადამიანს არ შეუძლია. ამიტომ ადამიანი პირველხატს რომ მიემსგავსოს, ორი ფაქტორია საჭირო -- თავისუფალი ნება და ღვთაების დახმარება. ამ დახმარებას ღმერთი სათნოებით ავლენს“ (გვ. 143). ან კიდევ „უპირველესად. ქრისტიანობა არის, ადამიანია შინაგანი მუშაობა. შინაგანი ბრძოლა თავისთავად გარდასაქმნელად. ქრისტეს მისამსგავსებლად. იესოს მიმსგავსება კი უფლის წიაღში დაბრუნებას ნიშნავს. რამეთუ ქრისტე იყო უხილავი ღმერთის ხატი. მოსული ქვეყნად.

თავისუფალი ნებით ადამიანი იმიტომ ირჩევდა განდევნილობას, რომ ტანჯვის გზით [სიმბოლურად ქრისტეს გზის გამოვრებით] დაეგმო ხორცი (=ბოროტება) და სული (=სიყვითეობა) ამღლებული მიმსგავსებოდა უზენაესს. ეს არის განდევნილობის არსი“ (გვ. 143), „ეს გზა გაიარა ილიას განდევნილობაც“.

ჩაც მზაა რაია. ავტორი უბრალოდ კი არ შეახსენებს ფაქტო მკითხველს აწ მივიწყებულ ბიბლიურ „ქეშმარიტებებს“, ეს თავისთავად. მისთვის მთავარი ისაა, რომ პოემა „განდევნილის“ (და აღმოჩნდება, რომ ო. ჯავახიშვილის ითელი შემოქმედების) წმინდა ქრისტიანულ-საეკლესიო ორთოდოქსიის თვალთახედვით ახსნა-შეფასებისათვის გზა გაიწმინდოს. მონაზნობის უმკაცრეს ფორმას—განდევნილობა-ასკეტობას გუნდრუკი უკმოს. პოემა „განდევნილში“ თურმე საქმე გვექონა სულისა და ხორცის (ზეციურისა და მიწიერის, სიყვითისა და ბოროტების) იმ შეპირისპირებასთან, რომელიც კრიტიკოსს გულმოდგინე შრომის შედეგად სახარებრიდან და მოციქულთა ეპისტოლეებიდან ამოუკითხავს. ამასთან, ბიბლიურ-ღვთისმეტყველური ზღაპრები და ღებულებანი მას უკანასკნელი ინსტანციის აბსოლუტურ ქეშმარიტებად ესახება და საქმეს ისე წარმოადგენს, თითქოს ქრისტიანული ორთოდოქსიისა და ასკეტიზმის შესახებ დედამიწის ზურგზე კრიტიკულ-მეცნიერული მოძღვრება არც კი არსებობდეს.

ქრისტიანული მესიანიზმის და კლერიკალიზმის ანტისოციალურ არსს ამხელს ფ. ენგელსი, როდესაც წერს: «Утверждая, что человеческий род достигает завершения в их Христе, они приписывают истории мнимую конечную цель, якобы достигнутую Христом... Мы требуем, чтобы истории было возвращено ее содержание, но в истории мы видим откровение не «бога», а человека, и только человека... чем «божественнее», т. е. нечеловечнее, является что-либо, тем меньше мы в состоянии им восхищаться... «богопренесленные» средние века... привели к полному озверению человека, к крепостничеству... Собственная сущность человека много величественнее и возвышеннее, чем воображаемая сущность всех возможных «богов», которые ведь представляют собой лишь более или менее неясное и искаженное отображение самого человека»¹¹

ღმერთის იმედითა და ნუგეშით აღვსილი კრიტიკოსი კი მკითხველს დაეინებოთ უმტიციებს: „ილიას განდევნილიც თავისუფალი ნებით და ღვთაების დახმარებით მიისწრაფოდა უმაღლესი იდეალისაკენ“ (გვ. 143), მაგრამ ტრაგედია მანძე მოხდაო; და თურმე იმიტომ, რომ „განდევნილისა და ჰყვემსი ქალის შეჯვედრა მოხდა ადამიანისა და ღმერთის ურთიერობის პირველ საფეხურზე,

როცა კავშირი მათ შორის ხორციელდება გრძნობის სურვილით და არა გონების ნებით“ (იქვე).

კვამარტების საბოლოოდ გარკვევას ამ შემთხვევაშიც კრიტიკოსი თეოლოგის მსახურს ანდობს: „პირველ ეტაპზე, ამბობს მაკარიოს ეგვიპტელი, ადამიანის მისწრაფება ჭერ კიდევ გაორებულია: ერთი მხრივ, იზიდავს ზეციური სულის იდეალური ხატი და, მეორე მხრივ, თავისკენ ეწევა მიწიერი ცხოვრების სახე. ამ დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს გონებს. გონებით უნდა შეერწყას ღვთაების არსს ადამიანი. მაშინ მყარდება უწყვეტი კავშირი უზენაესსა და ადამიანს შორის“ (იქვე).

კრიტიკოსი გულნატკენია, მეუღაბნოეს არ ეყოფო „გონების ნება“. რომ მთლიანად შემოებერთა გრძნობადი ცხოვრების მოთხოვნისგან, კვამარტიად ადამიანური ვნებანი და ამ გზით ღმერთთან ურთიერთობის მეორე უმაღლეს საფეხურზე ასულიყო, შერწყმოდა უფალს. „რამ გამოიწვია განდეგილის შეცდომა?—კითხვას სვამს კრიტიკოსი და უპასუხებს. — ხორცისა და სულში ღმერთის თანაბარ განოვლენას, ხორცისა და სულის თანაბარ მშვენიერებას განდეგილი გრძნობის თვალთ უყურებდა და არა გონების. ამიტომ მათ შორის განსხვავების აღმოჩენა გაუჭირდა. განსხვავების აღმოსაჩენად გონების ნება იყო აუცილებელი. ე. ი. განდეგილი ღმერთთან ურთიერთობის მეორე საფეხურზე უნდა ასულიყო. იგი კი, როგორც უკვე ითქვა, პირველ საფეხურზე იდგა, როცა კავშირი ხორციელდება გრძნობის სურვილით და ადამიანი ჭერ კიდევ გაორებულია“ (გვ. 145). განდეგილის მხრივ ხორცისა და სულის გაორების დასაძლევად საჭირო იყო „ხორცის მშვენიერების კვლავ ხილვა და მისი დაძლევა“. მწყემსი ქალის სახით განდეგილმა კვლავ იხილა მიწიერი ცხოვრების მშვენიერება, მაგრამ „ღმერთთან ურთიერთობის მეორე საფეხურზე“ ვერ ავიდა, „განსაცდელს... ველარ გაუძლო. იგი დაეცა“ (იქვე).

კრიტიკოსი აკეთებს მრავალმნიშვნელოვან დასკვნას: „ამრიგად „განდეგილში“ ილიას გამოყენებული აქვს ცოდვის თვალთშეშების კლასიკური სიუჟეტი, მაგრამ ამჭერად დაეცა გამოწვეულია რწმენის დაღატით. ამდენად „განდეგილი“ რწმენის ტრაგედიაა. რწმენის დაღატი კი შედეგია ადამიანის გაორებისა და ნებისყოფის სისუსტისა“ (იქვე, ხაზგასმა ატორისა). ჩვენ უკვე ვნახეთ, კრიტიკოსი ადამიანის (მეუღაბნოეს) თუ რომელ გაორებასა და ნებისყოფის სისუსტეზე ლაპარაკობს.

„მწყემსი ქალი სხვა არა არის რა, თუ არა განდეგილის მიერ უარყოფილი მიწიერი სინამდვილე“ — ხაზგასმით წერს კრიტიკოსი და გვიმტკიცებს, რომ ეს მიწიერი სინამდვილე მხოლოდ და მხოლოდ ხორციელი (ბოროტებისა და ლირწების) სინამდვილეა, ხოლო სულის მშვენიერება მთლიანად და სავსებით განდეგილის საკუთრება არისო. საბუთად კი მოყვანილია მეუღაბნოეს სენაკში მოხვედრილი მწყემსი ქალის მშვენიერების აღწერა:

გასაოცარი რაღაც შევნება
განდეგილს თვალწინ წარმოედგინა:
ენაწილი ქალი, სავსე სიოცხლით,
სავსე შევნების ქაღოთი, გრძნობით,
ნაზად, ამაყად ცეცხლის პირს იჭდა,
ეთ მინდერის შველი ყელმოდერებით.

ეწიბოა მფრქვევსა მის ზავსა თვალბს
 ავით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
 მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი.
 ვითა ძღველი, ეკუ-ქრთებოდა.
 ავით მაღლს ტრფობისს რომ მოესურვოს
 ხორცსმულად ელენა ოღესჲ ქვეყნად.
 ეკეთესს სახეს ვერ ინატრებდა
 რაჲის სიცხელის გამომსახველად.
 მაშინაჲ ვინ სთქვას, ვინ ვის ამშვენებს.
 მაღლო აა სახეს, თუ სახე მაღლსა!...
 „ერთ შური, მტრობა ვერ უბოვიდა
 კალს მშენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
 მის თვალთა ელვით, დაწათა შუქფენით.
 ვულ-მყარის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!...
 დახე მის ტუჩთა.. თითჲო, თვით ტრფობას
 თაჲ ნაზ-კოცნა ზედ დარჩენოდეს.

ადამიანის სახისა და სულის მშვენების პოეტური განსახების ამ სწორ-
 უბოვარ სტრიქონებს ა. ბაქრაძე ასე განგვიმარტავს „როგორც ხედავთ, ილია
 არსად არცერთ სიტყვას არ ამბობს მწყემსი ქალის სუ-
 ლიერ მშვენებებაზე. მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულ
 კალამაზებს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. ეს
 ნაშენულია. სამაგიეროდ... მეუდაზნოეს სულიერ სილამაზეს კი, პირიქით, და-
 წერილებით და გულწოდგინედ აღწერს“ (გვ. 145, ხაზგასმა ჩვენია. — ბ. დ.).
 პოემიდან მოკვანილია განდევლის დამახასიათებელი ტაეებში. მოგვაქვს შე-
 უკლებით:

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
 სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა,
 ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
 სულ სხვა მსოფლიოს შეზინებოდა.
 სახე გამხდარი, კუშტი და მწყარლი
 სწმინდის მაღლით დაშვენებოდა.

ლოკით და მარხით ხორც-უძღურ-ქმნილი
 ჰქადა წმინდანსა იგი წამებულს.
 მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
 ძღვეით-მოსილსა და განდიდებულს.

კრიტიკოსს გამოაქვს საბოლოო დასკვნა „ორი მშვენებებაა. ერთი ხორ-
 ცისა და მეორე სულისა“ (იქვე). იგი კვალდაკვალ მიჰყვება ხორცისა და სუ-
 ლის ასექტურ შეპირისპირებას და, სამწუხაროდ, ფიქრობს, რომ პოემის ავ-
 ტორი იმავე გზით ეიღოდა. სინამდვილეში ილია გვარწმუნებს, რომ ცხოვრე-
 ბისაგან განდგომილი მეუდაზნოეს ძღვეამოსილება, სულის სიმაღლე და სი-
 დაღდე—მოჩვენებითი. წამიერია. მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებაა ერთად-
 წრთი მშვენებება, რომელიც სენაკს შეზინულ განდევილს მწყემსი ქალის სა-
 ხით გამოეცხადა. პოემის არა მხოლოდ კრიტიკოსის მიერ მოკვანილ ტაეებში,
 არამედ მრავალგზის სხვაგანაც ხაზი ესმება ქალის (მეტაფორულად მიწი-
 ერი. გრძნობადი ცხოვრების) სილამაზესა და მშვენებებას: „ვის არ მიიმხ-
 რობს. მოინადირებს ყოვლად ძლიერი მშვენებება!... თქმულა მხეციც კი
 გაათრებული მის წინ დატყებდა და დაწყნარებდა“, ან კიდევ: „საოცარ იყო

მიძინებული იგი სიტურფე, იგი მშვენება!... თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო თვით სიყვარული და ნეტარება“, — და პრავალი სხვა. წინასწარ აკვირებული მოსაზრება ა. ბაქრაძეს აიძულებს უმოწყალოდ გააცუდოს ილიას უშესანიშნავესი თქმა: „თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლს“. კრიტიკოსმა კი მწყემსი ქალის მშვენიერებაში ისეთი და იმდენი ნაკლი იპოვა, რომ ამ მშვენიერებიდან თითქმის აღარაფერი დატოვა.

ქართულ კრიტიკაში დიამეტრულად საპირისპირო. მართებული აზრია განვითარებული. მაგალითისათვის აქ მოვიყვანთ აყად. გ. ჭიბლაძის მოსაზრებას: „მართლაც მშვენიერების განსაზღვრებაა ეს ყმაწვილი ქალი, სიცოცხლით სავსე და ასევე „მშვენების“ ჩადოთი. გრძნებით“. აქ არ არის სილამაზის შიშველი აღწერა. ყველაფერი მოქმედებაშია გადატანილი... გარეგნული ნიშნები სილამაზის... მეტად შეზღუდულია.. რატომ გვეძლევა მშვენიერების სრული აღქმა. რატომ ვრჩებით მოხიბლული მწყემსი ქალის არაჩვეულებრივი სილამაზით? იმიტომ, რომ ილია ქავეკავაძე ახერხებს სილამაზის გადმოცემაში არ გაჰყვეს შიშველი აღწერის გზას“¹².

მართლაც, ნორმალურ ვითარებაში შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ ილია უარყოფს მწყემსი ქალის სულიერ მშვენიერებას და მხოლოდ და მხოლოდ გეამის სილამაზზე ლაპარაკობს!... რასაკვირვლია. ქრისტიანული ორთოდოქსია და მისი მსახური — ბეთლემის მეუღაბნოე სულის სიმშვიდესა და მშვენიერებას ხორცისაგან სულის განწილვასა, ცხოვრების სიუკუარგასაგან ასკეტურ განდგომასა და ღმერთს მიმსგავსებულობაში დაექებს (იხ. პოემის III, IV, V, VI თავები), მაგრამ პოემაში ილია სწორედ იმას შთაგვაგონებს. რომ ასეთი მშვენიერება და ბედნიერება საერთოდ არ არსებობს. სულისა და ხორცის მშვენიერება, მის განწილველ ერთიანობაში, მხოლოდ მიწიერი, ამქვეყნიური სინამდვილეა, რომლის პოეტურ განსახებადაც ილიამ მწყემსი ქალი წარმოგვიდგინა. სწორედ ამაშია განდევნილი და მწყემსი ქალის შეპირისპირების დადებითი საზრისი. პირველის უთუოდ დამარცხებისა და მეორის უთუოდ გამარჯვების გარდუქალობა.

კრიტიკოსის მთელი სიმპათია კი მეუღაბნოეს მხარეზეა. იმავე ზომით იგი ათვალწუნებით უტყპრის მწყემს ქალს, იგი არ უნდა ვიგულოთ ცხოვრების „აქტიურობის“ განსახიერებადო“. „მართალია, მან გაახსენა მეუღაბნოეს მიწიერი ცხოვრების მშვენიერანი, მაგრამ არაფერი უტყპამს ისეთი, რაც მწირისათვის უცნობი იყო. არც ამ ცნობილი მშვენიერების დასაცავად გამოუმუღავენება ქალს განსაკუთრებული ენერჯია“ (გვ. 143). პოემის სათოსთან ამ საუესებით შეუთავსებელ დასკვნას კრიტიკოსი აფუძნებს მეუღაბნოეს მისამართით მწყემსი ქალის სიტყვებზე:

ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!

ღერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!

აქ სიკვილია, იქ კი სიცოცხლე.

აქ ჰერია და იქ კი ღზინია.

ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი

ყველა გულიდამ ამოვილია?

ნუთუ ნალელი, დარდი და ჰაერი

იან არაეის წამოგლია,
 არ გაგონდება არც მამა, დედა,
 ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
 ნუთუ მისდღეში არა გყოლია
 შოკეთ გულის შემატყვარი?!
 როგორ მოშორდი?...

მერე და რატომ არის ეს სიტყვები ენერგიასა და არგუმენტირებას მოკლებული. მით უფრო, რომ მართო ამ სიტყვებით როდი ამოიწურება მწყემსი ქალის კამათი მეუღლადნოესთან. დიალოგი, რომელშიც მიწიერი ცხოვრების ცხოველმყოფელობის ღალადისი ნათელყოფს განდგილობა-ასეკტობის უმწეობას და ამოიხება, გაშლილია პოემის XVIII—XIX—XX თავებში. მომდევნო თავებიც სწორედ ამ დიალოგის ლოგიკური გაგრძელება და დასრულებაა. ცხადია. ილიას არ შეეძლო სოფელი ქალი ფრანგი მატერიალისტ-ათეისტების არგუმენტებით აემეტყველებინა, მწყემსი ქალი არც არის ათეისტი; ზუნებრივია, რომ ასეკტი ბერის დასამარცხებლად სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ჯანსაღი აზრი ხილული ქვეყნის მშვენიერებისა და დაუთობლობისა. მკითხველისათვის ფსიქოლოგიურად საეხებით მოტივირებული და მხატვრულად დამაჯერებელია მიწიერი ცხოვრების ერთადერთობა და მშვენიერება. მწყემსი ქალი ცხოვრებისეული გრძნობისა და აზრის ერთიანობის სახემოსილებაა. კრიტიკოსის მხრივ მისი სიტყვების ენერგიულობასა და ცხოველმყოფელობაში ეკვის შეტანა მკითხველისათვის საეხებით გაუგებარი რჩება.

ზედმეტი არ იქნება აქ გაიხსენოთ მ. გორკის „ქალიშვილი და სიკვდილი“. ქალიშვილი, ბუნების ეს აალი შვილი, უკან ახევიანებს სიკვდილს არა რიტორიკული მსჯელობის ლოგიკის ძალით, არამედ ერთი შეხედვით სრულიად უბრალოდ — მიჯნურისათვის მარად ანთებული მოსიყვარულე გულით. ცნობილია, პოემაში ხილული, გრძნობადი ქვეყნის სიტკბოებისა და მშვენიერებისადმი ძლიერი სიყვარული ამარცხებს სიკვდილს. ქალიშვილი სიცოცხლისა და სიყვარულის მშვენიერების სახემოსილებაა, რომელიც ჩვენ პოემა „განდგილის“ მწყემს ქალს გვაგონებს. მწიერი კი უკაცრიელ გამოქვაბულში დამკვიდრებით საკვიდლთან არის წილნაყარი; სულის განწმენდისათვის ცხოვრებისაგან განდგომილი მეუღლადნოეს თავგანწირვა სინამდვილეში არის არარაობისთვის, სიკვდილისთვის შეწირული სიცოცხლე, ასეკტიზმის გარდუვალი და სრული მარცხი. მწყემსი ქალის გამარჯვება კი ამქვეყნიურა. ქემმარიტად უმადლესი მშვენიერების: სიცოცხლისა და სიყვარულის აპოთეოზია.

მართლაც, მწყემსი ქალის სახით მიწიერი ცხოვრების ყოვლისმომცველობასა და ყოვლისშემძლეობასთან უკანასკნელად შეჯახებაში იმსხვრევა ასეკტის ყველა ილუზია; სულის სახსნელად თურმე მას უბედურების გზაზე უვლია. სწორედ მწყემსი ქალის განსაკუთრებულად ენერგიულმა სულისკვეთებამ, სიცოცხლისადმი სიყვარულის ძალამოსილებამ აიძულა მეუღლადნოე ეთქვა ასეკტიზმისათვის მომკაცდინებელი სიმართლე: „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ასეთი მერგო მე... უბედურისაო“; თუმცა ამ გულწრფელი აღიარების გამო ბეთლემის მეუღლადნოე კრიტიკოსის მხრივ შემდგომ მკაცრი საყვარული დამსახურა: „ეს იყო საბედისწერო შეცდომა. თვინიერ ღმერთის დახმარებისა, ხსნა არ ხორციელდება. მხოლოდ ადამიანის თავისუფალი ნება და ღვთაებრივი სათნოებაა ღმერთთან მიმსგავსების ერთადერთი საშუალება“ (გვ. 145). მა-

შასადამე, ღმერთის სათნოება-დახმარების გარეშე საშველი და სახილველი აზსად ყოფილა!

ილია ქვექვაძე კი გადაჭრით ფიქრობს და გეაწმუნებს, რომ მიწიერ ცხოვრებასთან შეჯახებაში განდევნილი რეალური აუცილებლობით უკვე ძლეულია: იგი სიკვდილის კარიბჭეზე მწყემსი ქალის (ე. ი. ამქვეყნიური ცხოვრების) სიდიადის და მშვენიერების წინაშე პირისპირ მდგომი ერთხელ მიინც, და უქანასკნელად, მოასწრებს ქვეშაირი გზისა და სულიერი ნეტარების ვანცლას:

დიდ-ბანს დასცქერდა... ნეტა რა სხივი
გულს ჩაეფინა ნული და თბილი!...
ქარას, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ ამო. ესოდენ ტბილი!
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძვერა...
ეხლა მის გული თითქოს ებანს სცემს
და ისმის ჩემი ებნის სიმთ ვლერა.
როგორ იწამოს და რა დააქვას
ამ ჭერ არ ცნობილ სიტყვობასა?
თ უოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?

მაშასადამე, სულისთვის აღთქმული უკვდავებისა და სიტყვობების ადგილსამყოფელი ეს ქვეყანა ყოფილა, რომელიც მწიროს მწყემსი ქალის სახით გამოეცხადა. გაუგებარია. თუ რატომ არ თანაუგრძობს კრიტიკოსი ცხოვრებისაგან ძლეული მწიროს უქანასკნელ. მაგრამ ქვეშაირად გულწრფელ-აღამიანურ განცდას. ასევე ყურადღებიდან მთლიანადაა გამოშვებული პოემის ფინალი, რომელიც ავტორის იდეურ-ესთეტიკური მრწამსის დასკვნითი გამოხატულებაა:

და იქ, საღ წმინდანთ უღიღებიათ
ღმერთი მსჯავრის და ქვეშაირების.
იქ, საღ უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღალადების,—
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარია დაღის და ქშუის,
და გამოფრთხალი ჰქეა-ქუხილით
მღნ შეხეწილი ნადირი ღმრის...

ფიქრობთ, ცხოვრებისაგან ასკეტური განდგომის, ხორცისაგან სულის განწილვისა და ღვთაებრივი განწმენდის ფუჭი ოცნება და მისი გარდუვალი დამარცხება, არავის არ გამოუხატავს უფრო მძაფრსა და შთამბეჭდავ ფერებში, ვიდრე ეს ქართველმა გენიოსმა პოემა „განდევილში“, დასკვნითი სახით კი მის ფინალში, გამოხატა.

აკად. კ. კეკელიძემ ლიტერატურული პარალელების მომარჩევით ყურადღება გაამახვილა პოემა „განდევლის“ ზოგიერთ არსებით მომენტზე. მკვლევრის უეჭველი დასკვნით, მაშინ როდესაც, მაგალითად, ეგვიპტელი ბერისა და მარტინიანეს „ცხოვრების“, ასევე ლ. ტოლსტოის „მამა სერგის“ „მაცდუნებელი ქალები“ „მსუბუქი ყოფაქცევის... ერთნაირად გაქნილები არიან და ერთნაირად მოქმედებენ“, „ილიას მწყემსი ქალი ნამდვილი ბუნების შვილია. ის სრულიად შემთხვევით, მოულოდნელად, წინასწარი განზრახვის გარეშე მოხ-

ვდება განდევილის საყუდთან¹³. საქმე ის არის, რომ მწყემსი ქალის სახით მეუღაბნოეს წინაშე აღიპარება არა მხოლოდ „ქალწულებრივი“ უმანკობის ასკეტური დაცვის პრობლემა, არამედ საერთოდ ამქვეყნიური ცხოვრების მიღების ყოვლანაშობველი პრობლემა. აქად. კ. კეკელიძე იქვე შენიშნავს კიდევ, „ასკეტობში არაა დედაკაცთან ხორციელი კავშირის უარყოფა მართლ“ (გვ. 21). მსტოვანმა მეცნიერმა ბეთლემის მეუღაბნოეში კანონზომიერად ამოიკნო ტიპური სახე სინამდვილის უარყოფელი იმ უკიდურესი ასკეტისა, რომელიც თავის ცხოვრებას გალევს ხოლმე, „ლოცვა-ვედრებასა. სინანულსა, სეინდისის ქენჯანსა და მძაფრ ასკეტურ მოღვაწეობაში“ (იქვე. გვ. 21).

აკად. კ. კეკელიძეს „განდევილში“ ცხოვრების მიღება-არმიღების პრობლემის მასშტაბური და განსაკუთრებული მხატვრული სიძლიერით პროგრესულ-სოციალური გადაწყვეტა აქვს მხედველობაში. როდესაც ლიტერატურული პარალელებს საფუძველზე გამოაქვს უდავო დასკვნა: „მარტინიანესა და ეგვიპტელი ბერის „ცხოვრების“ უბრალო, უღაზათო მოთბობა ი. ჭავჭავაძის „განდევილში“ შეუდარებელ მხატვრულ ფორმებშია მოცემული, გაცილებით უფრო მხატვრულად, ვიდრე ის ლ. ტოლსტოის გადმოხუცა. გმირთა მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივაცია ილიას ნაწარმოებში უფრო მძაფრადაა მოცემული. ვიდრე „ცხოვრების“ უპრეტენზიო თბობაში“ (იქვე, გვ. 20).

კრიტიკოსი ა. ბაქრაძე კი ძალიან შორს მიდის და „განდევილის“ მისეულ შეფასებას მთლიანად ავრცელებს ილიას მთელს შემოქმედებაზე. ილიას ლექსებსა და ეპიკურ ნაწარმოებებში აღწერილიაო „ყველა ის ცოდვა, რასაც ხორცის საქმედ მიიჩნევს პავლე მოციქული“, ამიტომ ამქვეყნიური სინამდვილის უარყოფა და ქრისტეს უკვდავ სულთან შეერთება გარდუვალაო (იხ. გვ. 147).

პოემა „აჩრდილში“ „მყინვარწვერზედ მდგომი მოხუცებული“ ქრისტეს სულის განსახება ყოფილა: „მყინვარწვერი იმ უზენაესის საცხოვრისია, რომლის თვალი დარაჯობს საქართველოს“. კრიტიკოსის დამატებითი განმარტებით მყინვარის ბეთლემს შეხიზნულმა „განდევილმა მიიშურა საქართველოს უკვდავ სულს და მის წიაღში ეძებს როგორც საყუთარ, ისე ქვეყნის ხსნას. ილიას აზრით კი, საქართველოს ეს უკვდავი სული ქრისტიანული მოძღვრებაა. ჭერ ერთი, იმიტომ რომ საქართველო ღვთისმშობლას წილხედრი ქვეყანაა... და, მეორეც, საქართველო თავად ეწამა მაცხოვრისათვის“ (გვ. 147. ხაზგასმა ავტორისა). კრიტიკოსის მტკიცებით კაცობრიობის საუკეთესო იდეალების განხორციელებას ილია აკავშირებდა ქრისტიანობის ზემოთა. „საყოველთაოდ ცნობილია. როგორი ალტაკებით შეხება ილია პარიზის კომუნას და როგორ განიცადა მისი დამარცხება“. — შეგვახსენებს კრიტიკოსი. — და თურმე იმიტომ, რომ ილიას მართლაც საყოველთაოდ ცნობილ ლექსში („1871 წელი 23 მაისი“) „პარიზის კომუნის იდეალები და ქრისტეს მცნება გაიგივებულია. ეს არაა მგონია სადაო იყოს“ (იქვე, დაყოფა ჩვენია, — ბ. დ.) ან კიდევ: «პიროვნების ხსნა... მტკიცედ უკავშირდება ღმერთმისგანაცხედულობის პრობლემას. ამას ილია აშკარად და მკაფიოდ ამბობს „კაცია-ადამიანი?!“ (გვ. 148). სამწუხაროა, რომ პრინციპულად მიუღებელი და დაუჭრებელი ავტორს ყველა შემთხვევაში უდავოდ მისაღებად, მკაფიოდ დასაჭრებლად ესახება.

¹³ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945, გვ. 20.

აი, კრიტიკულ წერილში განვითარებული თვალსაზრისის შემაჯამებელი დასკვნა: „სრულად ნათელია, რომ ილიას შემოქმედებაში ქრისტიანობა მიჩნეულია პიროვნებისა და ერის მხსნელ მოძღვრებად. ამიტომ თვლიდა იგი პოეტს ღვთის კაცად“ (გვ. 147. ხაზგასმა ავტორისაა). წერილის უკანასკნელ აბზაცშიც ბოლომდეა გამჟღავნებული კრიტიკოსის ხვაშიადი: „ასე ეჩაქვება „განდეგლის“ პრობლემატიკა ილიას მთელ შემოქმედებას. ამიტომ ტოვებს ეს პოემა ილიას შემოქმედების გვირგვინის შთაბეჭდილებას“ (გვ. 148).

მაშასადამე, მართლაც დამავიჯვინებელი ნაწარმოების—„განდეგლისათვის“ კრიტიკოსს ხელი იმითომ ჩაუვლია, რომ ილია ჭკვევაძე მკითხველის წინაშე წაჩოადგინოს, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანი, კიდევ მეტი, მონაზნობა-განდეგლობის სრული შემწყნარებელი, რომელიც ნორალურად შელახული და ეკონომიურად დაცემული სამშობლოს ხსნას თურმე ქრისტეს მოძღვრების საზეიმო გამარჯვებაში ხედავდა. რასაკვირველია ყველაფერი ეს ისტორიული სინამდვილისაგან სრული დაშორება, უხეში შეცდომაა.

ილია ჭკვევაძე იყო გასული საუკუნის დიდებულ სამოციანელთა ღირსეული მეთაური, რომელსაც ყველაზე ნათლად და გარკვევით გაეგებოდა მშობელი ქვეყნის ეროვნული და სოციალური ტკივლები. მან პირველმა აღიმადლა ხმა სიბნელის, უმძობლობის, ცხოვრების ყოველგვარი რუტინის წინააღმდეგ. როდესაც ჩვენ რელიგიისადმი ი. ჭკვევაძის დამოკიდებულების საკითხს ვარკვევთ, უნდა ამოვდიოდეთ ამ დიდი მოაზროვნისა და შემოქმედის მთელი მემკვიდრეობის მთლიანი კონტექსტიდან. ცნობილია, რომ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ (1963 წ. იანვარი) ილიამ საშური სიხუსტით ჩამოაყალიბა „სამოციანელთა“ სოციალურ-პოლიტიკური და მხატვრულ-ესთეტიკური მოქმედების სახელმძღვანელო პროგრამა. ამ ისტორიულ დოკუმენტში უბრალო მინიშნებაც კი არ არის ქრისტიანული იდეოლოგიის რაიმე სოციალურ დანიშნულებაზე ახალ დროში. პირიქით, წერილის მთელი სულისკვეთება, რომლისთვისაც ილიას არასოდეს არ უღალატია, ქრისტიანული ორთოდოქსიისა და საერთოდ ყოველგვარი რელიგიური იდეოლოგიის წინააღმდეგ არის მიმართული. რევოლუციური სულისკვეთებით აღვზნებულმა ილიამ, დადგა რა ცხოვრების გარდაქმნა-განკარგებისათვის ბრძოლის შუაგულში, „მგზავრის წერილებში“ ხატოვანად, მაგრამ მკვეთრად გამოსახა საკუთარი შემოქმედების პროგრამა: „წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი დანე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჭვითა. წვალებითა, ბრძოლითა და ვიღ-ვაგლახითა!“¹⁴ ეს არის მყინვარისა და თერჯის, ბნელი ღამისა და ნათელი დღის უნიკალური მხატვრული შედარებიდან გამომდინარე საპროგრამო დასკვნა. ილიას მრწამსი ცხოვრების ქმედით-რევოლუციური გარდაქმნისა გაფართოებული, გაღრმავებული და განვითარებულია პოემა „განდეგლში“. ამავე ზომით მწერალი უარყოფს ცხოვრების ჭირ-ვარამისაგან ქრისტიანულ-ასკეტური განდგომის მანე თვალსაზრისს. ცივი, მიუკარებელი, ბნელეთით მოცული მყინვარის ბეთლემი ილიასათვის მართლაც არის უძრავი ღვთაებრივი სულის, ცხოვრებიდან ასკეტური განდგომისა და უმოქმედობის სიმბოლო. მაგრამ არა მისი ცნობისა და აღიარების არამედ პრინციპული უარყოფის თვალსაზრისით. დროის შე-

14 ი. ჭკვევაძე, თხ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 22.

საფერის პროგრესულ-რევოლუციური სულისკვეთება ილიამ გადმოსცა სიტყვებით: „საცა მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის“¹⁵.

მართალია, ილია ქვეყნადემ რელიგიისადმი დამოკიდებულების წინააღმდეგობრივი გზა გაარა. მაგრამ მრავალ კრიტიკულ-მეცნიერულ გამოკვლევაში ამჟამად დასაბუთებულია, რომ ილიას პროგრესული მსოფლმხედველობა და რევოლუციური დემოკრატიზმით გამსჭვალული სულისკვეთება არ ითავსებს თეოლოგიურ-ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, მით უფრო მონაზნობის უმკაცრეს ფორმას — ცხოვრებისაგან ასკეტურ განდგომას. შედარებით მოკლე მოცულობის სტატია არ იძლევა ამ საკითხის ამომწურავად განხილვის საშუალებას. მივუთითებთ მხოლოდ ზოგიერთ ძირითად მომენტზე.

ატლანტიკის წლებში ილიამ უკვე ანგარიში გაუსწორა რელიგიურ რწმენას, საბოლოოდ გამოეთხოვა მას. პოეტი ღვთიურ გრძნობას უწოდებს „სიზმრების სარწმუნოებას“. „ფუქ ალს“ და გადაჭრით მიდის იმ დასკვნამდე, რომ სხვა სამოთხე და ჭოჯობები, გარდა ამქვეყნიური ცხოვრებისა, არსად არ არსებობს: „ჩენი სამოთხეც, ჭოჯობებიც, თითონ ვართ ჩვენ“, პოეტი ღმერთს უწოდებს ტირანს, დესპოტს, რომელიც მორწმუნისაგან მონურ ქედმობრასა და ხვეწნა-ვედრებას მოითხოვს, ბეთლემის მეუღაბნოეს რწმენა-მოქმედების საპირისპიროდ პოეტი ღმერთის მისამართით ამბობს: „შენ დესპოტი ხარ! გიყვარს ხვეწნა და თაყვანება, მაგრამ მათ ჩემგან შენი სიბრძნე ნუ ელოდება“. პოეტი ასე მიმართავს ღვთის ხვეწნა-თაყვანებაში ამაოდ დამაშვრალ მორწმუნე სულს: „შენ, რომელიცა სხვის ნებისა აღსრულებაში უნდა ხედავდე ყოველთვის შენს ნეტარებასა. შენ, რომელიცა შენ მტანჯველის სულის ქებაში, უბრალოდა ღლი ემაგ შენსა უკვდავებასა“ („ირაკლი“, 1860 წ.). ილიამ უფრო ადრეც გარკვევით გვითხრა, რომ სიღიადისა და უკვდავების ერთად ერთი სასუფეველი ხილული ქვეყანაა, ხოლო სიკვდილის შემდეგ თვით უძლიერესი პიროვნების „მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება ერთი მუქალა გამხმარი მტვერი“ („სანთელი“, 1857 წ.).

ილია პრინციპულად უარყოფდა ყოველგვარი რელიგიის საყრდენ საფუძველს — ღმერთისა ხ უ რ ე ბ ა ს, კ უ ლ ტ მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ს; ადამიანის მიწიერი ცხოვრების განკარგებისათვის მებრძოლი ავითარებდა თვალსაზრისს—„კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისა“. ილიას რწმენის ობიექტი, უმაღლესი ზრუნვის საგანი — ადამიანი. მისი ამქვეყნიური ცხოვრებაა. მეცნიერება ადამიანის მიწიერი ცხოვრების, შრომისა და ბრძოლის უფაქიზე რწმენად უნდა გადაიქცეს და ეს მან გამოხატა ფორმულით: „გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნებელი მეცნიერება“¹⁶, რასაც არაკითხი საერთო არა აქვს ორთოდოქსალურ ქრისტიანულ თეოლოგიასთან, ცხოვრების სიაყვაცისაგან ასკეტურ განდგომასთან. ილია თავად დარწმუნებული იყო და თანამემამულეებს შთააგონებდა, რომ „ეს ქვეყანა ტაძარი—კი არ არის, საცა კაცი უნდა პლოცელობდეს. არამედ სახელოსნოა. სადაც უნდა ირჩებოდეს და ჰმუშაობდეს“¹⁷. ამასთან ცალკერძ ადამიანი. როგორც, მაგალითად. ეგონსტი მეუღაბნოე იყო, ვერასოდეს ვერ მიაღწევს სასურველ ბედნიერებას: „ადამიანი ცალკედ ერთი სუსტი და უღონო დანაბადია; მისი სულიერი და ხორციელი

15 ი. ქვეყნადემ, ოხზ., ტ. III, თბ., 1953, გვ. 391.

16 ი. ქვეყნადემ, ოხზ., ტ. IV, თბ., 1955, გვ. 253.

17 ი. ქვეყნადემ, ოხზ., ტ. IX, თბ., 1957, გვ. 114.

ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფნით, მარტო ყოფნით. ვერას-გზობ ვერ მიაღწევს ბედნიერებასა...¹⁸. ადამიანთა შემოქმედებთი ძალების გავრთიანებისა და ბედნიერების ერთადერთ წყაროდ კი ილიას შრომის ახსნა, შრომის საყოველთაო სუფევა მიაჩნდა. „შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი ძლევაშოსილო ამ საუკუნის...“¹⁹. — ამბობს იგი პოემა „აჩრდილში“. აუხსნელი, ე. ი. დამონებული. შრომა კი მტარვალთაგან მიტაცებული თავისუფლებაა:

თავსუფლებაჲ. შენ ხარ კაცთა ნათაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმნა საფარი,
მტარვალთა თქმითა იდითვე ხარ შენ აკრძალული.
სე ცნობღისა. ედევს რგული, შენი ხე იყო;
მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღაუჯე. სრული.
პირველ კაცთათვის უშენოდა არაა იყო.

ვფიქრობთ, პოემა „ქართლის დედინან“ აქ მოყვანილი ადგილი იმის ნამუშადაც გამოდგება, თუ როგორ იყენებდა ბიბლიურ მასალას მეტაფორულ აზროვნების დიდოსტატი ღვთისმეტყველებისაგან პრინციპულად განსხვავებული, სრულად ახალი, ამქვეყნიური იდეურ-ესთეტიკური შინაარსის გამოსახატავად.

სამწუხაროდ. ა. ბაქრაძე ვერ დგას სასურველ დონეზე, როდესაც მხატვრულ ნაწარმოებებში ღმერთისა და ქრისტეს, ხატისა და ჭკრის, სამოთხისა და ედემის, ჯოჯოხეთისა და წაწყმედის — მეტაფორული მნიშვნელობით მოხსენიების გამო ი. ჭავჭავაძეს მართლმორწმუნე ქრისტიანად მიიჩნევს. პოეტურ-მეტაფორული აზროვნების სპეციფიკის ასეთი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში კრიტიკოსი შეუძლია თითქმის ყველა მწერალი იმავე მდგომარეობაში ჩააყენოს. ამით იგი ეკლესიის მსახურთა მადლობას დაიშახურებს, მაგრამ იმავე ზომით ქვემარტებას დაშორდება. როგორც ეს ი. ჭავჭავაძის მიმართ გამოვლინდა.

სამშობლოს პატრიოტული გრძნობა. ცხოვრებაში არსებულ ბოროტებაზე გამარჯვების იმედი ილიას არასოდეს დაუმყარებია ქრისტეს მოძღვრებაზე. ადამიანის სულის „უფლის წაღში დაბრუნებაზე“. როგორც ამას განხილული წერილის ავტორი ფიქრობს და მკითხველსაც არწმუნებს. „სიკეთისა და მადლის სამშახური ქრისტიანობის უპირველესი მცნებაა. ამას დასტურად არ სჭირდება საბუთების მოშველიებაო“ (გვ. 444). აშკარაა. კრიტიკოსი ქრისტიანობისადმი ისტორიული და კლასობრივი მიდგომისა და შეფასების ერთადერთ სანდო კრიტერიუმს სავსებით უშვებს ხელიდან და ასეთ პირობებში ქრისტიანიზებული ბიბლიური ათი მცნება მას ადამიანების (მთელი კაცობრიობის) მორალური ღირსების დაცვისა და განმტკიცების ერთადერთ საშუალებად ესახება. მაგრამ ილია ჭავჭავაძე აქ არაფერ შეაშაი²⁰.

ე. ლენინი „ხუტობის ფანდს“ უწოდებდა ყოველგვარ მცდელობას, როდესაც „ღმერთის იდეიდან იდეება ის, რასაც იგი ოსტორიულად და ცხოვრებაში შეიცავს (სიბილწე, ცრუზრებო... სიბნელისა და დაბეჩაუების... ბატონყმობისა და მონარქის კურთხევა)“²⁰. ცნობილია, რომ ლენინმა

¹⁸ ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. V. თბ., 1955, გვ. 165.

¹⁹ რელიგიისადმი ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხს მართებულად აშუქებს პროფ.

მ. გრიგორიანი. იხ. მისი წიგნი: Курс лекций по истории атеизма. М., 1974, გვ. 231—232.

²⁰ ლენინი ეკლტერისა და ხელუენების შესახებ, თბ., 1957, გვ. 504.

ხაზი გაუსვა იმ წინააღმდეგობას, რომელიც ტოლსტოი—მოაზროვნესა და ტოლსტოი — მხატვარ-შემოქმედს შორის არსებობს. ლენინი ტოლსტოი მხატვარ-რეალისტის უდიდეს შეფასებასთან ერთად მკაცრად აკრიტიკებდა ტოლსტოველობის გამოვლენის ყოველგვარ ფორმას და დაასკვნოდა: „ჩვენს დროში ტოლსტოის მოძღვრების იდეალიზაციის, მისი „წინააღმდეგობლობა“, „სულისადმი“ მისი აპელაციის, „ზნეობრივი თვისსაზღვრულად“ მოწოდების, „სინდისისა“ და საყოველთაო „სიყვარულის“ დოქტრინის. ასევე ზმინა და კვიტიზმის ქადაგების და მისთანათა გამართლებას ან შერბილები ყოველგვარ ცდას უარესად უშუალო და უარესად დიდი ვნება მოაქვს“²¹. ლ. ტოლსტოის მსოფლმხედველობასთან გათანაბრო ი. ჯავახიშვილი მსოფლმხედველობა. ხოლო შემდეგ ამ მსოფლმხედველობის პირდაპირი ანარეკლი ებოი და „იბოვო“ ილიას შემოქმედებაში, ამაში დარნახო „სამოკაცანელთა“ მედროშის ეროვნულ-სოციალური მოღვაწეობისა და მხატვრული შემოქმედების ფაის და მნიშვნელობა — არის მძიმე შეკლამა. რომელსაც „უარესად უშუალო და უარესად დიდი ვნება მოაქვს“.

საჩუღად სხვა საკითხია ის გარემოება, რომ ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის სათავეში მოქცეული ილია შემწყნარებლურ დამოკიდებულებას იჩენდა მორწმუნოს გრძნობებისადმი და, თვალისწინებდა რა მაშინდელ ისტორიულ ვითარებას, შესაძლებლად მიაჩნდა, ჩაეყენებინა მორწმუნოს გადახალისებული გრძნობები ეროვნული ამოცანების სამსახურში. ეს იყო ილიას პოლიტიკური მოსაზრებებით ნაკარნახევი დამოკიდებულება ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ორთოდოქსალური ქრისტიანობის. განდევილობა-ასეკტობის აღიარებასა და დაცვასთან.

განსაკუთრებულად საყურადღებო ის არის, რომ ი. ჯავახიშვილი საერთოდ რელიგიის და კერძოდ ქრისტიანული სარწმუნოების დახასიათება-შეთესების დროს ხელმძღვანელობდა ისტორიული თვალსაზრისით. „ქრისტეს რჩული ქართველებისათვის, — წერს ილია, — მართო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვეთიერიც იყო საქართველოს მრავალწილების გასაერთებლად და შემოსაყრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა ოპორტუნული ელემენტი მაშინ შემძლებელა იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამი დამსახურეული ერთობა და დედგონა“²².

მეშასადამე, ილიას საქართველოს წარსული მიაჩნია იმისთანა დროდ, როდესაც ქრისტიანობა „დუღაბობას უწევდა ერთობასა“. ილიას ეს თვალსაზრისი ისტორიულ კუთვნილებას წარმოადგენს. ფ. ენგელსის ცნობილი განმარტებით „შუა საუკუნეებში თეოლოგიას შეუერთა და დაუმორჩილა იდეოლოგიის ყველა დანარჩენი ფორმა: ფილოსოფია, პოლიტიკა, იურისპრუდენცია. ამით მან ყოველი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა აიძულა თეოლოგიური ფორმა მიეღო. მასების გრძნობა მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური საკვებით საზრდობდა. ამიტომ მძაფრი მოძრაობის გამოსაწვევად საჭირო იყო, რომ მათ თავიანთი საკუთარი ინტერესები სარწმუნოებრივ საშუალებით

²¹ ქვე. გვ. 125.

²² ი. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 65—66 (ხაზგამაჩენია). იხ. აქრუაყე, გვ. 113, 116—117, 125, 127.

წარმოდგინათ²² ცხადა. ქრისტიანული სარწმუნოება, როგორც ამაზე ილია ჭავჭავაძეც მიუთითებს, იმავე როლს ასრულებდა ქართველი ერის ისტორიული წარსულის მიმართ. ამასთან, ილიას არსად და არასოდეს არ გამოუმეღანებია ისეთი იდეოლოგიურ-პოლიტიკური დაბნეულობა და თეორიული აზროვნების სიმწარე, რომ XIX ს. მიწურულში ქრისტიანული სარწმუნოებისათვის იგივე როლი დაეკისრებინა.

ილია ყოველთვის იდგა თავისი დროის პროგრესული იდეალების სიმაღლეზე. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მაშინ, როცა ისტორიის პროგრესმა რელიგია უკვე შეარყია. ამიტომ ისტორიული თვალსაზრისით წარმოდგენილი და შეუძლებელია, საქართველო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის მედროშეს ერის ხსნა და გადარჩენა დაენახა ქრისტიანული მოძღვრების სახეიმი გამარჯვებაში. განდევლობა-ასეკტობისაყენ პირისბრუნებაში. ეს არის ილია ჭავჭავაძის, როგორც ახალი დროის უდიდესი შემოქმედისა და მოაზროვნის. აქამდე გაუგონარი დაკნინება და დამცირება. რთული პრობლემის გარკვევისათვის სასურველია აქ კვლავ გავიხსენოთ ფრ. ენგელსის ერთი დებულება: „Человек утрачивал в религии... свою человечность, и теперь, когда с прогрессом истории религия поколеблена, он замечает свою пустоту и неустойчивость. Но для него нет иного спасения, он может снова обрести свою человечность, свою сущность не иначе, как преодолев коренным образом все религиозные представления и решительно, чистосердечно вернувшись не к „богу“, а к себе самому“²⁴.

ფრ. ენგელსი იქვე განაგრძობს, რომ დიდმა გერმანელმა განმანათლებელმა გოეთემ სწორედ ეს გზა განვლო: „Гёте неохотно имел дело с „богом“;... только человеческая была его стихией, и эта человечность, это освобождение искусства от оков религии как раз и составляет величие Гёте“²⁵. საკმაოდ არ გვესახება. რომ ფრ. ენგელსის ეს სიტყვები კიდევ უფრო მეტი კატეგორიულობით ითქმის ახალი დროის დიდი ქართველა განმანათლებლის ილია ჭავჭავაძის მიმართ. სხვაგვარად იგი ვერ იქნებოდა მებაირახტრე იმ ეროვნულ-რევოლუციური, ღრმად დემოკრატიული მოძრაობისა. რომელმაც მის ისტორიულ განვითარებაში ნიადაგი შეამზადა საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისათვის.

ცნობილია, სამართლიანი კრიტიკული დამოკიდებულება ძველი მცდარი შეფასებისადმი:—„ილია ჭავჭავაძე ბურჟუაზიული მწერალია“²⁶. ცხადა. ილია მით უფრო ვერ იქნებოდა დაღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგი და ინტერესების გამომხატველი. გავიხსენოთ აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგების მკვეთრად უარყოფელი დამოკიდებულება ორთოდოქსალური ქრისტიანობის. მით უფრო ასეტიზმის ყოველგვარი გამოვლენებისადმი. ისტორიული თვალსაზრისი, როგორც ვთქვით. გამორიცხავს, რომ საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის მედროშე ორთოდოქ-

23 კ. მარქსი. ფ. ენგელსი, რჩული ნაწერები, ტ. II, თბ., 1950, გვ. 479.

24 К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве, т. I, М., 1957, გვ. 458.

25 იქვე.

26 იხ. ევრნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1974, № 5, გვ. 32.

საღვთო ქრისტიანობის. კიდევ მეტი. ასკეტიზმის შემწყნარებელი და მქადაგებელი ყოფილიყო.

ილია ჭავჭავაძე იყო შემოქმედი და მოაზროვნე, რომელმაც ღმერთს ზეცის სასუფეველი წაართვა. რელიგიურ ილუზიებს ნიადაგი გამოაცალა. ცნობილია, რომ რელიგიურ გრძნობებთან გამოთხოვებით ილიამ ერთგვარი სიცარიელე და უმყარობა განიცადა. მაგრამ სინანული და მერყეობა მან აღრევე დაძლია „ზეცას არსებულ“ ღმერთის მიწაზე ჩამოყვანით. მან აღამიანა, მშობელი ქვეყანა გააღმერთა და იგი უმაღლესი და ერთადერთი ზრუნვის საგნად და პოეტური წარმოსახვის ხატად იცნო. კ. მარქსის გენიალური განსაზღვრით — „რელიგიის კრიტიკა ყველა კრიტიკის წინამძღვარია“: ხოლო კრიტიკამ რელიგიის ბორკილებს — „წარმოსახვითი ყვავილები იმისათვის კი არ ჩამოაგლიჯა, რომ აღამიანმა უფანტაზიო, უნუგუშო ბორკილები ატაროს, არამედ იმისათვის, რომ მან ბორკილები მოიხსნას და ცოცხალი ყვავილი მოწყვიტოს... რელიგია მხოლოდ ილუზორული მზეა, რომელიც აღამიანის გარშემო მოძრაობს მანადლე, სანამ იგი თავის თავის გარშემო მოძრაობას დაიწყებდეს“²⁷.

მართალია, რელიგიის მიწიერი ფუნქციები ილიას ბოლომდე მატერიალიზმით არ აღუხსნია, ეს უკვე ისტორიულ მატერიალიზმის საქმე იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მარქსამდელ მოაზროვნეთა შორის ილია უდავოდ არის ერთ-ერთი ღირსსაცნობი შემოქმედი და მოაზროვნე, რომელმაც რელიგიის ილუზორულ მზეს ზურგი შეაქცია, აღამიანა ამქვეყნიური ყოფნის, დედა სამშობლოს ძრწოლვით აღსაქვე ცხოვრების შუაგულში მოექცა და ამდენად ჩამდვლი მზის ცოცხალი და სურნელოვანი ყვავილების მოსაწყვეტად ხელი შორს გაიწვდინა. ილია ამ ყვავილების მოწყვეტას ვერ მოესწრო, მაგრამ ეს არავის არ აძლევს უფლებას, დღეს ილიას სახელით სიცოცხლესა და სურნელებას მოკლებული რელიგიისა და ასკეტიზმის წარმოსახვითი ყვავილები შემოგვთავაზოს. ჩვენ თუ არ ვიტყვით, ქვანი ილაღებენ იმ სიმართლეს, რომ ქართულ სინამდვილეში რელიგიის ბორკილები-საგან ხელოვნების განთავისუფლება, რელიგიურ-მიოლოგიური ფანტაზიისაგან მხატვრული ფანტაზიის ჩამოშორება ილიამ თავისი დროის მოთხოვნის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა და ამით ქართულ მწერლობასა და კულტურას ფასდაუდებელი ამაგი დასდო. ამის უარყოფა ილიას სიღიადის ჩრდილი გაქარწყლება იქნებოდა.

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის, ეთიკური შეხედულებისა და პატრიოტიკური იდეალების მოქცევა ქრისტიანული იდეოლოგიისა და ქრისტიანული პატრიოტიზმის ჩარჩოში, რომლის რეციდივებმაც თავი იჩინა ზოგიერთი სხვა ავტორის ნაწერებშიც — უხეში შეცდომაა. იგი უკან გადადგმული ნაბიჯია ანა მხოლოდ დღევანდელ მეცნიერულ დონესთან შეფარდებით, არამედ ოთხმოცდაათი წლის წინანდელ კრიტიკულ-სააზროვნო მასალასთან მიმართებაშიც. მაშინ კრიტიკოსმა ესტატე ბოსლეველმა (მისმა მაშინდელმა და მომდევნო პერიოდის თანამოაზროვნებმა), ილია ჭავჭავაძის ყველა სხვა ნაწარმოებისაგან განსხვავებით, მხოლოდ პოემა „განდევილში“ ამოიკითხეს ავტორის მხრივ ცხოვრების ჭირ-ვარამისაგან ზურგშექცევა, უკიდურესი პესიმიზმი, ასკეტიზმის ქადაგება. რის გამოც მკაცრად საყვედურობდნენ კიდევ პოე-

27 ვ. მარქსი, ჭეველის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი, თბ., 1971, გვ. 4.

მის ავტორს. დღეს კი უკვე ჩვენთვის ცნობილი კოიტეოსი საუკუნის წინანდელ შეცდომას უსაზღვროდ აფართოებს მარჯვნიდან: არა მარტო „განდეგლის“, არამედ ილიას მთელი შემოქმედების, ეროვნულ-რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიულ მნიშვნელობასა და ღირსებას ხედავს ორთოდოქსალური ქრისტიანობის, კიდევ მეტი, განდეგილობა-ასკეტობის აღიარებასა და დაცვაში. მაშასადამე, იგი, სამწუხაროდ, მრავალჯნის უკან დგამს ნაბიჯს.

პრობლემა ხომ ქართველი ხალხის კანონიერი ეროვნული სიამაყის მშვენებას — დიდ ილიას შეება და, სამწუხაროდ, მომაკვდინებელი გულგრილობის გამო აქამდე „ვერ შეგვიჩვენია“, რომ ჩვენ თვალწინ კეშმარტებასთან შეუთავსებელი თვალსაზრისი იწყებს აღორძინებას; იგი ლამობს ახელილ თვალებს ჩამოეფაროს, რომ ველარ დავინახოთ „მისი (ილიას. — ბ. დ.) ნათელი შარავანდელით შემოსილი სახე“ (ვაჟა-ფშაველა).

თანამედროვე მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში რელიგიურ-მისტიკური გომდინარეობანი, პატრიარქალური „ქრისტიანული სოციალიზმის“ მქადაგებელი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ილია ქვეყანაზე ჩვენი საიმედო მოკავშირეა. მისი მდიდარი მხატვრული და თეორიული მემკვიდრეობის ქრისტიანული თეოლოგიისა და ასკეტობის ჩარჩოში მოქცევა უმართებულო და შეუძლებელია. როგორც ისტორიული სინამდვილისადმი ერთგულების, ასევე ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის მეცნიერული საწმინდის თვალსაზრისით.

იოველ ასათიანი

კიდევ ერთხელ ივანე მაჩაბლის დაკარგვის ერთი ვერსიის შესახებ

სახელოვანი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის ტრაგიზმით აღსაყვებელი ხვედრი ყოველთვის აღელვებდა და ღელსაც აღელვებს ქართველ საზოგადოებას. ამიტომ საეხებით ბუნებრივია ის ინტერესი, რომელიც მისი დაკარგვის საკითხისადმი მიძღვნილმა სტატიებმა გამოიწვია.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ივანე მაჩაბელი დაკარგვის დღიდან ისტორიას ეკუთვნის. ისტორიულ პიროვნებაზე კი არ შეიძლება ვიშკელოთ ხეპირი გადმოცემების მიხედვით, რომლებიც სუბიექტური მოსაზრებებია და არაერთარ საბუთს არ ემყარება.

გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ (1973 წ. 22 ივნისი, № 25) გამოქვეყნებულ ჩვენს წერილში „ივანე მაჩაბლის დაკარგვის ერთი ვერსია“ მოყვანილი მოსაზრებანი ემყარება როგორც ცნობილ, ისე ჩვენს მიერ პირველად მოპოვებულ საარქივო, სამწიგნობრო, აგრეთვე შემუშავებული ლიტერატურის მასალებს. ჩვენს წერილს არავისათვის ჩრდილი არ მიუყვებია. იგი მიმართული იყო მთარული ქორებისა და ლეგენდების წინააღმდეგ, რომლებიც ფართოდ გავრცელდა ი. მაჩაბლის დაკარგვისთანავე და რომლებსაც, სამწიგნობროდ, ახლაც აქვს გასავალი საზოგადოების არც ისე მცირე ნაწილი.

ჩვენს წერილს გამოეხმაურნენ: პატივემთლი ელენე მაჩაბელი-ჩერქეზი-შვილისა („წერილი რედაქციას“. „ლიტერატურული საქართველო“, 1973 წ. 20 ივლისი, № 29), პროფესორი იოსებ ბოცვაძე („ამოუხსნელი საიდუმლო“, გაზ. „სახალხო განათლება“, 1973 წ. 3 ოქტომბერი, № 74), ოთარ ჩხეიძე („ანაქრონიზმები“, „ლიტერატურული საქართველო“, 1973 წ. 26 ოქტომბერი, № 42).

მე უთუოდ თავს შეეცავებდი საპასუხო წერილის გამოქვეყნებაზე, რომ ჩვენს ოპონენტებს ო. ჩხეიძესა და ი. ბოცვაძეს მხოლოდ განსხვავებული მოსაზრება გამოეთქვათ აღნიშნული საკითხის ირგვლივ და მით დაკმაყოფილებულიყვნენ. სამწიგნობროდ, ჩვენი წერილის ირგვლივ პოლემიკის დროს მათ პრინციპული ხასიათის შეცდომები დაუშვეს, უმართებულად წარმოგვიდგენენ საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა დუმშილით გვერდის ავლა დაუშვებლად მიგვაჩნია.

პატივემთლი ელენე მაჩაბელი-ჩერქეზი-შვილისა რამდენიმე შენიშვნას ვეთავაზობს, რაც, ავტორის აზრით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს „იოველ ასათიანის და ყველა სხვა ვერსიების სისწორის შესაფასებლად“.

ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელი იყო ყოველმხრივ გაგვეშუქებინა ხეშობით აღნიშნული ვერსიის ყველა დეტალი, რაც ალბათ საფუძველი გახდა შენიშვნებისათვის. შესაძლოა, ანალოგიური კითხვები დაებადათ ჩვენი წერა-

ლის სხვა მკითხველებსაც, რომ გამოც საჭიროდ მიიჩნია ზოგიერთ შენიშვნაზე პასუხი გავცე პატივცემულ ელენე მაჩაბელს.

სწორია, რომ „რაიმე ფაქტი ან დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდეს ი. მაჩაბლის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ღუხობორებისადმი“ არ არსებობს, მაგრამ საჭირო იყო, რომ მაჩაბელი ღუხობორებისადმი (განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში ყოფილიყო? სრულიადაც არა. ღუხობორების რწმენის გაზიარებაში ვერც ცნობილ ქართველ პუბლიცისტს, არჩილ ჯორჯაძეს დაკლებთ ბრალს, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ იგი ღუხობორების გადასახლების კომიტეტის წევრი იყო ლონდონში. იმავე კომიტეტის წევრი იყო კომუნისტური პარტიის ძველი წევრი, ვ. ი. ლენინის თანამებრძოლი ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი. ცნობილი რევოლუციონერი, ანარქისტი პეტრე კროპოტკინიც დაინტერესებული იყო ღუხობორების ბედათ. მან ეურნალ „Левый и правый социализм“-ში გამოაქვეყნა წერილი იმის თაობაზე, რომ კანადის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი კლიმატური პირობებით და პოლიტიკური თავისუფლებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს „ღუხობორების“ მუდმივ საცხოვრებელ ადგილად. ლ. ნ. ტოლსტოიმ ზემოთ აღნიშნული წერილის გაცნობისთანავე მიმართა კროპოტკინს თხოვნით, რათა იგი დახმარებოდა ღუხობორებს კანადაში დასახლებულიყვნენ. პეტრე კროპოტკინმა მაშინვე გაუგზავნა წერილი ტორონტოში თავის მეგობარს პროფესორ მეეორს, რომელშიც თხოვდა მოლაპარაკებოდა კანადის მთავრობას ლ. ტოლსტოის მიერ აღძრულ საკითხის მოსაგვარებლად. სულ მალე მიღებულ იქნა მთავრობის ნებართვა და კანადაში გადასახლდა რამდენიმე ათასი ღუხობორი¹.

ეს ფაქტები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ა. ჯორჯაძე, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი, პ. კროპოტკინი და ბევრი სხვაც თუმცა ღუხობორების რწმენას არ იზიარებდნენ, მაგრამ აქტიურად თანაუგრძნობდნენ და ეხმარებოდნენ მათ. ივანე მაჩაბელიც არ იზიარებდა ღუხობორების რწმენას, მაგრამ იგი დაეხმარა მეფის მთავრობის მიერ რწმენისათვის დევნილ ხალხს.

შენიშვნა—„თუ მაჩაბლისათვის შეიძლებოდა უპასპორტოდ წასვლა — რატომ ვერ მოახერხა ეს სულერჟეციმ, რომელიც ამისათვის ჩამოვიდა რუსეთიდან საქართველოში?“ — ალბათ იმითია გამოწვეული, რომ წერილში მე არ გადმოვეცი და ვერც გადმოვეცემდი სულერჟეციის მთელ თავგადასავალს ღუხობორების საქმესთან დაკავშირებით. სულერჟეციი არა ნარტო პირველი გემის გამოკლებლად იყო გათვალისწინებული, იგი სერგი ტოლსტოისთან ერთად რამდენიმე ათასი ღუხობორის საზღვარგარეთ გადასახლების მეტად რთულ და მძიმე საქმეს ხელმძღვანელობდა და როგორც ტოლსტოელი პოლიციის შეუწყლებელი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. სულერჟეციი, რომელსაც ლ. ტოლსტოის თხოვნით გოლიცინმა ნება დართო ბათუმში ჩასულიყო, რამდენიმე ხნის შემდეგ მისივე ბრძანებით გააძევეს საქართველოდან. ლ. ტოლსტომ განმეორებით სთხოვა გოლიცინს, ბათუმში დაბრუნების ნება მიეცა სულერჟეციისათვის, ღუხობორების ემიგრაციის „დაწყებული საქმის დასამთავრებლად“².

¹ Н. М. Пирумова, Петр Алексеевич Кропоткин Москва, 1972, გვ. 158.

² საქ. სსრ ცსიკ, ფონდი 1087, აღწ. 1, საქმე 1059, ფურც. 19.

კეკელიძის მთავარმართებელი ღუხობორების ემიგრაციის ყოველ დეტალს ატყობინებდა შინაგან საქმეთა მინისტრს გორემიკინს და მათ ლტოლვას საზღვარგარეთ ლ. ტოლსტოის და ტოლსტოელებს აბრალუბდა: „Такое нагрязненное положение дел в духоборских сби ествах обуславливается г ресследическим брожением среди духоборств-г естников, обясняется без сомнения, не прекращающимися пагубным влиянием на этих сектантов со стороны толстовских агитаторов“³.

სულერეიციკი ცნობილი იყო როგორც თავგამოდებული ტოლსტოელი, მისი ინკოგნიტოდ წასვლა საზღვარგარეთ შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ჟანდარმერებს, რის გამოც ის კვლავ შეძლებდა მონაწილეობა მიელო კანადაში კიდევ რამდენიმე ათასი ღუხობორის გადასახლების საქმეში. ამას გარდა, თვით სულერეიციკი უკვე ცნობილი მიზეზების გამო. ბათუმში დაგვიანებით ჩავიდა, როგორც იგი წერს: „...Благодаря некоторым затруднениям, я прибыл в Батуми только 6-го августа, т. е. когда духоборы уже садятся на пареход“⁴. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ სულერეიციკიმ საზღვარგარეთის პასპორტი (როგორც წერილობით მქონდა აღნიშნული) მიიღო 1898 წ. 20 ოქტომბერს, რაც აღნიშნულია თბილისის გუბერნატორის 27 ოქტომბრით დათარიღებულ წარდკინებაში მთავარმართებლის კანცელარიისადმი: „...Мещанин: города Житомира Писарь Александрович Сулержицкий получил 20-го числа текущего месяца за № 751 из моей канцелирии заграничный паспорт сроком на шесть месяцев“⁵. ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ რატომ ვერ „მოახერხა“ სულერეიციკიმ ინკოგნიტოდ წასვლა საზღვარგარეთ და რატომ შეძლო ეს ივანე მაჩაბელმა.

თუ როგორ მოხდა, რომ ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში პირველი გემის გასვლამდე ვერ მოახერხა „მთელი საქართველოსათვის ცნობილი ადამიანი“, არცთუ ისე ძნელი ასახსნელია. გემი ბათუმიდან ვაცილებით ადრე, ივნისის თვის დამლევს უნდა გასულიყო: გემის დაგვიანებით გასვლა იმით იყო გამოწვეული, რომ უკანასკნელ მომენტში ინგლისის მთავრობამ თითოეულ სულ ღუხობორზე 250 მანეთი საგარანტიო თანხა მოითხოვა. ამ დროისათვის ეს ძალაღი დადი თანხას შეადგენდა, რის გაღებაც ღუხობორებს არ შეეძლოთ.

ასეთი კრიტიკული მდგომარეობიდან ღუხობორები იხსნეს ინგლისელმა კეკელიძემ, რომლებმაც დაიყოლიეს ინგლისის მთავრობა. რომ საგარანტიო თანხა თითოეულ სულზე შეემცირებინა 150 მანეთამდე. მათვე შეკრიბეს ურთიერთშორის 100 ათასი მანეთი და ღუხობორების 50 ათას მანეთთან ერთად შედგა ის თანხა რაც საჭირო იყო გარანტიისათვის, მაგრამ ყოველივე ეს გარკვეულ დროს მოითხოვდა, რამაც განაპირობა პირველი გემის დაგვიანებით გასვლა ბათუმიდან.

რასაკვირველია, ამ ხნის განმავლობაში მაჩაბელს სადღაც მალავდნენ. ალბათ მისი აღმოჩენის საშიშროებაც კი წარმოიშვა. შესაძლოა. ამით იქნეს ახს-

3 იქვე. ფურც. 4.

4 П. Сулержицкий. В Америку с духоборцами, Москва, 1905, გვ. 10.

5 საქ. სსრ ცსია, ფონდი 1087, აღწ. 1, საქმე 1059, ფურც. 18.

წილი იმ წერილის საიდუმლოება, რომელიც 24 ივლისს მიიღო თბილისის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელმა ნოლოდინოვმა ი. მაჩაბლის ცილისმძი-სათვის გადასაცემად და როგორცაც საეკლესიო მსახურს ამოფარებული ვიღაც მისილ აბი აწერდა ხელს (ამ წერილის გარკვეული ნაწილი მოყვანილი მაქვს ჩემს წერილში). ეს უნდა გამოეგზავნა ასეთი შინაარსის წერილი „ოლენეცკის ვუბერნიოდან“, თუ არა იმ პირებს, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ, რომ მაჩაბლის მძებნელთათვის გაზაკვალი აერიათ, ეძებნათ იგი არა საქართველო-ში, არამედ მის ფარგლებს გარეთ და ამით თავიდან აეშორებინათ მისი აღმო-ჩენა საფრთხე.

მართალია, მაჩაბელი იმ პერიოდში, ოპერაციის შემდეგ ფიზიკურად ჯერ კიდევ სუსტად იყო. რა თქმა უნდა, ოჯახიც ძლიერ უყვარდა. მაგრამ ყოველი-ვე ეს ხელს ვერ შეუშლიდა ასეთი ნაბიჯი გადაედგა. როგორც აკაკი წერს: „არ შემძლია არ ვსთქვა, რომ ის იშვიათი და სამაგალითო მოვლინება არ ყოფი-ლიყოს. ნიკიერი, გრძნობა-გონებით განვითარებული და ქვეყნისათვის თავდა-დებული... ის თავის თავზე ცოტას ფიქრობს... თავსა სწირავს საზოგადოს“. ასეთ აღმზიანს მისთვის შექმნილ ვითარებაში არ შეეძლო ლ. ტოლსტოის პა-ტივისცემით. სერგი ტოლსტოის თხოვნით ადვილად და სწრაფად არ გადაწყე-ვიტა კუნძულ კვიპროსზე გამგზავრება. მაგრამ არა სამუდამოდ გადაკარგვ-ის მიზნით, არამედ დროებით.

მარჯორი უორდროპის წერილები მით არის საინტერესო. რომ მივკვანთ-ნებს ივანე მაჩაბლის საზღვარგარეთ გადაკარგვის ვერსიის რეალობაზე. რო-გორც ჩანს, ამ ვერსიას ნდობით ეპყრობოდნენ ივანე მაჩაბლის ოჯახის წევრე-ბიც. რით უნდა აიხსნას, თუ არა იმით, რომ ტრასო მაჩაბლის და ბაბო საზღვარ-გარეთ მიემგზავრება ივანე მაჩაბლის საძებნად და დახმარებისათვის მიმართავს მარჯორი უორდროპის ძმას, რომელიც იმ დროს (1902 წელს) ინგლისის კონ-სულად მუშაობდა ქერჩში.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს. დუხობორების ვერსია არც ისე საეჭვოდ უნდა მოეჩინოთ. მოულოდნელი და საბედისწერო ი. მაჩაბ-ლისათვის აღმოჩნდა კუნძული კვიპროსი. რომლის „...Знойный тропический климат и лихорадка, убившая в короткое время такое большое число людей... заставила духоборов бежать с этого губительного, ужасного острова, царства смертельной лихорадки“⁷. სამწუხაროდ, ივანე მაჩაბელი ვერ გაუტყა სასიკვდილო ციებ-ციხელების კუნძულს.

პროფ. ი. ბოცვაძე წერილში „ამოუხსნელი საიდუმლო“ გეთვავზობს ი. მა-ჩაბლის თვითმკვლელობის ვერსიას. ი. ბოცვაძე ზემოთ მოხსენებული ვერსიის დასამტკიცებლად არავითარ საბუთს არ იშველიებს. იგი ვადმოსცემს ი. მაჩაბ-ლის „შემკროსი თანამედროვის“, მასწავლებელ ივანე ბუქურაულის ნაამბობს. რომლის მსგავსი ლექსები მრავლად გავრცელდა ი. მაჩაბლის დაკარგვისთანა-ნავე და რომელთაც. სამწუხაროდ, ახლაც აქვთ გასავალი ზოგიერთთა შორის. ი. ბოცვაძის აზრით. ი. მაჩაბლის „სულიერი დებრესია“ მზადდებოდა

⁷ აკაკი წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული, ტომი XIV, თბილისი, 1961, 595.

⁷ Сулержицкий, В Америку с духоборами, Москва, 1905, გვ. 196.

წლების განმავლობაში — 1885 წ. ხელისუფლების მიერ ვაზ. „დროების“ დახურვიდან — და კულმინაციურ წერტილს მიაღწია 1892 წელს. რაც მთავარია, იგი ო. ჭავჭავაძის და ი. მაჩაბლის მოღვაწეობას საადგილმამულო ბანკში, ილიას პრინციპულ ბრძოლას ბანკის საკითხებზე არასწორად გადმოგვეყვამს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას მისი განცხადება იმის თაობაზე, რომ „ილიაჲ მაჩაბელს ყველა სამოქმედო გზა გადაუღობა. ყველგან ფეხი ამოუკვეთა. იგი ფაქტიურად მოსწყვიტა საზოგადოებრივ საქმიანობას“⁸. პროფ. ი. ბოცვაძე საკვებით დაუმსახურებლად დებს დიდ ილიას ბრალს მაჩაბლისადმი პირად მტრობაში, მის დევნაში, რაც ყოველად გაუმართლებელია. საზოგადო საქმიანობის პრინციპული ბრძოლა ილიას არასდროს არ გადაჰქონდა პირადულ მტრობაში. რის შესახებაც ნათლად მეტყველებს მისი დამოკიდებულება მოწინააღმდეგეებთანადმი. ექროდ ივანე მაჩაბლის მიმართ. ი. მაჩაბლის მიერ ანონიმური ბროშურის „თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“ გამოქვეყნების შემდეგ. საბანკო ბრძოლების ცხარე დღებშიაც კი ილია ი. მაჩაბლის ნიქს, მას მთარგმნელობითს მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდა. 1896 წელს ჟურნალ „მოამბის“ 1-ლ ნომერში გამოქვეყნებულ „იულის კეისრის“ მაჩაბლისეულ თარგმანზე ვაზ. „ივერიაში“ დაიბეჭდა ბიბლიოგრაფია, რომლის შესახებაც არ შეიძლებოდა არ სტოდნოდა ვაზეთის რედაქტორის ილია ჭავჭავაძეს. „პირველად ყოვლისა ამ ნომერში უნდა მოეხსენიოთ თარგმანი შექსპირის დრამის „იულის კეისრისა“ თ. მაჩაბლისა. ჩვენ დიდის სიამოვნებით შევხედით ამ ახალ თარგმანს და დიდ განძათაც მიგვაჩნია ჩვენის ლიტერატურისათვის ი. მაჩაბლის თარგმანები... იმედი გვაქვს აგრეთვე თ. მაჩაბელი გადაგვითარგმნის კიდევ რამდენიმე საუკეთესო დრამას შექსპირისას. დრამა ინგლისურიდან არის პირდაპირ თარგმნილი და ამით კიდევ უფრო საყურადღებოა...“⁹. ყოველივე ამის შემდეგ, როგორ შეიძლება ვალაპარაკოთ, რომ ილიამ პირადი მტრობის ნიადაგზე ი. მაჩაბელი „ფაქტიურად მოსწყვიტა საზოგადოებრივ საქმიანობას“.

პროფ. ი. ბოცვაძის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება გაუგებრობის ნიადაგზე აღმოცენებულ მცდარ შეხედულებად მიმაჩნია.

ოთარ ჩხეიძე წერილში „ანაქრონიზმები“ დარიგებებს ვეაძლევს, თუ რაზე და ვისზე შეიძლება და არ შეიძლება წერა. ო. ჩხეიძე გვისაყვედურებს არქივებში „დახროვებულ“ საბუთებს გარკვევა უნდაო. მაინც რა საფუძველი აქვს მას, ჩვენ გვიკითხოს. საბუთების კულდად შერჩევისა და წაკითხვის გამო? რატომ არ გაიშარჯა და არ გვიოხრა ჩემს წერილში მოყვანილი რომელი საბუთო არაა სწორად წაკითხული. ან რომელი მათგანი არაა სანდო და გასათვალისწინებელი?

საიდან მოიტანა ან ვინ შთაგონა ო. ჩხეიძეს, რომ ილიას პრინციპული ბრძოლა საბანკო საკითხებზე იმავე ამოცანებს ემსახურებოდა. რასაც მაჩაბელი და მისი თანამოაზრენი? რომ ორივე ზემოთ მოხსენებული მოღვაწე ტოლფარდია?

ჩვენი აზრით, ო. ჩხეიძის შთაგონების წყარო საბანკო ბრძოლის საკითხებზე მეტისმეტად მცდარი შეხედულებებია, რაც არცთუ იშვიათი მოვლენა იყო

8. ი. ბოცვაძე, ამოუხსნელი საიდუმლო. ვაზ. „სახალხო განათლება“, 1973 წ., № 74.

9 ვაზ. „ივერია“, 1896 წ. № 30.

ჩვენი საუკუნის 30 წლებში. „1895 წელს გაზაფხულში, — წერს გიორგი ლას-ხიშვილი, — მე პირველად ვიხილე საადგილმამულო ბანკის კრება და გავხდი მოწმე იმ უმაგალითო ბრძოლისა და აურზაურისა, რომელსაც მაშინ „ბანკოვი-ადას“ ეძახდნენ... ეხლა, როგორც ჩანს, ზოგი მკვლევარი ჩვენის წარსუ-ლისა, ცდილობს პრინციპიალური სარჩული გამოუქმენოს ამ დავას და ბრძო-ლას, მაგრამ მე ვფიქრობ, ეს ამაო ცდა არის. რაც არ ყოფილა, იმას ვერ იპოვი“¹⁰.

ზოგიერთი მკვლევარი იქამდეც კი მივიდა, რომ საბანკო ბრძოლაში მხო-ლოდ პირადი ინტერესების შეჭახება დაინახა და მაშინდელი ბრძოლის ვითარება ისე წარმოგიდგინა თითქოს საქმე მხოლოდ იმაში იყო, თუ ვინ, ან რომელი ჯგუფი ჩაიგდებდა ხელში საადგილმამულო ბანკს, რადგან იგი მოზრდი-ლი და გემრიელი ლუკმა იყო. ზემოთ მოტანილი მოსაზრებები კომენტარს არ საჭიროებენ, ისინი თავისთავად მეტყველებენ მათ მეცნიერულ ღირსებაზე.

სამწუხარო მოვლენად მიგვაჩნია ის, რომ ზემოთ მოტანილი მოსაზრებების რეციდივებს 70-იან წლებშიც ვხვდებით. „ახლა რა თქმა უნდა, — წერს მწერა-ლი ვახტანგ ქელიძე. — უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერავითარი ბან-კის მოგება. ვერავითარი ფული ვერ აანაზღაურებს ილიასა და მაჩაბლის იმ ძვირფას დროსა და ჯანმრთელობას, რაც ხშირად სრულიად დაწვრილმანებულს და არარსებითს დავაში იფლანგებოდა“. (ხაზი ჩემია ო. ა.). ო. ჩხეიძე უყოყმა-ნოდ იმეორებს იმასვე: „რამეთუ მიზანი ერთია ორივესი, სალოცავი ერთია ორივესი. აქ მხოლოდ სიწვრიმალეს გადაყოლილი ადამიანები თუ ვერ გაერ-კნენ მაშინაცა...“¹² თუ ზემოთ მოყვანილი ადგლებს მიხედვით ვიმსჯელებთ, ი. ჭავჭავაძის ბრძოლა საადგილმამულო ბანკისათვის უპრინციპო იყო, პირად ინტერესებს ემყარებოდა, დაწვრილმანებულს და არარსებითს დავაში იფლან-გებოდა ძვირფასი დრო, ერთი და იგივე მიზნები ამოძრავებდათ ბანკისათვის მებრძოლ მხარეებს, როგორ გეკადრებათ, ეს ხომ მნიშვნელოვანი საკითხის მეტისმეტი გაუბრალოებაა.

მოკუსმინით ილიას, ვფიქრობ, მისი სიტყვა გადამწყვეტა იქნება ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად: „ამ საქმეს ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძ-ლევიდით და ვაძლევთ კიდევ. თუნდ თავი დაეანებოთ იმას. რომ ბანკები ლო-ნისძიებან გვაძლევენ ფულის სესხად შოვნისას, ნურც იმას გავიხსენებთ, რომ ამ ორს ჩვენს ბანკს შეუძლიანთ, ცოტა რომ ვსთქვათ, წელიწადში ორი ათასის თუმნის შეძენა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ამას ყველაფერი თავი დაეანებოთ გაუსინჯოთ ბანკი იმ მხრით, რა მხრითაც იგი უფრო სანატრე-ლი უნდა იყვეს. მათთვის, ვისაც სწამს ძალა თვითმოქმედებისა ქვეყნის სად-ლეგრძელოდ და საბედნიეროდ. ჩვენ, თევზისა არ იყოს, პირი სავსე გვაქვს წვლითა და ვრცლად მითითებით ვერას ვიტყვი, მაგრამ ვინც ამ მხრით ღრმად დააკვირდება ჩვენის ბანკების არსებობას და საფუძვლიანად თავიდამ ბოლომ-დე გავაღებს გონების თვალსა, ის, რასაკვირველია. დაგვეთანხმება, რომ აქაც ბანკის საქმეში, როგორც ყველაფერ სხვაში, ჩვენის ყელის საბელის ჩვენს ხელშივე ჩადგება ჩვენთვის სანატრელიც უნდა იყოს და სასიხარულოც. ეს საქმე ამ მხრით ჩვენთვის დიდი რამ არის, დღეს „შემთხვევისა გამო სხვისა და

¹⁰ გ. ლასხიშვილი, მემუარები, ტფ., 1933, გვ. 93—94.

¹¹ ვ. ქელიძე, ივანე მაჩაბელი, თბ., 1968, გვ. 316.

¹² ო. ჩხეიძე, ანაქრონიზმები, „ლიტერატურული საქართველო“, 1973 წ., № 42.

სხვისა“ ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლოდობითი მოედანი, რომელზედაც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიღვას, გაიწურთნოს, გაინაეარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ. ჩვენმა ზნეობითმა ძალ-ღონემ“¹³.

როგორც ჩანს, არა პირადი ინტერესი, არა მარტო მოგების მიღება საზოგადო საჭიროებისათვის წარმოადგენდა საფუძველს ილიას პრინციპული ბრძოლისას საბანკო საკითხებში, არამედ ის დიდი ამოცანები, რასაც ჩვენი სახელოვანი თერგდალეულები უსახავენ ბანკს, როგორც ერის თვითმოქმედების სარბიელს. ილიას ბანკი სჭირდებოდა ქართული საქმისათვის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საბრძოლო იარაღთა არსენალში მას განსაკუთრებულ როლს აკუთვნებდა. ამიტომ უდიერობა იქნებოდა საბანკო ბრძოლები წარმოგვედგინა „უპრინციპო“, „პირადი ინტერესებისათვის ბრძოლად“, „დაწერილობანებულ არა არსებით დავად“ და ვინც ამ დავაში პრინციპულ ბრძოლას წედავს, „სიწვირილმანეს გადაყოლილ ადამიანად“ მოგვენათლა. ილიას მიმართვა მათდამი, ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არ შურს, ის დიდი სიფრთხილით, დიდი მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველ საგანს, ყოველ აზრს ბანკის შესახებ, დღესაც ძალაში რჩება. ამას მოითხოვს ჩვენი წარსულის ობიექტური განვკერტა, მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ინტერესები.

ო. ჩხეიძემ ი. მაჩაბელიც ეროვნული კარჩაყეტილობის მომხრედ მონათლა. თავს ნებას მაცემს აქვე მოვიყვანო ადგილი მისი წერილიდან: „ვინც კარგად იცოდა, დუხობობების პრობლემა ქართული პრობლემა რომ არასოდესა ყოფილა და არაფერი გაიტაცებდა ივანე მაჩაბელსა. რაც არ იყო ქართული, რაც არას არგოდა საქართველოსა“¹⁴. ვფიქრობ, კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ უმჯობესი იქნება თვით ი. მაჩაბელს მივცეთ სიტყვა ო. ჩხეიძის ზემოთყვანილი გამონათქვამის შესაფასებლად.

ქერ კიდევ 1885 წელს ი. მაჩაბელი ცენზურის მიერ აკრძალულ გაზ. „დროების“ ერთ-ერთ მოწინავე სტატიამი წერდა: „აქ სხვა რამეც არის საჭირო და არა მარტო დაბუდება ეროვნების ვიწრო ბუდეში... ჩვენს დროში სამუდამოდ დაიმარხა ის სისტემა, რომელსაც მარტო ყველა ეროვნული „ჩვენ“ სწამდა და ამის მეტს ყურადღებას არას აქცევდა... თვითველი ხალხი ეკუთვნის არა მარტო თავის თავს, არამედ სხვებსაც, სწორედ ისე. როგორც ცალკე კერძო პირი — საზოგადოებასაც და არა მარტო თავის თავს“¹⁵. სხვას რომ თავი დაეანებოთ, ი. მაჩაბლის ზემოთ მოყვანილი წერილის რამდენიმე სტრიქონიც ნათლად ადასტურებს, რომ ი. მაჩაბელს საეგზეთ სწორად ესმოდა პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი და ეროვნული კარჩაყეტილობის ვიწრო ბუდე თავის მოღვაწეობის ასპარეზად არასოდეს გაუხსნია.

მაშ რატომ, რა საბუთით ბრძანებს ო. ჩხეიძე, რომ ივანე მაჩაბელი მონაწილეობას არ მიიღებდა ისეთ საქმეში. „რაც არ იყო ქართული, რაც არას არგოდა საქართველოსა“.

13 ლია ქავჭავაძე, თხზ. ტ. 5. თბილისი, 1955, გვ. 49—50.

14 ო. ჩხეიძე. „ანაქრონიზმები“.

15 „საისტორიო მოამბე“, 9, 1966, გვ. 328.

არდაშირ პაპაქის ძის საქმეთა წიგნი

**ფალაურიდან თარგმნა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ ე ო ჩ ხ ე ი ძ ე მ,
რედაქტორი ქ. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თბილისი, 1976**

სასანურმა ირანმა შექმნა მდიდარი მწერლობა (მხატვრული, ისტორიული, იურიდიული, რელიგიური...). სამწუხაროდ, ამ მწერლობის ნიმუშების უმრავლესობა განადგურდა არაბთა შემოსევებისა და ბატონობის ხანაში. ჩვენამდე მოაღწია დაახლოებით 14 ძეგლმა. მათი უმეტესობა რელიგიური ხასიათისაა. შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი საერო ლიტერატურა. ეს აიხსნება იმით, რომ მაზდეანური სარწმუნოების მესვეურნი პირველ რიგში რელიგიური ხასიათის ძეგლებს უფრთხილდებოდნენ. ბევრი ძეგლი დაღუპვას გადაარჩინეს იმათ, ვინც თავშესაფარი ინდოეთში პოვა და რომელთა ჩამომავლები (პარსები) დღესაც მაზდეანურ სარწმუნოებას აღიარებენ. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ფრანგი მეცნიერი ანკეტილ დიუ პერონი პარსთა წრეში გაეცნო ძველ სპარსულ მწერლობას და მისი გადარჩენილი ნიმუშები გააკონ დასავლეთ ევროპას. ამ დროიდან იწყება ძველი სპარსეთის ისტორიის, მწერლობისა და ხელოვნების ინტენსიური შესწავლა. თვითონ პარსმა მეცნიერებმა გამოსცეს სასანური ირანის მთელი რიგი ძეგლები ვრცელი კომენტარებითა და ლექსიკონებით.

სასანური ირანის საერო ლიტერატურას განეკუთვნება ანონიმური ავტორის „არდაშირ პაპაქის ძის საქმეთა წიგნი“ („ქარნამაკ-ი არდაშირ-ი პაპაქანი“). ესაა მცირე მოცულობის რომანი. რომლის სიუჟეტს შეადგენს არდაშირ I ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა. გაკვრით ლაპარაკია აგრეთვე შაპურ I და ოპრამაზდ I-ზეც.

„არდაშირ პაპაქის ძის საქმეთა წიგნი“ ჯერ კიდევ VIII საუკუნეში არაბულ ენაზე ითარგმნა. IX საუკუნის დამდეგს განეკუთვნება არაბულად გალექსილი „არდაშირის ცხოვრების წიგნი“. ამ ფალაურ ნაწარმოებს, როგორც ჩანს, იცნობდნენ სომხეთშიც და ბიზანტიაშიც. „ქარნამაკ“ თარგმნილია გერმანულ ენაზეც. ამჟამად დროს, იგი ყოველთვის იყო და არის ინტენსიური ყურადღებისა და შესწავლის საგანი. საშუალო სპარსულ ენაზე შექმნილი ეს რომანი (და უაღრესად საინტერესო წყარო) ახლა ხელმისაწვდომი ხდება ქართული მკითხველისთვისაც თუო ჩხეიძის თარგმანის წყალობით. საერთოდ კი ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება ფალაური ნაწარმოები.

თუო ჩხეიძე კარგა ხანია მუშაობს სასანური ირანის ისტორიისა და მწერლობის საკითხებზე. ამიტომაც, რომ ჩვენ მივიღეთ არა მარტო ფალაური ძეგლის შესანიშნავი თარგმანი, არამედ ჩინებულად შესრულებული გამოკვლევაიც.

წიგნში მოთავსებულია არღამირ I ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი თხზულების ქართული თარგმანი (გვ. 41—64), ფალაური ტექსტი (გვ. 07—058). ფალაურ-ქართული ლექსიკონი (გვ. 70—164), ფალაურ ტერმინთა ნუსხა (გვ. 165—197) და საქმაოდ ვრცელი შესავალი (გვ. 3—40). წიგნს წამძღვარებული აქვს რედაქტორის პატარა წინასიტყვაობა ახალ სპარსულ ენაზე (გვ. 03—05), რომელშიაც მიმოხილულია საშუალო სპარსული ენისა და ლიტერატურის შესწავლის მდგომარეობა საქართველოში.

თეო ჩხეიძე იზიარებს იმ აზრს, „რომ ჩვენამდე მოღწეული ტექსტი წარმოადგენს უფრო ვრცელი თხზულების შემოკლებულ რედაქციას“ (გვ. 4). ეს მოსაზრება არგუმენტირებულია იმ რეალიებით, რომელიც ჩვენ არღამირ I დაკავშირებით არაბ და სპარსულ მწერალთა თხზულებებში გვხვდება.

მთარგმნელი „შესავალში“ მკითხველს გაეკრით აცნობს სასაწერო ირანის პოლიტიკურ ვითარებას. სოციალურ განლაგებას, სახელმწიფო ინსტიტუტებს, საეკლესიო და საჯარო თანამდებობებს. მთავარი ყურადღება კი გადააქვს ფალაური ნაწარმოებთა რაობა-მნიშვნელობაზე. თავის გამოკვლევაში იგი იმომეებს XIX და XX საუკუნეების თითქმის ყველა გამოჩენილი ირანისტიკოსის აზრს „არღამირ პაპაქის ძის საქმეთა წიგნზე“. ამავე დროს, მას გამოთქმული აქვს ორიგინალური შეხედულებებიც. საეცებით დამაჯერებელია მისი მსჯელობა და მოსაზრებანი ნაწარმოების შექმნის ადგილისა და ავტორის ვინაობის შესახებ (გვ. 8—10). თუმცა შეიძლება დამტკიცებას მოითხოვდეს მკვლევარის აზრი, რომ „ეს ძეგლი შეიქმნა იმპერიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ფარსში“ (გვ. 10).

„ქარნამაქიდან“ მკაფიოდ ჩანს ცვლილებები, რომელიც ირანმა განიცადა III—IV საუკუნეების შემდეგ. V—VI საუკუნეებში ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. საზოგადოებრივი, ეკონომიური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით, გაცილებით უფრო დაწინაურებული იყო. ვიდრე სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ამიტომ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ქარნამაქ“ დაწერილი ყოფილიყო იქ, სადაც VI საუკუნეში ირანის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი არსებობდა.

თეო ჩხეიძე საეცებით მართებულად აღნიშნავს: „ყველა მოტანილი ფაქტის გათვალისწინებით, შეიძლება მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენამდე მოღწეული ტექსტი დაწერილია დაახლოებით VI—VII საუკუნეებში. უფრო ზუსტად, არა უადრეს VI-ისა და არა უგვიანეს VII-ისა“ (გვ. 7). ამავე მოსაზრებას, დასძენს მკვლევარი, გამოთქვამდნენ თ. ნელდევე და ა. გუტშმიდი (იქვე). მართლაც, „ქარნამაქ“ არ შეიძლება დაეცალით VI საუკუნეს. სწორედ ამ დროს ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები სასაწერო ირანის საზოგადოებრივსა და ეკონომიურ ცხოვრებაში (გაეხსენათ ზოსრო ანუ შირვან I „რეფორმები“). ასეთ ვითარებაში უნდა დაწერილიყო ისეთი თხზულება, რომელიც ამ ცვლილებებს საფუძველს III საუკუნეში მოუძებნიდა. VI საუკუნეში მომხდარ ცვლილებებს ჰყავდა როგორც თავის მომხრენი. ისე მოწინააღმდეგენი. თავიანთ შეხედულებას თუ მისწრაფებას ყველა არღამირ I-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობას ხანას უკავშირებდა. ამიტომაც რომ „ეს ნაწარმოები არ არის ისტორიული სინამდვილის ამსახველი“ (გვ. 10).

VI საუკუნეში მომხდარი ცვლილებების ამსახველად ალბათ გამოყენებული იყო ძველი ლეგენდაც, ოღონდ ეს ლეგენდა დროს შესაფერისად უნდა

ყოფილიყო გადამუშავებული. მეკლევრის სიტყვებით რომ ვთქვათ. „ესაა ძველი ლეგენდა, ჩაწერილი და გადამუშავებული, რომლის კავშირი სხვა ანალოგიური ტიპის ლეგენდებთან სასესებით ნათელია“ (გვ. 10).

„ქარნაშაის“ VI—VII საუკუნეებით დათარიღებას სხვადასხვა მონაცემებთან ერთად (ამ თვალსაზრისით უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს გვიან გაჩენილი თანამედროვეების დასახელება) მხარს უჭერს ისიც, რომ მასში ლაპარაკია ქადრაკის თამაშზე (გვ. 7) და იხსენიება თურქთა ზაყანი (იქვე). ქადრაკის სპარსეთში გავრცელება და თურქებთან სპარსელების ურთიერთობა მხოლოდ VI საუკუნის საკმაოდ ენობილ ფაქტებს განეკუთვნება.

თვით ჩხეიძეს შეხანაწიწად აქვს გამართული ფალაურ-ქართული ლექსიკონი. ფაქტიურად ეს არის ფალაურ-ქართული ლექსიკონის შედგენილი პირველი ცდა ქართულ საბჭოურ ორიენტალისტიკაში. ლექსიკონში ყურადღებას იქცევს არაერთი დაკვირვება. მოსაზრება, მტკიცება და ჰიპოთეზა. მოშველიებულეა ქართული და სომხური მასალებიც. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ირანული წარმომავლობის იმ ტერმინებს, რომლებიც უძველეს ქართულ და სომხურ წყაროებშია დამოწმებული. ამგვარ ტერმინთა განმარტებები ერთნაირად საყურადღებოა როგორც ლინგვისტი-ფილოლოგებისათვის. ისე ისტორიკოსებისათვის. თუმცა ამ მხრივ მას ქართველ ირანისტთა შორის წინამორბედებაც მოუბოვება (ისინი დასახელებული არიან კიდევ რედაქტორის ჯ. გუნუაშვილის წინასიტყვაობაში და თვითონ ლექსიკონის შემდგენელი არაერთგან დასახელებს მათ). თითოეული ფალაური ტერმინის განმარტებისას ხანმოკლეა არის შესრულებული სამეცნიერო აპარატი. ყველაფრიდან ჩანს, რომ „ქარნაშაი“-ის მთარგმნელი და მკვლევარი თანამედროვე ირანისტიკის მიღწევათა დონეზე დგას.

ერთი სიტყვით, თვით ჩხეიძის ახალი წიგნი არ შეიძლება არ მივიჩნიოთ ქართული ორიენტალისტიკური მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძინად. ამავე დროს იგი წარმოადგენს ქართული საბჭოური ორიენტალისტიკის განვითარების უეჭველ დადასტურებასაც.

ამჟამად მიღწევა-წარმარტებასთან ერთად შეინიშნება ზოგიერთი უზუსტობაც, რაც ახალ გამოცემაში სულ ადვილად შეიძლება გასწორდეს: ქვემოთ მოგვაქვს თითქმის ყველა შენიშნული მავალით:

თარგმანში „ბატონის“ ჩაგვირ (გვ. 37, 46) სჯობდა ყოფილიყო „უფალი“ (მდრ. ქართ. „უფალი“, „მამფალი“). xvalāi (ახალ სპარს. „ხოდა“) ასევეა განმარტებული ლექსიკონში. (გვ. 141). სხვათა შორის, ეს კარგად არის ასახული სპარსული წარმოშობის ქართულ ტერმინშიც „ხოდაბუნი“ („საუფლო მ-წა“). უფრო გვიან „საბატონო მიწა“).

არდაშირ I გადამწყვეტ ბრძოლაში არტაბან V დაამარცხა არა 226 წელს (გვ. 3, 14, შენ. 24). არამედ 224 წელს. ორგან გამეორებული შეცდომა გასწორებული ჩანს ლექსიკონში. სადაც არტაბან V-ის ზეობის წლები განსაზღვრულაა 215—224 წლით (გვ. 77). 224 წელი არტაბან V-ის დამარცხების თარიღია. 226 წელი არდაშირ I შაჰანშაჰად ხელდასმის წელი.

სწორია ა. ქრისტენსენის აზრი, რომ xāzā „ესაა vāspuhr-ზე დაბალი ფენა არისტოკრატიისა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, განფენილი მთელ სამეფოში“. მაგრამ სწორი არაა, ის, რომ „მისი უმეტესი ნაწილი ახორციელებდა პროვინციების მმართველობას“ (გვ. 33).

შესწორებას მოითხოვს ა. ქრისტენსენის სხვა მოსაზრებაც. არაბი ისტორიკოსების mulukat tawā'if-იებს („ტომთა მეფეებს“) არაფერი აქვთ საერთო katalak xvtai-სთან (გვ. 29). უკანასკნელი არ წარმოადგენს პირველის თარგმანს. katalak xvtai ნიშნავს „სასაღოს უფალს“, „მამასახლისს“ (შდრ. მერმინდელი „ქეთხოდა“). ე. ჰერცველდას მიაუღვით „ესაა წვრილი ირანული არისტოკრატის აღმნიშვნელი ტერმინი“ (გვ. 29). მაართალ ჩანს ე. ჰერცველდი და არა ჩვენი მკვლევარი. ამიტომ ვერ გავიზიარებთ მის მტკიცებას, „რომ ქარნამაკში ამ ტიტულს მატარებელი უფრო პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლებია. ვიდრე ეს ე. ჰერცველდს აქვს აღნიშნული Paikuli-ის წარწერის საფუძველზე“ (იქვე).

მოგვაქვს სხვა საბუთიც. ისლამის პერიოდის აღმოსავლურ (არაბულ, სპარსულ...) საისტორიო ნაწარმოებებში mulukat tawā'if ყოველთვის ნიშნავდა პოლიტიკურ დაქსაქსულობას, არა მარტო „დროის მონაკვეთს ალექსანდრეს შემდეგ სასანელების გამოჩენამდე“ (გვ. 29). არამედ საერთოდ ყველა პერიოდის პოლიტიკურ დაშლილობას. პრავალმაჯრობას, მრავალმფლობას.

მართალი არაა არც ე. პიგულევსკაია, როცა III—V საუკუნეებს მიიჩნევს ირანის ისტორიის ადრეფეოდალურ ხანად (გვ. 37). ადრეფეოდალური ხანა ირანის და საზოგადოდ. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ განვითარებაში მოიცავს VI—X საუკუნეებს. თეო ჩხეიძე იმოწმებს ჩვენს მოსაზრებასაც („ე. გაბაშვილის სიტყვებით. ფეოდალიზმის გამარჯვება ირანში დასტურდება VI საუკუნისათვის“). მაგრამ ჩვენ ფეოდალიზმის გამარჯვებაში ვგულისხმობთ ადრეფეოდალური ხანის დაწყებას.

მართებული არაა არც ნ. პიგულევსკაიას ის მტკიცება, რომ „ფეოდალური ურთიერთობის გაძლიერება... დაიწყო VI საუკუნის შემდეგ“ (გვ. 37). არაბთა შეღმოსევებმა და ბატონობამ, პირიქით. შეანელა ფეოდალურ ურთიერთობათა გაძლიერება. VI საუკუნის ირანში დაწყებული ფეოდალიზაციის პროცესი, კვლავ სწრაფი ტემპით ვითარდება მხოლოდ VIII საუკუნის შუაწლებიდან მოყოლებული. როცა აბასელებმა ირანული ფეოდალური ელემენტების დახმარებით გამარჯვებას მიაღწიეს. აბასელთა სახალიფოს სახით VIII საუკუნის მეორე ნახევარში ყალიბდება ადრეფეოდალური ტიპის სახელმწიფო. მსგავსი რამ მანამდე არც ირანში და არც სხვაგან არ არსებობდა. აბასელთა სახელმწიფო, აკად. ე. ბარტოლის თქმით. წარმოადგენდა სასანური ირანის სახელმწიფოს ერთგვარ გაგრძელებას. ოღონდ უფრო რთულს სოციალურ-ეკონომიურ პირობებსა და უფრო ვრცელს ტერიტორიაზე. ამრიგად. ფეოდალური ურთიერთობანი ირანსა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ძლიერდება და ვითარდება არა VI საუკუნის შემდეგ, არამედ VIII საუკუნეში.

თარგმანც და გამოკვლევაც კარგი ქართულით არის შესრულებული. მხოლოდ აქ-იქ გვხვდება ორიოდე გაუმართავი წინადადება. მაგ., „მოგვების ლოკალიზაციისა და უდიდესი გავლენის სფერო იყო მიდია“ (გვ. 34). „დაქარავებული. უცხოელი სალდათებისათვის“ (გვ. 121).

ჩვენ მიერ გამოთქმული შენიშვნები ოდნეადაც არ ამცირებს „ქარნამაკის“ ქართული თარგმანისა და გამოკვლევის ღირსებას. ზოგიერთი უზუსტობა გამოწვეულია იმით. რომ სასანური ირანის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხები ჯერ კიდევ არაა ჭეოვნად შესწავლილი. საჭირო სისრულით არაა გამოყენებული არც ფალური ძეგლები. წარწერები და არქეოლოგიური მონაპო-

ვარი. თვალსაჩინოა აზრთა სხვადასხვაობაც სასაზღვრო ირანის ისტორიის ამა თუ იმ მოვლენასთან, ფაქტთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მკვლევარი მარჯვედ იყენებს ირანისტიკის ყველა პოზიტიურ მიღწევას, მის განკარგულებაშია წყაროებისა და ლიტერატურის ფართო წრე. ყველაფერი ეს ცხადად ვლინდება როგორც თარგმანში, ისე მისთვის წამძღვარებულ გამოკვლევაში.

მთავარი მაინც ისაა, რომ თეო ჩხეიძეს ქართულ ორიენტალისტიკურ მეცნიერებაში პირველად შემოაქვს ერთ-ერთი თვალსაჩინო ფალაური ლიტერატურული ნაწარმოები. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ აგი წომავალშიც განაგრძობს ამ მიმართულებით მუშაობას და ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომს გახდის ფალაური მწერლობის სხვა ნიმუშებსაც.

პალმრინა გაბაშკილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ელენე ვირსალაძე



ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარღაიცივალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანაშრომელი, მეცნიერების დამახსოვრებელი მოღვაწე, ფოლოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელენე ზაგრაძის ასული ვირსალაძე.

ელ. ვირსალაძე დაიბადა 1911 წ. თბილისში. 1927 წელს დაამთავრა თბილისის მერვე შრომის სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლოლოგიურ ფაკულტეტზე. 1932—1935 წლებში სწავლობდა ლენინგრადში ლიტერატურის, ენისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1936 წ. ლენინგრადშივე დაიწვა საკანდიდატო დისერტაცია და ქართველ ქალთაგან ერთ-ერთმა პირველმა შოიოვა სამეცნიერო ხარისხი.

1944 წელს ელ. ვირსალაძემ პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ძირითად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ეწეოდა. ელ. ვირსალაძემ 1964 წ. წარმატებით

დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1976 წ. აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგედ.

ქართული ფოლკლორის კვლევა ელ. ვირსალაძემ ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ფართო დიაპაზონისა და დიდი ერთეულის მეცნიერმა გაამდიდრა საბჭოთა ფოლკლორისტიკა მნიშვნელოვანი მონოგრაფიებითა და წიგნებით. ელ. ვირსალაძის მეცნიერული მოღვაწეობა მეტად მრავალმხრივია. იგი საშური გულმოდგინებით იკვლევდა უანობრივად მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა საეოსხს. მკვლევარს ერთნაირად აინტერესებდა მითოლოგიის პრობლემები, ეპიკური ტრადიციების თავისებურებანი, ხალხური ლირიკის სახეები, თანამედროვე თემატიკის ფოლკლორში ასახვის ფორმები, ხალხური ლეგენდები და გაღმრცეწები. ფოლკლორულ-ლიტერატურული ურთიერთობანი, ტექსტოლოგიური ხასიათის ძიებანი და კიდევ ბევრი სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის შრომა, რომელიც მეცნიერმა ბიბლიოგრაფიული ხასიათის სამუშაოთა განხორციელებას შეაღია.

ელ. ვირსალაძემ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ქართული ზღაპრების გენეზისს და მათი შემეცნებითი თუ ესთეტიკური ღირებულებების ჩვენებით, მსოფლიო ფოლკლორში ეროვნული ზღაპრების ადგილისა და სპეციფიკის გარკვევით მეტად საინტერესო დასკვნები გააკეთა. ელ. ვირსალაძის გამოკვლევათა შორის განსაკუთრებული ღირებულების მქონეა „ქართული სამონადირეო ეპოსი“, რომელიც საზოგადოებრივი წყობის ერთ-ერთ უძველეს ფორმასთან დაკავშირებულ ფოლკლორის შეისწავლის და ზეპირსიტყვიერების ისტორიის უადრესი პერიოდის შესახებ საეტაპო მნიშვნელობის მონოგრაფიას წარმოადგენს. 1976 წ. მოსკოვში დაიბეჭდა ამ წიგნის ვადამუშავებული ვარიანტი, რომელმაც უკვე ფართო გამოხმარება პოვა სპეციალისტებსა და ფოლკლორით დაინტერესებულ წრეებში.

ელ. ვირსალაძე 1960-მდე შრომის ავტორია, ისინი გამოქვეყნებულია არა მარტო ქართულ და რუსულ, არამედ უცხო ენებზეც. მას იცნობენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც.

საკავშირო თუ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე წაკითხული მისი მოხსენებები უურადღებას იმსახურებდნენ საკითხთა პრობლემურობით და მოკლენათა მასშტაბური განხილვით, ღრმამეცნიერული დასკვნებით. 1974 წ. ელ. ვირხალაძე ნარატიული ფოლკლორის საერთაშორისო საზოგადოების წევრი გახდა.

გამორჩენილმა ფოლკლორისტმა დიდი ამაგი დახლო ეროვნული საუწესის შექრებას. მისი ხელმძღვანელობით არა ერთი და ორი ფოლკლორული ექსპედიცია მოეწყო მთიულეთ-გუდამაყარში, რაჭაში, ქართლსა და კახეთში, გურიასა თუ იმერეთში... იგი არა მარტო დაკვირვებით იწერდა მახალებს, არამედ გულმოდგინედ სწავლობდა და აქვეყნებდა მათ. არ მოიპოვება სოლიდური ფოლკლორული ბასიათის წიგნები, რომელთა გამოცემებშიც ელ. ვირხალაძეს მონაწილეობა არ მიეღო როგორც ხელ-

მძღვანელს, რედაქტორს ან შემდგენელს. იგი წლებს მანძილზე არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. 1973 წლიდან თბილისის კალინინის რაიონის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

დიდი მეცნიერის, გულისხმიერი პედაგოგისა და სანიმუშო მოქალაქის სახე დაუვიწყარი იქნება. □

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო საბიძილური განათლების საშინისტრო: შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტორიის ინსტიტუტი; საქართველოს საისტორიო საზოგადოება: პალინიის რაიონის ქალთა კომიტეტი.

ქსკლი წიგნები

გამოცემლობა „მაცნიერება“

გ რ ი გ ო ლ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე თანამედროვე ქართული პოეზია (ოციანი წლები)

რედაქტორი მ. აბულაძე

ნაშრომი შესწავლილი და განზოგადებულია თანამედროვე ქართული პოეზიის 20-იანი წლების პერიოდის ჩამოყალიბების გზა, დადგენილია განვითარების ეტაპები, გარკვეული და შეჯამებულია მისი თავისებური ხასიათი. მიზნით, გულდასმით დამუშავებული და შესწავლილი მთელი ეს პოეტური პროდუქცია, რომელიც შეიქმნა ამ პერიოდში, გათვალისწინებული და შეფასებულია 20-იანი წლების ქართულ მწერლობაში ლიტერატურულ დაჯგუფებათა („ციხფერი ყანწები“, „პროლეტარული მწერლობა“, „ფუტურისტ-ლექსები“, „აკადემიური ასოციაცია“, „არაფიონი“) მნიშვნელობა და წვლილი ქართული საბჭოთა პოეზიის ჩამოყალიბებასა და დადგენაში.

210 გვ., ფასი 2 მან. 70 კაპ., ტირაჟი 3500.

ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე შრომები, II

რედაქტორები: გ. ნიწუა, ც. ქუროციკიძე

წიგნში თავმოყრილია მის მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული შრომები, რომლებიც ეხება ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიას. ძველი ქართული ენის ლექსიკას, სომხურ-ქართულ ლექსიკოლოგიურ ურთიერთობებს, ალბანურ ლამწერლობას და სხვ. აქვე შეზღოვის გამოკვლევათა სერია, რომელიც იბეჭდებოდა სათაურით — „ეფესისტყაოსნის ლექსიკონი“. ამასთანავე ლექსიკოლოგიური და გრამატიკული საკითხებისადმი მიძღვნილი ისეთი ნაშრომებიც, რომლებიც აერთებს გამოქვეყნებულ დარჩა და მის პირად არქივშია დაცული.

287 ფასი 2 მან. 50 კაპ., ტირაჟი 1200.

ვ. მ ა ც ა ბ ე რ ი ძ ე ქართული სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემელნი

რედაქტორი მ. ჩიქოვანი

ნაშრომი მიზნად ისახავს რევოლუციამდელი ქართული სახალხო წიგნების მეცნიერულ-პოპულარულ განხილვას; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული პ. უმიკაშვილის, ზ. ტიქინაძისა და კ. გვარამიძის მიერ შედგენილ ისეთ გამოცემებზე, როგორცაა „არსენას ლექსი“, „ეთერიანი“, „მეფე ირაკლის გლეხი გმირები“. აპარისა და სამეცნიერო ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მუშა-ხელოსანთა ნაწერები, ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა ბიოგრაფიები და მისთანანი, რომლებიც ხელს უწყობდნენ მკითხველთა თვითგანვითარებასა და პოლიტიკურ-რევოლუციურ გათვითცნობიერებას.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ გამოცემელნი სახალხო წიგნების შედგენა-გამოცემისა და გავრცელების საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ რუსი რევოლუციონერი დემოკრატების შეხედულებებით.

104 გვ., ფასი 85 კაპ., ტირაჟი 4500.

ზ. კ ი კ ნ ა ძ ე შუამდინარული მითოლოგია

რედაქტორი თ. გამყრელიძე

ნაშრომში განხილულია ძველი შუამდინარული (შუმგურულ-აქადური) მითოლოგიის ძირითადი საკითხები: სამყაროს წარმოშობა, ადამიანის შექმნა და ცივილიზაციის დაფუძნება; წარღვნის მითოსი და სხვ.

ტექსტში გამოყენებულია პირველწყაროები შუმგურულ და აქადურ ენებზე — მითოლოგიური, ეპიკური, პიწნოგრაფიული, ისტორიული და სხვა ხასიათის ლიტერატურა.

240 გვ., ფასი 1 მან. 50 კაპ., ტირაჟი 5000.

**იოანე დამასკელი
დიალექტიკა**

ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფაევამ

წიგნში ქვეყნდება იოანე დამასკელის ფილოსოფიური ნაწარმოების „დიალექტიკის“ ქართული თარგმანების პარალელური ტექსტები.

ტექსტება უძლეა გამოკვლევა, რომელსაც განხილულია „დიალექტიკის“ ეგრემ მკითხველსა და არსენი იყალთოელის თარგმანთა რედაქციები. მთარგმნელობით მეთოდთან დაკავშირებული ზოგი საკითხი.

ნაშრომს ერთვს ფილოსოფიურ ტერმინთა ლექსიკონი-სამიუბელი, რომელიც წარმოადგენს ძველი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სისტემატიზაციის პირველ ცდას.

„დიალექტიკა“ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ფილოსოფიური და მსოფლმსწველობრივი აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში.

300 გვ., ფასი 3 მან. 65 კაპ., ტირაჟი 1200.

**იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების
წელიწადული**

მთავარი რედაქტორი არ. ჩიქობავა

„წელიწადული“ III ტომში დაბეჭდილია ნაშრომები ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ, სახური, დაღესტნური ენების ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის საკითხებზე; გამოქვეყნებულია რეცენზიები ახლად გამოცემული ლიტერატურის შესახებ და ინფორმაცია 1975 წლის 9—11 სექტემბერს მაიკოპში ჩატარებული იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლისადმი მიძღვ-

ნილი VI რეკონაღურ-სამეცნიერო სესიის შესახებ.

326 გვ., ფასი 2 მან. 20 კაპ., ტირაჟი 1500.

**ხალხური პოეზია და პროზა, ქართული
ფოლკლორი, VII, მასალები და
გამოკვლევები**

რედაქტორი მ. ჩიქოვანი

წიგნი წარმოადგენს პრობლემური ნაშრომების კრებულს. მასში შესულია გამოკვლევები პოეტურ, პროზაული ენაწიბის ერთერთკავშირებს, ცვალებად ბუნების შესახებ, დაკორებები-ობექტულ ადებელია ქართული ბეგრული ლიტერა, სვანური ხალხური შემოქმედების ძეგლები, ხოლო შედარებისათვის გამოყენებულია რელიგიური და სხვა ერთა ფოლკლორის ნიმუშები. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხალხურ ნაწარმოებთა სტრუქტურულ და მხატვრულ ანალიზს.

187 გვ., ფასი 1 მან. 60 კაპ., ტირაჟი 1600.

**კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა
ინსტიტუტის სპარსულ ხელნაწერთა**

კატალოგი

(AC—კოლექცია) ნაკვეთი II

შეადგინა მ. შამაციაშვილმა

რედაქტორი დ. კობიძე

წიგნი წარმოადგენს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მუსლიმანური ფონდის სპარსულ ხელნაწერთა კატალოგის II ტომს. კატალოგი შესულია შეახუბრა (AC) კოლექციის 317 სპარსული ხელნაწერი (XV—XIX სს.). შუაზიორი სპარსული კოლექცია შეიცავს აღმოსავლეთში ფართოდ ცნობილ და გავრცელებულ სპარსულ ავტორთა სხვადასხვა თხზულებებს. სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში მომუშავე სპეციალისტებს.

193 გვ., ფასი მან. 90 კაპ., ტირაჟი 700.